ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

ეკატერინე კვირკველია

პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების კვლევა

განათლების მეცნიერებების დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ქეთევან ჭკუასელი, პროფესორი

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2019

აბსტრაქტი

საქართველოში განათლების სისტემის რეფორმირების მიმდინარე ეტაპზე, ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს პროფესიული განათლების სისტემის განვითარება წარ-მოადგენს. შესაბამისად, ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია (2017-2021წწ), სხვა ძირითად მიმართულებებთან ერთად, ამ მიმართებით მიზნად ისახავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერული წინსვლის გამჭვირვალე სისტემის შექმნას. ეს უკანას-კნელი საჭიროებს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტან-დარტების საფუძვლიან გადახედვას და დამუშავებას. აღნიშნული საკითხების გადა-წყვეტისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მეცნიერულ დონეზე განისაზღვროს პროფე-სიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები, რომელიც, თავის მხრივ, გახდება საფუძველი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, დარ-გობრივი მახასიათებლის და მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა-თვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორ-ციელებული კვლევა, ამ მიმართულებით ძალზე **აქტუალურია** და გარკვეულ **სიახლეს** წარმოადგენს. კვლევის ძირითადი **მიზანია** პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების შესწავლა და ადაპტაცია ქართული საზოგადოების საჭიროებებთან.

კვლევის მიზნის განსახორციელებლად გამოიკვეთა **კვლევის ამოცანები:**

1. საკითხთან დაკავშირებული მეორადი ინფორმაციის მოძიება-თეორიული მასალა, საკითხთან მიმართებით განხორციელებული კვლევები, უცხოური გამოცდი-ლების შესწავლა;

2. მოძიებული მასალის საფუძველზე კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;

3. პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების თეორიული მოდელის შესწავლა;

4. ემპირიული კვლევის ჩატარება-მასწავლებლების, სტუდენტების და სპეცია-ლისტების გამოკითხვა და შედეგების შეჯერება თეორიულ მოდელთან.

კვლევის საგანია–პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული მახასიათებლები.

კვლევის ობიექტია-პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული მახასიათებლების მოდელების შესწავლისა და ადაპტაციის პროცესი.

კვლევის მეთოდები-თვისებრივი-ა/მეორადი ინფორმაციის მოძიება (თეორიული მასალა, საკითხთან მიმართებით განხორციელებული კვლევები, უცხოური გამოცდილება), ბ/სტრუქტურირებული ინტერვიუ.

კვლევის ძირითადი სამიზნე ჯგუფები-პროფესიული სასწავლებლების მოქმედი **პედაგოგები** (50 პიროვნება), **პროფესიული სწავლების ხუთივე საფეხურის სტუდენტები** (350 პიროვნება), **პროფესიული განათლების სპეციალისტები** (3 პიროვნება), **პროფესიული სასწავლებლების დირექტორები და ადმინისტრაციის წევრები** (24 პიროვნება).

კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, ნაშრომში გადაწყვეტილია კვლევის შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- ✓ შესწავლილია პროფესიული განათლების სისტემის სპეციფიკა, მისი როლი და მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში, ამ სფეროში არსებული გამოწვევები და პრობლემები საქართველოში;
- ✓ განხილულია ქვეყანაში ბოლო 5-10 წლის განმავლობაში პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული კვლევები, გაანალიზებულია მათი შედეგები;
- ✓ წარმოდგენილია განვითარებულ ქვეყნებში და საქართველოში პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, პროფესიული სტანდარტებისა და მახასიათებლების დეტალური ანალიზი;
- ✓ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში მიღებული ნორმატიულ–საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის **პროფესიული მახასიათებლების თეორიული მოდელი, რომელიც სტრუქტურირებულია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის სწავლის შედეგის შესაბამი-სად, კერძოდ: 1.პროფესიული ცოდნა და გაცნობიერება; 2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება-პრაქტიკული უნარები; 3.ღირებულებები, პიროვნული თვისებები;**
- ✓ ჩატარებულია ემპირიული კვლევა, რომლის საფუძველზეც **ჩამოყალიბებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების თეორიულ მოდელთან შეჯერებული პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები, რომელიც წარმოადგენს თეორიული მოდელის ქართულ საგანმანათლებლო სივრცის საჭიროებებთან ადაპტირებულ ვერსიას.**

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. კვლევის შედეგად შექმნილი პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული მახასიათებლების **თეორიული მოდელი** წარმოადგენს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის განზოგადებულ მოდელს, რომელიც **ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის ორიენტირია პროფესიული განათლების მასწავლებლის ახალი პროფესიული სტანდარტისა და მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლის შექმნისათვის.**

ემპირიული კვლევის საშუალებით პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების თეორიული მოდელი ადაპტირებულია (შეჯერებულია) საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის საჭიროებებთან და **წარმოდგენილია მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების საბოლოო ვერსია.**

თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგად მიღებული პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების გათვალისწინება პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტსა და დარგობრივ მახასიათებელში, უდაოდ რელევანტურსა და შესრულებადს გახდის არსებული სივრცისათვის აღნიშნულ დოკუმენტებს და ხელს შეუწყობს მასწავლებლებს განვითარებასა და საერთაშორისო სივრცესთან ადაპტირებაში.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განათლება, მასწავლებელი, მახასიათებლები, ცოდნა, ღირებულებები.

Abstract

The enhancement of the system of vocational education is considered to be the major priority at the current stage of reforming the educational system in Georgia. Accordingly, alongside the other directions the unified state strategy of education and science of the country (2017 – 2012) aims at creating the transparent system of engagement, development and career advancement of the teacher of vocational education. The latter requires the profound revision and refinement of professional standards for the teacher of vocational education. In order to settle the mentioned issues the great importance is attached to determining the professional characteristics of the vocational education teacher at the scientific level, that in its turn, will provide the foundation for creating the professional standards, sector benchmarks and educational training programs for the teacher. Based on the aforesaid, the research conducted in this sphere within the thesis work is topical and represents a certain novelty. The major goal of the research is to study the professional specifications of the teacher of vocational education and, in this respect, to adapt them to the requirements of the Georgian society.

The following objectives of the research have been highlighted to achieve its goals:

1. Obtaining the secondary sources of information related to the issue – theoretical materials, the researches conducted with respect to the issue and the study of foreign experience;
2. Developing the research methodology on the basis of the attained material;
3. Studying the theoretical model of professional characteristics of the vocational education teacher;
4. Conducting the empiric research- the inquiry of teachers, students and experts and collating the findings with the theoretical model

The subject of research -is the professional characteristics of the vocational education teacher.

The object of research - is the study of the models of professional characteristics of vocational education teachers and the process of their adaptation.

The research methods–qualitative–a/The acquisition of the secondary sources of information (theoretical material, the researches conducted in relation to the issue, the study of foreign experience), b/The structured interview.

The main target groups of the research are–the teachers engaged in the vocational institutions (50 persons), **the students of all five levels of vocational education** (350 persons), **the specialists of the vocational education** (3 persons), **the directors and members of administration at the vocational institutions** (24 persons).

In compliance with the aim and objectives of the research the following salient issues have been settled in the thesis work:

√There are studied the particularities of the system of vocational education, its role and significance in the process of the modern globalization as well as the challenges and problems existing in this field in Georgia;

√There are reviewed the researches conducted in the area of vocational education during the last 5-10 years in the country and their findings are analyzed;

√There are presented the detailed analysis of training, professional standards and characteristics of the vocational education teachers in the developed countries and Georgia;

√For the purpose of sharing the international experience and considering the demands of the normative-legislative acts enacted by the Georgian government, the **theoretical model for the peculiarities of professional activities** of the vocational education teachers has been developed, which is structured in accordance with the learning outcomes of the international educational space, in particular: 1.**The professional knowledge and awareness; 2. The knowledge deployment in practice -practical skills; 3. The values, personal qualities.**

√On the basis of the findings of empiric research conducted **there have been established the professional characteristics of the vocational education teacher collated with its theoretical model, which represent the version of the theoretical model adapted to the requirements of the Georgian educational space.**

The theoretical and practical value of the research. The theoretical model of the professional characteristics of the vocational education teacher designed in consequence of the research represents the generalized model of the international educational space which is the **reference point for Georgian educational space to establish the new professional standards and sector benchmarks of a teacher of vocational education.**

By means of the empiric research the theoretical model of professional peculiarities of the teacher of vocational education is adapted (allocated) to the requirements of the

vocational education system of Georgia and **the ultimate version of professional characteristics of the teacher is presented**

The consideration of the professional characteristics established as a result of empiric research for the standards and sector benchmarks of the vocational education teachers makes the mentioned documents relevant and feasible for the existing space and encourages the teachers in their advancement and adaption to the international space.

Key words: vocational education, teacher, characteristics, knowledge, values.

შინაარსი

აბსრაქტი ---------- **2**

შინაარსი ---------- **8**

შესავალი ---------- **10**

თავი-I.პროფესიული განათლების სისტემის ფორმირება და მისი ორგანიზაციულ–სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში ---------- **16**

1.1.პროფესიული განათლების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში-გამოწვევები და პრობლემები საქართველოში ---------- **16**

1.2.პროფესიული განათლების სტრუქტურა, ინსტიტუციონალური და ორგანიზაციულ–სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში ---------- **29**

1.3.პროფესიული განათლების ფორმირებისა და განვითარების ისტორია საქართველოში ---------- **34**

თავი-II.პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტები, მომზადების საფუძვლები–განვითარებული ქვეყნები და საქართველო (გამოცდილების ანალიზი) ---------- **44**

2.1.პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტები და მახასიათებლები განვითარებულ ქვეყნებში და საქართველოში ---------- **44**

2.2.პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების საკითხები განვითარებულ ქვეყნებში და საქართველოში ---------- **66**

თავი-III.პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები ---------- **108**

3.1.პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები -თეორიული მოდელი ---------- **108**

კვლევითი ნაწილი. კვლევის ძირითადი მიმართულებები, ეტაპები და შედეგები ---------- **137**

კვლევის შედეგად შექმნილი და სპეციალისტების მოსაზრებებთან შეჯერებული პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები ---------- **159**

დასკვნები და რეკომენდაციები ---------- **163**

გამოყენებული ლიტერატურის სია ---------- **167**

დანართი-1.§1.პროფესიული განათლების ფორმირებისა და განვითარების ისტორია საქართველოში.

დანართი-2.§2.პროფესიული განათლების განვითარების აქტუალური საკითხები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში (წარსული–ისტორიული გამოცდილება).

დანართი-3.ანალიზური ცხილები.

დანართი-4.მასწავლებლებისა და სტუდენტების დაკვეთები პროფესიული განათლების მასწავლებლებისადმი.

დანართში გამოყენებული ლიტერატურა.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა და საკვლევი თემის აქტუალობა. თანამედროვე გლობალიზაციისა და ევროინტეგრაციის პირობებში, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას ადამიანური კაპიტალის განვითარება და არსებული შრომითი პოტენციალის ეფექტიანი, რაციონალური გამოყენება წარმოადგენს, რასაც ბოლო პერიოდში სხვადასახვა სამთავრობო და სპეციალური ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც ადასტურებენ. სწორედ ამიტომ, შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს მთავრობამ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელისშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის, სავსებით სამართლიანად, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად „არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა“ [დადგენილება N400, სტრატეგია „საქართველო-2020“, 2014:5] აღიარა. ამ ძალზედ მტკივნეული პრობლემების გადაწყვეტაში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა განათლების სისტემის რეფორმასა და მის საფუძვლიან გარდაქმნას, განვითარებას ენიჭება, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულმა პროფესიული განათლების სისტემამ უნდა შეასრულოს.

დღეს, საზოგადოებრივი საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში მიმდინარე მოვლენები სერიოზულ ყურადღებასა და ძალისხმევას საჭიროებს მდგომარეობის გაჯანსაღების თვალსაზრისით. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების[1] შესაბამისად, არსებული მდგომარეობა

[1]საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განვითარების დეპარტამენტისა და სხვა ორგანიზაციების მიერ პერიოდულად განხორციელებულ კვლევები: 2014, 2015, 2016 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (Trager Study). http://mes.gov.ge/uploads/files/2016.pdf.; დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ. მომზადებულია ACT-ის მიერ UNDP-თვის დეკემბერი, 2015 თბილისი, საქართველო. http://mes.gov.ge/content; საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი შრომის ბაზარზე. კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი. http://test.vet.ge/wp-content/uploads/2016/02/2014-Analysis.pdf; პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა, მომზადებულია ACT-ის მიერ: „გაეროს განვითარების პროგრამისთვის“ (UNDP), დეკემბერი, 2015წ. http://test.vet.ge; პროფესიული სასწავლებლებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა. საბოლოო ანგარიში. დეკემბერი, 2015წ. მომზადებულია ACT-ის მიერ: „გაეროს განვითარების პროგრამისთვის“ (UNDP), დეკემბერი, 2015წ. http://test.vet.ge/wp-content/uploads/2013/10/. „პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა“, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერით, ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, რუსთავი. 2017 წლის აგვისტო და სხვა.

არც თუ სახარბიელოა. კერძოდ, გამოიკვეთა სფეროში დაგროვილი უამრავი პრობლემა, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ: პროფესიული განათლების სისტემის არაორიენტირებულობა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე; მისი ნაკლებად მიმზიდველობა და დაბალი პრესტიჟი საზოგადოებაში; ადეკვატური საკანონმდებლო ბაზის არარსებობა [დადგენილება №533, „სტრატეგია 2017–2021“, 2017:7,24-27]; თვით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დაბალი დონე, ხარისხი; დამსაქმებლებთან თანამშრომლობის სირთულეები და კურსდამთავრებულების დასაქმების დაბალი პერსპექტივები, მათი კვალიფიკაციის აღიარების სირთულეები; [კვლევა-Tracer Study, 2014, 2015, 2016]; პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და გადამზადების, შემდგომი პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემის ფომირებასთან დაკავშირებული პრობლემები; განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით სისტემის დაფინანსების დაბალი დონე და ამ სფეროში არსებული რიგი პრობლემები [ბრძანება N300, სტრატეგია 2013-2020:6,34-42]; საქართველოს შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურისა და ერთიანი საინფორმაციო სისტემის განუვითარებლობა, მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონე სისტემაში მიმდინარე ცვლილებებსა და რეფორმებთან დაკავშირებით [დადგენილება N199, სტრატეგია 2013-2018:3-9] და სხვა. არსებული მდგომარეობა აშკარად მოწმობს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, წინსვლა და პროგრესი აუცილებლად საჭიროებს პროფესიული განათლების სისტემის ახალი სტრუქტურის ფორმირებასა და განვითარებას. ეს უკანასკნელი პირველ რიგში გულისხმობს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი, მაღალი კომპეტენციების მქონე, პროფესიონალი კადრების მომზადებას. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში კი განსაკუთრებული როლი პროფესიული განათლების მასწავლებლებმა უნდა შეასრულონ. შემთხვევითი არაა, რომ პროფესიული განათლების რეფორმის დღევანდელი სამთავრობო სტრატეგია პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებასა და განვითარებას „თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად“, უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევს [ბრძანება N300, სტრატეგია 2013-2020:4]. შესაბამისად, სტრატეგია აღნიშნული პრობლემის დასაძლევად მიზნად

ისახავს პროფესიული განათლების მასწავლებლებლის მომზადებისა და განვითარების ეფექტიანი სისტემის ფორმირებას. მით უფრო, რომ საქართველოში, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ რესპუბლიკაში, ნაკლებად კეთდებოდა აქცენტი პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების სისტემაზე, ვინაიდან ეს არ იყო ქვეყნის პრიორიტეტი და ამ მიმართებით, ქვეყანას მემკვიდრეობა და გამოცდილება თითქმის არ გააჩნია. ამიტომ, აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემების დასაძლევად საქართველოს მთავრობამ არა ერთი ნაბიჯი გადადგა, კერძოდ, შეიმუშავა სტრატეგია და კანონი პროფესიული განათლების შესახებ (2007წ., 2013წ. და 2017, 2018წ.), შეიმუშავა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (2011წ., 2014წ.) და სფერო მუდმივი ზრუნვის საგნად აქცია, მაგრამ მდგომარეობა ვერა და ვერ გამოსწორდა. ცხადია, ეს ვითარება ქვეყანაში არსებულ უამრავ პრობლემათა ჯაჭვს ებმის, მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი პრობლემა მაინც სათავეს იღებს სისტემის რეფორმის პროცესში უცხოური გამოცდილების უპირობოდ გადმოღებისა და ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული რეალობის გაუთვალისწინებლობიდან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევებისა პროფესიული განათლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ვერ მოვიძიეთ კვლევები საკუთრივ პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლებისა და მომზადების შესახებ, სწავლების ხარისხზე მისი პოტენციალის, კვალიფიკაციის დონის გავლენის შესახებ. ცალკეული კვლევები კი, რომლებიც ზოგადად პროფესიული განათლების სისტემაში არსებულ მდგომარეობას, პრობლემებს შეეხება, სამწუხაროდ ვერ იძლევა ამ კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით სიტუაციის შეფასების საშუალებას. სისტემაში არსებულმა ამგვარმა ვითარებამ გვაფიქრებინა, რომ მნიშვნელოვანია მეცნიერულ დონეზე განისაზღვროს პროფესიული განათლების **მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები,** რომელიც, თავის მხრივ, გახდება საფუძველი **მასწავლებლის ახალი პროფესიული სტანდარტის, დარგობრივი მახასიათებლის და მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა. აღნიშნულიდან გამომდინარე,** სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევა ამ მიმართულებით აქტუალურია და **გარკვეულ სიახლეს** წარმოადგენს.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების შესწავლა და ადაპტაცია ამ მიმართებით ქართული საზოგადოების საჭიროებებთან.

კვლევის მიზნის განსახორციელებლად გამოიკვეთა **კვლევის ამოცანები:**

1. საკითხთან დაკავშირებული მეორადი ინფორმაციის მოძიება-თეორიული მასალა, საკითხთან მიმართებით განხორციელებული კვლევები, უცხოური გამოცდილების შესწავლა;
2. მოძიებული მასალის საფუძველზე კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების თეორიული მოდელის შესწავლა;
4. ემპირიული კვლევის ჩატარება-მასწავლებლების, სტუდენტების და სპეციალისტების გამოკითხვა და შედეგების შეჯერება თეორიულ მოდელთან.

კვლევის საგანია–პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული მახასიათებლები.

კვლევის ობიექტია-პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული მახასიათებლების მოდელების შესწავლისა და ადაპტაციის პროცესი.

კვლევის მეთოდები-თვისებრივი-ა/მეორადი ინფორმაციის მოძიება (თეორიული მასალა, საკითხთან მიმართებით განხორციელებული კვლევები, უცხოური გამოცდილების შესწავლა), ბ/სტრუქტურირებული ინტერვიუ.

კვლევის ძირითადი სამიზნე ჯგუფები-სამიზნე ჯგუფებად შერჩეული არიან პედაგოგები, მასწავლებლები (50 პიროვნება), რომლებიც ამჟამად მოქმედი პროფესიული პროგრამების ფარგლებში ახორციელებენ სწავლების პროცესს სპეციალურ პროფესიულ, საზოგადოებრივ კოლეჯებსა და სასწავლო დაწესებულებებში, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად. ასევე მიზნობრივი პრინციპით შერჩეული არიან **პროფესიული სწავლების სტუდენტები** (350 პიროვნება), პროფესიული განათლების ხუთივე საფეხურზე, რომლებიც ამჟამად გადიან პროფესიულ სწავლებას შესაბამისი პროფესიული პროგრამების ფარგლებში. სტუდენტთა გარკვეული კონტიგენტი კვლევის პროცესში შეირჩა ასევე შემთხვევითი პრინციპით, კონკრეტიული პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში. კვლევის შედეგების დაკორექტირების მიზნით შერჩეული იქნენ **პროფესიული განათლების სპეცია-**

ლისტები (3 პიროვნება), რომელთაც აქვთ შეხება აღნიშნულ საკითხთან, **პროფესიული სასწავლებლების დირექტორები და ადმინისტრაციის წევრები** (24 პიროვნება).

კვლევის ძირითადი შედეგები ორიენტირებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული მახასიათებლების ფორმირებაზე, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია მათი მომზადებისა და განვითარების პროცესში ძირითადი კონცეპტუალური მიდგომების ფორმირებისათვის, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას პროფესიული განათლების თანამედროვე სამთავრობო პროგრამების შემუშავებისას.

კვლევის ინსტრუმენტი-კვლევის პროცესში გამოყენებულია სპეციალური კითხვები და კითხვარი ინტერვიუსათვის, რომლებიც აგებულია თეორიული მასალის მოძიების საფუძველზე და ემსახურება საკვლევი საკითხის განმარტებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული მუშაკების და სპეციალისტებისაგან.

მონაცემთა წყარო. კვლევის პროცესში ემპირიულ კვლევასთან ერთად გამოყენებულია მონაცემთა მეორადი წყაროც. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეულ მკვლევარ-ექსპერტთა პროგნოზები და შეფასებები საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში არსებულ და მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულია შესაბამისი სამთავრობო ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კანონმდებლობა და ოფიციალური მონაცემები საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია დეტალურად ნაშრომის შესაბამის კვლევით ნაწილში განხორციელებული ეტაპების შესაბამისად.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. კვლევის შედეგად შექმნილი პროფესიული განათლების მასწავლებლებლის პროფესიული მახასიათებლების **თეორიული მოდელი** წარმოადგენს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის განზოგადებულ მოდელს, რომელიც **ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის**

ორიენტირია პროფესიული განათლების მასწავლებლის ახალი პროფესიული სტანდარტისა და მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლის შექმნისათვის.

ემპირიული კვლევის საშუალებით პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების თეორიული მოდელი ადაპტირებულია (შეჯერებულია) საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის საჭიროებებთან და **წარმოდგენილია მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების საბოლოო ვერსია.** თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგად მიღებული პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების გათვალისწინება პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტსა და დარგობრივ მახასიათებელში, უდაოდ რელევანტურსა და შესრულებადს გახდის არსებული სივრცისათვის აღნიშნულ დოკუმენტებს და ხელს შეუწყობს მასწავლებლებს განვითარებასა და საერთაშორისო სივრცესთან ადაპტირებაში.

ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 219 გვერდს, რომელიც შედგება შესავალის, 3 თავის, 7 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. ნაშრომს თან ერთვის 4 დანართი 43 ფურცელზე.

თავი–I.პროფესიული განათლების სისტემის ფორმირება და მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში

1.1.პროფესიული განათლების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში-გამოწვევები და პრობლემები საქართველოში

გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ეპოქაში ნებისმიერი საზოგადოების განვითარებისა და პროგრესის მიზნით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სისტემის ეფექტიან და ნორმალურ ფუნქციონირებას. სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება ადამიანის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, კულტურულ ფასეულობათა აღქმის უნარის გამომუშავება. თანამედროვე საზოგადოება აწყდება მძიმე გლობალურ პრობლემებს, რომლის გადაწყვეტაში განათლების სისტემამ და მისი ცალკეული შემადგენელი რგოლის (ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი) განვითარებამ წამყვანი როლი უნდა ითამაშოს. განათლება საზოგადოების სოციალური ეფექტიანობის, მისი განახლების, განვითარების, პროგრესის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სწორედ ამიტომ, თანამედროვე საუკუნეს, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ეპოქასთან ერთად, „განათლების საუკუნეს“ უწოდებენ, სადაც თვით ცოდნა და განათლება ადამიანის საქმიანობისა და ცხოვრების უმთავრეს გარანტს წარმოადგენს. „განათლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას და მნიშვნელოვან პირობას ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. შესაბამისად, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და დეკლარირებულია როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი“ [დადგენილება №533, „სტრატეგია 2017–2021“, 2017:3]. თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქა სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს არა მარტო განათლების ერთიან სისტემას, არამედ მის ყველა მიმართულებას, ყველა რგოლსა და სტრუქტურულ ელემენტს. ამ მხრივ განსაზღვრული როლი და მნიშვნელობა პროფესიული განათლების სისტემას ენიჭება. „პროფესიული განათლება მიმზიდველ და რეალურ საგანმანათლებლო ალტერნატივას წარმოადგენს საზოგადოების ფართო ფენებისათვის“ [ბრძანება N300, სტრატეგია (2013-2020), 2013:2]. შესაბამისად იგი „მიჩნეულია არა მხოლოდ დასაქმების საშუალებად, არამედ სამოქალაქო საზოგადო-

ების ჩამოყალიბება-განვითარების, ადამიანის სოციალური დაცვისა და კეთილდღეობის საფუძვლადაც“ [დადგენილება N150, 2005:3]. ამიტომ პროფესიული განათლება დღეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება საქართველოში და იგი საზოგადოების ყველა ფენის ყურადღების ცენტრში ექცევა. მართლაც, ძნელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ “ადამიანისათვის არ არის საკმარისი ჰქონდეს, ზერელე, ზედაპირული ცოდნა. ადამიანი აუცილებლად უნდა იყოს რომელიმე ერთი დარგის სპეციალისტი, ღრმად უნდა ჰქონდეს შესწავლილი თუნდაც ერთი ფილოსოფოსი, ერთი რომელიმე დიდი პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა” [ილია II. 2014:3]. ამიტომ, ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების სისტემის უმთავრეს გამოწვევას და მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსების განვითარება, რაც უზრუნველყოფს მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და შესაბამისად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, სიღარიბის შემცირებასა და საბოლოო ჯამში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. აღნიშნული მიზნის მიღწევა საჭიროებს: მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარების საფუძველზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რომელთაც ექნებათ უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კომპეტენციების ამაღლების შესაძლებლობა; პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას მოსახლეობის ყველა ფენისათვის, სადაც მათ ექნებათ პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს მათი მომზადების, უმუშევრობის დაძლევის, დასაქმებისა და თვითდასაქმების, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივის აუცილებელ პირობას. გარდა აღნიშნულისა, მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემაში არსებობს სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევები:

- ✓ განათლებისა და კულტურის, სამოქალაქო აქტივობის მაღალი დონის მიღწევისა და საზოგადოებრივი განვითარებისათვის აუცილებელია კვალიფიციური სპეციალისტები და მუშა კადრები, რომლებსაც ექნებათ არა მარტო მაღალი პროფესიული უნარ–ჩვევები, კვალიფიკაცია, არამედ შემოქმედებითი შრომის უნარი. დამსაქმე-

ბელს სჭირდება მაღალი კვალიფიკაციის, შესაბამისი პროფესიის მქონე კადრი, რომელიც სრულად უნდა აკმაყოფილებდეს მის მოთხოვნებს. ზოგადად ინოვაციურ ეკონომიკაში საჭიროა 80% კვალიფიციური კადრი და 20% უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი. ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით ჩვენს ქვეყანაში გვაქვს აბსოლუტურად საწინააღმდეგო სურათი;

- ✓ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე სრული ორიენტაციის მიზნით აუცილებელია პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი ნორმატიული-საკანონმდებლო, სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება, მისი საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ✓ პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციონირების ყველა სტადიასა და პროცესში სოციალური პარტნიორობისა და ურთიერთთანამშრომლობის სისტემის განვითარება, რაც გულისხმობს ძირითად პარტნიორებთან (სახელმწიფო, პროფესიული ორგანიზაციები, დამსაქმებლები, მეწარმეთა გაერთიანებები, მომუშავეები) ერთად სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას;
- ✓ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების სირთულეები. მათი პროფესიის პრესტიჟის ამაღლება, კარიერული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (აღნიშნულ სფეროში არსებული გამოწვევევის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. §2.2);
- ✓ შრომის ბაზარის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;
- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მათი პრაქტიკული სწავლება და აქტიური თანამშრომლობა დამსაქმებლებთან, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებთან და სხვა.

საქართველოში სერიოზული გამოწვევები არსებობს არა მარტო პროფესიული, არამედ უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სფეროშიც. კერძოდ, "საქართველოს განათლების სისტემა ვერ პასუხობს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს"...საქართველო 105-ე ადგილზეა „საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის" გლობალური კონკურენტუნარიანობისა და 130–ე ადგილზე „კვლევითი და ტრენინგის მომსახურების ხელმისაწვდომობის" მიხედვით" [დადგენილება N400, სტრატეგია „საქართელო-2020", 2014:14]. პროფესიული განათლების სისტემაში კი

იკვეთება სხვა არსებითი პრობლემებიც, რასაც ბოლო პერიოდში ჩატარებული ცალკეული კვლევებიც [იხ. გვ. 10 სქოლიო] ადასტურებენ.

2005 წლიდან საქართველოში განათლების სისტემის გარდაქმნისა და განვითარების პრინციპულად ახალი ეტაპი დაიწყო, რომელმაც საფუძვლიანად შეცვალა მისი სტრუქტურა და შესაბამისად ჩამოყალიბდა განათლების ხარისხის მართვის პრინციპულად ახალი მოდელი, შეიცვალა დაფინანსების სისტემაც. პროფესიული განათლების კონცეფციის [დადგენილება N150, 2005წ.] (იგი ეფუძნება ლისაბონის სტრატეგიას და კოპენჰაგენის პროცესის ძირითად პრინციპებს[2]) მიღების შედეგად კი, პროფესიული განათლება ხდება ახალი საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი სისტემა, რომელიც მთლიანად ორიენტირებული უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. გაიზარდა პროფესიული სასწავლებლების დამოუკიდებლობის ხარისხი, გაფართოვდა მათი ფუნქციები, და რაც მნიშვნელოვანია, მიღებული კონცეფციის შესაბამისად პროფესიული განათლების ახალი პოლიტიკა 2000 წლიდან ეფუძნება ევროკავშირის მემორანდუმის ძირითად პრინციპს–„სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“. 2013 წლიდან ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებისათვის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა სწორედ პროფესიული განათლების სისტემას მიენიჭა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის, ადამიანური კაპიტალის განვითარება კი, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად იქნა აღიარებული. „მთავრობის ახალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, ისევე როგორც საქართველოს მთავრობის რეფორმების ოთხ პუნქტიანი გეგმა განათლებას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მის ეფექტიან ჩართულობას ქვეყნის განვითარების პროცესებში“ [დადგენილება №533, „სტრატეგია 2017–2021“, 2017; დადგენილება N400, სტრატეგია „საქართელო-2020“, 2014]. სამთავრობო კურსის ასეთი რადიკალური ცვლილების აუცილებლობა განპირობებულია უპირატესად იმით, რომ „განათლების სისტემა ვერ პასუხობს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს. პროფესიული განათლების სისტემის ხარვეზებზე მეტყველებს

[2]მას შემდეგ რაც ბრიუგეს ინიციატივის (2001წ.), კოპენჰაგენის დეკლარაციისა (2002წ.) და მაასტრიხტის კომუნიკეს (2004 წ.) შედეგად პროფესიული განათლება ლისაბონის სტრატეგიის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი გახდა, გაძლერდა თანამშრომლობა, კოოპერაცია პროფესიული განათლების სფეროში, მისი გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის, აღიარებისა და ხარისხის ამაღლების კუთხით.

ის გარემოება, რომ შრომისუნარიანი ასაკის მთელ მოსახლეობაში არ არსებობს განსხვავება პროფესიული და დაწყებითი განათლების მქონე პირთა უმუშევრობის მაჩვენებლებს შორის“ [დადგენილება N400, სტრატეგია „საქართველო-2020“, 2014:18].

საქართველოში პროფესიული განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი 2005-2006 წლებში საქართველოში სულ 153 ერთეული ირიცხებოდა, მათ შორის 86 სახელმწიფო, ხოლო 67 არასახელმწიფო. 2008–2009 წლისათვის მათი რაოდენობა სულ 34 ერთეული იყო, მათ შორის სახელმწიფო 30, ხოლო კერძო 4 ერთეული. რაც შეეხება სტუდენტთა საერთო რიცხოვნობას მათი რაოდენობაც მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენციით ხასიათდება. თუ 2005-2006 სასწავლო წლებში სახელმწიფო და კერძო საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში 28395 მოსწავლე ირიცხებოდა (20904 სახელმწიფო, ხოლო 7491 კერძო სასწავლებელში), 2009-2010 საწავლო წელს მათი რიცხოვნობა 2611–მდე შემცირდა, მათ შორის სახელმწიფო 2177, ხოლო 434 კერძო სექტორში **(იხ. დანართი-3, ცხრილი-3.1)**. 2017 წლის მონაცემებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების მიღებას ახორციელებს 26 სასწავლებელი, მათ შორის 11 კერძო და 15 საჯარო, მაშინ როცა 2013 წელს მათი რაოდენობა 23 იყო. მათ შორის: 9 კერძო და 14 საჯარო უმაღლესი სასწავლებელი **(იხ. დანართი-3, ცხრილი-3.2)**. როგორც ვხედავთ, პროფესიული სწავლება სასწავლებელთა რაოდენობის მიხედვით ზრდის ტენდენციით ხასიათდება, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების სექტორში. კერძოდ, 2017 წელს 2013 წელთან შედარებით 9-დან 11-მდე გაიზარდა კერძო უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი, რომლებიც პროფესიული მომზადების პროგრამებს ახორციელებდნენ, ხოლო საჯარო სექტორში მათ რაოდენობას კიდევ ერთი უმაღლესი სასწავლებელი დაემატა. რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს 2017 წელს პროფესიულ სწავლებას 10 კერძო და 1 საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს. საზოგადოებრივი კოლეჯების რიცხვი 2017 წელს 2013 წელთან შედარებით 24 ერთეულიდან 48-მდე, ანუ 2-ჯერ გაიზარდა. ზრდის ტენდენციაა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. რაც შეეხება პროფესიულ კოლეჯებს მათი საერთო რაოდენობა 50-დან 35-მდე, ანუ 42,9%-ით შემცირდა, მთლიანად კერძო პროფესიული კოლეჯების ხარჯზე. ამჟამად საქართველოში აღირიცხება სულ 35 ერთეული პროფესიული კოლეჟი (25 კერძო და

10 საჯარო) და 48 ერთეული საზოგადოებრივი კოლეჯი (36 კერძო და 12 საჯარო) **(იხ. დანართი-3, ცხრილი-3.2)**. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ კადრებზე, ახალგაზრდებისა და, შეიძლება ითქვას, სამოქალაქო საზოგადოების ინტერესი პროფესიული განათლების მიმართ არსებითად არ შეცვლილა. აღნიშნულს ადასტურებს ბოლო პერიოდში განხოციელებული კვლევებიც. ასე მაგალითად, პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევის [კვლევის ანგარიში, 2015] (გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კვლევის ტექნიკა-პირდაპირი ინტერვიუ, შერჩეულ იქნა საქართველოში მცხოვრები 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა, სულ ჩატარდა 2801 დასრულებული ინტერვიუ) შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხული ზრდასრული მოსახლეობის 12%-მა საერთოდ არაფერი იცის პროფესიული განათლებისა და გადამზადების შესახებ, 58% კი არ ფლობს ინფორმაციას საგანმანათლებლო რესურს ცენტრის საინფორმაციო ან პროფორიენტაციის სამსახურის არსებობის შესახებ. რესპოდენტთა 35%-ისათვის პროფესიული განათლება და გადამზადება ასოცირდება ყოფილი „პროფტექნიკუმი/პტუ“ სასწავლებლებთან და მხოლოდ 66% თვლის, რომ მიღებული პროფესიული განათლება გამოადგათ ცხოვრებაში. 45% დასაქმების თვალსაზრისით უპირატესობას ანიჭებს უმაღლესი განათლებას. პროფესიული განათლების პრესტიჟულობას აღიარებს მხოლოდ 66%, დანარჩენი (34%) კი მას არაპრესტიჟულად თვლის, ან ნეგატიურადაა განწყობილი. თუმცა რესპოდენტთა თითქმის 2/3 (62%) მიიჩნევს, რომ ბოლო პერიოდში მოსახლეობის დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ დადებითად იცვლება, მაგრამ იგი საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს. 2017 წლის აგვისტოში ევროკავშირის დახმარებით განხორციელებული კვლევის („პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა“ ქალაქ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში და რუსთავში, ინტერვიუს სახით 1920 რესპოდენტთან. გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კვლევის ტექნიკა-პირდაპირი ინტერვიუ, შერჩეულ იქნა საქართველოში მცხოვრები 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა, სულ ჩატარდა 2801 დასრულებული ინტერვიუ) მიხედვით „რესპოდენტთა 20% მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულება არის პოზიტიური, 49% მიიჩნევს, რომ დამოკიდებულება არის ნეიტრალური, ხოლო

27% მიაჩნია, რომ დამოკიდებულება არის ნეგატიური“ [დადგენილება №533, „სტრატეგია 2017–2021“, 2017].

2015 წლის დეკემბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განვითარების დეპარტამენტის მონაწილეობით ჩატარდა პროფესიული სასწავლებლებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა [კვლევა, ანგარიში. 2015], რომელიც მიზნად ისახავდა სწავლების პროცესისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობის შეფასებას. შეფასებაში მონაწილეობდა 2244 სტუდენტი, რომლებსაც ჩაუტარდათ თვითადმინისტრირებადი ინტერვიუ. მასწავლებლების შეფასების კუთხით გამოყენებულ იქნა შემდეგი 7 კრიტერიუმი: პროფესიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება, მიუკერძოებლობა, კომუნიკაცია სტუდენტებთან, გაწონასწორებულობა, განწყობილება სტუდენტების მიმართ, უცხო ენების ფლობა. სტუდენტთა 29-30% ვერ გამოთქვამს სრულ კმაყოფილებას მასწავლებელთა მიმართ აღნიშნულ კომპეტენციასთან დაკავშირებით, ასევე სასწავლო პროგრამებისა და მისი ისეთი პარამეტრის მიმართ, როგორიცაა სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა.

2016 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშის შედეგების მიხედვით გამოიკვეთა პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული სხვა ასპექტებიც, რომლებიც სამომავლოდ საჭიროებს მნიშვნელოვანი ყურადღების მიქცევას. ასე, მაგალითად, კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ გაუმჯობესებას საჭირობს ისეთი საკითხები როგორიცაა „დასაქმებაზე ზრუნვა (64%), პრაქტიკის კურსები (40%) და განათლების ხარისხი (39%)“ [კვლევის ანგარიში (TRACER STUDY). 2017].

პროფესიული განათლების სფეროში არსებულ პრობლემათაგან მნიშვნელოვანია დამსაქმებლებთან თანამშრომლობა. ამ კუთხით ჩატარებული კვლევის [დამსაქმებელთა კვლევა. 2015] შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიები არ თანამშრომლობენ პროფესიულ სასწავლებლებთან შემდეგი მიზეზების გამო: დამსაქმებელთა 40%-ზე მეტს არა აქვს ინფორმაცია ასეთი თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ; 15% პროფესიული სასწავლებლების ხარისხს სკეპტიკურად აფასებს და ფიქრობს, რომ პროფესიული სასწავლებლები არ ამზადებენ სათანადო კვალიფიკაციის კადრებს. 10% კი საერთოდ უსარგებლოდ თვლის აღნიშნულ თანამშრომლობას და შესაბამისად გაწეულ ხარჯებს. შედეგად პროფესიული კადრების მომზადების პროცესში

საჭირო გახდა უმაღლესი სასწავლებლების გააქტიურება. ამ კუთხით შეიძლება ითქვას, რომ სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერები არიან და თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად ისინი წარმატებით ახორციელებენ პროფესიულ-საგანმანათლებლო და სასერტიფიკატო პროგრამებს. აღნიშნული პროგრამების სწავლება მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას. შედეგად სტუდენტებს ენიჭებათ IV და V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასაქმების საკმაოდ მაღალ პერსპექტივას უზრუნველყოფას.

პროფესიული განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის დახასიათების მიზნით, ჩვენს მიერ განხორციელებული იქნა მთლიანად საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენთა მიღებისა და მომზადების მდგომარეობის ანალიზი პროფესიული პროგრამების სახეობების მიხედვით, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის გათვალისწინებით. **(იხ. დანართი-3, ცხრილი–3.3)**.

პროფესიული და ზოგადი განათლების დონე, ხარისხი პირდაპირ ზემოქმედებს ქვეყნის მოსახლეობის უმუშევრობისა და დასაქმების მდგომარეობაზე. კერძოდ, უმუშევარი[3] მოსახლეობის საერთო სტრუქტურაში უმაღლესი განათლების მქონე პირების წილი 40.5%-მდე გაიზარდა **(იხ. დანართი, ცხრილი-3.4).** საშუალო ზოგადი და საშუალო პროფესიული განათლების მქონე პერსონალის უმუშევრობის დონე კი, შესაბამისად 31,8% და 15,1%-ია, რაც შესაბამისად აისახა პროფესიული კადრების დასაქმების დონეზეც, რომელიც საანალიზო პერიოდში შემცირების ტენდენციით ხასიათდება **(იხ. დანართი, ცხრილი-3.5).**

---

[3]საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, **უმუშევარია**–15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში [www.geostat.ge]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით 2000-2017 წლებში უმუშევრობის დონე ქვეყანაში 10.3%-დან (2000 წელი) 13.9%-მდე მერყეობდა (2017 წელი), ხოლო მაქსიმალურ დონეს-18.3%-ს მან 2009 წელს მიაღწია. საექსპერტო შეფასებით კი მისი დონე 32.0-36.0%-ის ფარგლებშია. იგი ყველაზე მაღალია (32,0%) 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ანუ ახალგაზრდებში [www.geostat.ge].

პროფესიული განათლების საერთო დონესა და ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაფინანსების არსებული სისტემა, რომელიც ძირითადად ვაუჩერებითა და გრანტებით ხორციელდება [დადგენილება №244, 2013]. იგი ვერ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მათი საჭიროებების სრულად გათვალისწინებით (2017, 2018 წლებში პროფესიული განათლების მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიურმა ხარჯებმა შესაბამისად 36.5 და 43.8 მილიონი ლარი შეადგინა. ხოლო 2019 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, პროექტის შესაბამისად 64.0 მლნ ლარის ოდენობითაა განსაზღვრული. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროფესიულ განათლებაზე მიმართული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებზე საშულოდ მხოლოდ 0.77% მოდიოდა, ხოლო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 29.5%. **(დეტალურად იხ. დანართი-3, ცხრილი 3.6)**. სასწავლებლებს არ ეძლევათ განვითარებისა და ხარისხიანი სწავლის შეთავაზების თანაბარი შესაძლებლობები და რაც მთავარია პროფესიული სასწავლო დაწესებულებები ხშირ შემთხვევაში ვერ ღებულობენ იმ თანხას, რაც რეალურად საჭიროა სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს, 2014-2015 წელს განათლებაზე გაწეული დანახარჯების დონის მიხედვით მსოფლიოს 153 ქვეყანას შორის, ძალზე დაბალი რეიტინგი ქონდა (119–ე ადგილი) [The World Bank. 2017]. ქვეყანაში ბოლო ათი წლის განმავლობაში განათლებაზე საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 2,9–3,1% იხარჯება (3,1%–ი 2017 წელს), მაშინ, როცა საშუალო ევროპული მაჩვენებელი 5.0-6.0%-ია [www.geostat.ge; www.mof.ge].

ჩვენს მიერ ჩატარებული თეორიული კვლევის შედეგები და სხვადასხვა ოფიციალური წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის[4] ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

---

[4]საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, www.mes.gov.ge; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, www.eqe.ge; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, www.mof.ge; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, www.moh.gov.ge; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, www.economy.ge; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge.

- ✓ დღეს ქვეყნის მთავრობა მნიშვნელოვან პრიორიტეტად აღიარებს მთლიანად განათლებისა და მათ შორის პროფესიული განათლების სისტემის განვითარებას. ამ მხრივ, საყურადღებოა პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, რომლის ძირითად მიზანსაც სწორედ ამ სფეროს რადიკალური გარდაქმნა და განვითარება წარმოადგენს;
- ✓ დღემდე დაბალია პროფესიული განათლების სისტემის სტატუსი და პრესტიჟი, რომელიც ზოგად და უმაღლეს განათლებასთან შედარებით მეორეხარისხოვნად განიხილება. იგი ნაკლებად მიმზიდველია ქვეყნის მოსახლეობისათვის. ამიტომ სავსებით სამართლიანია, რომ „პროფესიული განათლება უნდა განიხილებოდეს არა როგორც მოწყვეტილი, განცალკევებული განათლების სისტემა, არამედ განათლების ერთიანი სისტემის ნაწილი“ [ბრძანება N300, სტრატეგია 2013-2020:26]. პროფესიული განათლების სისტემის რადიკალური გარდაქმნა უნდა განხორციელდეს საშუალო, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების პარალელურად;
- ✓ დაბალია პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივები, რაც ძირითადად განპირობებულია მათი კვალიფიკაცების აღიარების სირთულეებით, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ეს უკანასკნელი თავის მხრივ უფრო ამძიმებს სიტუაციას შრომის ბაზრის მოთხოვნის დაბალანსების თვალსაზრისით, რადგან შესაბამისად მცირდება დამსაქმებლების ნდობის ხარისხი კურსდამთავრებულთა პროფესიული კვალიფიკაციების მიმართ. გარდა ამისა, პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებს დასაქმებისა და კარიერის შემდგომი განვითარების განსხვავებული პერსპექტივები აქვთ და შესაბამისად მასზე გავლენას ახდენს სხვა უამრავი ფაქტორი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პროფესიული განათლების როგორც ერთიანი სისტემის ფუნქციონირების დონე, ხარისხი, პრესტიჟი, მიმზიდველობა შეფასდეს სულ მცირე ორი მაჩვენებლით: 1.პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დასაქმების დონე (მათი წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, ან ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან მიმართებაში) და 2.მათი შრომითი საქმიანობიდან (დასაქმებიდან) მიღებული შემოსავლების დონე;

- ✓ სამოქალაქო სექტორის დაბალი ინტერესი და ინფორმირებულობის დაბალი დონე პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებსა და რეფორმებთან დაკავშირებით;
- ✓ სოციალურ პარტნიორებთან ერთად სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ჩართულობა პროფესიული განათლების მთელს პროცესში-დაგეგმვიდან შეფასებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში ჩართული სოციალური პარტნიორები და მასმედია სერიოზულად ცდილობენ ყველა დაინტერესებულ მხარეს და ფართო საზოგადოებას, ასევე პოტენციურ დამსაქმებლებს მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, მაინც დაბალია ქვეყნის მოქალაქეების ინფორმირების დონე და ხარისხი სისტემაში მიმდინარე რეფორმასა და განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების არასაკმარისი, დაბალი დონე, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მისი არაორიენტირებულობა. ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტემპი, დინამიკა მოითხოვს შესაბამისი პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე მუშა კადრებისა და სპეციალისტების მომზადებას, რაც ვერ განხორციელდება ახალი სტანდარტების, მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის ფორმირებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში იზრდება მოთხოვნა ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა დარგის, სფეროს მხრიდან, როგორც უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებზე, ისე მაღალი კვალიფიკაციის, პრაქტიკული გამოცდილების მქონე კადრებზე;
- ✓ პროფესიული განათლების რეფორმირმის წარმატებით განხორციელებას ხელს უშლის თანამედროვე პროგრამების, სახელმძღვანელოების, შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურის, სახელოსნოების, სასწავლო ბაზების არარსებობა და სწავლების ახალი მეთოდების, მეთოდოლოგიის გამოყენება, მათი თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობა. შეუძლებელია თეორიული სწავლა შესაბამისი პრაქტიკის გარეშე მიმდინარეობდეს. შესაბამისად მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს და სათანადო განვითარება ჰპოვოს სამუშაოზე დაფუძლებულმა პროფესიული სწავლების მეთოდმა, რომლის დანერგვაც 2016 წლიდან დაიწყო საქართველოში და წარმატებით ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის ცალკეულ დარგებში;

- ✓ დაფინანსების დაბალი დონე, ფინანსური რესურსების დეფიციტი, მისი რაციონალურად და მიზნობრივად გამოყენების პრობლემები. ზოგადად ქვეყანაში დაბალია ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე ორიენტირებული დარგების (განათლება, მეცნიერება, ჯანდაცვა, კულტურა) ინვესტირების დონე. ქვეყანაში ბოლო ათი წლის განმავლობაში განათლებაზე საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 2,9%–3,0% იხარჯებოდა (საშუალო ევროპული მაჩვენებელი 5.0%-6.0%-ია) და აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს რეიტინგი მსოფლიოს 153 ქვეყანას შორის 119-ე ადგილი იყო. განათლების, მეცნიერებისა და პროფესიული მომზადებისათვის სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2017 წლის განმავლობაში გამოყოფილმა სახსრებმა ამ უკანასკნელის 10.9% შეადგინა (მათ შორის პროფესიულ განათლებაზე 3,04%), საშუალოდ ევროპის ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი კი 11.0-12.0%-ს შორის მერყეობს. [www.geostat.ge; www.mof.ge; ჯანდაცვის სტრატეგია (2011-2015):15]. თუ ქვეყანაში სათანადო ყურადღება არ დაეთმობა ადამიანური კაპიტალის განვითარებას, განათლებას, ჯანდაცვას, მისი ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, შეუძლებელი იქნება ინოვაციურ ეკონომიკასა და ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლა;
- ✓ საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს პროფესიული განათლების მასწავლებლის მოზადებისა და გადამზადების, შემდგომი პროფესიული განვითარების სისტემა **(დეტალურად იხ. პარაგრაფი 2.2)**, რაც ხელს უშლის პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ მომზადებას. დაბალია მათი დასაქმების ეფექტიანობა და პერსპექტივები. სამწუხაროდ, ამ მიმართებით, ასევე, ჩვენი საკვლევი თემის მიმართულებით, საქართველოში ვერც კვლევები მოვიძიეთ.
- ✓ არადამაკმაყოფილებელია საქართველოს შრომის ბაზრის საინფორმაციო ინფრასტრუქტურა. პრაქტიკულად არ არსებობს შრომის ბაზრის კვლევის, ანალიზისა და პროგნოზირების მექანიზმი, რაც აუცილებელია მისი მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კადრების მომზადებისათვის;
- ✓ სერიოზული პრობლემებია პროფესიული განათლების სისტემის მენეჯმენტის სფეროში, დაბალია მისი ეფექტიანობა და ხარისხი;
- ✓ პროფესიული განათლების სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განუვითარებლობა, დაბალი დონე და ხარისხი.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, თანამედროვე პროგრესული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არსებული განათლების ერთიანი სისტემის რადიკალურ გარდაქმნას და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის ფორმირებას. აღნიშნული გამოწვევა აქტუალურია სამთავრობო დონეზეც [დადგენილება N199, სტრატეგია 2013-2018:15-16] და მისი გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოსა და სოციალური პარტნიორების (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; სხვა ინსტიტუტები და საერთაშორისო ორგანიზაციები) ერთობლივი ძალისხმევით.

1.2.პროფესიული განათლების სტრუქტურა, ინსტიტუციონალური და ორგანიზაციულ–სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში

საქართველოს ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროფესიული განათლების სისტემას (**იხ. სქემა 1.2-1**), რომელიც ასევე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად[5] ხორციელდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი განსაზღვრავს შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციას, საჭირო პროფესიულ ცოდნას, უნარებს, აგრეთვე ადგენს იმ მოთხოვნებს და პირობებს, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად (მაგალითად: კრედიტების რაოდენობა, შესაბამისი მოდულები, სწავლების შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და სხვა). ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავება და შესაბამისად პიროვნებისათვის სათანადო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება. კერძოდ, „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა“ [კანონი N3442, 2018:4]. პროგრამები კი თავის მხრივ მოიცავს შესაბამის სასწავლო კურსებს/მოდულებს, რომლებიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სწავლების, მომზადებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების ყველა აუცილებელ პირობას. აღნიშნული პროგრამების რეალიზაცია პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა[6] და პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად 2018 წლის ოქტომბრიდან ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/კოლეჯების მიერ, რომელიც აღნიშნული კანონმდებლობის

---

[5]იხ. კანონები და შესაბამისი ნორმატიული აქტები: საქართველოს კანონი N3442-Iს. „პროფესიული განათლების შესახებ“. ქუთაისი, 20 სექტემბერი 2018წ.; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია. პროექტი (2017-2021 წლები)”; საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანება N300 “პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე (2013-2020 წლები)”, 26 დეკემბერი 2013 წელი; საქართველოს მთავრობის დადგენილება N150 „საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ 2005 წლის 31 აგვისტო. ქ. თბილისი; კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, N3531, 21 ივლისი 2010 წელი და სხვა.

[6]პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო-ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული პროფესიული განათლების შესაბამისი ყველა კვალიფიკაცია.



სქემა 1.2-1

პროფესიული განათლება და მისი ძირითადი სახეები საქართველოში

შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული განათლების ყველა სახისა და მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები[7]. 2007 წლიდან აღნიშნულ პერიოდამდე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სახით წარმოდგენილია პროფესიული კოლეჯი[8] და საზოგადოებრივი კოლეჯი[9], სადაც ფაქტობრივად მიმდინარეობდა ფორმალური პროფესიული განათლების მიღება მისი მოქმედი ხუთივე საფეხურის მიხედვით. საქართველოში პროფესიული განათლება ხორციელდება ფორმალური და არაფორმალური სახით. არაფორმალური გზით პროფესიული განათლების მიღება დასაშვებია მხოლოდ სწავლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურზე. პროფესიული განათლების მიღება IV და V საფეხურების ფარგლებში დასაშვებია მხოლოდ ფორმალური გზით.

ეროვნული ეკონომიკისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების დონე და ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის მართვის ხარისხზე და ეფექტიანობაზე. განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის ძირითად მიმართულებებს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების საფუძველზე განსაზღვრავს და ახორციელებს საქართველოს მთავრობა, რაც ხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების საფუძველზე. იგი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიას, პროფესიული სწავლების წესებს, უფლებებს, დაფინანსების პირობებს, პროფესიის სტანდარტების შემუშავებისა და დამტკიცების წესს და სხვა. მართვის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, პროფილური სახელოვნებო, სასპორტო, სამხედრო, საზღვაო, საპოლიციო, მართლმადიდებლური საღვთისმეტ-

---

[7]2018 წლიდან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახეებია: საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით; საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით; უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით [კანონი N3442, 2018].

[8]პროფესიული კოლეჯი–პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

[9]საზოგადოებრივი კოლეჯი-ახორციელებს ყველა საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს [კანონი N4528, 2007].

ყველო, სამედიცინო და სხვა სფეროში. თანამედროვე ეტაპზე განათლების სფეროში მართვის სისტემის ფუნქციონირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი როლი ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნამ უნდა შეასრულოს. კოლეჯის, როგორც საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის საჯაროობისა და გამჭვირვალეობის პრინციპით მართვის განხორციელების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციის პროცესში დარგობრივი უწყებები და ადმინისტრაცია ვალდებულია აქტიურად ითანამშრომლოს დამსაქმებლებთან, პროფესიული სწავლების სტუდენტებთან, მსმენელებთან, მასწავლებლებთან და ყველა სოციალურ პარტნიორთან. ამ მიმართულებით ძალზე საყურადღებოა პროფესიული განათლების რეფორმა და მისი მხარდაჭერის მიზნით მიღებული ნორმატიული-საკანონმდებლო, სამართლებრივი აქტები. მათგან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ პროფესიული განათლების კონცეფცია [დადგენილება N150, 2005] და პროფესიული განათლების სისტემის განვითარების სამთავრობო სტრატეგია, რომელიც მიღებულ იქნა 2013 წლის ბოლოსათვის [ბრძანება N300, 2013]. მასში გამოკვეთილია ძირითადი პრიორიტეტები და ფორმირებულია ის ძირითადი მიზნები, რომელთა პრაქტიკულმა რეალიზაციამ მიზანდასახულად უნდა შეუწყოს ხელი ადამიანური კაპიტალის მდგრად განვითარებას. შესაბამისად სტრატეგიის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება „პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობის გაძლიერება შრომის ბაზრის და თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად“ [ბრძანება N300, სტრატეგია 2013-2020:18]. ამ უკანასკნელის წარმატებით რეალიზაციისათვის ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობასა და ევროკაშირს შორის 2013 წელს მიღწეული შეთანხმება [განკარგულება N2181, 2013] პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ფინანსური მხარდაჭერისათვის. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის მიღების შედეგად, რომელმაც ასევე მნიშვნელოვან პრიორიტეტად მიიჩნია „შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული და უმაღლესი სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერა“ [დადგენილება N199, სტრატეგია 2013-2018:12]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის სერიოზული გამოწვევები, პრობლემები, რომლებიც ამ სისტემაში, სფეროში პრაქტიკულად დღემდე არსებობს, შეუძლებელია დაძლეულ იქნას მხოლოდ ცალკეული სტრუქტუ-

რის მიერ. შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული და უმაღლესი სწავლების სისტემის განვითარება უნდა განხორციელდეს სახელმწიფოსა და სოციალური პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევით. შრომისა და სოციალური ურთიერთობის სფეროში, სოციალური პარტნიორობის სისტემის სრულყოფისა და გაძლიერების მიზნით ასევე განხორციელებულია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები. ასე მაგალითად, 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე **(მუხლი 348)** აღებულია ვალდებულება დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის სფეროში სოციალური დიალოგის გაძლიერების თაობაზე. ამ პროცესში ჩაერთო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაც **(ILO)**. ცვლილებები განხორციელდა საქართველოს შრომის კანონმდებლობაშიც. შეიქმნა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია და დამტკიცდა მისი საქმიანობის შესახებ დებულება.

შემდეგ ეტაპზე, პროფესიული სწავლების, უნარების განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობის დაძლევის, კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ფორმირების სტრატეგიას, რომელმაც ძალზე მნიშვნელოვნად გაამყარა პროფესიული განათლების სფეროს რეფორმა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა. მიმდინარე პერიოდში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა–„სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსისა და სხვა სტრუქტურული შეუსაბამობების შემცირება, მომზადება/გადამზადების პროგრამების საშუალებით“ [დადგენილება N167, სტრატეგია 2016-2018:3], რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის საჭიროებებისათვის მორგებას. გარდა აღნიშნულისა სისტემის მოქნილობის თვალსაზრისით, მიმდინარე პერიოდში ასევე აუცილებელია უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება.

1.3.პროფესიული განათლების ფორმირებისა და განვითარების ისტორია საქართველოში[10].

ცოდნა, როგორც განსაკუთრებული ფასეულობა განსაზღვრავს საზოგადოებრივ პროგრესს და მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. ამ არსებითი ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, მოწინავე ქართული საზოგადოება ოდით-გან ზრუნავდა ერის განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის: „საყო-ველთაო სწავლა-განათლება მე-20 საუკუნის მონაპოვარია, მაგრამ ჩვენი ისტორია მდიდარია საგანმანათლებლო ეპიცენტრებით, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნე-ლოვანია ერის კულტურის განვითარებისათვის: კოლხეთის აკადემია, გელათის და იყალთოს აკადემია, სამონასტრო სკოლები, საოჯახო სკოლები, საერო სკოლებისა და გიმნაზიების სისტემა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, უნივერსიტე-ტი. ყველაფერი ეს შემთხვევითი არ ყოფილა, თითოეული მათგანი ისტორიულად კრიტიკულ პერიოდებში ჩნდება და საუკუნეების ღირებულებებით იტვირთება“ [„24 საათი“, 2013:3]. აღნიშნული პრობლემის შესწავლას მრავალი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის კვლევა მიეძღვნა. მათი შრომებიდან, ასევე სხვადა-სხვა ისტორიული თუ ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ სწავლა–განათლების ცენტრები ძველ საქართველოში ოდითგან არსებობდა. „საქართველოში საგანმანათლებლო კერებს უძველესი პერიოდიდან ვხვდებით. საკმარისია დავასა-ხელოთ კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა (აკადემია) III-IV სს-ში, პეტრე იბერის მოღვაწეობა, გელათის და იყალთოს აკადემიები, პეტრიწონის სემინარია ბულგარეთში, განათლების ცენტრები ათონსა და პალესტინაში, სადაც ქართველი ჰუმანისტი მოაზროვნეები-პეტრიწი, შავთელი, მთაწმინდელები, იყალთოელი და სხვა თვალსაჩინო მასწავლებელი მოღვაწეობდა“ [ჭკუასელი, 2009:39]. ამასთან, მნი-შვნელოვანია განათლების კერები ტაო-კლარჯეთში (ოპიზა, შატბერდი, ხანძთის მონასტერი) და სხვა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ XII საუკუნე, როდესაც საქართველოში სხვადასხვა დანიშნულების, ფუნქციის მქონე სასწავლებლები იხსნებოდა. მათ შორისაა რამდენიმე აკადემია (უნივერსიტეტი), რომელთა შორისაა

[10]საქართველოში პროფესიული განათლების ფორმირებისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ დეტალური ანალიზი, რეფორმირების მიმდინარე პერიოდის, ეტაპის ჩათვლით, წარმოდგენილია ნაშრომის დანართის პირველ პარაგრაფში.

“საყოველთაოდ ცნობილი და იმდროინდელ წინა აზიაში აღიარებული გელათის აკადემია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათს უწოდებს „ყოვლისა აღმოსავ-ლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად. მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესს მისსა საღმრთოთა შინა წესთა...“ [მეტრეველი, 2018:14-15]. ასევე, შეუძლებელია არ გამოვყოთ იყალთოს აკადემია (XI-XII საუკუნე), რომელიც ფუნქციონირებდა უმაღლესი სასწავლებლის სახით, ძირითად საგნებთან (ღვთისმეტყველება, რიტორიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, გეოგრაფია, გეომეტრია, გალობა და ა.შ) ერთად, ლითონის დამუშავება, მჭედლობა, კერამიკა („მეკეცეობა“), მევენახეობა-მეღვინეობა, ფარმაკოლოგია ისწავლებოდა. სასწავლებელი, ფაქტობრივად ჩამოყალიბდა იყალთოს სამონასტრო კომპლექსის ბაზაზე, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა VI საუკუნის მეორე ნახევარში. წმინდა მამა ზენონის (ერთ-ერთი ასურელი "მამათაგანი") დამსახურებით[11] იგი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი გახდა არა მარტო კახეთის რეგიონში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. ანუ ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ პროფესიულ სწავლებასა და პროფესიული განათლების ორგანიზებას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს. მისი, როგორც ერთიანი სისტემის ორგანიზაციული საფუძველი სწორედ აქედან იღებს სათავეს და მას საფუძველი სწორედ ამ პერიოდიდან ეყრება როგორც საქართველოს, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სწავლების პროცესი საწყის ეტაპზე საეკლესიო–სამონასტრო კულტურულ–საგანმანა-თლებლო კერებში, შემდეგ ეტაპზე კი მათთან ერთად საერო დაწესებულებებშიც ხორციელდებოდა და ეტაპობრივად ვითარდებოდა. აღნიშნულმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი საქართველოს ტრადიციული დარგებისათვის საჭირო მრავალი სხვა-დასხვა პროფესიის, ხელობის განვითარებას, როგორიცაა: სამშენებლო საქმიანობის მწარმოებელი, კალატოზი, მეფილე-მომპირკეთებელი, მებათქაშე, მღებავი, ზეინკა-ლი, მძერწავი, მევენახე-მეღვინე, მემცენარე, მელიორატორი, თექის ხელოსანი, მემი-ნანქრე, ფარმაცევტის თანაშემწე, სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი და სხვა. სხვადასხვა ხელობისა და პროფესიების დაუფლება საქართვე-ლოში ასევე ოჯახურ მეურნეობებშიც ხდებოდა, რომელსაც ტრადიციულად ოსტატ–

[11]საქართველოში ასურელი მამების შემოსვლის შემდეგ დაიწყო სამონასტრო ცხოვრება, რამაც საფუ-ძველი ჩაუყარა ქვეყანაში ბევრი რელიგიურ-კულტურული ცენტრის ჩამოყალიბებას.
იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, გვ. 287, თბ., 1980 წელი.
იყალთოს აკადემია-კარიბჭე. http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/istoria/2830-iyalthos-akademia.html.

შეგირდობის ინსტიტუტიც უმაგრებდა მხარს. მუშა პროფესიებთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მედიცინის განვითარებასაც. ქართული საისტორიო წყაროები გვამცნობენ გელათის აკადემიაში საავადმყოფოს დაარსების შესახებ: "აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი თვითოსახითა სენითა განცდილნი'' [საქართველოს..., 1970:187]. ანუ, იგულისხმება საავადმყოფო–პოლიკნიკა, რომელიც ფაქტობრივად გელათის აკადემიის სამედიცინო კათედრას ემსახურებოდა და შესაბამისი სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებულ, სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალო დაწესებულებას წარმოადგენდა.

პროფესიული განათლების სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი უკავშირდება მსოფლიოსა და დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალის განვითარებას, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. შესაბამისად პროფესიული სწავლება სხვადასხვა მიმართულების სახელობო და სამეურნეო სასწავლებლებში ინაცვლებს, რომელთა ნაწილი მსხვილი სამრეწველო კომპანიის ბაზაზე იწყებს ფუნქციონირებას. აღნიშნულ პერიოდში განათლებისა და მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის ფორმირებისა და შემდგომი განვითარების საქმეში, საქართველოში უდიდესი როლი ითამაშა მაშინდელმა კულტურულ–საგანმანათლებლო მოძრაობამ (იგი განსაკუთრებული აქტივობით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო), რომელშიც ერის მოწინავე ინტელიგენცია, თვითმოქმედი საზოგადოებები[12] და მთელი პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება ჩაერთო. ისინი მტივნეულად განიცდიდნენ, რომ საქართველოში ხალხის განათლების საქმე ძალზე ცუდად იყო, რომ მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა წერა-კითხვაც არ იცოდა, დაწყებითი განათლებაც არ ქონდა მიღებული და უმეცრების გამო არანაირ ხელობას, საქმეს, პროფესიას არ ფლობდა. ასე მაგალითად, საქართველოში რუსეთის იმპერიის მიერ 1897 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით თბილისის გუბერნიაში (ქ. თბილისის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, ზაქათალას მაზრების მიხედვით) სულ აღირიცხებოდა 1051032 კაცი, მათ შორის ქალაქის მოსახლეობა 224796 კაცი იყო, ანუ მთლიანი მოსახლეობის

[12]„ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება"; „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება"; „ქართული დრამატული საზოგადოება"; „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება"; „ქართველ ქალთა საზოგადოება" და სხვა.

21,4%–ს შეადგენდა. სულ აღწერილ მოსახლეობაში წერა–კითხვის მცოდნე, ანუ განათლებული იყო მხოლოდ 16,3%, ქალაქის მოსახლეობაში კი 46,1% [https://www.facebook.com/media/set.]. საინტერესოა სხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციაც- „1897 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში ითვლებოდა 1919049 სული მცხოვრები (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 5, თბ., 1970. გვ.766). გაზეთ „ივერიის“ ცნობით, ამ დროისათვის საქართველოში ცხოვრობდა 1336397 სული ქართველი, მათ შორის წერა–კითხვის მცოდნე იყო 189102 სული, ესე იგი, 14,2% (გაზეთი „ივერია“, 1906 წელი, N12). ამრიგად თუ დავუჯერებთ „ივერიას“, მე–19 საუკუნის ბოლოს ქართველი მოსახლეობის 85,8% წერა–კითხვის უცოდინარი იყო.“ [გოდერიძე, 2005:87].

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაჭე ილია ჭავჭავაძე სიღრმისეულად აანალიზებდა ამ სფეროში არსებულ მდგომარეობას და აღნიშნავდა, რომ „უმეცრება – აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს....ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავისი გემო არ გაგაღებინოთ“ [ჭავჭავაძე, 1886/2012:126] და ამ პრობლემის დაძლევაში კი იგი უდიდეს როლს ანიჭებდა სამეურნეო სკოლების დაარსებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ილიას კარგად ესმოდა ცოდნისა და განათლების მნიშვნელობა ქართველი, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ფორმირებაში, ქვეყნის წინაშე არსებული უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური პრობლემის გადაჭრაში. რომ ჭკუა და გონებრივი ძალისხმევაა ის უმთავრესი იარაღი, რომელმაც საზოგადოება უმეცრებისაგან უნდა გამოიყვანოს, რომ ეს არის სიღარიბისა და ყველა უბედურების დაძლევის მთავარი ფაქტორი, რომ ეს არის გადარჩენისა და განვითარების ერთადერთი გზა. უნდა ითქვას, რომ ილიამ უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო განათლების სისტემის, არამედ მთელი ქვეყნის სოციალური, კულტურული და საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროში, რასაც სხვადასხვა პერიოდის მკვლევარები და საზოგადო მოღვაწეებიც ასაბუთებენ[13]-„ჭავჭავაძის შემოქმედებაზე დიდხანს აღარ შევყოვნდებით, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი პიროვნების

[13]საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, ილიას როგორც საზოგადო მოღვაწის, დიდი განმანათლებლის, ზოგადად განათლებისა და პროფესიული განათლების სისტემის ფორმირებაში შეტანილი ღვაწლისა და დამსახურების შესახებ კვლევა, უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი ნაშრომის დანართის მეორე პარაგრაფში.

ძლიერი კვალი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურის ყველა სფეროს ამჩნევია“ [ვოიტინსკი, 2018: 259].

სწავლა–განათლებისა და განსაკუთრებით პროფესიული განათლების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის (1864 წელი) შემდეგ, როდესაც მსოფლიოსა და დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში აქტიურად დაიწყო სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის კაპიტალიზაციის პროცესი. ახალი თვითმოქმედებაზე, კერძო ინიციატივაზე დაფუძნებული ევროპული განათლებისა და მეცნიერების სისტემის ფორმირებისა და განვითარების მიზნით, ილიასთან ერთად თერგდალეულები აქტიურად იწყებენ ბრძოლას კულტურულ–საგანმანათლებლო მოძრაობის კერძო ინიციატივის განვითარებისათვის. ამ მიზნით პირველ ეტაპზე იქმნება ქართული საადგილმამულო ბანკი, ხოლო შემდეგ კი საფუძველი ეყრება „ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას“ (1879 წლის 15 მაისს), შემდეგ ეტაპზე კი ფუძნდება სხვადასხვა საზოგადოებები **(დეტალურად იხ. დანართი-1),** რომლებიც აქტიურ საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან. მათი ინიციატივით იხსნება სხვადასხვა პროფილის სასწავლებლები, სადაც საქართველოს დარგობრივი განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოო, აგროტექნიკური და სასოფლო–სამეურნეო დარგებისათვის მზადდება სპეციალისტები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. შეიძლება ითქვას, რომ განათლების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, მისი რეალური მოწყობა (რაც დაკავშირებული იყო სასწავლო დაწესებულებების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სათანადო სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირებასთან), საბოლოოდ განხორციელდა წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მისი შემდგომი განვითარების საქმეში. მან თავისი მოღვაწეობით უზრუნველყო ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, მისი ცოდნის დონისა და საგანმანათლებლო პოტენციალის ამაღლება, ეროვნული მეურნეობის წამყვანი დარგებისათვის სპეციალისტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადება. აღნიშნულ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა დუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვრიანთკარში 1886 წელს ილიასა და იაკობის თაოსნობით გასხსნილმა სამეურნეო სკოლამაც [ჭავჭავაძე, 1886/2012:130-131]. წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ, განათლე-

ბის ერთიანი სისტემისა და მათ შორის პროფესიული ეროვნული განათლების სისტემის შექმნილი მოდელი საქართველოში ფაქტობრივად ფუნქციონირებს 1921 წლამდე პერიოდში. რაც შეეხება 1918–1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს, ქვეყანაში ახალმა დემოკრატიულმა მთავრობამ აქტიურად დაიწყო განათლების სფეროს რადიკალური რეორგანიზაცია, რომელიც ძირითადად საკანონმდებლო სისტემასათან ერთად, გერმანულ მოდელზე იყო ორიენტირებული.

რაც შეეხება XX საუკუნის დასაწყისიდან 1918 წლამდე პერიოდს პროფესიული განათლების დაბალიდან საშუალო და უმაღლეს საფეხურზე გადასვლა და მისი შემდგომი განვითარება განხორციელდა ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, რაც საკმაოდ შეზღუდული მასშტაბით ხორციელდებოდა. ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ 1901 წლიდან 1918 წლამდე პროფესიული განათლების განვითარების კუთხით საქართველოში მნიშვნელოვანი ძვრები არ განხორციელებულა. ხოლო 1921 წლის შემდეგ პერიოდში, ქვეყნის ხელახალი ანექსიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად, საქართველოში იწყება პროფესიული განათლების სისტემის ერთიანი საბჭოთა მოდელის ფორმირების შემდეგი ეტაპი.

საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციონირების საბჭოთა მოდელის თავისებურებები და სპეციფიკა, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ დასკვნებით:

- ✓ საბჭოთა პერიოდში პროფესიული განათლების სისტემა იდეოლოგიურად დაფუძნებული იყო ადმინისტრაციულ–მბრძანებლური ეკონომიკის ფუნციონირებისა და მართვის პრინციპებზე და მას დირექტიული ხასიათი ქონდა [Масловский, 2017];
- ✓ 1917–1931 წლებში განხორციელებული განათლებისა და განსაკუთრებით პროფესიული განათლების რეფორმის უმთავრესი ცენტრალური მომენტი გახდა „შრომითი საქმიანობა“. შესაბამისად განათლების ტრადიციული სისტემა შეიცვალა და იგი მიმდინარეობდა მკაცრი პარტიული კონტროლის ქვეშ, დევიზით „სკოლა–საწარმო (საამქრო)“;
- ✓ 1931-1936 წლებში განათლების სისტემის რეფორმირების მეორე ეტაპზე, შესაბამისი სამთავრობო დადგენილებების საფუძველზე, ხორციელდება განათლების ტრადიციულ მოდელზე „სკოლა–სწავლება“ დაბრუნება;
- ✓ 50–იანი წლების ბოლოსა და 60–იანი წლების დასაწყისში განხორციელდა სწავლების პროცესისა და მწარმოებლური შრომის დაკავშირება, შერწყმა, შემოღებული იქნა სავალდებულო საწარმოო პრაქტიკა (ე. წ. „ხრუშოვის რეფორმა)“;

- ✓ 60–იანი წლების დასასრულსა და 80–იანი წლების პირველ ნახევარში პროფესიული განათლების რეფორმა დაკავშირებული იყო მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის (მტპ) განვითარების მიზნებთან [Титова, 2015];
- ✓ ფაქტობრივად განხორციელდა მისი მოდერნიზაცია და განვითარდა „პრობლემური და განვითარებადი სწავლების“ პრინციპულად ახალი მიმართულება, რაც ეფუძნებოდა კომპიუტერულ სწავლებას;
- ✓ 80–იანი წლების ბოლოსა და 90–ინ წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად ერთიანი ტიპის სასწავლო დაწესებულებების ნაცვლად საფუძველი ეყრება სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებს (კოლეჯი, გიმნაზია, ლიცეუმი და სხვა), მუშავდება სხვადასხვა ტიპის სასწავლო პროგრამები და საფუძველი ეყრება თავისუფალ პედაგოგიურ შემოქმედებას.

პროფესიული განათლების სისტემის წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ, საბჭოთა პერიოდში პროფესიული პედაგოგიური კადრების მომზადების სისტემის, როგორც განათლების სფეროს დამოუკიდებელი დარგის განვითარების ეტაპებიც:

- ✓ **პირველი ეტაპი:** 1918-1930 წლები. სპეციალური პედაგოგიური სასწავლო დაწესებულებების ქსელის ორგანიზება, მისი ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ მოქცევა, პედაგოგების მომზადება დარგობრივი სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელობის ქვეშ, სპეციალიზებული (უმაღლესი და საშუალო) საგანმანათლებლო დაწესებულებების შეკვეცა;
- ✓ **მეორე ეტაპი.** 1930-1950 წლები. პროფესიული-პედაგოგიური მომზადების სისტემის საშუალო რგოლის აღდგენა, ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმების გახსნა;
- ✓ **მესამე ეტაპი.** 1951-1980 წლები. დარგობრივ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში საინჟინრო-პედაგოგიური ფაკულტეტების, განყოფილებების, კათედრების ორგანიზება, შესაბამისი პროფილის უმაღლესი განათლების მქონე პროფესიული-პედაგოგიური კადრების მომზადების მიზნით. ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმების ქსელის ფორმირება;
- ✓ **მეოთხე ეტაპი.** 1980-1990 წლები. უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალიზირებული საინჟინრო-პედაგოგიური ფაკულტეტების, კათედრების, განყოფილებების, ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმების ქსელის გაფართოება, განმტკიცება;

- ✓ **მეხუთე ეტაპი.** 1991-1992 წლები. პროფესიული მომზადებისა და პროფესიულ-პედაგოგიური კადრების მომზადების ერთიანი საკავშირო სისტემის მოშლა, რასაც შემდეგ პერიოდში უმაღლესი და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება მოყვა.

ზემოაღნიშნულიდან და ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე, საბჭოთა პერიოდში განათლების განვითარების, ევოლუციის ერთიანი სქემა, ჯაჭვი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი თანამიმდევრობით: სპეციალური განათლება, ტექნიკური განათლება, პოლიტექნიკური განათლება, პროფესიულ-ტექნიკური განათლება, ტექნოლოგიური განათლება.

საბჭოთა პერიოდის შემდეგ განათლების სისტემის ფორმირების ახალი დამოუკიდებელი ეტაპი საქართველოში იწყება 1990-იანი წლებიდან, მთელი რიგი რეფორმების განხორციელების შედეგად. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალი ეტაპის დასაწყისიდან (1990-1991წლები) ქვეყანა დგება უმწვავესი სოციალური და ეკონომიკური პრობლემის წინაშე (საკავშირო საწარმოების დახურვასთან დაკავშირებით ათასობით სამუშაო ადგილების გაუქმება, მასობრივი უმუშევრობა და დასაქმების კრიზისი, შრომითი მიგრაციის, განსაკუთრებით კი ემიგრაციის პრობლემები, ფინანსური ბაზრის კრიზისი და სხვა), რაც ადეკვატურ ასახვას პოულობს განათლების ერთიან და მათ შორის პროფესიული განათლების სისტემის საერთო მდგომარეობაზე. ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ძვრები, მნიშვნელოვანი დარგობრივი ცვლილებები საჭიროებს ახალი კადრებისა და შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებას. ამ მიზნით 1995 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობა კავშირს ამყარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (გაერო) და უერთდება 1975 წლის ჟენევის საერთაშორისო კონვენციას- "ადამიანის რესურსების განვითარების სფეროში პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული მომზადების შესახებ" [დადგენილება N739, 1995]. მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით მიმდინარეობს ცალკეული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების რეორგანიზაციისა და პროფესიული მომზადების დარგობრივი სახელმწიფო პროგრამების მიღება. ასევე 1997 წლიდან სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის კუთხით მთავარი ხდება განათლების სფეროს პრიორიტეტულობა და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე [კანონი N826, 1997] იქმნება ახალი

დემოკრატიული საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების პროგრამებთან ერთად მოიცავს სახელობო მომზადების, დაწყებით, საშუალო, უმაღლეს და უმაღლესის შემდგომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც შესაბამისად აისახა მოსახლეობის განათლების დონეზეც. 1998 წლიდან კი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, ძალაში შედის ახალი კანონი-„დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ“, რომელიც ქმნის „პროფესიის მისაღებად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად“ საჭირო ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს. შესაბამისად მისი მთავარი ამოცანაა- „ახალგაზრდობის პროფესიული განათლების, აღზრდისა და სოციალური დაცვის პირობების შექმნა, სახელობო მომზადებისა და დაწყებითი პროფესიული განათლების მეშვეობით შრომის ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა“ [კანონი N1716, 1998]. იქმნება დაწყებითი პროფესიული განათლების სტანდარტები და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები. ასევე, ხორციელდება წარმოებაში პროფესიული კადრების მომზადებისათვის საჭირო დამატებითი პროგრამების შემუშავება. აღნიშნული პროგრამების მიხედვით სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და სწავლებას ახორციელებენ: მასწავლებლები; საწარმოო სწავლების ოსტატები, ანუ ინსტრუქტორები; მეთოდისტები, აღმზრდელები და სხვა. შესაბამისი კანონმდებლობა და სასწავლო დაწესებულების შიდა ნორმატიული აქტები განსაზღვრავს: მათ სტატუსსა და სოციალურ გარანტიებს, შრომის პირობებს, ანაზღაურების წესს, უფლება-მოვალეობებს, მიღების წესს, სხვა სამუშაოს შეთავსების პირობებს. პედაგოგიური განათლების არმქონე პირებისათვის (სპეციალური საგნების მასწავლებლები, ოსტატები, ინსტრუქტორები) სამუშაოზე მიღების აუცილებელ პირობად დადგინდა პედაგოგიური განათლების, ცოდნის მინიმუმის მიღება. მასწავლებელთა შემდეგი პროფესიული განვითარება ხორციელდება უმაღლეს სასწავლებლებში, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ან კანონის შესაბამისად „განათლების სფეროს სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებში“ [კანონი N1716, 1998]. 1999-2000 წლებში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ცალკეული პროფესიების მიხედვით პროფესიული სწავლების, მომზადების, გადამზადების სტანდარტების დამუშავებაზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარებისა და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით საყურადღებო ხდება განათლების სამინისტროს

მიერ 2003 წლის აპრილში დამტკიცებული დებულება-„სახელოვნებო განათლების საბაზო, საშუალო სკოლებისა და საშუალო პროფესიული სასწავლებლების პედაგო-გიური კადრების ატესტაციის ჩატარების შესახებ“ [ბრძანება N66, 2003]. დებულების შესაბამისად მასწავლებელთა ატესტაცია გათვალისწინებულია ყოველ 5 წელიწადში ერთხელ და განკუთვნილია მათი კვალიფიციური დონისა და პროფესიული საქმიანობის შეფასებისათვის. ასევე 2003 წლის ბოლოს მტკიცდება სსიპ–საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპური დებულება, რომლის მიხედვითაც სასწავლებლებს (კოლეჯი, ტექნიკუმი, სასწავლებელი) მიეცათ უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პრო-გრამების რეალიზაცია [ბრძანება N206, 2003]. აღნიშნული პერიოდიდან რიგი მოქმედი პროფესიული სასწავლებლების დარეგისტრირება ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად (სსიპ), რომელიც გრძელდება 2005 წლის მაისამდე. პროფესიული განათლების პირველი კონცეფციის მიღებამდე [დადგენილება N150, 2005] კი, მისი შემდგომი განვითარების მიზნით იქმნება სოციალური პარტნიორობის სამთავრობო კომისია [დადგენილება N90, 2005]. ქვეყანაში პრიორიტეტული ხდება-პროფესიული განათლების განვითარება, რომელიც აღიარებული იქნა, როგორც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტი.

თავი II. პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტები, მომზადების საფუძვლები-განვითარებული ქვეყნები და საქართველო (გამოცდილების ანალიზი)

2.1.პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტები და მახასიათებლები განვითარებულ ქვეყნებში და საქართველოში

პროფესიული სტანდარტები წარმოადგენს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის მართვის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და მისი უწყვეტობის უზრუნველყოფის ოპტიმალურ საშუალებას. ამიტომ, პროფესიული–პედაგოგიური განათლების სტანდარტიზაციის მეთოდების კვლევა, ფართო საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია. თუმცა უნდა ითქვას, რომ მან გლობალური ტენდენციის ხასიათი მხოლოდ XX საუკუნის 80–90–იან წლებში მიიღო, როგორც ინდუსტრიალურად განვითარებულ (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია, ნორვეგია, ფინეთი და სხვა), ისე განვითარებად ქვეყნებში. სტანდარტიზაციის ყველაზე მასშტაბური პროცესი **ამერიკის შეერთებულ შტატებში** დაიწყო. შესაბამისად, ძირითად სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო პედაგოგიური კადრების რეგიონული პროფესიული სტანდარტების დამუშავებას და აპრობაციას თითქმის ყველა შტატის დონეზე. ეს უკანასკნელი ოპტიმალურადაა დაბალანსებული საერთო სახელმწიფოებრივი სტანდარტების ყველა პარამეტრებთან. ანუ შეიძლება ითქვას, რომ სტანდარიზაციის პროცესში ეფექტიანი პოლიტიკის გატარებისა და მისი წარმატებით რეალიზაციის მიზნით ძირითადი მოთხოვნა იყო „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების საერთო სახელმწიფო და რეგიონულ კომპოტენტებს, მახასიათებლებს შორის ოპტიმალური ბალანსის მიღწევა“ [InTASC..., 2011]. რაც შეეხება პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის სტრუქტურას, იგი ჩვეულებრივ მოიცავს ძირითადი განყოფილებების დასახელებას, თვით სტანდარტულ ნორმატიულ მოთხოვნებს, პროფესიულ მახასიათებლებს და მასწავლებლების კვალიფიციური დონის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. ასევე პროფესიული სტანდარტი იძლევა მკაფიო მითითებებს სწავლებისა და აღმზრდელობით პრაქტიკასთან დაკავშირებით, ასტიმულირებს მასწავლებელს

გამოავლინოს პიროვნული და პროფესიული განვითარების აქტუალური ასპექტები, დაეხმაროს სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას პერსონალის პროფესიული ზრდის სტიმულირებაში. შესაბამისად, სტანდარტის დამუშავების პროცესში უმნიშვნელოვანეს კომპონენტს მიეკუთვნება დარგობრივი პროფესიული მახასიათებლების ფორმირება, სადაც განსაკუთრებული როლი ენიჭება: **საგნის სწავლების მეთოდიკის, სტანდარტის დანიშნულებისა და სტრუქტურის, სტუდენტების განვითარების ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების ცოდნას და სხვა**. მაგალითად, შტატების სასწავლო დაწესებულებების მთავარი ადმინისტრაციული საბჭოს მიერ დამუშავებულ იქნა პროფესიული სტანდარტი პედაგოგებისათვის, რომელიც სტრუქტურულად ოთხ ძირითად განყოფილებას, მახასიათებელს (სასწავლო პროცესი და მსმენელები, სწავლების შინაარსი, სწავლების პრაქტიკა და პროფესიული პასუხისმგებლობა) და 10 ნორმატიულ ქვესტანდარტს აერთიანებს [InTASC..., 2011]. სტანდარტის ძირითადი მოთხოვნებია: საგნის სიღრმისეული ცოდნა, სწავლების პრაქტიკა, მიღწევების შეფასება, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ფლობა, პროფესიონალური პასუხისმგებლობა, კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული ეთიკა, ლიდერობა და თანამშრომლობა.

აშშ-სა და დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების სტანდარტები, გარდა აუცილებელი საბაზო პროფესიული ტერმინოლოგიისა (განმარტებები, გლოსარი), ზოგადად მოიცავს მასწავლებელთა ოთხ ძირითად კვალიფიციურ დონეს, ჯგუფს: 1.საბაზო დონე (Graduate Teachers), ანუ საბაზო პედაგოგიური განათლება; 2.პროფესიული დონე (Proficient Teachers), მასწავლებლები, რომლებმაც გაიარეს აკრედიტაცია პროფესიული განათლების სტანდარტების შესაბამისად; 3.უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებლები (Highly Accomplished Teachers), გამოცდილი, ერუდირებული პედაგოგები, რომლებიც აღიარებული არიან კოლეგებისა და მშობელთა კავშირების მხრიდან; 4.ლიდერი-მასწავლებლები (Lead Teachers), სამაგალითო მასწავლებლები, რომელთაც მიაღწიეს პედაგოგიური ოსტატობისა და აღიარების უმაღლეს დონეს, საფეხურს. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-სა და თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ზოგადად მასწავლებლისა და განსაკუთრებით პროფესიული პედაგოგების სტანდარტების სტრუქტურა მუდმივად განახლებადია, რადგან იგი სრულად უნდა შეესაბამებოდეს განათლების სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის ძირითად მოთხოვნებს, ორიენტირებული უნდა იყოს შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნაზე.

ამ მიზნით შტატებში რეგულარულად ტარდება სტანდარტების შესაბამისობის კვლევა, რის შესახებაც ქვეყნდება წლიური შედეგობრივი ანგარიშები.

გერმანიაში პროფესიული სტანდარტების შემუშავებისა და გამოყენების მიდგომა სხვა ქვეყნებიდან განსხვავებულია. აქ გამოიყენება პროფესიული სწავლების დებულების შემუშავების ინტეგრირებული პრინციპი, რომლის თანახმადაც პროფესიული სტანდარტი არის პროფესიული მომზადების დებულების შემადგენელი ნაწილი. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს ნორმატიულ-სამართლებრივ და მარეგულირებელ ჩარჩოს პროფესიული სწავლებისთვის. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში არ არსებობს „ცალკე იზოლირებული პროფესიული სტანდარტები“ [(BMBF):Report, 2014]. იგი რეგულირდება „პროფესიული მომზადების შესახებ“ კანონისა და „პროფესიული მომზადების შესახებ“ დებულების საფუძველზე. ხოლო, რაც შეეხება ახალი საგანმანათლებლო პროფესიული სტანდარტების შექმნას ან ცვლილებების განხორციელებას, აღნიშნულის შესახებ ინიციატივა მოდის საწარმოებისა და პროფკავშირების ასოციაციებიდან. პროფესიული სწავლების ფედერალური ინსტიტუტი (BIBB)[14], მოქმედებს როგორც სტანდარტებისა და საკანონმდებლო სიახლეების შემუშავების ცენტრი და უზრუნველყოფს სოციალურ პარტნიორებს შორის დიალოგის პლატფორმას. დამსაქმებლები და პროფკავშირები აღწევენ „გონივრულ კომპრომისს პედაგოგების პროფესიული მომზადების და პროფესიული სწავლების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად“ [Schneider..., 2013]. 2004 წელს გერმანიის ფედერალური ოლქების განათლებისა და კულტურის სამინისტროს მინისტრების მუდმივმოქმედ კონფერენციაზე (Beschluss der Kultusministerkonferenz-KMK) შემუშავებულ იქნა „მასწავლებელთა მომზადების პროფესიული სტანდარტები“, რომელიც შემდეგ პერიოდში, კერძოდ 2014 და 2016 წლებში საფუძვლიანად შეივსო და განახლდა. სტანდარტები განსაზღვრავს მასწავლებლის რეალურ სახეს, თუ როგორი უნდა იყოს იგი, რა ძირითად პირობებს და მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ ისინი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროცესში პირველ (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და მეორე (პრაქტიკა, სტაჟირება) ფაზაზე. სტანდარტით განსაზღვრულია

---

[14]დეტალური ინფორმაცია გერმანიის პროფესიული სწავლების ფედერალური ინსტიტუტის შესახებ იხ. Bundesinstitut für Berufsbildung (BIBB): Training regulations and how they come about. Online im WWW:http://www.bibb.de/veroeffentlichungen/en/publication/download/id/7324.; Bundesinstitut für Berufsbildung (BIBB):Datenreport zum Berufsbildungsbericht 2013. Informationen und Analysen zur Entwicklung der beruflichen Bildung. Online im WWW: http://datenreport.bibb.de /media2013/BIBB-Datenreport-2013.pdf.

პროფესიული მასწავლებლის პროფესიული სწავლებისა და განვითარების მესამე ფაზაც (უწყვეტი განათლების საფუძველზე კვალიფიკაციის პერიოდულად ამაღლება), რომლის მიზანია პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების განვითარება სიცოცხლის მანძილზე სწავლების კონცეფციის შესაბამისად. სტრუქტურული და შინაარსობრივი მხარის შესაბამისად სტანდარტები მოიცავს დარგობრივ მახასიათებლებს, ითვასისწინებს მათ სპეციფიკას და განსაზღვრავს კრიტერიუმებს მასწავლებელთა საქმიანობის შემდეგ სფეროებში: **სწავლება, აღზრდა, შეფასება და კონსულტირება, ინოვაციური საქმიანობა, სტუდენტებთან მუშაობა, ინკლუზიური პედაგოგიკის** ჩათვლით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სტანდარტის ძირითადი სტრუქტურული ნაწილი, რომელიც მოიცავს შემდეგ განყოფილებებს: **სტანდარტის ცოდნა პედაგოგიური განათლების მიზნებისთვის; კომპეტენციების სფეროები და კონკრეტული კომპეტენციები.** შეიძლება ითქვას, რომ მაღალხარისხიანი პედაგოგიური განათლების მისაღწევად, სტანდარტების ფორმულირება მიზანშეწონილობის ფუნქციას ახორციელებს და დღეს მნიშვნელოვან მითითებებს, ნორმებს, რეკომანდაციებს იძლევა. ისინი განიხილება, როგორც კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ მასწავლებლების პროფესიულ-პედაგოგიური უნარებისა და კომპეტენციების გამოხატვის ხარისხი.

პროფესიული განათლების პედაგოგის პროფესიული სტანდარტი **დიდ ბრიტანეთში** შედგება ორი ძირითადი ზოგადი ნაწილისაგან. მათგან პირველში აღწერილია მასწავლებლისადმი **სწავლების პროცესში წაყენებული ძირითადი მოთხოვნები, მახასიათებლები. ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს პედაგოგის პიროვნული და პროფესიულ ეთიკის ნორმებს.** კერძოდ:

1.პედაგოგიური საქმიანობისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები, მახასიათებლებია:

- ✓ მასწავლებელს უნდა შეეძლოს დააფასოს სტუდენტი, შექმნას უსაფრთხო სასწავლო გარემო, შეძლოს სტუდენტების მოტივაცია, ფლობდეს და იყენებდეს სწავლების ძირითადი პრინციპების ცოდნას;
- ✓ მასწავლებელი სიღრმისეულად უნდა ფლობდეს კონკრეტული დარგობრივი პროფესიის მიხედვით წასაკითხ საგანს და სასწავლო პროგრამას (როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით), იზრუნოს საგნის სფეროში მომხდარი ცვლილებების, სიახლეების დროულად ათვისებაზე, შეძლოს სასწავლო პროცესების მაღალ

დონეზე დაგეგმვა, ფლობდეს თავისი საგნის თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდიკას;

- ✓ მასწავლებელი დამოუკიდებლად უნდა ახორციელებდეს გამოყენებული სწავლების მეთოდებისა და თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ეფექტიანობის რეფლექსიას, შეძლოს თითოეული სტუდენტის სწავლების პროცესზე მოქმედი ფაქტორების გავლენის შეფასება, ესმოდეს თითოელი სტუდენტის საჭიროებები და შესაძლებლობები, მაღალ დონეზე შეაფასოს მათი მიღწევები, აღუძრას მათ საკუთარ შედეგებზე რეაგირების სურვილი;
- ✓ ქონდეს საკუთარი ქცევის სტილი, ჯგუფის მართვის პირადი სტრატეგიები, კოლეგებთან ურთიერთობის კარგი უნარი, საჭიროების შემთხვევაში შეძლოს შესაბამისი დარგის სპეციალისტების გამოყენება, აიმაღლოს საკუთარი კვალიფიკაცია, ურთიერთობა ქონდეს სტუდენტების მშობლებთან, საკუთარი წვლილი შეიტანოს პროფესიული სკოლის განვითარებაში და სხვა.

2.ეთიკური მოთხოვნები: მასწავლებელი მაღალ დონეზე უნდა იცავდეს ეთიკის სტანდარტებს, პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს სტუდენტებს, იცავდეს „სტუდენტი -მასწავლებელი“ ურთიერთობის საზღვრებს, ამჟღავნებდეს ტოლერანტობას, ეჭვის ქვეშ არ უნდა დააყენოს ტრადიციული ბრიტანული ფასეულობები, მკაცრად იცავდეს პროფესიული სკოლის ეთიკის კოდექსს, სამუშაო გრაფიკს და სხვა.

სტანდარტებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროფესიული მასწავლებლების პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს შემდეგი სამი პოზიციის მიხედვით:

1. პროფესიული თვისებები, ღირებულებები და ფასეულობები (აერთიანებს მახასიათებლების სამ ძირითად ბლოკს: სტუდენტებთან ურთიერთობა; კომუნიკაციის უნარი და პროფესიული განვითარება);
2. პროფესიული ცოდნა და გაცნობიერება (აერთიანებს მახასიათებლების ორ ძირითად ბლოკს: პედაგოგიური და მეთოდური უნარები);
3. პროფესიული უნარები და კომპეტენციები [Professional Standards..., 2016]. ეს უკანასკნელი აერთიანებს მახასიათებლების ოთხ ძირითად ბლოკს: სასწავლო პროცესის დაგეგმვა; სწავლება; შედეგების შეფასება; საგანმანათლებლო პროცესისა და ეფექტიანი გარემოს ორგანიზაცია.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების პროფესიული სტანდარტების შინაარსისა და სტრუქტურის ანალიზი ინგლისში საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მისი შემდეგი თავისებურებანი:

- ✓ პროფესიული სტანდარტები ინგლისში ორიენტირებულია „კურსდამთავრებულთა პერსპექტიულ კარიერასა და მომავალი მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე“ [Professional Standards..., 2016];
- ✓ ინგლისის სტანდარტებისათვის დამახასიათებელია მასწავლებლების კომპეტენციების გამოკვეთილი, მკაფიო ფიქსაცია, ხოლო სტანდარტების სახელმძღვანელოს ცალკე არსებობა, მნიშვნელოვნად ამსუბუქებს შეფასების პროცედურებს, სპეციფიკურ მაჩვენებელთა გამოყენების შედეგად და ასახავს სტანდარტების მოთხოვნათა ურთიერთკავშირს;
- ✓ სტანდარტების შინაარსში შესამჩნევია მასწავლებლის მომზადების პროცესისათვის დამახასიათებელი შემდეგი მომენტები: კოლეგებთან თანამშრომლობა და საკუთარი თავის, როგორც ჯგუფის წევრად შეგრძნება; კომუნიკაბელობა, ემოციების მართვა, კომპეტენტურობა; რეფლექსია და კვალიფიკაციის ამაღლების დაგეგმვა; სტუდენტების სწავლების შედეგების შეფასების თეორია და პრაქტიკა სხვადასხვა მიდგომების საფუძველზე; განათლების საერთო დონისადმი წაყენებული მოთხოვნები და სხვა.

შოტლანდიაში ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, ბოლო წლებში, მთლიანად განათლების სისტემასა და მათ შორის პროფესიული განათლების სფეროში გატარებული რეფორმები, რომლის შედეგადაც პროფესიული სტანდარტის დანერგვისა და განვითარების მიზნით ქვეყანაში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. შედეგად მიღებული და დამტკიცებული იქნა პედაგოგების შემდეგი ოთხი ახალი პროფესიული სტანდარტი, რომლებიც შემდეგი სახელწოდებითაა ცნობილი: პედაგოგის წინასწარი რეგისტრაციის სტანდარტი-The Standard for Provisional Registration (SPR); პედაგოგის სრული რეგისტრაციის სტანდარტი-The Standard for Full Registration (SFR); მთელი კარიერის მანძილზე პროფესიული განათლების სტანდარი-The Standard for Career-Long Professional Learning; ლიდერობისა და მართვის სტანდარტები-The Standards for Leadership and Management.

შოტლანდიაში უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ყველა კურსდამთავრებული ვალდებულია ერთი წლით გაიაროს სტაჟირება. ამ უკანასკნელის დატვირთვა,

ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მოქმედი პედაგოგის სრული სამუშაო რეჟიმით დატვირთვის 70%-ს შეადგენს [Continuing... 2003]. სტაჟიორი ვალდებულია დარჩენილი დრო ძირითადად თავის პროფესიულ განვითარებას დაუთმოს. აღნიშნულ პერიოდში მას უფლება აქვს მიიღოს და გამოიყენოს მისთვის დასაშვები, საჭირო სერვისები. პრაქტიკის დასაწყისში სტაჟიორი უნდა პასუხობდეს პირველი სტანდარტის მოთხოვნებს. პროფესიული განათლების საწყისი საფეხურის პროგრამის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში მასწავლებლები გადადიან მეორე-სრული რეგისტრაციის სტანდარტების საფეხურზე, სადაც განსაზღვრულია პროფესიაში შესვლის კონკრეტული მოთხოვნები, მახასიათებლები. ანუ, მეორე საფეხურის სტანდარტი ფაქტობრივად არის პროფესიული კომპეტენციების განმსაზღვრელი სტანდარტი, ნებისმიერი პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის. ისინი შედგებიან 4 ძირითადი განყოფილებისაგან:

1. პროფესიული ღირებულებები და პირადი პასუხისმგებლობა, ყველა საფეხურის სტანდარტის შემადგენელი მახასიათებელია და „წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს, არა მარტო პროფესიული, არამედ ნებისმიერი სფეროს პედაგოგიურ საქმიანობაში“ [The Standards..., 2006]. მასში შედის: სოციალური სამართლიანობა; პატიოსნება; ნდობა; პატივისცემა; პროფესიისადმი პატივისცემა და ერთგულება;
2. პროფესიული ცოდნა და გაცნობიერება. გულისხმობს, რომ მასწავლებელი საფუძვლიანად უნდა ფლობდეს და იცნობდეს:
   ა)სასწავლო პროცესის სპეციფიკას, სასწავლო გეგმას, საგანმანათლებლო პროგრამას; ბ)საგანმანათლებლო სისტემის თავისებურებებს და პროფესიულ პასუხისმგებლობას; გ)პედაგოგიურ თეორიას; დ)პროფესიულ და პედაგოგიურ პრაქტიკას. სტანდარტში, თითოეული ჯგუფის მიხედვით არის გაწერილი მასწავლებლის პროფესიული ცოდნა და უნარებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები;
3. პროფესიული ჩვევები, უნარები და კომპეტენციები, მნიშვნელოვანია ელემენტია მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების სტრუქტურაში. სტანდარტში ამ მიმართულებით მოითხოვება: სწავლება, აღზრდა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, სტუდენტების მიღწევების შეფასება, პროფესიული რეფლექსიები და პროფესიული ურთიერთკავშირები;
4. პროფესიული ქმედება, საქმიანობა.

სტანდარტების ცალკეული განყოფილებების მიხედვით განისაზღვრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებებიც. თანამედროვე მასწავლებელი პროფესიული სწავლების დარგში აუცილებლად უნდა ფლობდეს: პედაგოგიკას, სწავლების თეორიასა და პრაქტიკას, სასწავლო საგანს; საგანმანათლებლო პროგრამასა და შეფასების მეთოდიკას; კვლევით საქმიანობას; განათლების თეორიის, პრაქტიკისა და პოლიტიკის დარგში დებატების უნარს; სწავლების მეთოდიკას მდგრადი განვითარების მიზნებისათვის; თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიბს და სხვა.

შოტლანდიაში, ისე როგორც ბევრ განვითარევბულ ქვეყანასა და განსაკუთრებით ევროკავშირში 2009 წლიდან მოქმედებს „მთელი კარიერის მანძილზე პროფესიული განათლების სტანდარი“ [Сергиенко, 2017:107]. იგი ორიენტირებულია პედაგოგის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, ზემოაღნიშნული ოთხივე ძირითადი მიმართულების მიხედვით.

კანადის პროვინცია ონტარიოში მასწავლებლის პროფესიული სტანდარტებით განსაზღვრული კომპეტენციებისა და პროფესიული მახასიათებლების საკმაოდ ფართო სქემაა შემუშავებული, განსაზღვრული. თუმცა იგი მთლიანობაში წარმოდგენილია ხუთი ძირითადი განყოფილების სახით:

1. მსმენელთა სწავლებასა და მათ განვითარებაში შეტანილი წვლილი, რაც გულისხმობს: პატივისცემასა და სამართლიან დამოკიდებულებას სტუდენტების მიმართ; თითოეული სტუდენტის სწავლებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზს და ყურადღების გამახვილებას მასზე;
2. პროფესიული ცოდნა: პროფესიული ცოდნის მჭიდრო კავშირი პრაქტიკასთან; სტუდენტის განვითარების პროცესის გაგება; სწავლების თეორიის, პედაგოგიკის, სასწავლო გეგმის ფორმირების საფუძვლების, ეთიკის ნორმების, კვლევითი საქმიანობის წარმართვის წესების, პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების ცოდნა;
3. პროფესიული პრაქტიკა: პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება სწავლების პროცესში; სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, შეფასება და კონტროლი; აუცილებელი რესურსებისა და ტექნოლოგიების გამოყენება სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების აღრიცხვისა და დაგეგმვის პროცესში;

4. ლიდერობა საგანმანათლებლო საზოგადოებებში;
5. უწყვეტი პროფესიული განვითარება.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტი განათლება, როგორც მუდმივი პროფესიული განათების კომპონენტი, კანადაში აღიარებულია პროფესიული განათლების სისტემის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტად, მიმართულებად და საბოლოო ჯამში სწორედ იგი განსაზღვრავს, მისი როგორც ერთიანი სისტემის ფუნქციონირების პერსპექტივებს, ხარისხს და ეფექტიანობას.

სინგაპურში პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და განვითარების კუთხით ძალზე მნიშვნელოვანი იყო 2000 წელს შემუშავებული-საგანმანათლებლო მიღწევების მართვის სისტემა (Enhanced Performance Management System, EPMS), რაც ითვასისწინებდა მასწავლებლის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებას ახალ მეთოდიკაზე დაფუძნებით. ამ სისტემის ნაწილი გახდა სწავლების კომპეტენციის მოდელი (Teaching Competency Model, TCM), რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტის ანალოგად შეიძლება ჩავთვალოთ. იგი ხელს უწყობს მასწავლებელს გამოავლინოს თავისი საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები, შეინარჩუნოს სწავლების მაღალი დონე და ხარისხი და უზრუნველყოს თვითგანვითარება. სინგაპურის პედაგოგთა კომპეტენციის მოდელი ითვალისწინებს მასწავლებლის ყოველმხრივი განვითარებას და მოიცავს პროფესიული მახასიათებლების შემდეგ „ოთხ ძირითად ჯგუფს:

1.ცოდნის სისტემის განვითარება: საგნის ცოდნა; ანალიტიკური აზროვნება; ინიციატივის გამოჩენა; შემოქმედება სწავლებაში;

2.გულისა და გონების დაპყრობა: გარემოს აღქმა; გაგება; სხვების განვითარება;

3.ერთობლივი საქმიანობა: მშობლებთან თანამშრომლობა; ჯგუფური მუშაობა;

4.სხვებისა და საკუთარი თავის გაგება: პიროვნული თავისუფლება; სხვისი გაგება; სხვისი პატივისცემა“ [Steiner, 2010].

პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების სისტემა, რომელიც სტანდარტითაა განსაზღვრული აქტიურად გამოიყენება მასწავლებელთა ატესტაციის პროცესში, რომელიც ტარდება ყოველწლიურად. აღნიშნულ პრაქტიკას მიმართავენ სხვა განვითარებული ქვეყნებიც, სადაც მასწავლებლები ვალდებული არიან ყოველი წლის დასაწყისში შეადგინონ თავიანთი ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმები. მასწავლებელთა კვალიფიციური დონის

განმსაზღვრელი კრიტერიუმები სინგაპურში განისაზღვრება საგანმანათლებლო მიღწევების მართვის სისტემის მეშვეობით. აღნიშნულ სისტემას მრავალი სხვადასხვა ფუნქცია გააჩნია, რომელიც უზრუნველყოფს მის მუდმივ, უწყვეტ პროფესიულ ზრდასა და განვითარებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების დარგობრივი სისტემა **ფინეთში** ვითარდება პროფესიული განათლების სისტემის განვითარებასთან ერთად, რომელიც პირდაპირ უკავშირდება სოციალური და შრომითი ცხოვრების ხარისხის სრულყოფას და შეიძლება ითქვას, რომ იგი ასრულებს კიდევ ერთი დამატებითი ფუნქციას–არსებით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური და შრომითი ურთიერთობების სრულყოფაზე და ხელს უწყობს მეწარმეობის განვითარებას. შესაბამისად იცვლება პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შინაარსი და მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები. დღევანდელ ფინეთში ტრაციულად მაღალ დონეზე ფასდება განათლება და კულტურა. თუმცა, პროფესიულ განათლებასთან მიმართებით სხვადასხვა პერიოდში სპეციფიკური მიდგომების შეინიშნებოდა. საერთო განათლების სახალხო სკოლები ფინეთში ყალიბდება 1866 წლიდან, ხოლო დარგობრივი პროფესიული სკოლების გახსნა მოგვიანებით XIX საუკუნის ბოლოდან იწყება. 1906 წლიდან დემოკრატული პარლამენტის ფორმირებისა და ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის კურსის აღების შემდეგ იზრდება პროფესიული სკოლების როლი და მნიშვნელობა, თუმცა მათი საგრძნობი ზრდა 1950 წლის ბოლოსა და 1960-იანი წლების დასაწყისში ხდება. ამ პერიოდიდან პროფესიული განათლება გამოდის შვიდი სხვადსხვა სამინისტროს დაქვემდებარებიდან და მხოლოდ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის. 1990 წლიდან ფინეთში იხსნება უმაღლესი პროფესიული სკოლები-ანუ გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტები, რომლებიც კლასიკურთან ერთად ახორციელებენ გამოყენებით ალტერნატიულ უმაღლეს განათლებას. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლების საფუძველი. თუ 1930 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების მხოლოდ 35-40% მიდიოდა პროფესიულ სკოლაში, დღეს მათი 95% ძირითადი სკოლის დამთავრების შემდეგ იღებს პროფესიულ განათლებას ან ამ სკოლებში, ან გიმნაზიებში. შემდეგ კი, მათი ნახევარი სწავლას აგრძელებს ან კლასიკურ უნივერსიტეტებში (სულ 28 ერთეული), ან გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტებში (ამ უკანასკნელის რიცხვმა 21 ერთეულს მიაღწია). პროფესიული განათ-

ლების რეალიზაცია ფინეთში ხორციელდება დარგობრივ ჭრილში, ეკონომიკური საქმიანობის სფეროების, მიმართულებების მიხედვით, რომელთაგან უნდა გამოვყოთ: 1.ჰუმანიტარული და პედაგოგიური მეცნიერებები; 2.კულტურის სფერო; 3.ბიზნესი და ადმინისტრირება; 4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; 5.ტრანსპორტი და ტექნიკა; 6.ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა; 7.სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვა, სპორტი; 8.ტურიზმი, საზოგადოებრივი მეურნეობა და კვება.

პროფესიული დაწესებულებების მასწავლებელთა საქმიანობის ძირითადი ფუნქციაა: მისცეს კურსდამთავრებულს თავისი სპეციალობით მუშაობისა და სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების ძირითადი უნარები; აღზარდოს ისინი კარგ მოქალაქეებად და პიროვნებებად; გააუმჯობესოს მათი შრომითი ცხოვრების ხარისხი. შედეგად, კურსდამთავრებულები წარმატებით ეწყობიან სამუშაოებზე, რომლებიც ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო შემოქმედებითი და საინტერესო ხდება. მათი ხელფასიც დახარჯული შრომის ადექვატურია. გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტების საქმიანობის მიზანია კონკურენტუნარიანი სპეციალისტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადება, სტუდენტების პროფესიული ზრდის მხარდაჭერა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება. პროფესიული განათლების განვითარებასა და პროფესიული პედაგოგიური კადრების განვითარებას ხელი შეუწყო 1995 წელს ფინეთის ევროკავშირში შესვლამ. აღნიშნული პერიოდიდან განვითარებას იწყებს პედაგოგების თანამშრომლობა საწარმოებთან და ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებთან.

პროფესიული განათლების მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამოკიდებულია განათლების სფეროზე (დარგზე) და რეგულირდება შესაბამისი სტანდარტებით, ნორმატიული დოკუმენტებით, რომლებიც მოქმედია ფინეთის მთელ ტერიტორიაზე. პროფესიული საგნების პედაგოგს მოეთხოვება გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში მიღებული უმაღლესი განათლება. თუმცა, ვაჭრობის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სფეროში აუცილებელია კლასიკური უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი. გარდა აღნიშნულისა, მომავალ მასწავლებელს უნდა ქონდეს შესაბამისი დარგის საწარმოში ან ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილება, არა ნაკლები სამი წლისა. ყოველწლიურად მასწავლებლის მოსამზადებელ პროგრამაზე აბარებს 1500 სტუდენტი. გადაწყვეტილებას მისაღები კონტიგენტის რაოდენობაზე ღებულობს განათლების სამინისტრო,

რომელიც მთლიანად აფინანსებს სასწავლო პროცესს. ანუ სტუდენტებისათვის სწავლა უფასოა. მასწავლებლის მომზადებისათვის 60 კრედიტია გათვალისწინებული, რაც ერთი სასწავლო წლის განმავლობაში 40 სამუშაო კვირით დატვირთვის ტოლფასია. აღნიშნულ სისტემაში პედაგოგად მუშაობის პრესტიჟი საზოგადოებაში მაღლდება პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლებასთან ერთად. პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული საქმიანობა მრავალფეროვანი გახდა, საწარმოო სფეროსთან მჭიდრო და გაფართოებული თანამშრომლობის, ვირტუალური სწავლებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების წყალობით. ასევე, ზემოთაღნიშნული გამოყენებით მეცნიერებათა ხუთივე პროფესიული უმაღლესი სასწავლებელი ეწევა მრავალპროფილურ საქმიანობას და შესაბამისად ამზადებენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროფესიული განათლების სფეროს ყველა დარგისათვის. ამ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს ჩვეულებრივ გააჩნია უმაღლესი განათლება და მუშაობის გამოცდილება სამომავლოდ წასაკითხი საგნის შესაბამისი საქმიანობის სფეროში. ანუ შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული მასწავლებლის მოსამზადებელ პროგრამებზე სწავლობენ ზრდასრული, დასაქმებული ადამიანები. სწორედ ეს განსაზღვრავს სასწავლო პროგრამების რეალიზაციის პირობებს. პროფესიული მასწავლებლის მომზადების სტანდარტისა და შესაბამისი სამთავრობო დადგენილების მიხედვით, მასწავლებლის მომზადების მიზანია: პედაგოგებისათვის იმ ცოდნისა და კომპეტენციების მიცემა, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა სპეციალობების მიხედვით სასწავლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის. ასევე სწავლების საკუთარი ტრაექტორიის დამუშავების, შექმნის უნარის ფორმირება, რომელიც ორიენტირებული იქნება შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე. შესაბამისად სასწავლო პროგრამა მოიცავს: პროფესიულ-პედაგოგიურ კურსებს; პედაგოგიურ მეცნიერებათა კურსს; პედაგოგიურ პრაქტიკასა და შერჩევით კურსს. ხშირად სწავლება გრძელდება ერთი წელი, მაგრამ თუ სტუდენტი სწავლებას გადის არასრული დატვირთვით, მაშინ სწავლების პერიოდი შეიძლება სამ წლამდეც გაგრძელდეს. უმაღლეს სასწავლებლებში ამზადებენ ასევე სპეცმასწავლებლებს. მაგალითად, სასწავლო პროცესის ზედამხედველები სწავლებას ერთდროულად ორ უმაღლეს სასწავლებელში გადიან.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ისმის კითხვა. რა კომპეტენციებს, ცოდნასა და უნარებს უნდა ფლობდნენ პროფესიული განათლების მასწავლებლები? რა კრიტერი-

უმების მიხედვით განისაზღვრება მათი პროფესიული მახასიათებლები? აღნიშნული საკითხი წყდება შესაბამისი კანონმდებლობითა და პროფესიული განათლების სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომელიც სავალდებულოა ყველა უმაღლესი სასწავლებლისათვის. თუმცა, სწავლების მეთოდები და სასწავლო პროგრამა სხვადასხვა სასწავლებლებში შეიძლება განსხვავდებოდეს. მაგალითად, ჰააგა-ჰელიას[15] უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგების მომზადებას ახორციელებენ კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამების მიხედვით.

ბუნებრივია, მასწავლებელი უნდა იყოს საკუთარი საგნის, სპეციალობის ექსპერტი. ამიტომ, მათ აქვთ შესაძლებლობა ყოველწლიურად აიმაღლონ კვალიფიკაცია თავისი სპეციალობის მიხედვით. მიუხედავად, იმისა რომ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მიდგომა ამ საკითხში განსხვავებულია. საერთო მოთხოვნის შესაბამისად კვალიფიკაციის ამაღლების კურსის ხანგძლივობა წლის განმავლობაში არ უნდა იყოს ხუთ სამუშაო დღეზე ნაკლები. კვალიფიკაციის ამაღლებას აფინანსებს განათლების სახელმწიფო სამმართველო. უმაღლესი სასწავლებელი კი პასუხს აგებს მსმენელების მიღებასა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციაზე. თუმცა ამ კუთხით რჩება ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც დაკავშირებულია ადრე მიღებული ცოდნის იდენტიფიკაციასა და აღიარებასთან.

რუსეთის ფედერაციაში მიღებულ იქნა ახალი ფედერალური კანონი, რომლის მიხედვითაც 2016 წლის 01 იანვრიდან საგანმანათლებლო დაწესებულებებში შრომითი ურთიერთობების რეგულირება ხორციელდება პროფესიული სტანდარტების საფუძველზე. შესაბამისად, განათლების სფეროში დამტკიცდა ოთხი პროფესიული სტანდარტი, შემდეგი კატეგორიის პედაგოგებისათვის: 1.პედაგოგი, მასწავლებელი, აღმზრდელი-სკოლამდელი, საწყისი ზოგადსაგანმანათლებლო, ზოგადსაგანმანათლებლო, ზოგადი საშუალო განათლების სფეროში; 2.პედაგოგი-ფსიქოლოგი განათლების სფეროში; 3.პედაგოგი ბავშვებისა და მოზარდების დამატებითი განათლების სფეროში; 4.პროფესიული სწავლების, პროფესიული განათლებისა და დამატებითი პროფესიული განათლების სფეროში.

---

[15]**ჰააგა-ჰელია**-გამოყენებით მეცნიერებათა სპეციალიზირებული უმაღლესი სასწავლებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების კუთხით, ქ. ჰელსინკში. თავისი საქმიანობა დაიწყო 1950 წლიდან ვაჭრობის სფეროს პედაგოგების მომზადებით. ამჟამად, იგი წარმოადგენს მრავალდარგობრივ სასწავლებელს, განსაკუთრებით ვაჭრობის, ადმინისტრირების, ტექნიკის, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სატრანსპორტო მეურნეობის კუთხით.

აღნიშნული სტანდარტებიდან მეოთხე-„პროფესიული სწავლების, პროფესიული განათლებისა და დამატებითი პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“, დამტკიცებული იქნა რუსეთის შრომის სამინისტროს შესაბამისი ბრძანების საფუძველზე 2015 წლის ოქტომბერში [Приказ №608н, 2015]. თუმცა, მოგვიანებით მისი ძალაში შესვლის თარიღი გადატანილ იქნა 2017 წლის 01 იანვარამდე. აღსანიშნავია, რომ ცალკეული მკვლევარებისა და სპეციალისტების აზრით „მიღებული პროფესიული სდანდარტი, სახელდობრ რუსეთში შემუშავებული სიახლე კი არაა, არამედ მსოფლიო პრაქტიკული გამოცდილების შედეგია. ყველაზე მოწინავე გამოცდილება აღნიშნულ სფეროში დიდ ბრიტანეთშია დაგროვილი“ [Gerasimova, 2017; Tuber, 2016]. პროფესიული სტანდარტი მოიცავს საქმიანობის ცალკეული სახეობების მიხედვით შრომითი ფუნქციებისა და ამ ფუნქციების შემსრულებელი სპეციალისტების მიმართ ცოდნის, უნარების, კომპეტენციებისა და გამოცდილების მიმართ წაყენებული მოთხოვნების აღწერილობას. პროფესიული სტანდარტით, ასევე დადგენილია პედაგოგის კვალიფიკაციისადმი წაყენებული მოთხოვნები. კერძოდ, იგი განსაზღვრულია შემდეგი კატეგორიის მასწავლებელთათვის: **საშუალო პროფესიული განათლების მასწავლებლები; ოსტატი საწარმოო სწავლების სფეროში; დამატებითი პროფესიული განათლების მასწავლებელი; მეთოდისტები; უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები.** საშუალო პროფესიული განათლების მასწავლებლებს მოეთხოვებათ: საშუალო რგოლის სპეციალისტების მომზადების სასწავლო პროგრამების გავლა, ან უმაღლესი განათლება-ბაკალავრიატის სრული კურსი, რომელიც პროფილის მიხედვით სრულად შეესაბამება სასწავლო საგანს, კურსს, დისციპლინას. დამატებითი პროფესიული განათლების მასწავლებელს-პროფესიული გადამზადება, რომლის პროფილიც სრულად შეესაბამება სასწავლო საგანს, კურსს, დისციპლინას. პედაგოგიური განათლების არარსებობის შემთხვევაში აუცილებელია დამატებითი პროფესიული განათლების მიღება პროფესიული განათლების სფეროში და/ან პროფესიული სწავლება. ასევე აუცილებელია პედაგოგიური საქმიანობის პროფილის მიხედვით, კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების გავლა სამ წელიწადში ერთხელ.

პროფესიული სტანდარტები უზრუნველყოფენ პედაგოგის მოტივაციას შრომისა და განათლების ხარისხის ამაღლებაში.

პროფესიული სწავლების, პროფესიული განათლებისა და დამატებითი პროფესიული განათლების პედაგოგის სტანდარტის მიზანია:

- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის იმ აუცილებელი საკვალიფიკაციო მახასიათებლების განსაზღვრა, რომელიც გავლენას ახდენს სწავლების შედეგებზე, სტუდენტების აღზრდასა და განვითარებაზე;
- ✓ პედაგოგის აუცილებელი მომზადება, მისი შრომის მაღალი მიღწევების უზრუნველყოფისათვის;
- ✓ პედაგოგის ინფორმირება მის მიმართ წაყენებული მოთხოვნებთან მიმართებაში;
- ✓ განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებში პედაგოგების ჩართულობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული სტანდარტის შესაბამისად, განსაზღვრულია პედაგოგისადმი წაყენებული მოთხოვნათა სისტემა, რომელიც შემდეგი თანამიმდევრობით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- ✓ პედაგოგიური განათლება;
- ✓ გამოცდილება პრაქტიკული საქმიანობის სფეროში;
- ✓ სამუშაოზე დაშვების პირობები;
- ✓ შრომითი ფუნქციებისა და ვალდებულებების ხარისხიანად შესრულების მიზნით საჭირო ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები.

პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, მასწავლებელთა შრომითი ფუნქციები და მათი ეფექტიანი რეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა, უნარ-ჩვევები, კომპეტენციები, პროფესიული მახასიათებლები აღწერილია შემდეგი პოზიციების მიხედვით:

1.შრომითი საქმიანობა:

- ✓ სასწავლო პროცესის წარმართვა, მეცადინეობების ჩატარება;
- ✓ სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაცია;
- ✓ საპროექტო, კვლევითი სამუშაოების ხელმძღვანელობა;
- ✓ სტუდენტებისა და მათი მშობლების კონსულტირება პროფესიული თვითგამორკვევისა და პროფესიული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით;
- ✓ მიმდინარე კონტროლი;
- ✓ სტუდენტების მომზადებისა და მათი მოტივაციის დინამიკის შეფასება;

- ✓ სასწავლო საგნის ათვისების მიზნით სასწავლო კაბინეტის მოწყობა;
- ✓ თავისი კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტების უფლებების დაცვა და მათი სოციალური და სხვა სახელმწიფო გარანტიებით უზრუნველყოფა;
- ✓ სხვა პედაგოგებთან ერთად სასწავლო დაწესებულების პროფესიული საქმიანობის დაგეგმვა;
- ✓ პროფესიების მიხედვით მასტერ-კლასების ორგანიზება და სხვა;

2.აუცილებელი უნარები:

- ✓ სამუშაო გეგმების შედგენა, სასწავლო-მეთოდური დოკუმენტების წარმოება;
- ✓ პირადი მონაცემების დამუშავება, არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით;
- ✓ სტუდენტების მოტივაცია და მათი მონაწილეობის ორგანიზება სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებებში;
- ✓ სტუდენტებთან ერთად სოციალურად მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარება;
- ✓ სტუდენტების საქმიანობის ორგანიზების დასაბუთებული ფორმების, მეთოდების, მიდგომების გამოყენება;
- ✓ სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებისა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული სწავლების, დისტანციური საასწავლო ტექნოლოგიების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ელექტრონუ-ლი საინფორმაციო და საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება;
- ✓ სასწავლო საგნის პროგრამით გათვალისწინებული დავალებების შესრულება;
- ✓ სტუდენტების მომზადება თვითორგანიზებისა და კონტროლის კუთხით;
- ✓ მეცადინეობებზე წესრიგისა და შეგნებული დისციპლინის უზრუნველყოფა;
- ✓ საგნის პროფილის ან მოდულის შესაბამისად კონფერენციების, გამოფენების, პროფესიული ოსტატობის კონკურსის ორგანიზება;
- ✓ საკუთარი პროფესიული საქმიანობის გაანალიზება;
- ✓ სასწავლო პროცესში, კაბინეტებში სტუდენტების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფის შესაძლო რისკების ანალიზი და აღმოფხვრა;
- ✓ შრომის დაცვის უზრუნველყოფა;
- ✓ სოციალური გარემოცვის ინფორმირება საქმიანობის სხვადასხვა სფეროში სტუდენტების წარმატებებისა და მიღწევების შესახებ;

- ✓ სტუდენტებისა და მშობლებისათვის პროფესიული საქმიანობის თავისებურებების გაცნობა;
- ✓ პროფესიული საქმიანობის საჯარო დემონსტრირება და სტუდენტების, პრაქტიკოსი სპეციალისტების მიერ მის შესრულებასთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთება;
- ✓ პროფესიული განათლების პროგრამების შესაბამისად პროფორიენტაციის სამუშაოებში სტუდენტების ჩართვა, რომლებიც ტარდება მათ მშობლებთან ერთად;
- ✓ სხვადასხვა დავალების მომზადება, ოლიმპიადებისა და კონკურსების მოამზადება და ჩატარება პროფესიული ოსტატობის დარგში.

3.აუცილებელი ცოდნა:

- ✓ საგანმანათლებლო ორგანიზაციის ლოკალური აქტების ცოდნა, საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზების დარგში;
- ✓ სტუდენტების სასწავლო-პროფესიული, საპროექტო, კვლევითი და სხვა სახის საქმიანობის ორგანიზების სამეცნიერო-მეთოდური საფუძვლების ცოდნა;
- ✓ სტუდენტების ასაკობრივი თავისებურებანი, ინდივიდუალური და სპეციალური საჭიროებების გათვალისწინება, სასწავლო პროცესში მათი სწავლებისა და განვითარების სხვა სირთულეებთან ერთად;
- ✓ ეფექტური პედაგოგიური ურთიერთობების საფუძვლების, რიტორიკის კანონების და საჯარო გამოსვლების მოთხოვნების ცოდნა;
- ✓ შრომის ფსიქოლოგიის საფუძვლების, პროფესიული განვითარების სტადიების ცოდნა;
- ✓ პროფესიისადმი წაყენებული მოთხოვნების, შრომის პირობებისა და შინაარსის ცოდნა;
- ✓ კონკრეტული პროფესიის მომუშავის ცხოვრებისეული სახის შერჩევისას, პროფესიის მიხედვით კარიერული ზრდის შესაძლებლობებისა და პერსპექტივების განსაზღვრა;
- ✓ პედაგოგიური პერსონალის პასუხისმგებლობის წესების ცოდნა, მათ დაქვემდებარებაში მყოფი სტუდენტების ჯანმრთელობასა და სწავლებაზე;
- ✓ ურთიერთობების ეფექტიანი მეთოდების ცოდნა პროფესიული თვითგამორკვევის სტიმულირებისათვის;
- ✓ მასტერ-კლასების ორგანიზების მეთოდური საფუძვლების ცოდნა.

აუცილებელი ცოდნისა და უნარების ფლობის კუთხით არსებული პრობლემების დასაძლევად რეკომენდირებულია სწავლების შემდეგი კურსების გამოყენება: თვით-განათლება; მიზნობრივი კურსები; გადამზადების კურსები; მასტერ-კლასებში მონაწილეობა; დისტანციური სწავლება და სხვა.

საქართველოში მიმდინარე რეფორმების პერიოდში, პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის რეგულირების სრულყოფისა და მისი შემდგომი განვითარების მიზნით, 2011 წლის ივნისში შესაბამისი სამთავრობო ორგანოების მიერ მიღებული და დამტკიცებული იქნა „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“ [ბრძანება №97/ნ, 2011წ.]. იგი განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის აუცილებელი პროფესიული ცოდნის, პედაგოგიური და პრაქტიკული უნარების და ვალდებულებების ერთობლიობას, რაც აუცილებელია მისი პროფესიული საქმიანობის ეფექტიანად, ოპერატიულად და მაღალ დონეზე წარმართვის მიზნით. კერძოდ, სტანდარტის სტრუქტურა მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის, პროფესიული მახასიათებლების სამ ძირითად ჯგუფს: 1.პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, სწავლის თეორიებისა და სასწავლო გარემოს ნაწილს; 2.სწავლებისა და შეფასების ნაწილს და 3.პროფესიული გარემოს ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიულ ვალდებულებებს, კოლეგებთან და სოციალურ პარტნიორებთან ურთიერთობას, საკუთარი საქმიანობის წარმართვას ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული-სამართლებრივი აქტებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. სტანდარტის ძირითადი დანიშნულება, ანუ მისი რეგულირებისა და გამოყენების სფეროა, პროფესიული განათლების მასწავლებლის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის შეფასება. ასევე იგი დახმარებას უწევს მასწავლებელს თვითშეფასების პროცესში, საკუთარი ცოდნისა და პრაქტიკის დახვეწაში, პროფესიული ლიტერატურის დამუშავებასა და აკადემიური საჭიროების კვლევების განხორციელებაში, პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში და სხვა. აღნიშნულის მიუხედავად, პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისა და რეფორმირების შემდეგ ეტაპზე, მიმდინარე მოთხოვნებიდან გამომდინარე, სტანდარტი გადაისინჯა და 2014 წლის ბოლოს მასში შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, სათაური ყალიბდება ახალი რედაქციით („პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“), საგრძნობ-

ლად იხვეწება მისი სტრუქტურა და ფართოვდება რეგულირების, მოქმედების სფერო[16] [ბრძანება №168/ნ, 2014]. შესაბამისად, სტანდარტის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული კვალიფიკაციის ახალი სტრუქტურა სამ ძირითად განყოფილებას მოიცავს. ესენია: **1.პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნის და უნარების, სწავლის თეორიებისა და სასწავლო გარემოს; 2.სწავლებისა და შეფასების და 3.პროფესიული გარემოს ნაწილი** [ბრძანება №168/ნ, 2014].

სტანდარტი გამოიყენება: მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებების დადგენისათვის; მათი მოსამზადებელი პროგრამის შექმნისათვის; პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისათვის; პროფესიული ლიტერატურის შექმნისათვის; თვითშეფასებისა და პროფესიული განვითარების გეგმის შესადგენად. განახლებული სტანდარტი განსაზღვრავს ახალ, დამატებით მოთხოვნებს, როგორც პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნის, უნარების, სწავლის თეორიებისა და სასწავლო გარემოს, ისე სწავლების, შეფასებისა და პროფესიული გარემოს ნაწილში. მაგალითად, სწავლების თეორიების ნაწილში აუცილებელი მოთხოვნაა, რომ მასწავლებელი გარდა პედაგოგიკის კურსისა ფლობდეს ანდრაგოგიკის ძირითადი პრინციპებს, სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ორიენტირებული იყოს თითოეული სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე. სტანდარტი მკაცრად განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებელის ვალდებულებებსა და მისი უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას. კერძოდ: მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს პროფესიული განვითარებისა და თვითშეფასებისათვის, იყენებდეს სხვადასხვა საშუალებებს და რესურსს, ეცნობოდეს ტექნოლოგიურ სიახლეებს და ინოვაციებს, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბაზას, თანამშრომლობდეს დამსაქმებლებთან, სასწავლებლის ადმინისტრაციისა და სოციალურ პარტნიორებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელის მომზადებისა და განვითარების კუთხით ასევე მნიშვნელოვანი იყო „პროფესიული განათლებისა და მომზადების განვითარების 2009-2012 წლების შუალედური სტრა-

[16]აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ დეტალურად იხილეთ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №97/ნ „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, 2011 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №168/ნ „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 2 ივნისის №97/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ. 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი.

ტეგიის“ მიღება [სტრატეგია, ანგარიში (ETF, 2012)]. კერძოდ, პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორების კოორდინირებული საქმიანობის შედეგად 2009 წლის 18 სექტემბრის №678 განკარგულებით ჩამოყალიბდა სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო, ხოლო 2009 წლის 4 ნოემბერს საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით [დადგენილება N203, 2009]. შეიქმნა პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭო, შემდეგ კი საბჭოს სამდივნო [ბრძანება №1022, 2009], რომელმაც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წინა პლანზე წამოწია პროფესიული სტანდარტების, პროფესიული განათლების ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა. სხვა ძირითად პრობლემეთან ერთად პროფესიული მასწავლებლის მომზადებისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებების რეალიზაციის მიზნით სოციალურ პარტნიორებს შორის გაფორმდა მნიშვნელოვანი შეთანმება [შეთანხმება, 2011].

პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საერთოდ პროფესიული განათლების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებულ ინსტიტუციონალური, სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწას, სრულყოფას, მის კიდევ უფრო დაახლოებას ევროსტანდარტებთან. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ 2018 წლის სექტემბრიდან პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის მოთხოვნის შესაბამისად [კანონი N3442, 2018:21] პროფესიული განათლების მასწავლებლებლის პროფესიული საქმიანობა უნდა განხორციელდეს ამ მიზნისათვის სპეციალურად შემუშავებული წესისა და პირობების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს: პროფესიული განათლების მასწავლებლის კატეგორიებს, საქმიანობის დაწყების პირობებს, პროფესიულ მახასიათებლებს, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესებს და სხვა. აღნიშნულმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებლების საქმიანობის ეფექტიანობისა და სწავლების ხარისხის ამაღლებას, ეროვნული მეურნეობისათვის საჭირო კადრების მომზადებას, საბოლოო ჯამში კი მათი სტიმულირების სისტემის, პროფესიის პრესტიჟისა და შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული მიდგომების განხილვისა და განზოგადების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული სტანდარტი წარმოადგენს იმ ნორმატიულ-სამართლებრივ

ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ-პედაგოგიური საქმიანობის სფეროში განსაზღვრული მოთხოვნების ერთიანობას და შესაბამისად ქმნის პირობებს პედაგოგიური კადრების პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის, ზრდისათვის. ანუ იგი ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან როგორც განათლების ერთიანი სისტემის, ისე პროფესიული განათლების სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე და განსაზღვრავს მასწავლებლისათვის ისეთი კომპეტენციების აუცილებლობას, როგორიცაა: მზად იყოს სტუდენტებთან მუშაობისათვის მათი უნარის, რწმენისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად; დაეხმაროს მათ საგანმანათლებლო და პირად საკითხებთან დაკავშირებით კონკრეტული პრობლემების მოგვარებაში; მზად იყოს სხვა სპეციალისტებთან განიხილოს სასწავლო ჯგუფისა და თითოეული წევრის პრობლემები; იცოდეს თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით პიროვნული განვითარების თავისებურებანი და კანონზომიერებები; მზად იყოს დაიცვას თითოეული სტუდენტი კოლექტივთან მისი ინტეგრაციის პროცესის შემსუბუქების მიზნით; ფლობდეს ფსიქოდიაგნოსტიკის საწყის უნარებს, რომელიც დაეხმარება სტუდენტის მდგომარეობის, განწყობის დადგენაში და სხვა.

პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის სტრუქტურა მოიცავს: დარგობრივ პროფესიულ მახასიათებლებს; ნორმატიულ მოთხოვნებს პედაგოგისადმი; კვალიფიციური დონის შესაბამისად დადგენილ პროფესიულ უნარებს, ცოდნასა და კომპეტენციებს. ზემოაღნიშნული ქვეყნების **(აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, შოტლანდია, კანადა, სინგაპური, ფინეთი, რუსეთის ფედერაცია, საქართველო)** მიხედვით რამდენიმე სტანდარტის განხილვისა და ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული სტანდარტების პარამეტრები, მახასიათებლები შემდეგი ძირითადი პოზიციის მიხედვით:

- ✓ სწავლების შინაარსი, საგნობრივი ცოდნა, საგნობრივი კომპეტენციები;
- ✓ საგანმანათლებლო საქმიანობისა და პრაქტიკული სწავლების დაგეგმვა;
- ✓ სასწავლო გეგმების შედგენა;
- ✓ განვითარებადი უსაფრთხო სასწავლო გარემოს, საგანმანათლებლო სივრცის უზრუნველყოფა;
- ✓ საგანმანათლებლო და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

- ✓ სასწავლო პროცესის ოპტრიმიზაციისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების, სხვა რესურსების, ინოვაციების ფლობა, გამოყენება;
- ✓ სწავლების შედეგების შეფასება;
- ✓ ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფა თეორიული და პრაქტიკული სწავლების პროცესში;
- ✓ ურთიერთობები მოსწავლეებთან, საზოგადოებასთან, პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციასთან, პროფესიულ კავშირებთან და სხვა;
- ✓ პროფესიული განვითარება, კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;
- ✓ პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა, პედაგოგის პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერება;
- ✓ პედაგოგიური კულტურა და სხვა.

პედაგოგის საქმიანობის, შრომის ეფექტიანობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგი კომპონენტების, მახასიათებლების გამოყენებას: პროფესიული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები; პროფესიული მიღწევები და გამოცდილება: პედაგოგიური ფასეულობების, მახასიათებლების სისტემა; კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი პროფესიული მიღწევებისადმი (რეფლექსია) და სხვა [Ingvarson 2013; Miroshnikova, 2015].

საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში მასწავებლების პროფესიული მომზადებისა და განვითარების სტანდარტის თითქმის ყველა მოდელი პრაქტიკაზე ორიენტირებულია და პერიოდულად ხდება მათი სტრუქტურისა და შინაარსის განახლება. ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები და მახასიათებლები, ჩვეულებრივ გამოიყენება სხვადასხვა საატესტაციო პროცედურების ჩატარებისას, რომელიც ხორციელდება პერიოდულად. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, შოტლანდიასა და სინგაპურში მასწავლებელთა ატესტაცია მიმდინარეობს ყოველწლიურად. ყველა ზემოთ განხილული ქვეყნების პროფესიული განათლების მასწავლებლები წლის დასაწყისში ადგენენ თავისი ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმებს.

2.2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების საკითხები განვითარებულ ქვეყნებში და საქართველოში

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე ეტაპზე, როდესაც საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში აქტიურად მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადამიანური პოტენციალის განვითარება და მისი ყველა დონეზე ეფექტიანად გამოყენება. ცოდნა, ადამიანური კაპიტალი საზოგადოებრივი პროგრესისა და ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი ხდება. შესაბამისად, ამ უკანასკნელის განვითარების დონესა და ხარისხს, ნებისმიერ საზოგადოებაში განათლებისა და მათ შორის პროფესიული განათლების სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების თავისებურებანი, სპეციფიკა განსაზღვრავს. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი თანამედროვე მუშა კადრებისა და სპეციალისტების მომზადების „ცენტრს“, „სამჭედლოს“, რომლის საქმიანობის შედეგი პირდაპირაა დამოკიდებული პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების დონესა და ხარისხზე. ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები [Quality..., 2015-2017] ადასტურებენ, რომ ზოგადად განათლებისა და განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების სისტემის ხარისხს უპირატესად (70% და მეტი) მასწავლებლების მომზადების დონე და კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი განსაზღვრავს. მასწავლებლები და ტრენერები არა მარტო ხელს უწყობენ პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე მოდერნიზირებისა და რეფორმირების პროცესს, არამედ შეუძლიათ უზრუნველყონ მაღალი ინოვაციური განვითარება. სწორედ ამიტომაა, რომ ბოლო წლებში მასწავლებლების, ტრენერების მომზადების დონისა და კომპეტენტურობის ხარისხი ევროკომისიის მუდმივი ყურადღების ცენტრშია და იგი „ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის სტრატეგიულ მიზნად მიიჩნევა“ [European Commission. COM (2010)]. შესაბამისად აღნიშნულ საკითხს სხვა მრავალი ევროპული ინიციატივა და დოკუმენტიც მიეძღვნა[17], სადაც განსაკუთრებუ-

[17]European Commission. A new impetus for European cooperation in vocational education and training to support Europe 2020 strategy; COM (2010) 296 final. http://www.europa.eu; European Commission. Rethinking education: investing in skills for better socio-economic outcomes. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. COM(2012) 669 final. http://www.europa.eu;

ლი აქცენტი გადატანილია მასწავლებლების პროფესიული პროფილის სრულყოფასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობაზე. ეს უკანასკნელი უნდა განხორციელდეს მკაფიოდ განსაზღვრული კომპეტენციების საფუძველზე, რაც აუცილებელია მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ყველა სტადიაზე. ამ მხრივ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია 2017 წლის ევროკომისიის ანგარიში [Broek..., 2017], სადაც საგრძნობი ყურადღება ეთმობა ყველა დონის პროფესიული პედაგოგიური კადრის (მასწავლებლები: პროფესიული მომზადებისა და განათლების-VET, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების-WBL, ზრდასრულთა პროფესიული განათლების-WEB, კონკრეტული სამუშაო ჯგუფების-WG სფეროში) როგორც საწყის, ისე შემდგომ უწყვეტ პროფესიულ განათლებას, განვითარებასა და ხელშეწყობას. შედეგად ნათელი ხდება და სადაოც აღარაა, რომ ხარისხიან უწყვეტ პროფესიულ განათლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციების ამაღლებასა და მათი საქმიანობის ეფექტიანობის ხარისხის ზრდაში. სწორედ ამიტომ იყო, რომ შედარებით ადრე ე. წ. „რიგის დასკვნებში“ (2015წ.) ჩამოყალიბებულ იქნა საწყისი და შემდეგი ეტაპის, ასევე უწყვეტი პროფესიული განათლებისადმი სისტემური მიდგომები, რომლებიც დამუშავებული იქნა ყველა დონის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლებისა და ტრენერებისათვის [Riga Conclusions 2015]. მაღალკვალიფიციური, თანამედროვე პროფესიულ-ფსიქოლოგიური ცოდნით შეიარაღებული პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი საზოგადოების წარმატებით განვითარებისა და პროგრესისათვის. ამიტომ, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა მათი მომზადებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების ახალი ინოვაციური სისტემების შემუშავებისა და პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობა. ამ კუთხით სერიოზული განვითარება ჰპოვა პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების უწყვეტი განათლების სისტემამ, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ მიღებულ და პრაქტიკაში გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს. აქ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მასწავლებლის პიროვნებას, მის სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, პროფესიულ-კვალიფიციურ მახასიათებლებს, კომპლექსურ ცოდნას, განვითარებულ უნარებსა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის მაღალი დონის კომპეტენციებს.

თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პროფესიული განათლების მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მომზადება წარმოადგენს ურთულეს სამეცნიერო-პრაქტიკულ პრობლემას და ამ მიმართულებით ბევრი პრობლემა და დაბრკოლება არსებობს. მაგალითად, ზოგიერთი მეცნიერის აზრით: „პროფესიულ განათლების სისტემაში მასწავლებელთა პროფესიული განათლების განვითარების კუთხით ორი ძირითადი დაბრკოლებაა: პროფესიული განათლების დაბალი სტატუსი და ზოგადად, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის გაზრდის პრობლემა“ [Grollmann, 2008:27]. აღნიშნული განპირობებულია მასწავლებელთა საქმიანობის სპეციფიკითა და ინტეგრირებული სტრუქტურით, რაც უშუალოდ მისი პროფესიული ვალდებულებებითაა განსაზღვრული. კერძოდ, შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობა საინჟინრო-ტექნიკური და პედაგოგიური შრომითი საქმიანობის ნაერთია და ძალზე რთულ ფუნქციონალურ დატვირთვასთანაა დაკავშირებული[18].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის განვითარების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების, მისი შემდგომი პროფესიული განვითარების კუთხით საერთაშორისო ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებასა და მასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანას. მითუმეტეს, რომ ქვეყანაში, განათლების სისტემის რეფორმირების მიმდინარე ეტაპზე, პრაქტიკულად არ არსებობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების სისტემისა და მისი შემდგომი მოდერნიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია.

ამიტომ, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ სფეროში სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების **(გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, ლუქსემბურგი, დანია, ფინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, პოლონეთი, რუსეთი)** გამოცდილების შესწავლა, მათი შემდგომი გაზიარებისა და ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში შესაძლო გამოყენების მიზნით. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციული და სამართლებრივი საკითხი (მათ შორის პროფესიული მახასიათებლე-

[18]ამიტომ, საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული განზოგადოებული განმარტების მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებელი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტია, რომელიც ახორციელებს პედაგოგიურ, სასწავლო-სამეცნიერო და ორგანიზაციულ-მეთოდურ საქმიანობას პროფესიული განათლების სისტემაში, პროფესიული კადრების მომზადების მიზნით.

ბის, კვალიფიკაციასა და კომპეტენციებთან დაკავშირებით), მკაცრადაა რეგლამენ-ტირებული და რეგულირდება შესაბამისი სამთავრობო დოკუმენტებით, კანონ-მდებლობით. ევროპის განვითარებული ქვეყნები აუცილებელი მოთხოვნაა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს პროფესიაში შესვლისა და საქმიანობის დაწყებისათვის გააჩნდეს უმაღლესი განათლება, ბაკალავრის ან მაგისტრის აკადე-მიური ხარისხი და უფრო მეტიც, მაგალითად, გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცა-რიაში მათთვის ასევე სავალდებულოა მინიმუმ 3 წლიანი პროფესიული განათლება (ან ცხრათვიანი პროფესიული პრაქტიკის გავლა), პედაგოგიკისა და დიდაქტიკის საფუძვლების ფლობა. ზოგადად გერმანიაში პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში დასაქმებული პედაგოგები ორ კატეგორიად იყოფა: 1.მასწავლე-ბლები, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში პროფესიული სწავლებისათვის, რომლებიც ახალგაზრდებს აძლევენ აუცილებელ საგნობრივ თეორიულ ცოდნას, ფართო და სიღრმისეულ ზოგად განათლებას მომავალი პროფესიის კონტექსტში. აღნიშნული კატეგორიის პედაგოგები მსმენელებს ასწავლიან როგორც პროფესიულ საგნებს (მაგალითად, სხვადასხვა სახის ხელობას, ლითონის დამუშავების მეთოდებს, სამრეწველო ტექნოლოგიას, ელექტროტექნიკას, შინამეურნეობის ეკონომიკას და სხვა), ისე ზოგად საგნებს (მაგალითად, უცხოენები, მათემატიკა, ფიზიკა, ეკონომიკა, სამართალი, პოლიტიკა, ჯანდაცვა და სხვა). 2.პროფესიული პრაქტიკის მასწავლე-ბლები („სამუშაოს“ მასწავლებლები). ისინი ასევე ცნობილი არიან, როგორც „ტექნი-კური“ მასწავლებლები, ანუ უბრალოდ „პროფესიული მასწავლებლები (Fachlehrer)“ [Cordova..., 2016]. მათი ამოცანაა მოემსახურონ ახალგაზრდებს, რომლებიც გადიან შიდასაფირმო სწავლებას და უზრუნველყონ ისინი კონკრეტული საგნის მიხედვით ადგილზე პრაქტიკული სწავლებით. „ისინი ძირითადად ასწავლიან სამრეწველო/ ტექნიკურ და საშინაო სკოლებში, აგრეთვე ბიზნეს-სკოლებში“ [Hogeforster..., 2014:17].

გერმანიაში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლების მომზა-დება და პროფესიული განვითარება ზოგადად სამ ეტაპად ხორციელდება: **პირველი ეტაპი** მოიცავს მომზადებას უნივერსიტეტში ან მისი დონის სხვა სასწავლებელში. სასწავლო კურსი მოიცავს:

- ✓ აკადემიურ კომპონენტს, რომელიც სულ მიმიმუმ ორ საგანის სწავლებას ითვა-ლისწინებს. მათგან ძირითადია-პროფესიული საქმიანობასთან დაკავშირებული საგანი, რომელიც ირჩევა 16 სხვადასხვა ვარიანტიდან. მაგალითად, ეკონომიკა და

ადმინისტრირება, ელექტროტექნიკა, მსუბუქი მრეწველობა, საფეიქრო მრეწველობა, მხატვრობა, დიზაინი, სოციალური სფეროს ინფრასტრუქტურა, განათლება, ჯანდაცვა და სხვა. მეორე საგანი ირჩევა ზოგადი განათლების სფეროდან. მაგალითად, გერმანული, ინგლისური, მათემატიკა, პოლიტიკა, ფიზიკა, კულტურა, ხელოვნება, სპორტი და სხვა;

- ✓ სწავლების შესაბამისი სპეციალური მეთოდების ათვისება, რომლებიც ინტეგრირებულია სასწავლო დისციპლინასთან;
- ✓ საგანმანათლებლო სამეცნიერო კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კურსის აუცილებელ შესწავლას;
- ✓ პედაგოგიური პრაქტიკის გავლა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე კვირის განმავლობაში ხორციელდება.

უმაღლეს სასწავლებელსი მიღების აუცილებელი პირობაა სკოლის დამთავრების მოწმობა, რომელიც იძლევა უმაღლესი განათლების უფლებას (abitur), ასევე იგი უნდა ფლობდეს შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციას, ან ალტერნატიული სახით ქონდეს ასათვისებელი პროფესიის შესაბამისი პროფილის საწარმოში, ან სამეწარმეოო საქმიანობის სფეროში მუშაობის 3-დან 12 თვემდე გამოცდილება. პირველი ეტაპის სრული ხანგძლივობა პროფესიის შესაბამისად მერყეობს 8-დან 10 სემესტრამდე. სასწავლო კურსები მთავრდება პირველი სახელმწიფო გამოცდებით და შესაბამისი დიპლომის გაცემით. 1999 წლიდან ბოლონიის პროცესის დაწყებისა და უმაღლესი განათლების ევროპიზაციის მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით, სოციალურ პარტნიორებსა და სხვადასხვა დონის სასწავლებლების ხელმძღვანელობის შეთანხმებით, გერმანიის პროფესიული განათლების სკოლებში (ინსტიტუტებში) დაინერგა მასწავლებელთა მომზადების ახალი მოდელი, რომელიც თავდაპირველად ოთხ წამყვან ორგანიზაციაში (Pädagogische Hochschule Freiburg; Hochschule Offenburg; Pädagogische Hochschule Schwäbisch Gmünd; Hochschule Technik und Wirtschaft Aalen) [Schmidt, 2013] ამოქმედდა. ამ დაწესებულებებში, სასწავლო კურსები შემდეგნაირად განაწილდა: შვიდი სემესტრი ეთმობა ბაკალავრიატის, ხოლო სამი სემესტრი მაგისტრატურის კურსის გავლას. მასწავლებლებს ეძლევათ შესაბამისი კვალიფიკაცია საშუალო და ზოგად პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სწავლებისათვის. პირველ გამოცდას და დიპლომის მიღებას თან სდევს მასწავლებელთა მომზადების **მეორე ეტაპი**- პროფესიული პრაქტიკის (რეფერენდუმის) გავლა. იგი ხორციელდება სპეცსკოლებში,

პრაქტიკულ სემინარებზე სწავლების განხორციელებით. სწავლების პრაქტიკა გრძელდება 2 წელი და ჩვეულებრივ მთავრდება მეორე სახელმწიფო გამოცდით. ზოგირთ შემთხვევაში, სპეციალობის პროფილიდან გამომდინარე ხდება მისი შემცირება 18 ან 12 თვემდე. პროფესიული სწავლებისა და განვითარების **მესამე ეტაპია-** უწყვეტი მომზადება უშუალოდ სამუშაო ადგილზე, რომელიც მოიცავს "მთელ სამსახურებრივ კარიერას, საწყისი სტადიიდან (პირველი ორი წელი) შრომითი კარიერის დასრულებამდე" [Ute Hippach-Schneider...2007:19]. იგი ითვალისწინებს მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციების შემდგომ განვითარებას, გაფართოებას, განახლებას. ანუ, პირველი და მეორე საფეხურის გავლის შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადება ხორციელდება უწყვეტი პროფესიული მომზადების სისტემის მეშვეობით, რაზეც სრულ პასუხისმგებლობას იღებს განათლების სამინისტრო და მისი მიზნები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით. შეიძლება ითქვას, რომ სწავლების აღნიშნული ეტაპი, საფეხური სავალდებულოა ყველა კატეგორიის პროფესიული მასწავლებლისათვის და მიმდინარეობს უწვეტად მათი შრომითი საქმიანობის პარალერულად, კვალიფიციური და პროფესიული ზრდის საჭიროებიდან გამომდინარე. სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზება ხდება ცენტრალურ, რეგიონულ და დარგობრივი მიმართულებით, რისთვისაც ყველა დონეზე შექმნილია მასწავლებელთა შემდგომი მომზადების სპეციალური ინსტიტუტები, რომლებიც განათლების სამინისტროს ექვემდებარება. „მასწავლებელთა შემდგომი და უწყვეტი განათლება, როგორც წესი, რეგულარულად ხორციელდება და შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მკაცრი მონიტორინგისა და კონტროლის ობიექტს წარმოადგენს" [Reinhold, 2017:55]. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანიის სამრეწველო–სავაჭრო პალატის სისტემაში პროფესიული მომზადება, სწავლება ხორციელდება ტრენინგების, სემინარების სახით. სისტემა მთლიანადაა ორიენტირებული ეკონომიკის რეალური სექტორის მხრიდან შესაბამისი სპეციალისტების მოთხოვნაზე, რომლებიც მზადდებიან ამ სფეროს მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ. მიმდინარე ეტაპზე არსებული საჭიროებიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სემინარების ორგანიზებას ბიზნეს ადმინისტრირების დარგში. „მომავალი მასწავლებლებისათვის მოკლევადიან კურსებთან ერთად ხშირად ტარდება ტრენინგები და სემინარები უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც კურსდამთა-

ვრებულები დიპლომთან ერთად იღებენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტი-ფიკატს“ [Broek..., 2017:125]. შესაბამისად საწარმოს ბაზაზე ამზადებენ მასწავლებელ-თა შემდეგ კატეგორიას, როგორიცაა: ტრენინგის მენეჯერი, ტრენინგ-ინჟინერი, ტრენერ-მრჩეველი და ტრენინგ-ლიდერი. უპირატესად ასეთი მომზადება ხორციელ-დება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (WBL) პროცესში მათი გამოყენების მიზნით. უშუალოდ კომპანიაში მასწავლებელთა და ტრენერების პროფესიული მომ-ზადების, განვითარების პროცესი სამ ეტაპს მოიცავს:

1.მასწავლებელთა და ტრენერების პირველადი ანუ წინასწარი მომზადება. იგი ეხება მასწავლებელს, ინსტრუქტორს ან ტრენერს. როგოც წესი იგი ხორციელდება 3-5 წლიანი პროგრამის საფუძველზე, რის შედეგადაც მსმენელი ღებულობს „პროფესი-ული განათლების სპეციალური მასწავლებლის კვალიფიკაციას“;

2.კარიერის ადრეული პერიოდის მხარდაჭერა-იგი განკუთვნილია იმ მასწავლებ-ლებისათვის, ინსტრუქტორებისათვის, რომლებიც შევიდნენ ახალ სამუშაო გარემოში და მიზნად ისახავს მათი როლის ზრდას კომპანიაში სწავლების პროცესში. ეს მხარდაჭერა ხშირად გამოცდილი მასწავლებლების მიერ ახალბედა მასწავლებლე-ბისთვისაა გათვალისწინებული;

3.მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების მუდმივი პროფესიული განვითარება, უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) საფუძველზე.

შვეიცარიაში პროფესიული განათლება მაღალი ხარისხი წარმოადგენს ეკონო-მიკის სამრეწველო და ინოვაციური განვითარების საფუძველს და იგი მსოფლიოში ამ მაჩვენებლის მიხედვით პირველ ადგილზეა [European Commission. SWD(2015)]. სისტემის ეფექტიან მუშაობას უზრუნველყოფს მენეჯმენტის ხარისხი და მაღალკვა-ლიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები, რისი წყალობითაც შესაძლებელია ქვეყანაში 250-მდე სხადასხვა თანამედროვე პროფესიის ათვისება. პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში დასაქმებული მასწავლებლების მომზადება და შემდგომი პროფესიული განვითარება ხორციელდება შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, რომელიც სამ ჯგუფად იყოფა: 1.პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლები: 2.ინსტრუქტორები პროფესიული სწავლების დარგში და 3.ინსტრუქტორები ცალკეული კურსების მიხედვით. აღნიშნული კატეგო-რიის პერსონალისადმი საკვალიფიკაციო მოთხოვნები რეგულირდება საერთო ეროვნულ დონეზე და მათი მომზადება ხორციელდება ფედერალურ დონეზე

აღიარებულ სასწავლო დაწესებულებებში. მომზადების მიზანია პროფესიული სწავლების განხორციელება სამი სასწავლო ადგილის მიხედვით: პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში, მიმღებ საწარმოში და სპეციალურ სასწავლო ცენტრებსა და მის ფილიალებში. სამივე კატეგორიის პედაგოგიური პერსონალისადმი კვალიფიციური და პროფესიონალური მოთხოვნები კონკრეტულად განისაზღვრება „პროფესიული განათლების შესახებ“ ფედერალური კანონით (VPETA, მუხლი 45-48) და შესაბამისი სამთავრობო მითითებებით (VPETO, მუხლი 40-54) [Teachers & Trainers in Switzerland. 2017]. მათი მომზადება ხორციელდება მხოლოდ აღიარებულ ინსტიტუტებში, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ კერძო სექტორთან. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლები ყველა ღონეს ხმარობენ და ძალისხმევას არ იშურებენ რათა სტუდენტების მომზადებისა და სწავლების პროცესი წარიმართოს მათალ დონეზე და შესაბამისად დაკმაყოფილებული იქნას კომპანიის მოთხოვნები თანამედროვე სპეციალისტებზე. ისინი ყოველნაირად ეხმარებიან, ახალისებენ და სტიმულს აძლევენ მოსწავლეებს, რათა მეტად დარწმუნებული და მონდომებული იყვნენ თავიანთ მიმდინარე და სამომავლო პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებით. მასწავლებლები თავიანთი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ასევე იხილავენ, აანალიზებენ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ ინტერესებს, ითვალისწინებენ პირად მოლოდინსა და საჭიროებებს.

შვეიცარიაში პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული მომზადების მიზნით, არსებობს სხვადასხვა ტიპის კურსები, რომლებიც ძირითადად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სწავლების ხანგძლივობის მიხედვით. კურსები განკუთვნილია ყველა კატეგორიის მასწავლებლისათვის. კერძოდ: ინსტრუქტორები, რომლებიც სწავლებას ახორციელებენ დამსაქმებელ, მიმღებ კომპანიაში; დარგობრივი კურსებისა და სასწავლო ცენტრების, სავაჭრო სკოლების (Lehrwerkstatt) და სხვა აღიარებულ სასწავლებლების მასწავლებლები; პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საბაზო პროფესიული განათლების ხარისხზე; პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტების მომზადებაზე ფედერალურ დონეზე ბაკალავრიატის გამოცდების ჩასაბარებლად; პროფესიულ კოლეჯებში მომუშავე მასწავლებლები [Heike Suter, 2016]. ცალკეული კატეგორიის მასწავლებლისათ-

ვის განსაზღვრულია კონკრეტული პროფესიული მახასიათებლები, კომპეტენციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მაგალითად, პირველი კატეგორიის მასწავლებლები:

- ✓ უნდა ფლობდნენ სახელმწიფო ან სპეციალურ პროფესიულ ფედერალურ დიპლომს, რომელიც ადასტურებს მას უმაღლეს განათლებას;
- ✓ გააჩნდეს პრაქტიკული გამოცდილება არა ნაკლებ 2 წლისა;
- ✓ წარმატებით ქონდეს გავლილი პროფესიული მომზადებისა და განათლების სპეციალური კურსები 40 სალექციო საათი, ან 100 საათი მოსამზადებელი კურსი, რომელიც უთანაბრდება დიპლომს.

მსოფლიო გლობალური ანგარიშების (Global Competitiveness Report) მიხედვით შვეიცარია ლიდერია ახალი ტექნოლოგიების, ბიზნესისა და ინოვაციების, შრომის ბაზრის ეფექტიანობის დარგში, რასაც ძირითადად პროფესიული განათლების სისტემის მაღალი ხარისხი და მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების პედაგოგიური კადრები განაპირობებს. მათი დიდი ნაწილი შვეიცარიის უნივერსიტეტებსა და უმაღლეს ტექნიკურ სკოლებში (უტს)[19] მზადდება. 2017 წელს აღნიშნული სასწავლებლის ბაკალავრიატისა და მაგისტრის დიპლომი პედაგოგიური სპეციალობით 5198 სტუდენტმა, ანუ კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობის 25,7%-მა, მეოთხედზე მეტმა მიიღო [https://www.se.com/sites/default/files/cserver/].

ავსტრიაში პროფესიული განათლებისა და პროფესიული კადრების მომზადების საერთო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ კომპანიაში მომუშავე პროფესიული განათლების მასწავლებლებს-ტრენერებს. ფაქტობრივად ისინი არიან ფირმის შტატიანი თანამშრომლები უმაღლესი განათლებით, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება, ჩაბარებული აქვთ შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდები და მიღებული აქვთ სწავლებისათვის საჭირო ნებართვა. შედეგად კომპანიაში კადრების პროფესიული მომზადების დონე და ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია ამ მასწავლებლების, ტრენერების პროფესიულ კომპეტენტურობასა და უნარ-ჩვევებზე. ყველა კომპანიაში საჭირო კვალიფიციური ტრენერების რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა რიცხოვნობიდან გამომდინარე და მათ მოეთხოვებათ არა უბრალოდ გარკვეული პროფესიული ცოდნა, არამედ საფუძვლიანი, სიღმისეული განათლება

[19]შვეიცარიაში უმაღლესი ტექნიკური სკოლები (უტს) დაყოფილია შვიდი რეგიონის, დარგის შესაბამისად. სწავლება მიმდინარეობს ორსაფეხურიანი სისტემით, როგორც ბაკალავრიატში, ისე მაგისტრატურაში, 14 ძირითადი, წამყვანი სპეციალობის მიხედვით.

და უნარ-ჩვევები მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებით. ასეთ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განეკუთვნება: სპეციფიკური სასწავლო საგნების ცოდნა; პროფესიული პედაგოგიური განათლება და იურიდიული, სამართლებრივი ცოდნა. ეს უკანასკნელი სავალდებულო არაა მხოლოდ იმ ტრენერებისათვის, რომელთაც გავლილი აქვთ ინსტრუქტაჟის 40 საათიანი კურსი [Dual Vocational..., 2014:126]. წესები უფრო მარტივია და ფორმალურია დაწყებითი პროფესიული განათლების მქონე მასწავლებლებისათვის. შესაბამის დარგში პროფესიულ პრაქტიკასთან ერთად მათი მომზადება მიმდინარეობს უნივერსიტეტის კოლეჯში ბაკალავრიატის საფეხურზე სამწლიანი სასწავლო კურსის გავლის საფუძველზე. პირველ და მესამე წელს სწავლება ხორციელდება არასრული სამუშაო დღის გამოყენებით, ხოლო მეორე წლის ყველა დღე დატვირთულია სრულად. კურსდამთავრებულები ღებულობენ ბაკალავრის ხარისხს (BEd). მასწავლებლები, რომლებიც მზადდებიან სრული სამუშაო დღის განმავლობაში იყოფიან სამ ჯგუფად [BMBF. 2017]: 1.ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებლები და სპეციალისტები ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში; 2.პროფილური საგნის მასწავლებლები და 3.პრაქტიკის მასწავლებლები. პირველი და მეორე ჯგუფის მასწავლებლებისათვის პროფესიული სწავლების დიპლომის მიღების აუცილებელი პირობაა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან მისი დონის დაწესებულებაში მისაღები გამოცდების ჩაბარება, ხოლო მესამე ჯგუფისათვის აუცილებელია ოსტატის (დარგის სპეციალისტის) შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატის და ასევე ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. გარდა აღნიშნულისა, პიროვნულ უნარებთან ერთად, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებად მოითხოვება შესაბამისი პროფესიული გამოცდილების არა ნაკლებ სამი წლის სტაჟი.

ლუქსემბურგის პროფესიული განათლების მასწავლებლები წარმოგვიდგებიან როგორც საჯარო სფეროს, ისე სახელმწიფო მოხელეების სახით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აკმაყოფილებენ განსაზღვრულ კვალიფიციურ მოთხოვნებს. პროფესიული განათლების სისტემაში (VET) პედაგოგად მუშაობისათვის, თუნდაც საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სკოლის დონეზე, აუცილებელია მასწავლებელს ქონდეს უმაღლესი საბაკალავრო ან სამაგისტრო განათლება, რაც აუცილებელია სპეციფიური თეორიული საგნებისა და პრაქტიკული ლაბორატორიული სწავლები-

სათვის. ასევე მას უნდა ქონდეს 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება და ოსტატობის სერთიფიკატი სასწავლო პროცესში პრაქტიკული სემინარების, სწავლების ორგანიზებისათვის. მასწავლებელთა ძირითადი კონტიგენტის შერჩევა ხდება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ. ისინი საწყის ეტაპზე აბარებენ მისაღებ გამოცდას და მხოლოდ ამის შემდეგ დაიშვებიან სპეციალიზირებულ სამწლიან მოსამზადებელ კურსებზე, სადაც მომზადების პროცესი მიმდინარეობს შემდეგი ეტაპების მიხედვით:

- ✓ პედაგოგიური მომზადების ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს საერთო და პროფესიული მომზადების კურსების გავლას, სადაც ხორციელდება კანდიდატი მასწავლებლების მხარდაჭერა პიროვნულ, სოციალურ და პროფესიულ დონეზე. აქვე ხორციელდება სპეციალისტის მომზადება ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლებისათვის;
- ✓ გამოსაცდელი ეტაპი, ღირსეული კანდიდატი მასწავლებლებისათვის, რომელთაც წარმატებით დაამთავრეს პედაგოგიური მომზადების კურსები. აღნიშნულ ეტაპზე კანდიდატები გადიან გასაუბრებას მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორისაგან შედგენილი კომისიის, ჟიურის წინაშე;
- ✓ ბოლო ეტაპზე კანდიდატი ადგენს განაცხადის ფორმას და წრადგენს მას. თუ განაცხადი დაკმაყოფილდა, მასწავლებელი კანდიდატი შეირჩევა სამუშაოზე მისი შესაბამისი პროფილით 18 თვის განმავლობაში [Teachers…, 2017:17].

მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ მასწავლებლები აგრძელებენ უწყვეტი პროფესიული განათლების თანმიმდევრული კურსების გავლას, სადაც ისინი უზრუნველყოფენ თავიანთი პროფესიული ფუნქციების, კომპეტენციების დახვეწასა და განვითარებას. პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და მათი შემდგომი უწყვეტი განათლების პროცესის უზრუნველყოფისა და კონტროლის განხორციელების მიზნით, ლუქსემბურგში, 2015 წლის 30 ივლისის შესაბამისი კანონის საფუძველზე იქმნება ეროვნული განათლების ინსტიტუტი (IFEN), რომელიც ასევე უზრუნველყოფს საწისი და საშუალო დონის პროფესიული განათლების სახელმწიფო მასწავლებლების მომზადებასა და გადამზადებას. სწავლების სპექტრის გაფართოებისა და ხარისხის ამაღლების მიზნით ქვეყანაში ასევე 2008 წლიდან პროფესიული განათლების რეფორმირების პერიოდში იქმნება მოზარდთა ტრენერის პროფესია, რომლებიც გადიან პრაქტიკაზე ორიენტირებულ სპეციალურ მომზადებას,

რაც ითვალისწინებს მათი მოთხოვნების თავისებურებებს სწავლების პროცესში. 2016 წლის სექტემბრიდან, აღნიშნული კატეგორიის ტრენერების მომზადება ხორციელ-დება იგივე პროცედურებით, რაც გათვალისწინებულია პროფესიული განათლების სისტემის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის.

კომპანიები, რომლთაც სურთ მასწავლებელთა სტაჟირება, ან მომზადება, აუცი-ლებლად მოეთხოვებათ შესაბამისი უფლების, ნებართვის (droit de former) მოპოვება. თუ კომპანიის ხელმძღვანელი უშუალოდ არ ახორციელებს სწავლებას, მას უნდა ჰყავდეს შესაბამისი სპეციალისტი, ტუტორი (tuteur) რომელიც თავის მხრივ უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტულ საკვალიფიკაციო მოხოვნებს და გააჩნდეს დიპლომი DAP, ანუ დიპლომი შესაბამისი სპეციალობის მიხედვით პროფესიული კვალიფი-კაციის შესახებ. ზოგიერთი პროფესიის შემთხვევაში აუცილებელია სერტიფიკატი-Master Craftsperson-ის ფლობა. კომპანიის ხელმძღვანელის ან სპეციალისტის ასაკი, რომლებიც დაკავებული იქნებიან საწარმოში მასწავლებელთა მომზადებით 21 წელს უნდა აღემატებოდეს. თუ საწარმოს ხელმძღვანელი თვითონ არის პასუხისმგებელი სპეციალისტების მომზადებაზე, მაშინ იგი უშუალოდ ნიშნავს სწავლების პროცესზე პასუხისმგებელ ერთ ან რამდენიმე პედაგოგს. საჭირო მასწავლებელთა რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი დადგენილებით, მოსამზადებელი კონტიგენტის სიმრავ-ლეზე დამოკიდებულებით. ინსტრუქტორთა ჯგუფი შეიძლება შეიქნას დამსაქმე-ბელთა ორგანიზაციების (სამრეწველო-სავაჭრო პალატა) გადაწყვეტილებით.

დანიაში პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ტრენერების პროფე-სიული და პედაგოგიური კვალიფიკაციის მიმართ სხვადასხვა მოთხოვნებია დაწესე-ბული, რაც უპირველეს ყოვლისა უკავშირდება სპეციალისტების მომზადების დარგში მათ პასუხისმგებლობას. მაგალითად, ტრენერი კომპანიის შიგნით უნდა ფლობდეს მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას და მრავლწლიან პრაქტიკულ გამოცდილებას. ისინი ხშირად ხვდებიან კომპანიის ხელმძღვანელ თანამდებობზე და მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას იღებენ კომპანიის, ან მისი ცალკეული ქვედანაყოფის საქმიანობაზე. პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა კი ხდება კოლეჯების მიერ მათი კვალიფიციური მახასიათებლებისა და კომპეტენციე-ბის შესაბამისად. ასეთ მასწავლებლებს უნდა გააჩნდეთ მეექვსე დონის კვალიფი-ციური თანრიგი (EQF 6) ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად [Training..., 2017:12]. შერჩევის შემდეგ მასწავლებლებმა უნდა გაიარონ თანმიმდევრული პედაგო-

გიური მომზადების პროგრამა ბაკალავრიატის დიპლომის დონეზე 60 კრედიტის (ECTS) ფარგლებში. პროგრამა გათვლილია სკოლაში და საწარმოში სწავლების პერიოდზე. საწარმოში სწავლების პერიოდში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების თანამედროვე მეთოდების აქტიური გამოყენებით პედაგოგებს საშუალება ეძლევათ პრაქტიკაში განავრცონ და განავითარონ საკუთარი პროფესიული კომპეტენციები. სწავლების დანარჩენი პროგრამები წარმატებით ხორციელდება საუნივერსიტეტო კოლეჯებში მთელი დანიის მასშტაბით. თუ მასწავლებელი ოთხი წლის ფარგლებში აღნიშნულ პროგრამას წარმატებით დამთავრებს იგი უკვე უზრუნველყოფილი ხდება მუდმივი სამუშაოთი. 2014 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პროფესიული განათლების სისტემაში მომუშავე ყველა მასწავლებელმა, რომელიც არ ფლობს ზემო-აღნიშნულ დიპლომს, პროფესიული კომპეტენციების განვითარების მიზნით 2020 წლამდე უნდა გაიაროს ანალოგიური პროგრამის სულ მცირე ერთი საგანი მაინც 10 კრედიტის (ECTS) ფარგლებში [Andersen...2016:11]. პროფესიული განათლების ყვე-ლა კოლეჯი მუშაობს ზოგადი სტრატეგიული პედაგოგიური და დიდაქტიკური ბაზის გამოყენებით, რომლის ფორმირებას და დოკუმენტირებას ახდენენ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით. გარდა ამისა მართვის ყველა დონის სპეციალისტს გავლილი უნდა ქონდეთ პედაგოგიური მენეჯმენტის კურსი 10 კრედიტის (ECTS) მოცულობით და ფლობდნენ კვალიფიკაციას EQF 6 დონეზე. პედაგოგიური გეგმები და ინიციატივები ასახვას პოულობენ კოლეჯის სამომავლო საქმიანობის გეგმაში.

ფინეთში პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების საწყისი ეტაპი 1864 წლიდან იწყება, როცა სახალხო სკოლის მასწავლებელთა მომზადების პირველი სემინარი ჩატარდა. პროფესიული საგნების მასწავლებლებად თავდაპირველად იყვნენ პრაქტიკოსი, გამოცდილი სპეციალისტები, პედაგოგიური განათლების გარე-შე. ძირითადად ითვალისწინებდნენ მათ პროფესიულ კვალიფიკაციას. ეტაპობრივად პედაგოგის საქმიანობაში იკვეთება სხვადასხვა ასპექტები: პიროვნული თავისებურე-ბანი; პროფესიული კომპეტეტენტურობის ხარისხი; პედაგოგიური პროფესიონა-ლიზმი. 1900 წლიდან სასურველი გახდა, რომ შესაბამისი დარგის პროფესიული საგნების პედაგოგს ქონოდა არა მხოლოდ სამუშაო გამოცდილება, არამედ შესაბამისი პროფესული განათლება. შემდეგ ეტაპზე ვითარდება დარგობრივი პროფესიული სწავლება, რომელიც მიმდინარეობდა შერჩევითობისა და დარგობრივი პრიორიტე-ტულობის პრინციპით. ასე მაგალითად, 1909 წელს დაიწყო მასწავლებელთა

მომზადება სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის. 1920 წელს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ორგანიზებული იქნა სპეციალური პედაგოგიური კურსები, რომელიც ფუნქციონირებდა 1950 წლამდე. 1931 წელს დაიწყო სამედიცინო დაწესებულებათა პედაგოგიური პერსონალის მომზადება. 1950 წელს გააქტიურდა ვაჭრობის სფეროს პედაგოგთა მომზადება. ტექნიკა და მრეწველობა ამ მხრივ ერთ-ერთი დარგია, რომლისათვისაც შედარებით მოგვიანებით 1959 წელს დაიწყო პროფე-სიული განათლების მასწავლებლების მომზადება.

1987 წელს სხვადასხვა დარგის მასწავლებლებისათვის ორგანიზებულ იქნა ერთიანი პედაგოგიური მომზადება 40 სასწავლო კვირით. ამ მიზნით ქვეყანაში შერჩეულ იქნა იმ პერიოდში ფუნქციონირებადი 20 მცირე სასწავლო დაწესებულება. 1996-1997 წლებში ფინეთში შეიქმნა გამოყენებით მეცნიერებათა საუნივერსიტეტო სისტემა. ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა ხუთი ასეთი სპეციალიზირებული უნი-ვერსიტეტი, რომლებიც დღემდე არიან პასუხისმგებელნი პროფესიული განათლების დაწესებულებებისათვის პროფესიული განათლების მასწავლებლების მოზადებათან დაკავშირებით. ამჟამად ფინეთში სულ ყველა დარგის პედაგოგი დაახლოებით 80000 ადამიანია. მათგან 12000 პროფესიულ სასწავლო დაწესებულებაში მუშაობს, 5500 გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტებში, ხოლო დაახლოებით 2000 მოზადე-ბის პროფესიული გადამზადების სფეროში.

ფინეთში პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპეტენციებისადმი წაყე-ნებული ძირითადი მოთხოვნებია:

1.შესაბამისი პროფილის უმაღლესი განათლება ან უმაღლესი პროფესიული განათლება. შესაბამისად იგი უნდა ფლობდეს უნივერსიტეტის მაგისტრის ან პოლი-ტექნიკური ინსტიტუტის დიპლომს. დასაშვებია სხვა დიპლომიც იმ სფეროდან, რომელიც დამტკიცებულია განათლების სამინისტროს ან შესაბამისი ორგანოს მიერ. პედაგოგების კვალიფიკაცია დიფერენცირებულია პროფესიული განათლების სფეროების, დარგების მიხედვით. მაგალითად, პედაგოგები-სპეციალისტები კომერ-ციული საქმიანიბისა და მართვის, სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის სფეროებში აუცილებლად უნდა ფლობდნენ უნივერსიტეტის მაგისტრის დიპლომს.

2.მიმნიმუმ 3 წლის მუშაობის სტაჟი იმ დარგში, სფეროში სადაც შესაბამისი საგნების მიხედვით ახორციელებენ პროფესიულ სწავლებას;

3.პედაგოგიური განათლება, რომელიც აუცილებელია მომზადების, სწავლების პროცესის დაწყებამდე, ან შესაძლებელია მისი მიღება დისტანციურად პედაგოგიური საქმიანობის პროცესში.

ძირითადი საგნების (ფინური ან შვედური ენა, უცხო ენა, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო საგნები) მასწავლებელი აუცილებლად უნდა ფლობდეს მაგისტრის დიპლომს, შესწავლილი ქონდეს საბაზო და შუალედური დისციპლინები და გავლილი ქონდეს როგორც ერთი წამყვანი საგნის მაღალი დონის, საფეხურის კურსი, ისე სხვა საგნების საბაზო და შუალედური კურსები.

პროფესიული დისციპლინებისა და ძირითადი საგნის მასწავლებლები, რომლებსაც დაგროვილი აქვთ 60 კრედიტი (ECTS) პოლიტექნიკური ინსტიტუტების პედაგოგებისათვის გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად, იღებენ კურატორი/კონსულტანტის კვალიფიკაციას და უფლლება აქვთ იმუშაონ პროფესიულ-ტექნიკური, სავალდებულო განათლების სფეროში, ასევე საშუალო სკოლის უფროს კლასებში. პროფესიული განათლების სფეროში მომუშავე პედაგოგთა 54% ქალია. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში მასწავლებლებთან ერთად ჩართული არიან ოსტატი-ზედამხედველები, რომლებიც ახორციელებენ როგორც ზედამხედველობას, ისე მოსწავლეთა პროფესიული ოსტატობის შეფასებას.

თუ გავითვალისწინებთ ცალკეული ქვეყნების გამოცდილებას შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ევროკავშირის ქვეყნებში [European Commission. SWD (2015)] პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების პროცესში შეიძლება გამოვყოთ საწყისი და ძირითადი პრინციპები. საწყისი პრინციპი გულისხმობს: პედაგოგიური განათლების მიღებას, როგორც მომავალი პედაგოგების მომზადების მრავალდონიანი პროცესის საწყისი რგოლს, ეტაპს; უწვეტი განათლებისა და მომზადების სხვადასხვა სტრუქტურების ფართოდ გამოყენებას და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების კონცეფციის რეალიზაციას. ძირითადი პრინციპი კი ითვალისწინებს სამუშაო ადგილზე სწავლების მეთოდის განვითარებას, რაც გულისხმობს ახალი პედაგოგიური კონცეფციის ჩამოყალიბებას, თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაციას, ახალი მოქნილი საგანმანათლებლო ტრაექტორიის ფორმირებას, არაფორმალური და სპონტანური სწავლების მომზადების შესაძლებლობების გამოყენებას. აღნიშნული პრინციპების რეალიზაცია ეფუძნება შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების გამოყენებას.

პროფესიული განათლების სისტემისათვის პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირებულია: მიმდინარე საქმიანობასა და სამომავლო ამოცანებზე, რომლებიც დგას თანამედროვე სასწავლო დაწესებულების წინაშე. აქ არ არსებობს თეორიისა და პრაქტიკის ტრადიციულად დაყოფა. სასწავლო პროგრამები მოიცავს: შეფასების მეთოდიკას, მათ შორის კომპეტენციების შეფასებასა და თვითშეფასებას, როგორც საკუთარი, ისე საწარმოს საქმიანობის ნაწილში; უნარების ფორმირებას (ჯგუფებში მუშაობა, პრობლემების გადაწყვეტა, საპროექტო სამუშაოების ორგანიზაცია და მასში მონაწილეობა, სხვა პიროვნული, სოციალური, მეთოდური და კომუნიკაციის უნარები); სასწავლო პროგრამების ორგანიზება, მათი შინაარსისა და სტრუქტურის განსაზღვრა, მასწავლებლის როგორც სასწავლო გარემოს ორგანიზატორისა და სტუდენტების მენტორის ცვალებადი როლის გათვალისწინებით; მოქნილი საგანმანათლებლო ტრაექტორიების შემუშავება პროფესიული-პედაგოგიური კადრებისათვის. ძირითადად გამოიყენება დაჩქარებული სწავლის პროგრამები, რომელიც ითვალისწინებს თეორიული სწავლების, მეცადინეობების პრაქტიკული სწავლებით ჩანაცვლებას და დამატებითი პროფესიული განათლების პროგრამები, იმ პირებისათვის, რომლებსაც აქვთ პედაგოგიური განათლება, მაგრამ არ გააჩნიათ სამუშაო გამოცდილება. მაგ. საფრანგეთში პროფესიული განათლების პედაგოგებთან მიმართებაში გამოიყენება „ალტერნატიული მომზადება“, ანუ მომზადება სასწავლო დაწესებულებაში და საწარმოში. სწავლების ასეთი მეთოდის უპირატესობაა ის, რომ მომავალი მასწავლებლები იძენენ ახალ უნარებს და ნოუ-ჰაუს მათი საქმიანობის სფეროში, უშუალოდ საწარმოში (მაგალითად, ინსტრუქტორებისა და კოორდინატორების მომზადება სწავლების დარგში). უნივერსიტეტები და კოლეჯები პარტნიორულ ურთიერთობებს ამყარებენ საწარმოებთან, რათა ყოველ მომავალ მასწავლებელს ქონდეს საშუალება რამდენიმე თვის განმავლობაში გაიაროს პრაქტიკა. საწარმოებში სტაჟირება წარმოადგენს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან **(გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, ლუქსემბურგი, დანია, ფინეთი)** ერთად მნიშვნელოვანია ყოფილი პოსტკომუნისტური ქვეყნების **(ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, პოლონეთის, რუსეთის)** პროფესიული განათ-

ლების მოდელების განხილვა, რომლებიც ცალკეული ექსპერტების შეფასებით „ყველაზე ახლოს დგნან საქართველოს სინამდივლესთან“ [განკარგულება №2624, 2014].

ლატვიის რესპუბლიკაში 2002 წლიდან ე. წ. კოპენჰაგენის პროცესის შედეგად ევროპული თანამშრომლობის ფარგლებში აქტიური მუშაობა იწყება პროფესიული განათლების სისტემის განვითარების თვალსაზრით, რაც მეორეს მხრივ ევროკავშირში ქვეყნის წარმომადგენლობის პრიორიტეტი და ვალდებულება ხდება. [European Commission. SWD(2015)]. ბრიუგეს კომუნიკეს ფარგლებში განსაზღვრული გრძელვადიანი (2020 წლამდე პერიოდში) ამოცანების შესაბამისად პროფესიული განათლების სისტემის განვითარების თვალსაზრისით სერიოზული რეფორმები იწყება 2014 წლიდან [Vocational..., 2015]. სტაბილური ეკონომიკური ზრდის, ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის მაღალი დონის შემცირებისა და დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებისა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მსწავლებლების მომზადებას. მათ განსაკუთრებული როლი აკისრიათ სწავლების ხარისხის ამაღლებაში, მუშაობენ განათლების თითქმის ყველა საფეხურზე, ახორციელებენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას და შესაბამისად უზრუნველყოფენ: სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციას სახელმწიფო პროფესიული განათლების სტანდარტების შესაბამისად; შემოქმედებით საქმიანობასა და სწავლების პროცესში სტუდენტების სტიმულირებას, შემოქმედებითობას, დამოუკიდებლობას; სასწავლო სილაბუსების განვითარებას, მათ პერიოდულ სრულყოფას და პროფესიული სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებას; სწავლის პროცესში ახალი იდეების, ტექნოლოგიებისა და მეთოდების შემოღებას; მსმენელთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებას. შესაბამისად მათი პროფესიული ვალდებულებებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგინდა სპეციალური სტანდარტები (წესები) პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებასთან დაკავშირებით, რომლებიც ახორციელებენ სწავლებას პროფესიული განათლების დაწყებითი, საბაზო, საშუალო, უწვეტი განათლების საფეხურზე, ასევე კვალიფიკაციის ამაღლების პროფესიული პროგრამების მიხედვით. მათთვის პედაგოგიური განათლების მიღება ხორციელდება შემდეგი პროგრამების საფუძველზე: მაღალი დონის აკადემიური და პროფესიული სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრა-

მები, რომელიც ანიჭებს მასწავლებლის კვალიფიკაციას, ან ბაკალავრის, ან მაგისტრის ხარისხს პედაგოგიკის სფეროში; უმაღლესი განათლების საწავლო პროგრამები, სადაც პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიური პრაქტიკის კურსების გავლა ხორციელდება შესაბამის სფეროში, საგანში, დარგში პროფესიული კვალიფიკაციის შეძენასთან ერთად; სასწავლო პროგრამები უმაღლეს სასწავლებლებში, რომლის შედეგადაც ისინი ღებულობენ ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის ხარისხს შესაბამისი მეცნიერების დარგში, რომელიც შეესაბამება სასწავლო საგნის პროფილს.

სასწავლო პროგრამებიდან უნდა გამოვყოთ პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული სწავლების პროგრამა (არა ნაკლებ 320 საათი), რომელსაც ახორციელებენ აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლები, განათლების სისტემის მართვის შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით. საინტერესოა მომზადების ცალკეული ეტაპის მიხედვით აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების მიმოხილვა. ასე მაგალითად, პროფესიული მასწავლებლის მომზადების საწყისი საგანმანათლებლო პროგრამის მოდული მოიცავს 10 სასწავლო სავალდებულო საგანს, რომელთა სწავლების მინიმალური ხანგძლივობა 320 საათს შეადგენს **(იხ. ცხრილი 2.2-1).** პროგრამის მაქსიმალური ხანგძლივობა კი სამი წელია.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული სწავლების პროგრამასთან ერთად მათი პროფესიული ზრდის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და შემდგომი განვითარების მიზნით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: კვალიფიკაციის ამაღლების პროფესიული პროგრამა, პედაგოგებისათვის, რომლებიც ახორციელებენ მოზრდილთა სწავლებას წარმოებისაგან მოწყვეტის გარეშე (არა ნაკლებ 160 საათისა) და უწყვეტი განათლების პროგრამა, პედაგოგიური უნარ-ჩვევების შემსწავლელი სემინარები, კურსები და პროექტები, რომლებიც ფასდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების მასწავლებლების სერტიფიცირების კომისიის მიერ. ასე მაგალითად, პედაგოგი ვალდებულია ჩაერთოს უწყვეტი განათლების პროცესში. შესაბამისად, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული პედაგოგიური ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაიაროს დამსაქმებლის (საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის) მიერ ორგანიზებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი კურსები, სემინარები, მონაწილეობა მიიღოს პროექტებსა და სხვა ღონისძიებებში ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, მინიმუმ 36 საკონტაქტო საათის ხანგძლივობით [Cabinet Regulation No.773. 2005].

ცრილი 2.2-1

პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების საწყისი საგანმანათლებლო პედაგოგიური პროგრამა

N	პროგრამის მოდულის შინაარსი	სათების რაოდენობა
1	ზოგადი პედაგოგიკა. დიდაქტიკის საფუძვლები. სწავლება.	32
2	განათლების სისტემა, ნორმატიული კანონმდებლობა. შრომის კანონმდებლობა. პროფესიული განათლების დაწესებულებათა მართვა, მართვის სტრუქტურა.	32
3	პედაგოგიური კომუნიკაცია. მასწავლებლის პროფესია, ფუნქციები და მოვალეობები. მასწავლებლების ეთიკა.	32
4	ზოგადი და პიროვნული ფსიქოლოგია. განვითარების ფსიქოლოგია. სწავლის პროცესის ჰიგიენა	32
5	სოციალური გარემო და პიროვნების სოციალიზაცია. სოციალური პარტნიორობა პროფესიულ განათლების სფეროში	32
6	სწავლებისა და კვლევის მეთოდები, მეთოდოლოგია. საგნის თემატური პროგრამა.	32
7	საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება. პროფესიული განათლების პროგრამა: ფორმირების პრინციპები და მოთხოვნები. მასწავლებლის მეთოდოლოგიური მუშაობა	32
8	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში	32
9	სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პრაქტიკა	32
10	კვლევითი საქმიანობის ორგანიზაცია, კვლევის მეთოდები, პროექტის დამუშავება	32

წყარო: Procedures for the Acquisition of Education and Professional Improvement for Vocational Education Teachers. Republic of Latvia. Cabinet Regulation No.773. Adopted 18 October 2005.

პროფესიული განათლების პედაგოგებისათვის, რომლებიც დაკავდებიან პრაქ-ტიკით, კომუნიკაციის სფეროს საგნების, ეკოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ეკონომიკა და სხვადასხვა დარგის ტექნოლოგიების სწავლებით, უნდა გააჩნდეთ შესაბამისი სფეროს კონკრეტული პროფესიული კვალიფიკაცია. ამიტომ, მათთვის აუცილე-ბელია შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების გავლა: უმაღლესი (აკადემიური ან პროფესიული) სასწავლო პროგრამები ან პროფესიული საშუალო განათლების პროგრამები, რომლის გავლის შემდეგ ენიჭებათ სამეცნიერო ხარისხი ან შესაბამისი დარგის პროფესიული კვალიფიკაცია; პროფესიული განათლების პროგრამები და

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები არანაკლებ 60 საკონტაქტო საათის (60 contact hours) ოდენობით (EU PHARE BERIL) პროგრამა ბიზნესის ეკონომიკის სფეროს სწავლებისთვის, კომპიუტერის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები ევრო-პული კომპიუტერული მართვის ლიცენზიის მისაღებად, საბუღალტრო პროგრამები და პროგრამები სხვა სფეროების შესაბამისი დიპლომების მოწმობის შეძენისათვის. ამ პროგრამების გავლის შემდეგ მასწავლებლები ღებულობენ დიპლომს უმაღლესი (აკადემიური ან პროფესიული) განათლების სფეროში, რის საფუძველზეც მათ ეძლე-ვათ უფლება განახორციელონ როგორც დაწყებითი, საბაზო, ისე საშუალო პროფე-სიული განათლების პროგრამები და გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროგრამები.

როგორც ვხედავთ ლატვიის რესპუბლიკაში ძალზე დიდი ყურადღება ექცევა პროფესიული განათლების მსწავლებლების მომზადებასა და მათ ყოველმხრივ განვითარებას. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნებისმიერი მასწავლებლისა-თვის, რომელ საფეხურზეც არ უნდა ასწავლიდეს იგი, აუცილებელი, სავალდებულო მოთხოვნაა პედაგოგიკის სრული კურსის გავლა. ამიტომ პროფესიული სწავლების მასწავლებლები, რომელთაც არ გააჩნიათ პედაგოგიური კვალიფიკაცია, ვალდებული არიან გაიარონ პედაგოგიური სწავლების სრული კურსი 72 საათის ოდენობით უმაღლეს სასწავლებლებში (მინისტრთა კაბინეტი, ლატვია, 2014წ.). ანუ პროფე-სიული სწავლების პედაგოგს მოეთხოვება სულ მინიმუმ: ა)უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში (მაგ. საინჟინრო), რომელსაც ავსებს პედაგოგიური კურსი (72 საათი); ბ)საშუალო პროფესიული, ან სახელობო (master of crafts) განათლება, რომელ-საც ავსებს პედაგოგიური კურსი (72 საათი). რაც შეეხება მაღალი (მეოთხე და მეხუთე) დონის საფეხურებს, აქ სწავლებისათვის აუცილებელია პედაგოგს ქონდეს უმაღლესი განათლება, პროფესიული პრაქტიკა, ან ექვსი წლით პროფესიით მუშაობის გამოცდი-ლება, პრაქტიკული სტაჟი. მიუხედავათ იმისა რომ 2009/2010 წლების შედეგ პროფე-სიული მასწავლებლების საერთო რაოდენობის შემცირება 14%-ით დაფიქსირდა, მათი უმრავლესობა უმაღლესი განათლების მქონეა და ამ უკანასკნელთა წილი კი პირიქით, აღნიშნულ პერიოდში 81.0%-დან 87.0%-მდე გაიზარდა [Vocational..., 2015].

პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებასთან დაკავშირებით თითქმის ანალოგიური მოთხოვნებია **ლიტვასა და ესტონეთში.**ეს ქვეყნები აღნიშნულ სფეროში მიმდინარე რეფორმებს ახორციელებენ ეროვნული პროგრამის ჩარჩოებში ევროკომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, მათი რეკომენდაციების

შესაბამისად [European Commission. Lithuania: national reform programme 2020; European Commission. SWD(2015)]. ასე მაგალითად, ლიტვაში მასწავლებელმა რომელმაც მიიღო შესაბამისი პროფესიული განათლება, შემდეგ საფეხურზე აუცილებლად უნდა გაიაროს სავალდებულო პედაგოგიური კურსი, რაც შესაძლებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იგი ძალზე მნიშვნელოვანია მასწავლებლებისათვის, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და მაღალი პროფესიული ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით და არსებითადაა დაკავშირებული პროფესიულ პრაქტიკასთან-პრაქტიკულ სწავლებასთან. ლიტვის დაწყებითი პროფესიული განათლების ინსტიტუტებში (IVET) პროფესიულ სწავლებას ახორციელებენ მასწავლებლები ზოგადი განათლების სფეროში (bendrojo ugdymo dalykų mokytojai) და მასწავლებლები პროფესიული სწავლების დარგში (profesijos mokytojai). საშუალოდ ეს უკანასკნელნი შეადგენენ მთელი პედაგოგიური კოლექტივის ნახევარს **(იხ. ცხრილი 2.2-2).**

ცხრილი-2.2-2

მასწავლებელთა შემადგენლობა და სტრუქტურა ლიტვის IVET ინსტიტუტებში

სასწავლო წელი	მასწავლებლები სულ[20]	მათ შორის პროფესიული სწავლების მასწავლებლები	
		სულ	%
2009/2010	3882	2116	54.5
2010/2011	3962	2194	55.4
2011/2012	3897	2120	54.5

წყარო- Vocational education and training in Lithuania Short description. Luxembourg: Publications Office of the European Union, 2013. ISBN 978-92-896-1355-2 doi: 10.2801/48640; European Centre for the Development of Vocational Training (Cedefop), 2013. www.cedefop.europa.eu/files/4128-en.pdf.

პროფესიული განათლების მასწავლებელს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ უდა გააჩნდეს პროფესიული პედაგოგის კვალიფიკაცია, ან სავალდებულო წესით გაიაროს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კურსები. მათი მომზადება ხორციელდება ე. წ. „თანმიმდევრული მოდელის“ გამოყენებით. ანუ, მასწავლებლებმა მათი პროფესიუ-

[20]აღნიშნული კატეგორია მოიცავს პედაგოგებს ზოგადი საგნების სწავლების დარგში, პროფესიული სწავლების მასწავლებლებს, კლასის მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებსა და მის მოადგილეებს.

ლი კვალიფიკაციის მიუხედავად, როგორიც არ უნდა იყოს განათლების დონე და ხარისხი, აუცილებლად უნდა გაიაროს 120 საათიანი სრული კურსი პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში [Vaitkut, 2016]. კურსების ორგანიზებას ახორციელებენ სპეციალური აკრედიტირებული ორგანიზაციები და დაწესებულებები. გარდა ამისა უნივერსიტეტებს აქვთ პროფესიული სწავლების მასწავლებელთა მომზადების პროგრამები. თანამედროვე პირობებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს მათი ტექნოლოგიური კომპეტენციების განახლება. ამიტომ 2010 წლიდან დაიწყო სპეციალური პროგრამების განხორციელება საპილოტე პროექტების გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. დამსაქმებლებსა და მათ ორგანოზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე დამუშავდა დაახლოებით 100 სასწავლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის 12 სხვადასხვა სექტორში 650 მასწავლებლის მომზადებას, დარგობრივი პროფესიული განათლებისა (სწავლების) სფეროში და კოლეჯების მასწავლებლებს, რაც ხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენებით [Learning..., 2017; European Commission. SWD(2015)].

პოლონეთის პროფესიული განათლების სისტემა განსხვავებული და ინდივიდუალურია. აქ მასწავლებლის ოთხი განსხვავებული კატეგორია არსებობს: 1.ზოგადი პროფილის, ანუ კოლეჯის მასწავლებლები (ისინი მუშაობენ ისეთ კოლეჯებში, რომლებიც არ არიან აღიარებული უმაღლესი სასწავლებლის დონეზე MCKO-4); 2.საგნის მასწავლებლები, ანუ მასწავლებელი თეორიული სწავლების დარგში; 3.მასწავლებლები პრაქტიკული პროფესიული მომზადების დარგში და 4.მასწავლებლები კონსულტანტები, კოორდინატორები. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ოთხ კატეგორიას აერთიანებს: ა)მასწავლებელი-პედაგოგი, რომელიც უშუალოდ არის ჩართული სტუდენტების სწავლების პროცესში; ბ)მასწავლებელი-ფსიქოლოგი, რომელიც ფსილოგიურ დახმარებას უწევს სტუდენტებს, მასწავლებლებს და მშობლებს; გ)მასწავლებელი-მეთოდისტი, რომელიც დახმარებას უწევეს მასწავლებლებს და სასკოლო საბჭოს; დ)მასწავლებლები-კონსულტანტები, მრჩეველები, რომლებიც ამუშავებენ სასწავლო მასალას, პროგრამას და ატარებენ სასწავლო კურსებს მასწავლებლებისა და ხელმძღვანელი მუშაკებისათვის. აღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარე, ყველაზე მაღალი, განსაკუთრებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები სწორედ მრჩეველ მასწავლებელთა მიმართ არსებობს. სხვა ქვეყნების რეალურ პრაქტიკაში მათ საქმიანობას

მასწავლებელი-მენტორის (ევროპაში ზოგადად არსებობს მენტორ-მასწავლებელის სტანდარტი) საქმინობას უდარებენ, რომელიც სასწავლებელში შეიძლება ადმინისტრაციის წარმომადგენელიც იყოს. პოლონეთში ამ კატეგორიის მასწავლებელი უნდა ფლობდეს მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილებას და გავლილი უნდა ქონდეს პროფესიული განვითარების შესაბამისი ტრენინგები, რომელიც დასტურდება სათანადო საკვალიფიკაციო სერთიფიკატით ან სხვა დოკუმენტით [Kuchai, 2013:19]. ზოგადად საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსხვავებულია ყველა კატეგორიის მასწავლებლების მიხედვით. მაგრამ, მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უმაღლეს განათლებას და სავალდებულო პედაგოგიური კურსის გავლას ენიჭება.

მასწავლებლები-მეთოდისტები და მასწავლებელი-კონსულტანტები, რომლებიც ჩართული არიან მხოლოდ უწყვეტი განათლების სისტემაში ინსტუქტორების სახით უნდა ქონდეთ: ა)მაგისტრის ხარისხი ან პედაგოგის კვალიფიკაცია; ბ)პროფესიული დაწინაურების კვალიფიკაცია მესამე ან მეოთხე კლასის, საფეხურის შესაბამისად (დაწინაურების ოთხსაფეხურიან სისტემაში) [Vocational education and training in Poland. (Cedefop), 2016].; გ)უნდა ქონდეს მინიმუმ მასწავლებლად მუშაობის 5 წლის სტაჟი. პერსპექტიული კონსულტანტების მომზადება ძირითადად ხორციელდება სამუშაოდან მოწყვეტის გარეშე, ისევე როგორც სხვა კატეგორიის მასწავლებელთათვის. თუმცა, არსებობს სპეციალურად ამ ჯგუფისათვის განკუთვნილი მოსამზადებელი კურსებიც. პრაქტიკის მასწავლებლებს მოეთხოვებათ სპეციალური პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც სრულად შეესაბამება მათი საქმიანობის პროფილს. ხოლო ტრენერი-სპეციალისტები კანონმდებლობის შესაბამისად უნდა უზრუნველყოფდნენ პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისობას დაგეგმილი სწავლების, მომზადების პროცესის ტიპთან. სამუშაოდან მოწყვეტის გარეშე სწავლება ხორციელდება, როგორც იმ დაწესებულებებში სადაც მასწავლებლები მუშაობენ, ისე სხვადასხვა გარე ორგანიზაციებში. ამ უკანასკნელის საკმაოდ ფართო ქსელი არსებობს მასწავლებელთა სასწავლო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, უწყვეტი სწავლების პროვაიდერების და პედაგოგიური კოლეჯების სახით. მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო აკადემიური პერსონალის შემადგენლობა განისაზღვრება ადგილობრივი კანონმდებლობით, მაგრამ ამ კუთხით ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი ეროვნული შეთანხმებები.

რუსეთის ფედერაციაში პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების სისტემის ფორმირება 1920 წლიდან დაიწყო. მან საკმაოდ რთული გზა განვლო. თანამედროვე პირობებში იგი განათლების სისტემის დამოუკიდებელი დარგია, რომელიც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებას 50-ზე მეტი სპეციალობის მიხედვით, რომლებიც თავის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა პროფილისა და დონის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებში [Рябов, 2006:192; Тенчурина, 2000:228]. კონცეპტუალური თვალსაზრისით „პროფესიული პედაგოგიური განათლება განხილულია, როგორც პიროვნების ფორმირების პროცესი, რომელსაც აქვს საკუთარი თავის, შესაძლებლობების ეფექტიანად რეალიზაციის უნარი პროფესიული განათლების სფეროში, შეუძლია ინტეგრალური საგანმანათლებლო პროცესის ყველა კომპონენტის ამოქმედება, განხორციელება, პროფესიულ-საგანმანათლებლო ფუნქციების სპექტრის წარმატებით შესრულება“ [Романцев, 2016:151]. აღნიშნული განათლება ხორციელდება სამი სახის სასწავლო დაწესებულებაში, რომელსაც შეუძლია შინაარსობრივად, მეთოდურად, მატერიალურად და ტექნიკურად უზრუნველყოს მისი დონის შესაბამისობა სახელმწიფოს მიერ დადგენილ სათანდო სტანდარტებთან[21]. პროფესიული პედაგოგიური განათლების სისტემის მეშვეობით ყოველწლიურად მზადდება 15000 კურსდამთავრებული ტექნიკუმების, კოლეჯებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით. აღნიშნული რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ შეივსოს დაახლოებით 60% ვაკანსიებისა, რომლებიც ყალიბდება ყოველწლიურად პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კადრების დენადობის შედეგად. პროფესიული პედაგოგიური განათლების (პპგ) სისტემასთან ერთად რუსეთში ფუნქციონირებს სხვადასხვა დონის პროფესიული სასწავლებლებისათვის პედაგოგების მომზადების ელექტრონული სქემები, რომლებთაც აქვთ მკაცრად განსაზღვრული ორიენტაცია. კერძოდ, ისინი ხორციელდება უმაღლესი დარგობრივი (საინჟინრო, ტექნიკური და სხვა) განათლების მეშვეობით, რომელსაც ავსებს ფსიქოლოგიურ-

[21]იგულისხმება-Приказ Минтруда России от 08.09.2015 N 608н "Об утверждении профессионального стандарта "Педагог профессионального обучения, профессионального образования и дополнительного профессионального образования" (Зарегистрировано в Минюсте России 24.09.2015 N 38993). http://www.sli.komi.com/files/prikaz-mintrud-n608n-08.09.2015.pdf, რომელიც სავალდებულოა დამსაქმებლებისათვის საკადრო პოლიტიკის ფორმირებისას, პერსონალის მართვის, მომუშავეთა მომზადებისა და ატესტაციის ორგანიზების, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების, თანამდებობრივი სარგოებისა და შრომის ანაზღაურების სისტემის განსაზღვრის პროცესში 2017 წლის 01 იანვრიდან. იხ. www.istu.ru.

პედაგოგიური მომზადება, ან პედაგოგიური სწავლება, რომელსაც ემატება დარგობრივ ჭრილში მომზადება. აღსანიშნავია, რომ ცალკეული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადება ხორციელდება: ა)უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მიხედვით; ბ)საინჟინრო-ტექნიკურ სასწავლებლებში; გ)საინჟინრო პროფესიულ-პედაგოგიურ სასწავლებლებში პროფესიული ჯგუფების მიხედვით, გარკვეული სპეციფიკით შემდეგი პოზიციების გათვალისწინებით: სპეციალისტების მომზადების ორიენტაცია; ტექნოლოგიური მომზადების ხასიათი და შინაარსი სპეციალისტის მომავალი პროფესიული პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისათვის; საგანმანათლებლო პროცესის პროფესიონალური მიმართულების რეალიზაცია; კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობა.

მიუხედავათ იმისა, რომ ქვეყანაში არსებული უმაღლესი პროფესიული განათლების სისტემა უდიდეს როლს თამაშობს თანამედროვე პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების დარგში, ცალკეული სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ „მას ამ სფეროში დომინირებული როლი არ შეიძლება განეკუთვნოს“ [Zyryanova..., 2016:149]. აღნიშნული სისტემის შემდეგი განვითარების მიზნით მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ: „არსებული საინჟინრი და პროფესიულ-პედაგოგიური ფაკულტეტების ნაწილის გარდაქმნა დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლებად და ფილიალებად; პროფესიულ-პედაგოგიური ფაკულტეტების ქსელის გაფართოება, რაც შესაძლებელია როგორც ახალის გახსნით, ასევე დარგობრივი უმაღლესი სასწავლებლების საინჟინრო-პედაგოგიური კათედრების გარდაქმნის, რეორგანიზაციის მეშვეობით“ [Dorozhkin... 2017:63–81; Zeer... 2016:40–56].

საქართველოში პროფესიული განათლებისა და შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების სისტემის ფორმირებამ საკმაოდ დიდი და შრომატევადი გზა განვლო. სხვადასხვა პერიოდში სოციალურ–ეკონომიკური ვითარების ცვლილების შესაბამისად იგი სერიოზული პრობლემებისა და წინააღმდეგობებს აწყდებოდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ განათლების სისტემისა და მთლიანად ეკონომიკაში მიმდინარე დღევანდელი რეფორმების პერიოდში მისი ერთიანი სისტემური სახე ჯერ კიდევ არაა შექმნილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და მისი მდგომარეობის დეტალური ანალიზი

საქართველოში. საკითხის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ როგორც ნაშრომის შესავალში აღვნიშნეთ, დღეისათვის საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს პროფესიული განათლების სფეროში პედაგოგიური კადრების მომზადების ერთიანი სისტემა, რომ არაფერი ვთქვათ მათი საქმიანობის სტიმულირების ბერკეტეზე. დღემდე არაა შემუშავებული და დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითრებისა და კარიერული წინსვლის წესი და პირობები“ [კანონო N3442, 2018]. ეს მაშინ, როცა პროფესიული განათლების სისტემასა და აქ მომუშავე პედაგოგიურ კადრებს უდიდესი როლი აკისრიათ ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში. პროფესიული განათლების მასწავლებელი, როგორც ადამიანის სულის შემოქმედი, არის პიროვნება, რთული სასწავლო–აღმზრდელობითი სამუშაოს ზედამხედველი და ორგანიზატორი, რომელიც სტიმულს აძლევს სტუდენტებს სწავლებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის, ეხმარება დამოუკიდებელი საქმიანობის ორგანიზებასა და განხორციელებაში, ხელს უწყობს თითოელი ადამიანის უნარების მაქსიმალურად გამოყენებას და განვითარებას. პროფესიულ სტუდენტებთან, სტუდენტების მშობლებთან, კოლეგებთან, დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, დაწესებულებაში დასაქმებულ სხვა პირებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობაში იგი მკაცრად უნდა იცავდეს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის ძირითად პრინციპებს [ბრძანება №164/ნ, 2014]. სწორედ ამიტომ იყო, რომ 2005 წლიდან მთავრობის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული პროფესიული განათლების კონცეფციის შესაბამისად [დადგენილება N150, 2005წ.] მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის დაახლოებასა და ინტეგრაციას ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან[22] და შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების საკითხებს. ამიტომ, კონცეფციის ძირითადი მიზნის გადასაწვეტად დასახულ ამოცანათა შორის გამოიყო: მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მომზადება–გადამზადების პრინციპულად ახალი სისტემის შემუშა-

[22]იგულისხმება ე.წ. „კოპენჰაგენის პროცესი“, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ევროპაში 2002 წელს, „პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ“ დეკლარაციის (კოპენჰაგენის დეკლარაცია) მიღებით. შედეგად ევროპულ სივრცეში მყოფმა ქვეყნებმა დაიწყეს საერთო მიდგომებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ურთიერთთავსებადი სისტემების ფორმირება;

ვება, თანამედროვე ინოვაციური მეთოდებისა და მიღწევების გათვალისწინებით, სრულყოფილი და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის დამუშავება და სხვა.

სწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების სისტემის ფორმირების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს 2007-2010 წლებში განათლების სფეროში ახალი კანონების მიღება.[23] კერძოდ, „პროფესიული განათლების შესახებ“ 2007 წლის მარტში მიღებულმა კანონმა დადგინა „საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობები“, განსაზღვრა პროფესიული განათლების სახეები, საფეხურები და მისი დაფინანსების პრინციპები. კანონის 12[1] მუხლით კი დადგინდა პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსი: კერძოდ: „პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს–უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება“ [კანონი N3529, 2010:3]. სხვა დანარჩენი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობასთან, პროფესიულ და კვალიფიციურ მახასიათებლებთან, მის მომზადებასა და პროფესიულ განვითარებასთან, კანონის მიხედვით შესაბამისი პროფესიული სტანდარტით უნდა დარეგულირებულიყო. ანუ შეიძლება ითქვას, რომ შესაბამისად, აქ არ იყო განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, პედაგოგიურ და პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული განათლების მასწავლებელი, ან მათი კონკრეტული ჯგუფები. კანონი ასევე არ განსაზღვრავდა მასწავლებლის საქმიანობის შეფასების, საჭიროებების დადგენის, მათი მოსამზადებელი პროგრამის შექმნის, პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის წესებს და სხვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კანონის შესაბამისად განისაზღვრა იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებათა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და სახეები, სადაც პროფესიული განათლების მასწავლებლები შესაბამისი პროფესიული

[23]კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, N1330, 2005 წლის 8 აპრილი; კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ N688, 21 დეკემბერი 2004 წელი; კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ N4528, 28 მარტი 2007 წელი; კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, N3531, 21 ივლისი 2010 წელი.

საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე ახორციელებენ თავის პროფესიულ საქმიანობას. ესენია: პროფესიული კოლეჯი (მომზადებას ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის მიხედვით), საზოგადოებრივი კოლეჯი (მომზადებას ახორციელებს ყველა-ხუთივე საფეხურზე), უმაღლესი საგანამათლებლო დაწესებულება. ეს უკანასკნელი ამზადებს სპეციალისტებს პროფესიული განათლების ხუთივე საფეხურის მიხედვით. შესაბამისად, ცალკეული ოფიციალური წყაროს მიხედვით პროფესიული განათლების მოქმედ სისტემაში დღემდე ჩართული არიან მასწავლებელთა შემდეგი ჯგუფები: „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე საგნის მასწავლებლები; სპეციალობაში თეორიის მასწავლებლები; სასწავლო პრაქტიკის მასწავლებელი, ანუ ინსტრუქტორები; პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის თანამშრომლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკული უნარების შეძენას სამუშაო ადგილზე. ისინი ან დაქირავებული არიან მასწავლებლად პროფესიული კოლეჯის მიერ, ან შეიძლება მუშაობდნენ საწარმოში [განკარგულება №2624, 2014]. 2011 წლის ივნისიდან კი პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული ცოდნის, პედაგოგიური და პრაქტიკული უნარების მთავარი განმსაზღვრელი დოკუმენტი ხდება საქართველოში პირველად მიღებული და დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“ [ბრძანება №97/ნ, 2011], რომელშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე [ბრძანება №168/ნ, 2014], რის შედეგადაც მან საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღი. პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდრტი ზემოთ განვიხილეთ დეტალურად.

პროფესიული განათლების მასწავლებელის მომზადებისა და განვითარების კუთხით ასევე ძალზე მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სისტემის განვითარების გრძელვადიანი სამთავრობო სტრატეგია [სტრატეგია (2013-2020), ბრძანება N300, 2013], რომელიც მოიცავს 2020 წლამდე პერიოდს. პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების თვალსაზრისით სტრატეგია ითვალისწინებს ამ სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევის (პროფესიული განათლების სფეროში პედაგოგიური კადრების მომზადების, პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიაში შესვლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების სისტემის არარსებობა) დაძლევასა და კონკრეტული შედეგის მიღწევას. იგი ითვალისწინებს პროფე-

სიული განათლების მასწავლებელთა მომზადებას თანამედროვე მიდგომებისა და სფეროს უახლესი მიღწევების შესაბამისად, რაც ასევე გულისხმობს კომპეტენციის ამაღლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობას. წარმოდგენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით, დასახული მიზნების რეალიზაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის შემდგომი პროფესიული განვითარებისა და პრესტიჟის ამაღლების მიზნით, მნშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მათი პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავება და მისი შემდგომი შესრულების ანგარიშის პერიოდულად წარმოდგენა [პროგრამის ანგარიში, 2016]. პროფესიული განათლების მასწავლებლების როლის მნიშვნელობის, პასუხისმგებლობისა და პრესტიჟის ზრდის მიზნით გათვალისწინებული იყო სხვა ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, სერიზული სამუშაოები დაიგეგმა პროფესიული განათლების სისტემის მართვის ხარისხის, ეფექტიანობის ამაღლების, ამ სფეროში სოციალური პარტნიორობის სისტემის განვითარების, დამსაქმებლებისა და კერძო სექტორის ჩართულობის გაფართოების მიმართულებით. სასწავლო პროგრამების განვითარების კუთხით კი მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკული სწავლების კომპონენტის შემოღება, 2016 წლიდან კი "სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების" კონცეფციის პილოტირება და ახალი დუალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა[24]. პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და მათი შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების სისტემატურად გატარების აუცილებლობა განპირობებულია სწავლებისა და შეფასების სისტემის ხარისხის სრულყოფის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, 2017-2018 წლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადება და განვითარება დაგეგმილი იყო აქტივობის ხუთი ძირითადი

[24]დუალური პროგრამების საფუძველზე, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (Work-Based Learning) ახალი მოდელის დანერგვა საქართველოში დაიწყო საპილოტე პროექტების მეშვეობით, რომელთაც ხელს უწყობენ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და შვეიცარიის მთავრობა. მასში აქტიურადაა ჩართული საქართველოს მთავრობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ფერმერთა გაერთიანებები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული კოლეჯები. 2016 წლის ბოლოდან, ახალი მოდელის პილოტირება სოფლის მეურნეობის სფეროში ხორციელდება, რაც გერმანული, დუალური სისტემით სწავლებას ეფუძნება. კერძოდ, იგი ოთხ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამოქმედდა: ახალციხეში, წინამძღვრიანთკარში, სენაკსა და კაჯრეთში მდებარე პროფესიულ კოლეჯებში. 2017-2018 წლებში დუალური პროგრამების რიცხვი 23 ერთეულამდე გაიზარდა. მან ძირითადად მოიცვა: აგრარული სექტორი, ტურიზმი, სარკინიგზო ტრანსპორტი, მშენებლობა და ინჟინერიის მიმართულება.

მიმართულებით: პედაგოგიური კურსი; მოდულური სწავლება; ინკლუზიური პროფესიული განათლება; მასწავლებელთა ტრენინგი საწარმოში; მასწავლებელთა ტრენინგი მეწარმეობაში. საერთაშორისო გამოცდილებისა და უცხოური პრაქტიკის გაზიარების მიზნით გათვალისწინებული იყო სასწავლო ვიზიტები განვითარებულ ქვეყნებში და ასევე ტრენინგები სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე.

2018 წლის სექტემბრიდან მნიშვნელოვნად იცვლება პროფესიული განათლების სისტემის სამართლებრივი ჩარჩო, მისი მართვის პრინციპები, ორგანიზაციული სტრუქტურა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისადმი წაყენებული მოთხოვნები. კერძოდ, მისი საქმიანობის დაწყება, პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა უნდა განხორციელდეს „პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების შესაბამისად“ [კანონი N3442, 2018:21]. ეს უკანასკნელი კი მოითხოვს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების სისტემის შემუშავებას, რაც აუცილებელი იქმება პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების, წესების შემუშავებისათვის, ასევე მათი განვითარებასა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას.

საქართველოში პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების მდგომარეობისა და არსებული კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი არსებითი დასკვნები:

- ✓ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 10–15 წლის განმავლობაში და განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში ევროკავშირის აქტიური მხადრაჭერითა და ქვეყნის მთავრობის ინიციატივით ძალზე სერიოზული და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა პროფესიული სწავლებისა და საერთოდ პროფესიული განათლების სისტემის ფორმირებისა და განვითარების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ვერ მოხერხდა პროფესული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და განვითარების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება. შესაბამისად, არ არსებობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემაც. ამჟამად, ქვეყანაში პროფესიული სწავლების მასწავლებეთა მომზადებასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და დონორი ორგანიზაციები, ან მათი მომზადება და განვითარება ხდება უშუალოდ სასწავლებლებში მათი მუშაობის პერიოდში;

- ✓ არ არის ჩამოყალიბებული პროფესიული მასწავლებლების საქმიანობის დაწყებისა და მომზადების, განვითარების წესები. ზემოთ განხილული ნორმატიული დოკუმენტები და საკანონმდებლო აქტები ზედაპირულად და ზოგად ასპექტებში აშუქებს მათი მომზადებასა და შემდგომ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს (მასწავლებელთა მომზადება და უნარების განვითარება პედაგოგიკაში, ინკლუზიურ განათლებაში, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში, პაქტიკულ სწავლებაში და სხვა);
- ✓ პროფესიული განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებას, სათანადო დონეზე ვერ ხდება ახალი კადრების მოზიდვის ხელშეწყობა, რაც დასტურდება ოფიციალური მასალებითაც კი. „მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ პროფესიული მასწავლებლის საათობრივი ანაზღაურება 3,75 დან 8 ლარამდე გაიზარდა, პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესია კვლავ ნაკლებად პრესტიჟულია. დაბალია პროფესიაში ახალი კადრების შემოდინების მაჩვენებელი“ [დადგენილება №533, სტრატეგია 2017 – 2021“, 2017:28];
- ✓ პრაქტიკულად არ არსებობს პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობისა და ახალი პედაგოგიური კადრების სისტემაში შესვლის სტიმულირების მექანიზმი დაბალია მათი განვითარების პროგრამების დაფინანსების დონე. ასე მაგალითად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროფესიულ განათლებაზე მიმართული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებზე, საშულოდ, მხოლოდ 0.77% მოდიოდა. 2017, 2018 წლებში პროფესიული განათლების მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიურმა ხარჯებმა შესაბამისად 36,5 და 43,8 მილიონი ლარი შეადგინა (**იხ. დანართი-3, ცხრილი-3.6**).
- ✓ პროფესული განათლების მასწავლებლების პროფესიული ცოდნა და უნარები სრულად ვერ პასუხობს პროფესიული სტანდარტითა და მოდულური სწავლებით

გათვალისწინებულ შედეგებს, რომ არაფერი ვთქვათ თავად სტანდარტზე, რომელიც ამ ეტაპზე სერიოზული გადასინჯვის საგანი გახდა;

- ✓ არ არის განსაზღვრული პროფესული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და საქმიანობის დაწყების ერთიანი მოთხოვნები;
- ✓ სერიოზული პრობლემები არსებობს პროფესიული განათლების მასწავლებლების დასაქმების ეფექტიანობისა და საერთოდ ამ სფეროში არსებული ამჟამინდელი მდგომარეობის თვალსაზრისით. კერძოდ: დასაქმების თანამედროვე სისტემა ვერ ასტიმულირებს მათ რაციონალურ ჩართვასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში, ხელს ვერ უწყობს მათი პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას. ჯერ კიდევ დაბალია მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, არაეფექტიანია მათ მიმართ გამოყენებული შრომის ანაზღაურების, სტიმულირების ფორმები და მეთოდები, დაუმუშავებელია მათი პროფესიული ზრდისა და კარიერული განვითარების მექანიზმი;
- ✓ მასწავლებელთა მომზადება ვერ ხორციელდება მუდმივად ცვალებადი გარემოს (ახალი ტექნოლოგიები, ინოვაციები, ინდუსტრიის განვითარება და სხვა) შესაბამისად, რომელიც მათგან მოითხოვს სწავლების პროცესში თანამედროვე მიდგომების, სწავლების ახალი მეთოდების გამოყენებას, ახალი უნარების ათვისებას. მათი პროფესიული განვითარების არსებული სისტემა კი, ვერ აკმაყოფილებს არსებული მასწავლებლების პროფესიული განვითარების საჭიროებას და იგი არ არის მიმზიდველი ახალგაზრდა პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის.

განვითარებულ ქვეყნებში და საქართველოში პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების საკითხების, გამოცდილების, კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი **ძირითადი დასკვნები:**

1.თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და მათი პროფესიული ზრდის აუცილებლობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების სტრატეგია[25]; ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარებული ტემპები;

[25]სიცოცხლის მანძილზე სწავლების სტრატეგია გულისხმობს: მოსახლეობის ყველა ფენისათვის განათლებაზე ხელმისაწვდომობას და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას; შრომის ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი უნარებისა და კომპეტენციების ფორმირებას; პროფესიული კვალიფიკაციისა და კომპეტენციების შეძენას, როგორც ფორმალური განათლების მიღების, ისე არაფორმალური და სპონტანური სწავლების მეშვეობით.

გლობალიზაცია; კრიზისული მოვლენები ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში; მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება; და სხვა. ასევე მაღალკვალიფიცირებულ მასწავლებლებზე მოთხოვნის ზრდას განაპირობებს: სირთულეები სწავლებისა და განათლების პროცესში; პენსიაზე გამსვლელთა რაოდენობის ზრდა; ცალკეული დარგის სპეციალისტების უკმარისობა, დეფიციტი და სხვა. ამიტომ, განვითარებული ქვეყნები ასეთი კადრების მოზიდვისა და უნარების განვითარების მიზნით იყენებენ: მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირების სხვადასხვა მეთოდებს; მასწავლებელთა კომპეტენციების, მახასიათებლების განმსაზღვრელ სტანდარტებს; ახდენენ თვითდაქირავების სისტემის რეორგანიზაციას და სხვა;

2.თანამედროვე პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და მათი პროფესიული ზრდის მიზანია ახალი უნარებისა და კომპეტენციების ფორმირება, რომლებიც განზოგადოებული სახით შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: **სასწავლო პროცესის, მოდულისა და შეფასების ახალი ფორმების პროექტირება, დაგეგმვა; კომუნიკაციიის დამყარება და ურთიერთობა შრომის ბაზართან, მის მოთხოვნებთან; სწავლება, მომზადება მდგარი განვითარების მიზნებისათვის; სტუდენტების თვითმართვადი სწავლების ორგანიზაცია; სტუდენტის პოტენციალისა და ფსიქოლოგიური ტიპაჟის შეფასება; კონფლიქტების გადაწყვეტისა და მოლაპარაკებების წარმოება; საპროექტო საქმიანობა და მისი ეფექტიანი მართვა;**

3.პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მათი ორიენტაცია მხოლოდ თეორიული დისციპლინების სწავლებაზე დღეს ვერ პასუხობს პროფესიული განათლების სისტემის თანამედროვე მზარდ მოთხოვნებს. კვალიფიციური კადრების მომზადება საჭიროებს სპეციალისტს, რომელსაც შეუძლია, როგორც თეორიული, ისე საწარმოო–პრაქტიკული სწავლების შეთავსება და ასეთი სწავლების პროცესში იგი, როგორც საწარმოო ოსტატი, ასრულებს აღმზრდელის ფუნქციას. ანუ, დღეს საჭიროა პროფესიული სწავლების ისეთი მასწავლებელი, პედაგოგი, რომელსაც შეუძლია ერთმანეთს შეუთავსოს პროფესიულ-ტექნიკური და პედაგოგიური უნარ-თვისებები სწავლების პროცესში. ფაქტობრივად პროფესიული განათლების მასწავლებელი წარმოადგენს მონოპროფესიას, რომელიც საჭიროებს ტექნიკური და პედაგოგიური განათლების ორგანულ ერთიანობას (შერწყმას) და პასუხობს თანამედროვე პროფესიული განათლების სისტემის ობიექტურ მოთხოვნებს. ცხადია, რომ პედაგოგიური საქმიანობის ორივე

კომპონენტი საჭიროა და მნიშვნელოვანია ცალკეული პრიორიტეტების გამოყოფის გარეშე. როგორც ვხედავთ, პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული კომპეტენციების განხილვისას, განვითარებული ქვეყნები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ მათ მიერ შეძენილი კვალიფიკაცია ბინალური ხასიათისაა: მოიცავს ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ და სპეციალურ დარგობრივ მომზადებას. ცხადია, ეს ინტეგრაცია არ ხდება უბრალო პროგრესის მიხედვით. ამიტომ ასეთი კომპლექსური განათლების მიღება, შესაბამისი უნარების, კომპეტენციების შეძენა საჭიროებს სათანადო ტექნიკურ აღჭურვილობას, მოწყობილობებს, საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებს, ანუ მძლავრი სასწავლო მატერიალური ბაზის ფორმირებას;

4.მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროფესიული განათლების სისტემის ყველაზე არსებით დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ისეთი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნა, სადაც სტუდენტს შეუძლია დაიკავოს აქტიური პიროვნული პოზიცია და სრულად იყოს გახსნილი, როგორც შემოქმედი პიროვნება და სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი სუბიექტი;

5.ახალი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომელიც ხასიათდება პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარების მაღალი, დაჩქარებული ტემპებით, სოციალურ-პროფესიონალური მასშტაბების ზრდით, მეცნიერებატევადი დარგების მიზანსწრაფული დინამიკით, განაპირობებს პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების ახალი ინოვაციური სისტემების დამუშავებისა და დანერგვის აუცილებლობას. სწორედ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სპეციალისტების მომზადებასა და გადამზადებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებულ ქვეყნებში ახალ მოთხოვნას უყენებენ თანამედროვე პროფესიული განათლების მასწავლებლებს და უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო სტრუქტურების რეფორმირებას, კომპეტენტური მიდგომების დაფუძნებას, ახალი თაობის პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვას, საინფორმაციო კომუნიკაციებისა და სწავლების ინტერაქტიული ტექნოლოგიების, მიდგომების ფართოდ გამოყენებას, გავრცელებას. ამიტომ, თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკა პროფესიული პედაგოგიური განათლების სისტემის საკადრო პოტენციალის უზრუნველყოფისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მრავალ სხვადასხვა მექანიზმსა და საშუალებას გვთავაზობს. ამ

სისტემაში ჩართული პროფესიული განათლების მაღალკვალიფიციური მასწავლებ-ლები) აკმაყოფილებენ მთელ რიგ პროფესიულ-კვალიფიციურ მოთხოვნებს:

- ✓ ესმით და გათვითცნობიერებული აქვთ პროფესიული პედაგოგიური განათლების კონცეპტუალური საფუძვლები;
- ✓ გააზრებული აქვთ პროფესიული პედაგოგიური განათლების მიზანი და ამოცანები და მათი მიღწევის მეთოდები;
- ✓ შეუძლიათ სწავლების პროცესის, განათლების შინაარსის ფორმირება ყველა დონეზე: საკვალიფიკაციო მახასიათებლების, სასწავლო გეგმების, სასწავლო დისციპლინის პროგრამის, ცალკეული მეცადინეობის და სხვა დონეზე;
- ✓ სრულყოფილად ფლობენ თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს, შეუძლიათ საკუთარი მეთოდოლოგიური სისტემების შექმნა და პროფესიული ქცევის საკუთარი ინდივიდუალური სტილის შემუშავება;
- ✓ გააჩნიათ სასწავლო პროცესის ორგანიზაციის განვითარებული უნარ-ჩვევები, იციან შესაძლებლობები და სწავლების პროცესში შეუძლიათ გამოიყენონ მრავალგვარი ორგანიზაციული ფორმები;
- ✓ ფლობენ აღმზრდელობითი სამუშაოს წარმართვის თეორიასა და პრაქტიკას თანამედროვე პედაგოგიური ორიენტაციის მქონე ახალგაზრდების გარემოში;
- ✓ გააჩნიათ პედაგოგიური და ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის, მიღებული შედეგე-ბის ანალიზის, მიმდინარე საგანმანათლებლო, ამღზრდელობითი და განვითარე-ბის მიზნების კორექტირების საკმაოდ კარგი უნარი;
- ✓ პერიოდულად იღებენ ინფორმაციას სამეცნიერო დისციპლინების, პედაგოგიური მეცნიერებისა და პრაქტიკის, ასევე აღნიშნულ დარგებში სამეცნიერო კვლევების წარმოების გამოცდილების შესახებ.

6.პროფესიული განათლების სისტემის განვითარების საფუძველია, პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების პროცესში კომპეტენტურობის პრინციპის გამოყენება, რომელიც გულისხმობს სტუდენტების საერთო და პროფესიონალური კომპეტენციების განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მათ წარმატე-ბით ადაპტაციას საზოგადოებაში და მზადყოფნას ეფექტიანად განახორციელონ თავისი პრიფესიული საქმიანობა. მომავალ სპეციალისტს უნდა ქონდეს ისეთი ზოგადი კომპეტენციები, როგორიცაა:

- ✓ გადაწყვეტილების მიღების უნარი სტანდარტულ და არასტანდარტულ სიტუაციაში და მასზე პასუხისმგებლობის აღება;
- ✓ განახორციელოს ინფორმაციის ძიება და მისი გამოყენება, რომელიც აუცილებელია პროფესიონალური ვალდებულებების ეფექტიანად შესრულებისათვის;
- ✓ გამოიყენოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- ✓ შეძლოს მოწყობილობის კონსტრუირება და დამზადება, ტექნოლოგიური პროცესების დამოუკიდებლად დამუშავება;
- ✓ შეძლოს საპატენტო და საცნობარო ინფორმაციის დამოუკიდებლად გამოყენება და დამუშავება;
- ✓ იმუშაოს კოლექტივებში და ცალკეულ ჯგუფებში, ორიენტირებული იყოს პროფესიული საქმიანობის პროცესში ტექნოლოგიურ ცვლილებებზე;
- ✓ იზრუნოს თვითგანვითარებაზე.

როგორც ვხედავთ, პროფესიული მომზადების თანამედროვე პროცესი და შესაბამისად სწავლების საგანმანათლებლო ფუნქცია, რომელიც განსაზღვრავს მის საბოლოო მიზანს, ორიენტირებულია სტუდენტთა მომზადებაზე ტექნიკური შემოქმედების კუთხით. აღნიშნული კი უპირველეს ყოვლისა საჭიროებს სასწავლო პროცესის ისეთ ორგანიზებას, რომლის დროსაც ცოდნის, უნარის, ჩვევების ფორმირება და ტექნიკური შემოქმედების სწავლება გამოდის, როგორც პედაგოგის სასწავლო-აღმზდელობითი და სტუდენტის სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ერთიანი პროცესი.

7.როგორც ევროპის განვითარებული ქვეყნების (გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, ლუქსემბურგი, დანია) გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და მათი შემდგომი უწყვეტი განათლების უზრუნველყოფის სისტემა საკმაოდ ხანგძლივი და შრომატევადი ღონისძიებების რეალიზაციას უკავშირდება და მკაცრი მოთხოვნებით შემოიფარგლება. კერძოდ, ყველა აღნიშნულ ქვეყანაში პროფესიული სწავლების მასწავლებლებს მოეთხოვებათ: საუნივერსტეტო განათლება, ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემური ხარისხი; განათლება პედაგოგიკასა და დიდაქტიკაში, ფსიქოლოგიაში; მინიმუმ ორი საგნის სწავლების პედაგოგიური პრაქტიკა; პროფესიაში შესვლამდე არანაკლებ 3 წლიანი პროფესიული განათლება, ან უნდა ქონდეთ გავლილი პრაქტიკა შესაბამისი პროფესიით (მინიმუმ 9 თვე) და სხვა **(იხ. ცხრილი 2.2-3)**. აღნიშნული აშკარად მოწმობს,

რომ მასწავლებელთა მომზადებისა და საქმიანობის დაწყების კრიტერიუმები ევროპული სტანდარტების მოთხოვნით გაცილებით რთულია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში დღემდე დამკვიდრებული, არსებული სისტემისა;

8.პოსტკომუნისტური ქვეყნების (ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, პოლონეთისა და რუსეთის) პროფესიული განათლების მოდელების განხილვამ გვიჩვენა, რომ მათ წარმატებით განახორციელეს ძველი პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირება, თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად, თავიანთი ქვეყნის საჭირობებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს რეალური პრაქტიკისათვის უფრო მისაღები იქნება ამ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება-პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების სისტემის შექმნისა და განვითარების მიმართულებით. აღნიშნული დასკვნის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები:

- ✓ საქართველოში რეფორმირების პროცესი დაწყებულია და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებული 2020 წლამდე პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის შესაბამისად აუცილებელია პროფესიული განათლების სისტემისა და აქ დასაქმებული პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და განვითარების სისტემის შექმნა, ევროსტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- ✓ საქართველოში პროფესიულთან შედარებით საკმაოდ მაღალია უმაღლესი განათლების პრესტიჟი, რაც მიმდინარე სტატისტიკითაც დასტურდება. ქვეყანაში 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 26,7% უმაღლესი განათლება აქვს, პროფესიული განათლება კი 17,4%-ს ქონდა. ხოლო რაც შეეხება მიმდინარე პერიოდს, ანუ 2018 წლის მდგომარეობით 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში უმაღლესი განათლება ქონდა 28.6%, ხოლო სრული პროფესიული განათლება მქონე პირთა წილი 18.6%-ი იყო [www.geostat.ge.; www.mes.gov.ge].
- ✓ პროფესიული განათლების სფეროში დასაქმებული მასწავლებლების 90%-ზე მეტი კი უმაღლესი განათლებითაა. შესაბამისად, უმაღლესი განათლების მქონე ცალკეული საგნისა და დარგის სხვა სპეციალისტებსაც რეალურად შეუძლიათ გახდნენ პროფესიული განათლების მასწავლებლები. ამისათვის, დამატებით საჭირო იქნება

მინიმუმ ორი საგნის სწავლების პედაგოგიური პრაქტიკა. მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრების დამატებით მოზიდვა კი თავის მხრივ მოითხოვს პროფესიული განათლების სისტემის პრესტიჟის ამაღლებასა და მასწავლებელთა სტიმულირებისა და მოტივაციის ახალი, თანამედროვე მეთოდების გამოყენებას;

- ✓ მიმდინარე რეფორმების პროცესში, პროფესიული განათლების მასწავლებელის პროფესიის მიმზიდველობისა და პრესტიჟის ამაღლების მიზნით, ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, პროფესიული განათლების კუსდამთავრებულებს ეძლევათ შესაძლებლობა გახდნენ პროფესიული განათლების მასწავლებლები, სათანადო მომზადების შედეგად. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს მათი პიროვნული და პროფესიული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას;

9.განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა პროფესიული პედაგოგიური განათლების ზოგადმეთოდოლოგიური სისტემები, სოციალურ-კულტურული, სუბიექტური, სინერჯიული, პიროვნულ-შემოქმედებითი მიდგომებით. არსებული სისტემის, მოდერნიზაციის კუთხით ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი გახდა ქსელური, პროცესუალური და საპროექტო მიდგომების გამოყენება. ქსელური (მრავალმხრივი) მიდგომა დაფუძნებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის ყველა კომპონენტის ურთიერთქმედებათა ინტეგრაციაზე და ითვალისწინებს მრავალდონიანი სასწავლო-შემეცნებითი კონტექსტის მრავალფაქტორულ დეტერმინანტს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქსელური განათლებისათვის დამახასიათებელია ეკლექტურობა, არაერთგვაროვნება, იერარქიის არარსებობა ინფორმაციის მიღებისას, ათვისების ინდივიდუალური ლოგიკა, რომელიც განისაზღვრება სტუდენტთა მოტივაციური განწყობით. პროცესუალური მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების შედეგს, ეფექტს. მის შესავალ ნაწილში განიხილება კანდიდატების მომზადებისადმი წაყენებული მოთხოვნები, ხოლო გამოსავალ ნაწილში-კურსდამთავრებულთა მომზადების ხარისხი, რომელიც არსებითად უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების ყველა ძირითად მოთხოვნებს. პროცესუალური მიდგომის არსებითი მიზანი-სპეციალისტის მომზადების ხარისხის ამაღლებაა. შიდა და გარე მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესები და მისი ეფექტიანობა მთლიანობაში. საპროექტო მიდგომა კი გულისხმობს მოსამზადებელ მასწავლებელთა ჩართულობას სხვადასხვა პროექტების დამუშავე-

ბაში, რომელიც აუცილებელია სამომავლო საწავლო-პროფესიული საქმიანობისას, რომლის პროცესშიც გამოყენებული იქნება პროფესიულ და საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ინტერაქტიური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები. საპროექტო მიდგომა ორიენტირებულია ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემის გარდაქმნასა და მოდერნიზაციაზე, რომლსაც საფუძვლად უდევს ინოვაციური მიდგომები;

10.პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების მეთოდოლოგიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ბევრ ქვეყანაში არსებითად იკვეთება მისი ორიენტირებულობა მომზადების პროცესის შინაარსსა და ტექნოლოგიასთან მიმართებაში. უფრო მეტიც შეიძლება ვისაუბროთ პროფესიულ-პედაგოგიური განათლების დივერსიფიცირებულ ხასიათზეც კი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლების მომზადების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამების მრავალსახეობას, პიროვნულ განვითარებას, პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების შეთანაწყობას მასწავლებლის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ ფუნქციასთან უწყვეტი განათლების პროცეში;

11.განსაკუთრებული თავისებურებები გამოიკვეთა პროფესიული განათლების, მისი სტრუქტურის ცვლილებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების სისტემის რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებში (გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, საფრანგეთი, დანია)[26]. კერძოდ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნებში პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების პროცესზე უპირატესად გავლენას ახდენენ შემდეგი ფაქტორები: ნორმატიული და საკანონმდებლო აქტები-სამართლებრივი გარემო და სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმით მონაწილეობა აღნიშნული საკითხის რეგულირებაში; სოციალური პარტნიორების თანამშრომლობა, მათი კონკრეტული საქმიანობა და ქმედებები; საბაზრო მექანიზმების ზემოქმედება, მისი ცვლილებები და ხასიათი; კონკრეტული ქვეყნის ტრადიციები, კულტურა, განვითარების თავისებურებები და სხვა.

[26]ამ შემთხვევაში რეგულირება გულისხმობს პროფესიული პედაგოგიური მასწავლებლების მომზადების პროცესზე გარე ძირითადი ორგანიზაციული, სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებას, რომელიც თავის მხრივ ასახვას პოულობს საგანმანათლებლო პროგრამების დონესა და შედეგებზე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების თვალსაზრისით.

ცხრილი 2.1-3

პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებასა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები, კრიტერიუმები განვითარებულ ქვეყნებში

ქვეყნები	საბაზო განათლება	პედაგოგიური განათლება	პროფესიული განათლება და პრაქტიკა	უწყვეტი განათლება და პრაქტიკა
გერმანია	უმაღლესი განათლება, ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემური ხარისხი	პედაგოგიკისა და დიდაქტიკის საფუძვლები	არანაკლებ 3 წლიანი პროფესიული განათლება ან 9 თვიანი პროფესიული პრაქტიკა	მთელი შრომითი კარიერის მანძილზე
შვეიცარია	უმაღლესი განათლება, ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემური ხარისხი, სპეციალური ფედერალური დიპლომი	პედაგოგიკისა და დიდაქტიკის საფუძვლები	არანაკლებ 3 წლიანი პროფესიული განათლება პრაქტიკული გამოცდილება არანაკლებ 2 წლისა	მთელი შრომითი კარიერის მანძილზე
ავსტრია	უმაღლესი განათლება ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი	პედაგოგიისა და დიდაქტიკის საფუძვლები იურიდიული განათლება	არანაკლებ 3 წლიანი პროფესიული განათლება ან 9 თვიანი პროფესიული პრაქტიკა	მთელი შრომითი კარიერის მანძილზე
ლუქსემბურგი	უმაღლესი განათლება ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი	პედაგოგიური მომზადების კურსები, პროგრამა	3-წლიანი მოსამზადებელი კურსები, 5 წლის პროფესიული გამოცდილება და ოსტატის სერტიფიკატი	თანმიმდევრულად მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ
დანია	უმაღლესი განათლება ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი	პედაგოგიური მომზადების პროგრამა 60 კრედიტი(ECTS)[27]	პრაქტიკული გამოცდილება არანაკლებ 2 წლისა	მთელი შრომითი კარიერის მანძილზე

[27]**დანიაში** მართვის სფეროს ყველა დონის სპეციალისტს მოეთხოვებათ ასევე დამატებით პედაგოგიური მენეჯმენტის სრული კურსის გავლა 10 კრედიტის (ECTS) მოცულობით.

ფინეთი	შესაბამისი პროფილის უმაღლესი განათლება ან უმაღლესი პროფესიული განათლება. უნივერსიტეტის მაგისტრის ან პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომი	პედაგოგიური განათლება საქმიანობის დაწყებამდე, ან დისტანციურად პედაგოგიური საქმიანობის პროცესში.	მიმნიმუმ 3 წლის მუშაობის სტაჟი დარგის, სფეროს შესაბამისად	მთელი შრომითი კარიერის მანძილზე
ლატვია	უმაღლესი განათლება მონაწილეობა მასწავლებლის მომზადების პროგრამაში (1-3 საფეხურზე სწავლებისათვის)	სავალდებულო პედაგოგიური კურსი უმაღლეს სასწავლებელში, პროფესიულ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში	პროფესიული განათლება, პროფესიული პრაქტიკა, ან 6 წლით პროფესიით მუშაობის გამოცდილება	სამ წელიწადში ერთხელ მინიმუმ 36 საკონტაქტო საათი
ლიტვა	უმაღლესი განათლება	სავალდებულო პედაგოგიური კურსი უმაღლეს სასწავლებელში, პროფესიულ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში	პროფესიული განათლება, ფსიქოლოგიის კურსი	მთელი შრომითი კარიერის მანძილზე
ესტონეთი	უმაღლესი განათლება	სავალდებულო პედაგოგიური კურსი უმაღლეს სასწავლებელში, პროფესიულ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში	პროფესიული განათლება, ფსიქოლოგიის კურსი	მთელი შრომითი კარიერის მანძილზე
პოლონეთი	უმაღლესი განათლება ოთხივე კატეგორიის მასწავლებლისათვის	სავალდებულო პედაგოგიური კურსი ინდივი-დუალურად ან ინტეგრირებულად უმაღლეს სასწავლებელში	პროფესიული განათლება. მრჩეველ მას-წავლებელს-მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება	მთელი შრომითი კარიერის მანძილზე

რუსეთი	უმაღლესი განათლება ბაკალავრიატი	პედაგოგიური და ფსიქოლოგიური განათლება	შესაბამისი დარგობრივი პროფესიული განათლება	კვალიფი კაციის ამაღლების პროგრამა 3 წელიწადში ერთხელ

შენიშვნა: საბაზო განათლება-გულისხმობს პროფესიაში შესვლის აუცილებელ წინაპირობას; **პედაგოგიური განათლება**-სავალდებულოა პროფესიული განათლების ყველა კატეგორიის პედაგოგისათვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად (ბევრ ქვეყანაში სავალდებულოა ფსიქოლოგიის საფუძვლების კურსის ცოდნაც); **პროფესიული განათლება და პრაქტიკა**-შესაბამისი დარგობრივი პროფესიული ცოდნა, უნარები, კომპეტენციები, გამოცდილება, კვალიფიკაცია, რომელსაც უნდა ფლობდეს შესაბამისი პროფესიის პროფესიული განათლების მქონე მასწავლებელი. რაც შეეხება **უწყვეტ განათლებასა და პრაქტიკას**-არის მასწავლებელთა შემდგომი პროფესიული განვითარების აუცილებელი მოთხოვნა, რომელიც სავალდებულოა ყველა განხილული ქვეყნის პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, მთელი შრომითი კარიერის განმავლობაში, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკა-ციის ასამაღლებელი შესაბამისი პროგრამების საფუძველზე.

თავი-III. პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები

3.1. პროფესიული განათლების მაწავლებლის პროფესიული მახასიათებლები - თეორიული მოდელი

პროფესიული განათლების სისტემა საქართველოში, როგორც საქართველოს განათლების სისიტემის ნაწილი, ახალი რეფორმის პროცესშია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ხელისუფლებამ არა ერთი სამართლებრივი დოკუმენტი მიიღო პროფესიული განათლების შესახებ 2000-იანი წლებიდან მოყოლებული. თანამედროვე ეტაპზე, არსებული ვითარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მიმდინარეობს ახალი სამართლებრივი საფუძვლების შემუშავება. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი პროფესიული განათლების შესახებ. ასევე იგეგმება მასწავლებლის სტანდარტისა და დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება. პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობა და ხარისხი, სხვა უამრავ ფაქტორთან ერთად, უპირველესად, დამოკიდებულია პროფესიული სწავლების მასწავლებლების მომზადების დონესა და კვალიფიკაციაზე. საქართველოს პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად, „პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში“ და მისი საქმიანობა და შემდგომი განვითარება უნდა განხორციელდეს „პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების შესაბამისად [კანონი N3442. მუხლი-28, 2018].

ასეთ ვითარებაში, საქართველოს რეალობისთვის აუცილებელია განისაზღვროს პროფესიული განათლებლის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები, რომელიც გახდება თეორიული საფუძველი ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებისა. სწორედ ეს საკითხი გახდა ჩვენი კვლევის სამიზნე. საკითხით ჩვენი დაინტერესება, კერძოდ განსაზღვრა **პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლებისა** ჩვენი საკვლევი თემის შესრულებით დაიწყო. უპირველესად, დავინტერესდით როგორია თეორიული მიდგომები საკითხისადმი საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოძიებული მასალების ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ მის კვლევას სხვადასხვა მეცნიერის ნაშრომი

მიეძღვნა, როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ. თუმცა მიდგომები საკითხისადმი არაერთგვაროვანია. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ კვლევის გაგრძელება ამ მიმართულებით და განვითარებული ქვეყნების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროფესიული მახასიათებლების ანალიზთან ერთად, კიდევ ერთხელ ვამახვილებთ ყურადღებას პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების თავისებურებებზე. მაგალითად, მკვლევართა ერთი ჯგუფი პედაგოგის პიროვნული მახასიათებლებიდან გამოყოფენ **(იხ. სქემა 3.1-1):**

1.საკუთრივ პიროვნულ თვისებებს;

2.პროფესიულ კომპეტენტურობას;

3.პროფესიისათვის საჭირო ხარისხობრივ მახასიათებლებს;

4.ფსიქოლოგიურ თავისებურებებს [Dorozhkin..., 2014].

სქემა–3.1.1



1.საკუთრივ პიროვნული თვისებებიდან კი ხაზგასმულია:

- ✓ *სოციალურ–ზნეობრივი:* სოციალური მოთხოვნილებები; საზოგადოებრივი ვალდებულებების გაცნობიერება; მორალური ღირებულებები; მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა; იდეური მომზადება; პროფესიული პოზიცია; სოციალური აქტივობა; საიმედოობა;
- ✓ *პროფესიულ–პედაგოგიური:* სოციალურ–პიროვნული ორიენტაცია; პროფესიულ-პედაგოგიური ინტერესები; პროფესიული საქმიანობის მოტივი და პედაგოგის პროფესიული პოზიციის თვითგანვითარების მოტივი; პედაგოგიური ვალდებულებები და პასუხისმგებლობა; პედაგოგიური სამართლიანობა; პედაგოგიური მოწოდება;

- ✓ *შემეცნებითი კომპონენტები:* საგნის სიყვარული და ინტერესი; საგნის მეცნიერულ დონეზე ფლობა, ცოდნა; სამეცნიერო–პედაგოგიური კვლევის კულტურა; მოთხოვნილება ცოდნის განახლებასა, გაღრმავებასა და პროფესიონალიზმის ამაღლებაზე.

2.რაც შეეხება პროფესიულ კომპეტენტურობას[28]–მასში გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები როგორიცაა:

- ✓ სოციალურ–სამართლებრივი კომპეტენციები;
- ✓ პერსონალური კომპეტენტურობა: მუდმივი პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების უნარი; პროფესიული საქმიანობის პროცესში, შრომაში საკუთარი თავის რეალიზაცია;
- ✓ სპეციალური კომპეტენციები: მზადყოფნა კონკრეტული სახის სამუშაოს შესრულებისათვის, საქმიანობის წარმართვისათვის; ტიპიური პროფესიული ამოცანების გადაწყვეტის უნარი; საკუთარი შრომის შეფასების უნარი; საკუთარ სპეციალობაში ახალი ცოდნის ათვისების უნარი;
- ✓ აუტოკომპეტენტურობა-ადეკვატური წარმოდგენა თავის სოციალურ–პროფესიული მახასიათებლების შესახებ და დესტრუქციული პროფესიული სიტუაციებისაგან თავის არიდების ტექნოლოგიების ცოდნა.

3.პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი და როლი განეკუთვნება–**პროფესიისათვის საჭირო ხარისხობრივ მახასიათებლებს**[29], რომელზეც "უშუალოდაა დამოკიდებული პედაგოგის საქმიანობის ეფექტიანობა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების სფეროში" [Zeer..., 2012:13]. ზოგადი სქემების შესაბამისად, მათში განსაკუთრებით მოიაზრება: ლოგიკური აზროვნება და უნარები; პიროვნული აქტივობა; მიზანსწრაფულობა; გაწონასწორებულობა; სტუდენტებთან მუშაობის სურვილი; ექსტრემალურ სიტუაციებში წინააღმდეგობების დაძლევისა და თავის დაღწევის უნარი; პატიოსნება; კეთილსინდისიერება; სამართლიანობა; თანამედროვეობა;

---

[28]პროფესიული კომპეტენტურობა–სპეციალისტის პიროვნებისა და მისი საქმიანობის ხარისხობრივი ინტეგრალური მაჩვენებელია, რომელიც ასახავს ცოდნის დონეს, უნარებსა და ჩვევებს, პიროვნების გამოცდილებას, რაც აუცილებელია და საკმარისი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული კონკრეტული სახის საქმიანობის განხორციელებისათვის.

[29]თანამედროვე გაგებით მასში მოიაზრება საქმიანი სუბიექტის ინდივიდუალური მახასიათებლები, რომელიც გავლენას ახდენს პროფესიული საქმიანობის წარმართვის ხარისხსა და მის ეფექტიანობაზე.

პედაგოგიური ჰუმანიზმი; ერუდიცია; პედაგოგიური ტაქტი; ტოლერანტობა; დისციპლინარულობა; პედაგოგიური ოპტიმიზმი; მომთხოვნელობა; პასუხისმგებლობა; კომუნიკაბელურობა. პროფესიული სწავლების მასწავლებლის მახასიათებლები ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, რომელიც დამოკიდებულია პედაგოგის, როგორც პიროვნების ინდივიდუალურ ხასიათზე, თვითრეგულაციის უნარზე მხედველობითქმედებით კოორდინაციაზე, თვალის ზომაზე, რეაქტიულობაზე, ენერგიულობაზე, ყურადღებაზე, შემოქმედებით აზროვნებაზე, მეთვალყურეობაზე, ინტუიციაზე, მიმიკის ფლობაზე და სხვა.

ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის გამოცდილების, ავტორების [Anuar, Ashraff..., 2016] მოსაზრებებისა და საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ–პედაგოგიური კომპეტენციების სტრუქტურის სქემა ასევე შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

1.აქსიოლოგიური კომპეტენცია:

- ✓ ადამიანის პიროვნების, ინდივიდუალობის თვითშეფასების გაცნობიერება;
- ✓ პროფესიულ–პედაგოგიური საქმიანობის დანიშნულებისა და მიზნების გააზრება;
- ✓ პროფესიულ–ეთიკური კულტურის ფლობა;
- ✓ თავისი პროფესიის აღქმა, როგორც ცხოვრების აზრი და მიზანი;
- ✓ სწავლების პროცესის აღქმა, როგორც სოციალურ–კულტურული ფასეულობების ათვისებისა;

2.სოციალურ–სამართლებრივი კომპეტენცია:

- ✓ საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებული ნორმატიულ–სამართლებრივი და საკანონმდებლო საფუძვლების ცოდნა;
- ✓ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და ნორმების დაცვა;
- ✓ სტუდენტების, მოსწავლეების დაცვა სოციალური გარემოს ნეგატიური გავლენისაგან;
- ✓ მთელი საგანმანათლებლო პროცესის განმავლობაში სტუდენტების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ✓ სააუდიტორიო და საერთო დოკუმენტაციის და საქმის წარმოების წესების ცოდნა;

3.საგნობრივ–საინფორმაციო კომპეტენცია:

- ✓ ზოგადი და სპეციალური თეორიული დისციპლინების ცოდნა, რომელიც აუცილებელია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტიპიური ამოცანების გადაწყვეტასთან;
- ✓ განათლებისა და პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარების პერსპექტივებისა და ძირითადი მიმართულებების ცოდნა;
- ✓ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებთან (ბეჭდური, ელექტრონული, ინტერნეტი და სხვა) მუშაობის უნარი;
- ✓ ინფორმაციის გამოყენების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მისი ეფექტიანი გადამუშავებისა და გარდაქმნის მეთოდების ფლობა.

4.მეთოდურ–ტექნოლოგიური კომპეტენციები:

- ✓ პროფესიული საქმიანობის შემოქმედებითი ბუნების აღქმა და რეალიზაცია;
- ✓ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მზადყოფნა და თვითმობილიზების უნარი;
- ✓ სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების სიღრმისეულად ფლობა;
- ✓ საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით სტუდენტების მაღალ დონეზე სწავლება, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტში;
- ✓ სწავლების სხვადასხვა მეთოდების, საშუალებების, მიდგომების გამოყენება სწავლების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით;
- ✓ სწავლების პროცესში პიროვნულად ორიენტირებული მიდგომის გამოყენება სწავლისადმი მოტივაციის გაძლიერების მიზნით;
- ✓ თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენება, სწავლების ხარისხისა და პროფესიონალიზმის დონის ამაღლების მიზნით;

5.კომუნიკაბელობა:

- ✓ ერთობლივი საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება;
- ✓ კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის ეფექტიანი სტრატეგიების შერჩევა;
- ✓ კოლეჯის, სასწავლო დაწესებულების თვითმმართველობის პროცესში მონაწილეობა;
- ✓ საკუთარი პედაგოგიური, სამეცნიერო–მეთოდური და პრაქტიკული საქმიანობის შედეგების წარმოჩენა;

6.საკონტროლო–ანალიტიკური კომპეტენციები:

- ✓ ერთიანი პედაგოგიური პროცესის სხვადასხვა შემადგენელი ელემენტების ფსიქოლოგიური მექანიზმების გაანალიზების უნარი;
- ✓ სწავლების შედეგების შეფასების თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების ფლობა;
- ✓ სასწავლო ჯგუფისა და ცალკეული სტუდენტის პიროვნების დიაგნოსტიკის სხვადასხვა პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური მეთოდების ცოდნა.

7.საპროექტო-კვლევითი კომპეტენციები:

- ✓ საკუთარი პროფესიული საქმიანობის წინააღმდეგობების სიღრმისეული გააზრება და აღნიშნულის საფუძველზე მისი აღმოფხვრის აქტუალური ამოცანების ფორმირება;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის მაღალორგანიზებულად წარმართვის მიზნით სასწავლო–საპროგრამო დოკუმენტაციის შედგენა, დამუშავება და გამოყენება;
- ✓ პედაგოგიური–ფსიქოლოგიური კვლევის პროექტის დამუშავება და სხვა.

პროფესიული პედაგოგიური კომპეტენციების შეფასების პროცედურების სქემის შემუშავება ურთულესი პედაგოგიური პრობლემაა, რომლის აქტუალობა დღეს კიდევ უფრო იზრდება. ავტორთა ნაწილი მას შრომის ფსიქოლოგიასთან ერთად საერთო კონტექსტში განიხილავს და ასაბუთებს, რომ “პროფესიული–პედაგოგიური კომპეტენცია ხუთ ძირითად ელემენტს მოიცავს” [Oskolkova..., 2012:20-23]:

- ✓ სპეციალური და პროფესიული კომპეტენცია საგნის სწავლების დარგში;
- ✓ მეთოდური კომპეტენცია სტუდენტების სწავლების პროცესში ცოდნისა და უნარების ფორმირების დარგში;
- ✓ სოციალურ–ფსიქოლოგიური კომპეტენცია სუბიქტებს შორის ურთიერთობების სფეროში;
- ✓ დიფერენციალურ–ფსიქოლოგიური კომპეტენცია მოტივაციისა და სტუდენტთა უნარების სფეროში;
- ✓ აუტოფსიქოლოგიური კომპეტენცია საკუთარი პიროვნებისა და საქმიანობის უარყოფითი და დადებითი მომენტების გამოვლენის სფეროში.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პიროვნული და პროფესიონალური მახასიათებლების სტრუქტურაში ძალზე მნიშვნელოვანია მისი ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება. თუ მხედველობაში მივიღებთ აღნიშნულ

ასპექტს, ზემოთ განხილული ავტორების მოსაზრებების შეჯერებისა და წარმოდგენილი თეორიული კვლევების შედეგების განზოგადოების საფუძველზე პროფესიული სწავლების პედაგოგის პროფესიული ფსიქოლოგიური პროფილის განზოგადოებული სქემა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

- ✓ სოციალურ–ფსიქოლოგიური მიმართულება, პედაგოგიური ორიენტაცია (კონფორმული, ეგოცენტრული, ჰუმანიტარული, ავტორიტარული, მშობლების ინტერესებზე დამყარებული, მეთოდური და სხვა);
- ✓ პროფესიული კომპეტენტურობა (პედაგოგიური კომპეტენტურობა, ფსიქოლოგიური კომპეტენტურობა, სოციალურ–კომუნუკაციური ადაპტაცია);
- ✓ პედაგოგიური თვისებები (ლოგიკური აზროვნება, შემოქმედებითი პოტენციალი, ემპატია, სუბიექტური კონტროლი, სოციალური ინტელექტი);
- ✓ არასასურველი პედაგოგიური თვისებები (ავტორიტარული, პედანტური, დემონსტრაციული).

სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, **გერმანელი მეცნიერების** კვლევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მასწავლებლის პროფესიული კომპეტენცია მჭიდროდაა დაკავშირებული მის მახასიათებლებთან და საბოლოო ჯამში იგი განისაზღვრება მასწავლებლის კვალიფიკაციისა და მისი შემგომი სწავლების, განვითარების პროცესით. აღნიშნულ კონტექსტში პროფესიული მახასიათებლების სისტემა შეიძლება წარმოვადგინოთ სამი მნიშვნელოვანი კომპონენტის სახით, რომლებიც განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მახასიათებლებია. გ.ლემანი და ვ.ნიეკეს აზრით ეს მახასიათებლებია: „დავალების სათანადო დონეზე შესრულების უნარი; სტანდარტების შესაბამისად პედაგოგიური დავალებების შესრულების ხარისხი; პასუხისმგებლობა განსაზღვრული პედაგოგიური ამოცანების შესრულებაზე, კონკრეტული შესაძლებლობებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად“ [Lehmann..., 2001]. მათ მიაჩნიათ, რომ აღნიშნული კომპეტენციების რეალიზაცია შესაძლებელია ოთხი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტის მეშვეობით. ესენია: სოციალური ანალიზი; პედაგოგიური სიტუაციების დიაგნოსტიკა; თვითრეფლექსია და პროფესიული ქმედებები. ცნობილი გერმანელი მკვლევარი ე.ტერჰარტი, სწავლობს რა მასწავლებლის პროფესიული განვითარების პრობლემებს პროფესიული პედაგოგიურ კომპეტენციების, მახასიათებლების სახით სამ ძირითად პოზიციას **„აუცილებელი პროფესიული ცოდნა, პროფესიული უნარები და პროფესიული ეთიკა“**

[Terhart E, 2007] და მათ ურთიერთკავშირს გამოყოფს. კომპეტენტური წარმა-ტებული მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების სქემა სხვა **გერმანელი** ავტორების [Bauer..., 2008:4-7] მიერ წარმოდგენილია კონკრეტული მოდელის, ფორ-მულირების სახით **[კომპეტენტური მასწავლებელი=ცოდნა+ქმედება (საქმიანობა)+ პროფესიული ეთიკა].** როგორც მასალების კვლევებიდან ჩანს, გერმანელი სპეციალი-სტები ყურადღებას ამახვილებენ მასწავლებლის კომპეტენციებზე, მახასიათებლებზე და მას განმარტავენ, როგორც **ცოდნისა და შესაძლებლობების, გამოცდილებისა და უნარების, ეთიკისა და რეფლექსიების ერთიანობას, ურთიერთკავშირს.** აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გვხვდება ზოგიერთი სპეციალისტებისა და ორგანიზაციის განსხვავებული მიდგომებიც. მაგალითად, გერმანიის ფედერალური ოლქების განათ-ლებისა და კულტურის სამინისტროების მუდმივმოქმედი კონფერენციისა და გერმა-ნიის პროფკავშირების კონფედერაციის (Deutscher Gewerkschaftsbund) მასწავლებე-ლთა მოსაზრებით პედაგოგიურ მახასიათებლებს შორის გამოიყოფა: „სპეციალური, დიდაქტიკური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, საკომუნიკაციო და სოციალური კომპეტენციები“ [http://www.kmk. org/]. მიუხედავად ამისა, კონფერენციამ დაამტკიცა პედაგოგის საქმიანობის სამი ძირითადი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლის კომპეტენციას. ეს მახასიათებლებია: **„თეორიული ცოდნა; სიტუაციუ-რი ქცევა და პროფესიული ქცევის, საქმიანობის სტილი“** [E.Terhart, 2010].

პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპეტენციები უკავშირდება მის სხვადასხვა პროფილს, დონეებსა და მოვალეობებს, რომლებიც სპეციფიურია დარგე-ბის, ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით. ამიტომ, პროფესიულ სასწავ-ლო დაწესებულებებში და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში (in WBL-work-based learning) მონაწილე მასწავლებელთა მინიმალური საკვალიფიკაციო მო-თხოვნები განისაზღვრება იმ როლით, რაც კონკრეტული საწარმოს დონეზე სწავლე-ბის პროცესში პრაქტიკულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად ისინი, სპეციალურ დარგობრივ ცოდნასთან ერთად უნდა ფლობდნენ პედაგოგიური განათ-ლების, სწავლების ტექნიკას. სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში, მასწავლებლე-ბისა და ტრენერების (TT-teachers and trainers) პროფესიული კომპეტენციების, მახასია-თებლების სქემა სხვადასხვა მკვლევარების მიერ მოცემული პოზიციების შეჯერებისა და გაერთიანების საფუძველზე, გაფართოებული სახით შეიძლება წარმოვადგინოთ რვა მნიშვნელოვანი ჯგუფის მიხედვით: პედაგოგიური კომპეტენციები; დიდაქტიკუ-

რი და მეთოდური კომპეტენციები; საგნობრივი ცოდნა; კომუნიკაცია და რელევანტური უნარები (პროფესიული სასწავლო დაწესებულების VET შიგნით და გარეთ); პროფესიული განვითარება, თვითგანვითარება; პრაქტიკა და შეფასება; ორგანიზაციული და ჯგუფური მენეჯმენტის უნარი; კვლევის კომპეტენციები **(იხ. ცხრილი 3.1-1).**

ცხრილი 3.1-1[30]

პროფესიული განათლების მასწავლებლების და ტრენერების (TT-teachers and trainers) ძირითადი მახასიათებლები, კომპეტენციები გერმანიის პროფესიული განათლების სისტემაში სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში (in WBL-work-based learning)

პედაგოგიური კომპეტენციები	-მოსწავლის/სტუდენტის პიროვნული განვითარების უზრუნველყოფა (HU) -სტუდენტების დახმარება, მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში (LU) -სტუდენტების უსაფრთხო სწავლებისა და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, მისი განვითარების მიზნით (NL)
დიდაქტიკური და მეთოდური კომპეტენციები	-სხვადასხვა საგანმანათლებლო სტრატეგიების, მეთოდებისა და ტექნიკის ფლობა, სწავლებისა და განათლების მიღების პროსცესში სტუდენტების მოტივაციისათვის (BG) -ინდივიდუალურ მოთხოვნებთან განათლების მიზნების ადაპტაცია (HU) -ტექნოლოგიის, მათ შორის მულტიმედიური რესურსების, ეფექტიანად გამოყენება სასწავლო პროცესში მისი ხარისხის უზრუნველყოფისათვის (IE) -ინფორმაციის მოპოვება, მიწოდება და გამოყენება, საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება (PL)
საგნობრივი ცოდნა, კომპეტენციები	-საგანის საფუძვლიანი ცოდნა (HU) -მძლავრი სასწავლო გარემოს შექმნა, სასწავლო პროცესის

[30]**წყარო:** მონაცემთა ბაზა მასწავლებლები და ტრენერები (TT-teachers and trainers) სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში (in WBL-work-based learning); **S.D. Broek, M. Cino Pagliarello, R. de Vreede-Van Noort, P. Vroonhof.** Teachers and trainers in work-based learning/apprenticeships. Mapping of models and practices. Final report Request for Services VT/2015/075 In the Context of EAC-47-2014-4. Luxembourg: Publications Office of the European Union, 2017.; Teachers and trainers in work-based learning. https://www.panteia. com/researches /teachers-trainers-work-based-learning/; Work Based Learning Teacher Training. Professional Development for teachers looking to integrate Work Based Learning. https://www. udemy.com/workbasedlearning/.

	მოყვანა საზოგადოებისათვის საჭირო და არსებულ პროფესიულ ცოდნასთან კავშირში (NL)
კომუნიკაცია და რელევანტური უნარები (პროფე-სიული სასწავლო დაწესებულების VET შიგნით და გარეთ)	-შეუძლია მიზნების ჩამოყალიბება და კომუნიკაცია, მოტივირება და დახმარება სწავლაში (IE) -მშობლებთან ან მეურვეებთან, სტუდენტებთან, კოლეგებთან, სხვა ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებებთან კარგი კონტაქტი. შესაფერისი პროფესიული ქცევა, სკოლის მიღმა. სკოლასა და კომპანიებს, ინსტიტუტებს შორის კარგი ურთიერთობების დამყარება (NL)
პროფესიული განვითარება, თვითგანვითარება	-სწავლების უნარებისადმი თვითკრიტიკული მიდგომა (IE) -თავისი კომპეტენციების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ სრულყოფილი, კარგი წარმოდგენა (NL) -პროფესიასთან დაკავშირებულ დავალებებსა და პასუხისმგებლობის გაზიარებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით მუდმივი მზადყოფნა (PL) -საკუთარი სასწავლო პროექტის შესაბამისად პრაქტიკის, გამოცდილების, პროფესიული განვითარების შეფასება (PT)
პრაქტიკა და შეფასება	-სასწავლო მასალის ხარისხისა და ვარგისიანობის შეფასება, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა საგანმანათლებლო მიზნებისათვის (БГ) -სასწავლო პროცესის მხარდაჭერის, სტუდენტების მიდგომებისა და მიღწეული შედეგების მონიტორინგისა და შეფასებისათვის სხვადასხვა სრტრატეგიების გამოყენება (IE)
ორგანიზაციული და ჯგუფური მენეჯმენტის უნარი	-სასწავლო ჯგუფებისა და დაწესებულების განვითარების ხელისშეწყობა (HU) -სკოლის მართვისა და განვითარების ხელისშწყობა (LU) -პიროვნული ურთიერთობის კარგი უნარი. ლიდერობისა და მართვის საუკეთესო თვისებები (NL).
კვლევის კომპეტენციები	- კვლევის კომპეტენცია (IT)

ფინეთში ჰააგა-ჰელიას უმაღლეს სასწავლებელში, სადაც პედაგოგების მომზადებას ახორციელებენ კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამების მიხედვით, სხვადასხვა პროფილის უმაღლესი სასწავლებლებთან [https://www.study.eu/] თანამშრომლობის შედეგად, წარმოების, მომსახურებისა და ბიზნესის სფეროს მასწავლებლებისათვის დადგენილი იქნა სამი ძირითადი ჯგუფი მახასიათებლებისა [http://www.haaga-helia.fi/en/frontpage], რომლებიც განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლის ცოდნასა და კომპეტენციას:

1.სწავლებისა და კონსულტირების დარგში:

- ✓ კომპეტენტურობა პირადი და ჯგუფური კონსულტირებისას;
- ✓ სპეციალური კომპეტენტურობა განსაკუთრებული საჭიროებების, მოთხოვნების მქონე სტუდენტების კონსულტირებისა და მართვის სფეროში;
- ✓ დიალოგისა და კომუნიკაციის უნარები;

2.შრომით კოლექტივსა და ბიზნეს-ქსელებში საქმიანობის მიმართულებით:

- ✓ პროფესიული სასწავლო დაწესებულებების საქმიანობის სპეციფიკისა და მიზნების ცოდნა;
- ✓ სასწავლო დაწესებულების საქმიანობაში (სიახლეები სასწავლო პროცესში, სასწავლო გეგმების, პროგრამების შემუშავება, სწავლების ახალი აქტიური მეთოდების შემუშავება, დანერგვა და სხვა) აქტიური მონაწილეობა;
- ✓ სხვადასხვა კულტურების აღქმა, გაგება.

3.კვლევითი საქმიანობისა და მიღებული შედეგების, სიახლეების დამუშავების კუთხით:

- ✓ საკუთარი პროფესიის განვითარების კუთხით თვალყურის დევნების, სიახლეების ათვისების დროული და სწრაფი უნარი;
- ✓ სამუშაოსთან დაკავშირებული კვლევითი მეთოდების ფლობის უნარი;
- ✓ საქმიანობის სხვადასხვა სფეროში სტუდენტების მართვის უნარი.

პროფესიული პედაგოგების სტანდარტების ზოგადი სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ **დიდ ბრიტანეთში, შოტლანდიასა და კანადაში** მასწავლებლებისადმი მოთხოვნების წაყენება ხდება ასევე სამი ძირითადი პროფესიული მახასიათებლის მიხედვით: **პროფესიული ცოდნა-გაცნობიერება; პროფესიული უნარ-ჩვევები; პროფესიული ღირებულებები და სხვადასხვა პიროვნული ფასეულობები.** ზოგ ქვეყანაში კი, ეს მიდგომა პრინციპულად განსხვავებულია. განსაკუთრებულ ინტე-

რესს იწვევს **სინგაპურის** მიერ შემუშავებული კომპეტენციები პროფესიული მასწავ-ლებლებისათვის. იგი მართლაც არსებითად განსხვავდება სხვა ქვეყნების, მათ შორის გერმანიის პრაქტიკისაგან. კომპეტენციებს ხშირად განიხილავენ, როგორც მასწავლე-ბლის პროფესიულ საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებულ უნარებს. სინგაპურში კი, კომპეტენციების ქვეშ გაიგება მასწავლებლის, როგორც პიროვნების განსაკუთრე-ბული თვისებები: აზროვნება, გრძნობა, მოქმედების ტიპი, სახე, საუბრის მანერა და სხვა, რომლებიც განაპირობებენ მის წარმატებას პროფესიაში.

ლიტვიის რესპუბლიკაში მასწავლებელთა სპეციალური კომპეტენციების ქვეშ გაიგება **„ცოდნა, უნარები, ფასეულობები, მიდგომები,** რომელიც უზრუნველყოფენ მის წარმატებულ საქმიანობას სწავლების კონკრეტული დარგის/საგნის სფეროში“ [Vaitkutė, 2016:56]. ხოლო პროფესიული სასწავლებლების პედაგოგების ტექნოლო-გიური კომპეტენციები განიხილება როგორც განსაკუთრებული მახასიათებლები.

რაც შეეხება **საქართველოს**, როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობისა თუ პიროვნული პროფესიონალიზმის მახასიათებლების, კრიტერიუმების განსაზღვრისა და მისი შეფასების საკითხებს ყოველთვის ეთმობოდა სათანადო ყურადღება. 1995 წლიდან განათლების სისტემის რადიკალური რეფორმის პირველივე ეტაპის დაწყებიდან და შემდეგ კი პროფესიუ-ლი განათლების რეფორმის სტრატეგიის დამტკიცების შედეგად მის მიმართ ჩნდება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცისა და სტანდარტების შესაბამისი მოთხოვ-ნები. ასე მაგალითად, 1998 წლის დეკემბერში ძალაში შედის კანონი „დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ“ [კანონი N1716, 1998], რომლის მიზანია[31], კვალიფიციური კადრების პროფესიული მომზადება და გადამზადება, მათი კონკუ-რენტუნარიანობის ამაღლება, მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა და სხვა. კანონის შესაბამისად სასწავლო პროგრამები მოიცავს: სახელობო მომზადების, და-წყებითი პროფესიული განათლებისა და დამატებითი პროფესიული განათლების პროგრამებს. განათლების მიღება დაშვებულ იქნა, როგორც დასწრებული სწავლების, ისე ექსტერნატის წესით, სახელობო, პროფესიულ, სპეციალურ პროფესიულ სასწავ-ლებლებში, ასევე პროფესიულ ლიცეუმსა და პროფესიული მომზადების, გადამზა-

[31]კანონი გაუქმებული იქნა 2007 წელს პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებით **(საქართველოს კანონი N4528, 2007).**

დებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრებში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე. კადრების პროფესიული მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება ასევე უშუალოდ საწარმოში, როგორც წარმოებისაგან მოწყვეტით, ისე მისგან მოუწყვეტლად, სადაც სწავლებას ახორციელებენ შემდეგი „კატეგორიის პედაგოგები: ა)მასწავლებლები; ბ)საწარმოო სწავლების ოსტატები (ინსტრუქტორები), მეთოდისტები, აღმზრდელები და სხვა მუშაკები, რომლებიც წარმართავენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს“ [კანონი N1716, 1998, მუხლი-17]. შესაბამისად კანონმა განსაზღვრა დაწყებითი პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაოზე მიღებისა და შრომის ანაზღაურების წესი, სტატუსი და სოციალური გარანტიები, უფლება-მოვალეობები, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პირობები და სხვა. კანონი ასევე ითვალისწინებდა შესაბამისი ნორმატიული აქტებით მასწავლებელთა პროფესიული და საკვალიფიკაციო მახასიათებლების შემუშავებას, რომელიც უნდა ასახულიყო სასწავლო დაწესებულების წესდებასა და შინაგანაწესში, რაც ღემდე არ არის განსაზღვრული და ჩამოყალიბებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით იყო გარკვეული მცდელობებიც საქმიანობის ცალკეულ სფეროებში. მაგალითად, 2003 წლიდან სახელოვნებო განათლების საბაზო, საშუალო სკოლებისა და საშუალო პროფესიული სასწავლებლების პედაგოგიური კადრების „ძირითად საატესტაციო პარამეტრებად და შეფასების კრიტერიუმებად განისაზღვრა: **ა)ცენზი, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური წოდება, დამსახურება, ჯილდოები, სტაჟირება; ბ)პედაგოგის პროფესიული საქმიანობის შედეგები; გ)პედაგოგიურ-შემოქმედებითი აქტივობა; დ)პედაგოგის საშემსრულებლო მოღვაწეობა; ე)შრომითი, საშემსრულებლო დისციპლინის დონე; ვ)თანამშრომლობის კულტურა და კომუნიკაბელობა“** [ბრძანება N66, 2003]. საატესტაციო მოთხოვნები დადგელილ იქნა ყველა კატეგორიის (უმაღლესი, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე) პროფე-სიული განათლების პედაგოგებისათვის. 2007 წლის 23 აპრილიდან მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება პროფესიული განათლების სფეროში „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის [კანონი N4528, 2007] ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, რომელმაც მიზნად დაისახა თანამედროვე „შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა“ და განსაზღვრა პროფესიული განათლების სახეები, საფეხურები და დაფინანსების პრინციპები. 2013 წლიდან კი პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის მიღების შემდეგ

დამუშავდება „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების ვარიანტები[32], სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბებას, მისთვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის ფორმირებას, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებასა და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობას. კანონმა განსაზღვრა ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლის ტიპები, ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილების ფარგლებში დატოვა მათი მომზადებისა და პროფესიული განვითარების წესის შემუშავება, რომელიც დეტალურად განსაზღვრავდა და დაარეგულირებდა პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, მათი პროფესიაში შესვლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების ღონისძიებებს. აღნიშნული მოთხოვნის აუცილებლობა განპირობებული იყო იმითაც, რომ **თანამედროვე ევროპული მიდგომა მიზნად ისახავს „კომპეტენციებზე დაფუძნებუ-ლი პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას“, ითვალისწინებს <u>სტუდენ-ტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ფორმირებას</u>, შესაბამისად, მისთვის იმ აუცილებელი ცოდნის და უნარების მიცემას, რომელიც სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებს.** სწორედ ამან განაპირობა გასული წლის ბოლოს „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის მიღება [კანონი N3442-Iს, 2018], რომლის მიზანი ხდება საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარება და აღნიშნულ სფეროში შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით ითვალისწინებს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებას, შეთავსებადობას. მიზნის მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს „პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, <u>პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის“ ჩამოყალიბება</u>, რომელიც უნდა განხორციელდეს პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის

[32]შეტანილია ცვლილებები საქართველოს 06/08/2007 N4943; 12/19/2008 N792; 07/21/2010 N3529; 02/22/2011 N4203; 12/06/2011 N5367; 02/28/2012 N5717; 03/06/2013 N261; 03/20/2013 N350; 06/28/2013 N780; 12/12/2014 N2942; 06/27/2015 N3817; 07/08/2015 N3924; 02/19/2016 N4786; 05/04/2017 N774; 12/07/2017 N1677; 07/05/2018 N3027; კანონებით. საბოლოოდ ძალადაკარგულია საქართველოს 09/20/2018 N3442 კანონით.

სისტემის განვითარების საფუძველზე. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სწავლების ისეთი თანამედროვე ინოვაციური მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და სხვა. ძალზე საყურადღებო მომენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონის შესაბამისად „პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყება, მისი პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა“ უნდა განხორციელდეს დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად. ამ უკანასკნელის საბოლოო ვარიანტის მიღებისათვის მნიშვნელოვანი მომენტია პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებული კომპეტენციების, ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პროფესიული მახასიათებლების სქემის შემუშავება. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს ახალი კანონის შესაბამისად პროფესიული განათლება ხორციელდება საბაზო, საშუალო, უმაღლესი, საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების საფუძველზე. მათგან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ანიჭებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამის კვალიფიკაციას. ამიტომ, აქ დასაქმებული მასწავლებლების საქმიანობის შესწავლასა და შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწავლების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებაში.

საქართველოში პროფესიული მახასიათებლების კვლევას პროფესიული განათლების მასწავლებელთან მიმართებით ვერ ვხვდებით. თუმცა საინტერესოა რუსუდან სანაძის მიერ 2006-2009 წლებში ჩატარებული კვლევა - „უმაღლესი სკოლის მასწავლებლის საქმიანობის შეფასება“, სადაც მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები წარმოდგენილია „სამი ძირითადი ასპექტის მიხედვით:

1.საგნის ცოდნა (მეცნიერული ცოდნა);

2.მეთოდური მომზადება;

3.პიროვნული თვისებები“ [სანაძე, 2009:65].

ნაშრომში კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, თითოეული ასპექტი ჩაშლილია დეტალურად. ასევე, მოვიძიეთ ავტორთა ჯგუფის ანალიზი ზოგადი განათლების მასწავლებლის სტანდარტთან მიმართებით, სადაც მასწავლებლის მახასიათებლების საფუძველზე ავტორები გვთავაზობენ სტანდარტის სტრუქტურას, კერძოდ, „მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში გაწერილ უნდა იყოს მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები, როგორც თეორიული მოთხოვნა მასწავლებლის

ცოდნისადმი, მოთხოვნები მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობისადმი და მოთ-ხოვნები მასწავლებლის ზნეობრივ–ეთიკური ნორმებისადმი“, რომლის საფუძველ-ზეც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი წარმოდგენილ იქნა „შემდეგი სტრუქ-ტურული ერთეულებით:

- ✓ მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები (ცოდნა და გაცნობიერება);
- ✓ პროფესიული საქმიანობა (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება);
- ✓ მასწავლებლის ზნეობრივ–ეთიკური სახე (ღირებულებები)“ [ჭკუასელი..., 2014:285].

რაც შეეხება პროფესიული განათლების მასწავლებლის მახასიათებლებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერული კვლევა ვერ მოვიძიეთ. თუმცა სახელმწიფომ შეიმუ-შავა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი [ბრძანება N97/ნ, 2011], რომლის განახლებული ვარიანტი ძალაში შევიდა 2015 წლის იანვრიდან [ბრძანება №168/ნ, 2014]. მასში მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მახასიათებლების სქემა (რომელიც დღემდე უცვლელია, „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის მიღების პირობებ-შიც კი) წარმოდგენილია შემდეგი ზოგადი სტრუქტურის მიხედვით:

ა)პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, სწავლის თეორიები და სასწავლო გარემო:

- ✓ პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები;
- ✓ სწავლის თეორიები;
- ✓ სასწავლო გარემო;
- ✓ მოტივაცია და კომუნიკაცია.

ბ) სწავლება და შეფასება:

- ✓ სასწავლო პროცესი;
- ✓ შეფასების მეთოდები;
- ✓ სწავლების სტრატეგია და მეთოდები;

გ)პროფესიული გარემო:

- ✓ კოლეგებთან ურთიერთობა;
- ✓ თვითშეფასება და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- ✓ სამართლებრივი აქტების ცოდნა.

თუ შევადარებთ საქრთველოს პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტს ზემოთ წარმოდგენილ სტანდარტებს სხვა ქვეყნებში, ნათლად დავინახავთ, რომ სტანდარტი სრულად ვერ ასახავს პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებულ გარკვეულ ასპექტებს, განსაკუთრებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, კომპეტენციებსა და პროფესიულ მახასიათებლებთან მიმართებაში. სტანდარტის სტრუქტურა შინაარსის მიხედვით, გარკვეულ ლოგიკას მოკლებულია, გაუგებარია სტანდარტის პირველ (ა) პუნქტში პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნის, უნარების და სწავლის თეორიების გაერთიანება სასწავლო გარემოსთან, მაშინ, როცა სტანდარტში გვაქვს მესამე (გ) პუნქტი, რომელიც პროფესიული გარემოს სახელწოდებითაა წარმოდგენილი. ასევე, არსად ჩანს სტანდარტში მასწავლებლის მიერ სტუდენტის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულობა, თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის აუცილებლობა და სხვა. ამიტომ, ამჟამად მიმდინარეობს მისი ახალი ვარიანტის დამუშავება. ცხადია, სტანდარტი უნდა ეფუძნებოდეს მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების მეცნიერულად შემუშავებულ ვარიანტს. რის დადგენასაც ვცდილობთ წარმოდგენილ ნაშრომში.

თუ მოვიშველიებთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, ამ კუთხით სხვადასხვა ლიტერატურული წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების განსაზღვრისას მთავარი აქცენტი გადატანილია პროფესიისათვის დამახასიათებელ კონკრეტულ, სპეციფიკურ ნიშნებზე, რომელიც სრულად შეესაბამება ევროსტანდარტებს და მოიცავს ბოლონიის პროცესის სწავლების შედეგებს. მიუხედავად პროფესიული განათლების მასწავლებლის **პროფესიული მახასიათებლების** სიჭრელისა საზღვარგარეთის ქვეყნებში, მასწავლებელთა სპეციალური კომპეტენციების ქვეშ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში უკვე ფორმალურადაც (შინაარსობრივად ისედაც გაწერილი იყო) მოიაზრება ბოლონიის პროცესის **სწავლის შედეგები**-*ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები და ღირებულებები.* კერძოდ, **ლიტვაში** („ცოდნა, უნარები, ფასეულობები, მიდგომები), **დიდ ბრიტანეთში, შოტლანდიასა და კანადაში** (პროფესიული ცოდნა-გაცნობიერება; პროფესიული უნარ-ჩვევები; პროფესიული ღირებულებები და სხვადასხვა პიროვნული ფასეულობები), **გერმანიაში** (კომპეტენტური მასწავლებელი = ცოდნა + ქმედება(საქმიანობა) + პროფესიული ეთიკა; ცოდნა და შესაძლებლობები, გამოცდილება და უნარები, ეთიკა და რეფლექსიები). ამდენად,

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ჩვენც, დავიცვათ ეს ფორმატი და მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები გავწეროთ ზემოთაღნიშნული სწავლის შედეგის ფორმით, კერძოდ-*ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები და ღირებულებები.* მით უფრო, რომ საქართველოში კვლავ მიმდინარეობს პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა და ახალი სტანდარტი უნდა აიგოს საერთაშორისო სივრცის მოთხოვნების გათვალისწინებით. **ეს სიახლე იქნება ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის.** როგორც ვნახეთ, საზღვარგარეთაც სულ რამდენიმე ქვეყანაა გადასული მახასიათელის ასეთ **სტრუქტურაზე.** პროფესიული მახასიათებლების ამ სტრუქტურით გაწერა გაუადვილებს უმაღლეს სკოლებს მასწავ-ლებლის მომზადების პროგრამების გაწერას. უფრო მეტიც, **ჩვენი წინადადებით, უმჯობესი იქნება იგივე სტრუქტურით გაიწეროს საშუალო სკოლისა და სკოლამდე-ლი დაწესებულების მასწავლებელთა პროფესიული მახასიათებლებიც და ქვეყანაში შეიქმნას ერთიანი მიდგომა მასწავლებლის პროფესიული სახისადმი.** პროფესიული განათლების მასწავლებლის მახასიათებლების თეორიული მოდელის სტრუქტურის დადგენის შემდეგ სტრუქტურის თითოეული კომპეტენცია ჩავშალეთ ზოგადშინაარ-სობრივი კუთხით, კერძოდ გავწერეთ იმ სავალდებულო დისციპლინების საფუძვლები, რომელთა ცოდნასაც მოიაზრებს მოთხოვნები მასწავლებლის პრო-ფესიისადმი. ამისათვის გავაანალიზეთ და განვაზოგადეთ უცხოური გამოცდილება, ბოლონიის პროცესის მოთხოვნები პროფესიისადმი და საქართველოს საკანონმდე-ბლო ბაზა ამ მიმართებით. **ჩვენი წინადადებით, თითოეული სტრუქტურული კომპეტენცია უნდა ჩაიშალოს შემდეგი სახით:**

1.პროფესიული ცოდნა და გაცნობიერება - პროფესიასთან დაკავშირებული საგნების სიღრმისეული ცოდნა; პროფესიასთან დაკავშირებული სამართლებრივ-ნორმატიული აქტების ცოდნა; პედაგოგიკურ/მეთოდიკურ/ფსიქოლოგიური დისცი-პლინების საფუძვლების ცოდნა.

2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება-პრაქტიკული უნარები-პროფესიული, პედა-გოგიკური, დიდაქტიკურ/მეთოდიკური და ფსიქოლოგიური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები.

3.ღირებულებები, პიროვნული თვისებები-პროფესიული ღირებულებები და ეთიკური ნორმები, ზნეობრივი ნორმები.

ამდენად, **უცხოური და ქართული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინეთ პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების სტრუქტურა და სტრუქტურის თითოეული კომპეტენციის ზოგად/მეცნიერული შინაარსი.**

ბუნებრივია, შემდგომი ნაბიჯი ჩვენი თეორიული კვლევისა უნდა ყოფილიყო მახასიათებლების დეტალური ჩამონათვალი წარმოდგენილი სტრუქტურის შინაარსის მიხედვით. იმისათვის, რომ თავი დაგვეზღვია შეცდომისაგან, გადავწყვიტეთ თავდაპირველად გაგვეერთიანებინა და გაგვეზოგადებინა მახასიათებლის ყველა შინაარსობრივი ჩამონათვალი, რომელიც შეგვხვდა ამა თუ იმ ქვეყნის სტანდარტებსა თუ მასწავლებლის მომზადების პროგრამებში და მოგვექცია ჩვენეულ სტრუქტურულ და მეცნიერულ სისტემაში. შედეგად მივიღეთ ვრცელი სახით წარმოდგენილი სქემა (ყველა ქვეყნის მახასიათებლის შეჯამებული ვარიანტი), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც **საორიენტაციო ვარიანტი** ამა თუ იმ უნივერსიტეტისათვის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლის შესაქმნელად. ამ ნიშნით შექმნილი პროფესიული განათლების მასწავლებლის **ვრცელი პროფესიული მახასიათებლების თეორიული ვარიანტი** შემდეგი ფორმით ჩამოყალიბდა:

1.პროფესიული ცოდნა, გაცნობიერება:

- ✓ პროფესიასთან დაკავშირებული ზოგადი და სპეციალური დისციპლინების ცოდნა;
- ✓ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიულ–სამართლებრივი აქტებისა და ეთიკური მოთხოვნების ცოდნა/გაცნობიერება, პროფესიული სასწავლო დაწესებულებების საქმიანობის სპეციფიკის და მიზნების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ნორმების ცოდნა;
- ✓ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა;

- ✓ *პედაგოგიკის ძირითადი საფუძვლების ცოდნა:*
  - ❖ ზოგადი პედაგოგიკის საფუძვლები;
  - ❖ დიდაქტიკის საფუძვლები;
  - ❖ პროფესიულ–პედაგოგიური საქმიანობის დანიშნულება და მიზნები;
  - ❖ მასწავლებლის პროფესიის, ფუნქციებისა და მოვალეობების გაცნობიერება;
  - ❖ მასწავლებლის პროფესიული ეთიკა;

- ❖ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის პრინციპები;
- ❖ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების მეთოდები;
- ❖ ეფექტური სასწავლო-საწარმოო გარემოს ორგანიზების მეთოდები და სტრატეგიები;
- ❖ ინკლუზიური განათლების პრინციპები;
- ❖ სასწავლო პროცესის ჰიგიენური ნორმების ძირითადი საფუძვლები;
- ❖ სამეცნიერო–პედაგოგიური კვლევის ძირითადი საფუძვლები;

✓ *სასწავლო საგნის თეორიული და პრაქტიკული სწავლების დიდაქტიკა/მეთოდიკის ცოდნა:*

- ❖ სწავლების თეორია და პრაქტიკა;
- ❖ სწავლების ძირითადი პრინციპები;
- ❖ სწავლებაზე მოქმედი ფაქტორები, სასწავლო პროცესის სპეციფიკა;
- ❖ სწავლების მეთოდები, თანამედროვე ტექნოლოგიები და სტრატეგიები;
- ❖ ჯგუფის მართვის სტრატეგიები;
- ❖ სწავლების შედეგების შეფასების თანამედროვე და ტრადიციული მეთოდები;
- ❖ სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპები;

✓ *ფსიქოლოგიის ძირითადი საფუძვლების ცოდნა:*

- ❖ სწავლის მოტივაციის ამაღლებისა და ეფექტური კომუნიკაციის მეთოდები;
- ❖ სტუდენტების ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებები;
- ❖ სტუდენტის განვითარების პროცესის ძირითადი კანონზომიერებები;
- ❖ სასწავლო ჯგუფისა და ცალკეული სტუდენტის პიროვნების დიაგნოსტიკის პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური მეთოდები;
- ❖ დესტრუქციული პროფესიული სიტუაციებისაგან თავის არიდების ტექნოლოგიები;
- ❖ აუტოფსიქოლოგიური კომპეტენცია - საკუთარი პიროვნებისა და საქმიანობის უარყოფითი და დადებითი მომენტების გამოვლენა;
- ❖ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოზარდების თავისებურებები.

2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება - პრაქტიკული უნარები:

პედაგოგიური უნარები:

- ✓ სასწავლო პროცესების დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მისი ეფექტიანად განხორციელების უნარი პროფესიული განათლების სისტემის თავისებურებებისა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტის მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- ✓ სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი;
- ✓ სწავლების პროცესში სტუდენტის აღზრდაზე ორიენტაციის უნარი,
- ✓ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის უნარი;
- ✓ სტუდენტების ავტონომიურობის უზრუნველყოფის უნარი;
- ✓ სწავლების პროცესში სტუდენტთან პოზიტიური კომუნიკაციის უნარი;
- ✓ ინდივიდუალურ მოთხოვნებთან განათლების მიზნების ადაპტაციის უნარი;
- ✓ ლიდერობისა და მართვის სხვადასხვა სტილის გამოყენების უნარი;
- ✓ სწავლების პროცესში ავტორიტარიზმისა და პედანტურობისაგან გათავისუფლების უნარი;
- ✓ სწავლების პროცესში სხვადასხვა კულტურების აღქმისა და გაგების უნარი;
- ✓ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტების სოციალური გარემოს ნეგატიური გავლენისაგან დაცვის უნარი;
- ✓ მთელი საგანმანათლებლო პროცესის განმავლობაში სტუდენტების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის უნარი;
- ✓ თავისი კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტების უფლებების დაცვისა და მათი სოციალური და სხვა გარანტიებით უზრუნველყოფის უნარი;
- ✓ საკუთარი გამოცდილების კვლევისა და შეფასების უნარი;
- ✓ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის უნარი;
- ✓ დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობის უნარი;
- ✓ პროფესიულ საზოგადოებასთან დიალოგისა და კომუნიკაციის უნარები;
- ✓ განათლების თეორიის, პრაქტიკის, პოლიტიკის დარგში დებატების უნარი;
- ✓ მასწავლებლების ეთიკური ნორმების დაცვის უნარი;
- ✓ ტიპიური პროფესიული ამოცანების გადაწყვეტის უნარი;
- ✓ საკუთარ სპეციალობაში ახალი ცოდნის ათვისების უნარი;
- ✓ საპროექტო, კვლევითი სამუშაოების ხელმძღვანელობის უნარი;

- ✓ ექსტრემალურ პედაგოგიურ სიტუაციებში წინააღმდეგობების დაძლევის უნარი
- ✓ სტუდენტებისა და მათი მშობლების კონსულტირების უნარი პროფესიული თვითგამორკვევისა და პროფესიული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით;
- ✓ მშობლებთან თანამშრომლობის უნარი;
- ✓ საკუთარი პედაგოგიური, სამეცნიერო–მეთოდური და პრაქტიკული საქმიანობის შედეგების წარმოჩენის უნარი;

დიდაქტიკურ/მეთოდიკური უნარები:

- ✓ თითოელი სტუდენტის საჭიროებებისა და შესაძლებლობების მკაფიო და მიღწევადი მოლოდინების განსაზღვრის უნარი;
- ✓ სასწავლო პროცესში სწავლების სხვადასხვა მეთოდების, ტექნოლოგიების, მიდგომების გამოყენების უნარი;
- ✓ სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდის გამოყენების უნარი;
- ✓ შეფასების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფის უნარი;
- ✓ სტუდენტთა შეფასების პროცესში დამსაქმებელთა მონაწილეობის ხელშეწყობის უნარი;
- ✓ სტუდენტთა შეფასების შედეგების სწავლების ხარისხის გაუმჯობესე-ბისათვის გამოყენების უნარი;
- ✓ სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზების უნარი;
- ✓ სტუდენტებისათვის საჭირო დახმარების გაწევის უნარი;
- ✓ სწავლების პროცესში ქცევის სტილის რეგულირების, ჯგუფის მართვის სტრატეგიების გამოყენების უნარი;
- ✓ სწავლების პროცესში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- ✓ სწავლების პროცესში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ნორმების დაცვის უნარი;
- ✓ პროფესიული და პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზების უნარი;
- ✓ ინიციატივის გამოჩენის, შემოქმედებითი სწავლების უნარი.

ფსიქოლოგიური უნარები:

- ✓ პედაგოგიური–ფსიქოლოგიური კვლევის პროექტის ორგანიზებისა და დამუშავების უნარი;
- ✓ სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტაციის უნარი;
- ✓ პიროვნების პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის უნარი;
- ✓ სტუდენტთა სწავლისადმი მოტივაციის გაზრდის უნარი;
- ✓ სტუდენტების მიღწევების შეფასება, პროფესიული რეფლექსიები და პროფესიული ურთიერთკავშირების უნარი;
- ✓ სსსმ სტუდენტთან პროფესიული ურთიერთობის უნარი;

3. ღირებულებები, პიროვნული თვისებები:

პროფესიული ღირებულებები და ეთიკური ნორმები, ზნეობრივი ღირებულებები.

✓ *პროფესიულ-ეთიკური ღირებულებები:*

- ❖ პროფესიული საქმიანობის მოტივი;
- ❖ პროფესიულ-სამართლებრივი ღირებულებები;
- ❖ პროფესიულ-პედაგოგიური პოზიცია;
- ❖ პროფესიულ–პედაგოგიური ინტერესები;
- ❖ პედაგოგიური ვალდებულებები, პასუხისმგებლობა;
- ❖ პედაგოგიური სამართლიანობა;
- ❖ პედაგოგიური მოწოდება;
- ❖ პედაგოგიური ოპტიმიზმი;
- ❖ პედაგოგიური ჰუმანიზმი;
- ❖ პედაგოგიური ტაქტი;
- ❖ განათლების ინკლუზიურობის გაცნობიერება;
- ❖ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გაცნობიერება;
- ❖ სტუდენტების მოტივაციის გაცნობიერება;
- ❖ სტუდენტებისადმი დახმარება პროფესიისათვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებაში, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;

- ❖ პროფესიასთან დაკავშირებული დავალებებისა და პასუხისმგებლობების გაზიარების, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მზადყოფნა;
- ❖ სკოლის მართვასა და განვითარებში მონაწილეობის უნარი;
- ❖ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის უნარი;
- ❖ მშობლებთან ან მეურვეებთან, სტუდენტებთან, კოლეგებთან, სხვა ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებებთან, კომპანიებთან, ინსტიტუტებ-თან პოზიტიური კონტაქტის დამყარება;
- ❖ სწავლების უნარებისადმი თვითკრიტიკული მიდგომა, საკუთარი კომპე-ტენციების, ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება;
- ❖ შრომითი საქმიანობის პროცესში საკუთარი თავის რეალიზაციის უნარი;
- ❖ სასწავლებლის მიღმა შესაფერისი პროფესიული ქცევა;

✓ *ზნეობრივი ნორმები:*

- ❖ საზოგადოებრივი ვალდებულებების გაცნობიერება;
- ❖ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა;
- ❖ სოციალური აქტივობა, საიმედოობა, მიზანსწრაფულობა;
- ❖ პიროვნული თავისუფლება;
- ❖ ეროვნულ/ტრადიციული ღირებულებები;
- ❖ სხვადასხვა კულტურების აღქმა, გაგება;
- ❖ პიროვნული გაწონასწორებულობა;
- ❖ თვითმობილიზების უნარი;
- ❖ დისციპლინარულობა;
- ❖ პატიოსნება;
- ❖ კეთილსინდისიერება;
- ❖ კომუნიკაბელურობა;
- ❖ ემპათიის განცდა;
- ❖ მორალური ღირებულებები;
- ❖ მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ;
- ❖ თანამედროვეობა;
- ❖ ზოგადი ერუდიცია;

როგორც აღვნიშნეთ, პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები შევქმენით საერთაშორისო სივრცეში არსებული პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების პროგრამებისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების **ანალიზისა და განზოგადების** საფუძველზე.

ცხადია, თითოეული ქვეყანა თავისი კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური საჭიროებებიდან, საკუთარი განათლების პოლიტიკური კურსიდან უყურებს მასწავლებლის პროფესიულ მახასიათებლებს და შესაბამისად, ჩვენ მიერ განხილული ქვეყნების პროფესიული მახასიათებლები ამ **სქემის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს იზიარებს,** კერძოდ იმას, რომელიც ამ პერიოდისათვის მისი ქვეყნისთვისაა რელევანტური.

ბუნებრივია, მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების ამ ვარიანტის გამოყენება სერიოზულ სირთულეს შეუქმნის უმაღლეს სკოლებს მასწავლებლის მომზადების პროგრამების შექმნის პროცესში, ვინაიდან ძალზე რთული იქნება პროგრამის იმ შედეგის მიღწევა (და თუნდაც თავად კურიკულუმის გაწერა), რომელიც ამ მახასიათებლებითაა მოცემული. ამდენად, კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ **ეს სქემა სანიმუშოა, როგორც საერთო ჩამონათვალი, და კონკრეტული ქვეყნისთვის საორიენტაციოა მისი პოლიტიკური კურსისა და საჭიროების განსაზღვრის მიხედვით.** ამდენად, ჩვენ უნდა ვიფიქროთ მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების იმ ზოგად თემატიკაზე, რომელიც ამ ეტაპზე სავალდებულოა ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც ბოლონიის პროცესების წევრი ქვეყნისთვის, რომელსაც მწირი გამოცდილება გააჩნია პროფესიული მასწავლებლის მომზადებისა და რომელიც ნელ-ნელა, თანდათანობით უნდა მივიდეს საერთაშორისო ნორმებამდე, იმ თანამედროვე გამოწვევების გამკლავებამდე სწავლების პროცესში, რომელიც არა თუ საქართველოს, არამედ მთელი თანამედროვე მსოფლიოსათვის გამოწვევებს წარმოადგენს. მივიდეს ისე, რომ არ დაკარგოს საკუთარი კულტურა და ეროვნული თვითმყობადობა. მაინც რა უნდა იყოს ეს თემატიკა და როგორ უნდა მივიდეთ თეორიული ანალიზით ამგვარ გადაწყვეტამდე. აქ, ჩვენი აზრით, ერთი გამოსავალი არსებობს. **უნდა გამოვყოთ ის ზოგადი მახასიათებლები, რომლებიც ყველა ჩვენ მიერ შესწავლილი ქვეყნის მოდელში იდენტურია და მეორდება.** მაშასადამე, ასეთი მახასიათებლები იქნება ის მინიმალური მოთხოვნები, რომლის გარეშეც რთულია საუბარი მასწავლებლის პროფესიაზე დღეს. ცხდია, იგივე უნდა ვეძიოთ საერთაშორისო საგანმანათლებლო

სივრცის დოკუმენტებშიც და ეს მახასიათებლები უნდა გავწეროთ ჩვენი სტრუქტურისა და მეცნიერული კლასიფიკაციის მიხედვით. ამგვარი ანალიზის საფუძველზე მივიღეთ პროფესიული განათლების მასწავლებლის **პროფესიული მახასიათების თეორიული მოდელი, რომელიც თავისი შინაარსით მინიმალური და ზოგადი მახასიათებლები /სტანდარტი/ იქნება და ჩაიშლება იმ მოთხოვნების მიხედვით, რომელსაც გარკვეული დრო და ვითარება გვიკარნახებს.**

ამ გზით შექმნილი პროფესიული განათლების მასწავლებლის **პროფესიული საქმიანობის მახასიათებლების თეორიული მოდელი** შინაარსობრივი კუთხით შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

1.პროფესიული ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ პროფესიასთან დაკავშირებული ზოგადი და სპეციალური დისციპლინების ცოდნა;
- ✓ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიულ–სამართლებრივი აქტებისა და ეთიკური მოთხოვნების ცოდნა/გაცნობიერება,
- ✓ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ძირითადი საფუძვლებისა ცოდნა:
  - ❖ ზოგადი პედაგოგიკის საფუძვლები;
  - ❖ დიდაქტიკის საფუძვლები;
  - ❖ ფსიქოლოგიის საფუძვლები;
  - ❖ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის პრინციპები;
  - ❖ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების მეთოდები;
  - ❖ ეფექტური სასწავლო-საწარმოო გარემოს ორგანიზების მეთოდები და სტრატეგიები;
  - ❖ სასწავლო პროცესის ჰიგიენური ნორმების ძირითადი საფუძვლები;
  - ❖ სამეცნიერო–პედაგოგიური კვლევის ძირითადი საფუძვლები;

2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება - პრაქტიკული უნარები:

პედაგოგიური უნარები:

- ✓ სასწავლო პროცესების დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მისი ეფექტიანად განხორციელების უნარი;
- ✓ სწავლების პროცესში სტუდენტის აღზრდაზე ორიენტაციის უნარი;
- ✓ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის უნარი;

- ✓ სწავლების პროცესში სხვადასხვა კულტურების აღქმისა და გაგების უნარი;
- ✓ საგანმანათლებლო პროცესის განმავლობაში სტუდენტების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის უნარი;
- ✓ საკუთარი გამოცდილების კვლევისა და შეფასების უნარი;
- ✓ დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობის უნარი;
- ✓ მასწავლებლების ეთიკური ნორმების დაცვის უნარი;
- ✓ ექსტრემალურ პედაგოგიურ სიტუაციებში წინააღმდეგობების დაძლევის უნარი.

დიდაქტიკურ/მეთოდიკური უნარები:

- ✓ სასწავლო პროცესში სწავლების სხვადასხვა მეთოდების, ტექნოლოგიების, მიდგომების გამოყენების უნარი;
- ✓ სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდის გამოყენების უნარი;
- ✓ სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფის უნარი;
- ✓ სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზების უნარი;
- ✓ პროფესიული და პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზების უნარი;
- ✓ ინიციატივის გამოჩენის, შემოქმედებითი სწავლების უნარი.
- ✓ სტუდენტებისადმი დახმარება პროფესიისათვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებაში, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;

ფსიქოლოგიური უნარები:

- ✓ სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტაციის უნარი;
- ✓ სტუდენტთა სწავლისადმი მოტივაციის გაზრდის უნარი;

3.ღირებულებები, პიროვნული თვისებები:

პროფესიული ღირებულებები და ეთიკური ნორმები, ზნეობრივი ნორმები.

- ✓ პროფესიული ღირებულებები და ეთიკური ნორმები:
  - ❖ პროფესიულ-სამართლებრივი ღირებულებები;
  - ❖ პედაგოგიური ვალდებულებები, პასუხისმგებლობა;

- ❖ პედაგოგიური სამართლიანობა;
- ❖ პედაგოგიური ჰუმანიზმი;
- ❖ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მზადყოფნა;
- ❖ სკოლის მართვასა და განვითარებში მონაწილეობა;
- ❖ სწავლების უნარებისადმი თვითკრიტიკული მიდგომა, საკუთარი კომპეტენციების, ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება;

✓ ზნეობრივი ღირებულებები

- ❖ საზოგადოებრივი ვალდებულებების გაცნობიერება;
- ❖ პიროვნული თავისუფლება;
- ❖ ეროვნულ/ტრადიციული ღირებულებები;
- ❖ სხვადასხვა კულტურების აღქმა, გაგება;
- ❖ პიროვნული გაწონასწორებულობა;
- ❖ დისციპლინარულობა;
- ❖ კეთილსინდისიერება;
- ❖ კომუნიკაბელურობა;
- ❖ ემპათიის განცდა;
- ❖ მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ;
- ❖ ზოგადი ერუდიცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროფესიული განათლების მასწავლებლის ეს **მინიმალური და განზოგადებული პროფესიული მახასიათებლები** შევქმენით იმ ზოგადი მახასიათებლების საფუძველზე, რომლებიც ყველა ჩვენ მიერ შესწავლილი ქვეყნის მოდელში იდენტურია და მეორდება, ასევე, გავითვალისწინეთ საერთაშორი-სო საგანმანათლებლო სივრცის დოკუმენტებში გაწერილი მოთხოვნები. განზოგადებული მახასიათებლები დავაჯგუფეთ ჩვენი სტრუქტურის/ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, პრაქტიკული უნარები; ღირებულებები/ მიხედვით და თითოეული სწავლის შედეგი ჩავშალეთ მეცნიერული კლასიფიკაციის მიხედვით. წარმოდგენილი მახასიათებლების ვარიანტი ცხადია, არ იქნება სრულყოფილი, ვინაიდან შეუძლებელია ყოველი კონკრეტული ქვეყნისა და კონკრეტული საჭიროებების გათვლა. ამასთან, მასწავლებლის პროფესიული მახასიათებელი

ძალიან სწრაფად იცვლება დროის დაკვეთებთან მიმართებით, მით უფრო, სწრაფად ცვლად ტექნოლოგიურ მსოფლიოში. ამდენად, მიგვაჩნია, რომ **წარმოდგენილ მახასიათებელში არსებითია სტრუქტურა და საგანმანათლებლო პროცესის ძირითა-დი ორიენტირები, რომლებიც სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში საჭიროების მიხედვით ჩაიშლება.**

ამ ეტაპზე, მახასიათებლების საბოლო ვარიანტის ჩამოყალიბების მიზნით, საქარ-თველოს საჭიროებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ემპირიული კვლევის ჩატარება, კერძოდ, პროფესიული განათლების მასწავლებლის მახასიათე-ბლების შესწავლის მიზნით ჩავატარეთ ინტერვიუ საქართველოს პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, ხელმძღვანელ მუშაკებთან და პროფესიული განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტებთან. მათი მოსაზრებები შევაჯერეთ ჩვენ მიერ შესწავლილ თეორიულ მოდელთან. შეჯერების შედეგად მიღებული მახასიათებლები მოტანილია კვლევით ნაწილში.

კვლევითი ნაწილი

კვლევის ძირითადი მიმართულებები, ეტაპები და შედეგები

დღეს, საქართველოს განათლების სისტემის სფეროში მიმდინარე მოვლენები სერიოზულ ყურადღებასა და ძალისხმევას საჭიროებს მდგომარეობის გაჯანსაღების თვალსაზრისით. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა, როგორც ზოგადი განათლების სისტემის ნაწილი, ასევე სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს სისტემაში მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით. როგორც სწავლების ყველა საფეხურისთვის, ასევე, პროფესიული განათლების საფეხურისთვისაც, განასაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მასწავლებლებელთან დაკავშირებული საკითხების გამართვა. არსებულმა ვითარებამ გვაფიქრებინა, რომ მნიშვნელოვანია მეცნიერულ დონეზე განისაზღვროს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები, რომელიც, თავის მხრივ, გახდება საფუძველი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, დარგობრივი მახასიათე-ბლის და მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევა, ამ მიმართულებით, ვფიქრობთ, აქტუალურია და **გარკვეულ სიახლეს** წარმოადგენს. კვლევის ძირითად **მიზანს** წარმოადგენს, პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების შესწავლა და ადაპტაცია ამ მიმართებით ქართული საზოგადოების საჭიროებებთან.

კვლევის მიზნის განსახორციელებლად გამოიკვეთა **კვლევის ამოცანები:**

1. საკითხთან დაკავშირებული მეორადი ინფორმაციის მოძიება-თეორიული მასალა, საკითხთან მიმართებით განხორციელებული კვლევები, უცხოური გამოცდილების შესწავლა;
2. მოძიებული მასალის საფუძველზე კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების თეორიული მოდელის შესწავლა;
4. ემპირიული კვლევის ჩატარება-მასწავლებლების, სტუდენტების და სპეცია-ლისტების გამოკითხვა და შედეგების შეჯერება თეორიულ მოდელთან.

კვლევის საგანია–პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული მახასიათებლები.

კვლევის ობიექტია პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების მოდელების შესწავლისა და ადაპტაციის პროცესი.

კვლევის მეთოდები-თვისებრივი- ა/მეორადი ინფორმაციის მოძიება (თეორიული მასალა, საკითხთან მიმართებით განხორციელებული კვლევები, უცხოური გამოცდილების შესწავლა), ბ/სტრუქტურირებული ინტერვიუ;

თვისებრივი კვლევის პროცესში გამოყენებულია დოკუმენტაციის ანალიზი, კითხვარი და პირდაპირი ინტერვიუს ფორმები. ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუ.

კვლევის ძირითადი სამიზნე ჯგუფები-სამიზნე ჯგუფებად შერჩეული არიან **პედაგოგები (50 პიროვნება),** რომლებიც ამჟამად მოქმედი პროფესიული პროგრამების ფარგლებში ახორციელებენ სწავლების პროცესს სპეციალურ პროფესიულ, საზოგადოებრივ კოლეჯებსა და სასწავლო დაწესებულებებში, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად. ასევე, მიზნობრივი პრინციპით შერჩეული არიან **პროფესიული სწავლების სტუდენტები (350 პიროვნება),** პროფესიული განათლების ხუთივე საფეხურზე, რომლებიც ამჟამად გადიან პროფესიულ სწავლებას შესაბამისი პროფესიული პროგრამების ფარგლებში. სტუდენტთა გარკვეული კონტიგენტი კვლევის პროცესში შეირჩა ასევე შემთხვევითი პრინციპით, კონკრეტიული პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში. კვლევის შედეგების დაკორექტირების მიზნით შერჩეული იქნენ **პროფესიული განათლების სპეციალისტები (3 პიროვნება)** რომელთაც აქვთ შეხება აღნიშნულ საკითხთან, **პროფესიული სასწავლებლების ადმინისტრაციის წევრები (24 პიროვნება).**

მონაცემთა წყარო. კვლევის პროცესში გამოყენებულია მონაცემთა მეორადი წყაროც. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეულ მკვლევარ-ექსპერტთა პროგნოზები და შეფასებები საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში არსებულ და

მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულია შესაბამისი სამთავრობო ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კანონმდებლობა და ოფიციალური მონაცემები საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით.

ჩვენს მიერ ჩატარებული თეორიული და ემპირიული კვლევები განხორციელდა შემდეგი ეტაპების მიხედვით:

კვლევის პირველი ეტაპი - საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით მეორადი ინფორმაციის, თანამედროვე ქართული და საერთაშორისო ლიტერატურული წყაროების, ასევე პრობლემის სიღმისეულად შესწავლის მიზნით, მასთან დაკავშირებული თანამედროვე კვლევების შესახებ ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და დამუშავების შედეგად შევქმენით პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული საქმიანობის მახასიათებლის თეორიული მოდელი. შეირჩა პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის მახასიათებლის ყველაზე არსებითი მაჩვენებლები. კერძოდ, პირველ ეტაპზე კვლევა წარიმართა შემდეგი თანმიმდევრობით:

- ✓ შევისწავლეთ პროფესიული განათლების სისტემის სპეციფიკა, მისი როლი და მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში, ამ სფეროში არსებული გამოწვევები და პრობლემები საქართველოში. ამ მიზნით გავაანალიზეთ ქვეყანაში განათლების სფეროში არსებული ერთიანი ეროვნული სტრატეგია, განსაკუთრებით, პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია, შესაბამისი სამთავრობო ორგანოების მიერ, ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში პროფესიული განათლების სფეროში მიღებული ნორმატიული-სამართლებრივი აქტები, შრომის ბაზარზე არსებული მდგომარება მისი ცალკეული მახასიათებლების მიხედვით, ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და საექსპერტო შეფასებები, პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციონირების ყველა სტადიასა და პროცესში სოციალური პარტნიორობისა და ურთიერთთანამშრომლობის სისტემის განვითარების მდგომარეობა, რაც გულისხმობს ძირითად პარტნიორებთან (სახელმწიფო ორგანოები, პროფესიული ორგანიზაციები, დამსაქმებლები, მეწარმეთა გაერთიანებები, მომუშავეები) ერთად სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ზოგადად განათლების, მათ შორის პროფესიული განათლების სისტემის დაფინანსების სფეროში

არსებულ მდგომარეობასა და პრობლემებზე, განვახორციელეთ განვითარებულ ქვეყნებთან მისი შედარებითი ანალიზი;

- ✓ პროფესიული განათლების სისტემასა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების სფეროში არსებული მდგომარეობის შესასწავლად მოვიძიეთ ქვეყანაში ბოლო 5-10 წლის განმავლობაში განხორციელებული კვლევები [2016, 2015 და 2014 წლის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (Tracer Study); პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა, მომზადებულია ACT-ის მიერ: „გაეროს განვითარების პროგრამისთვის“ (UNDP), დეკემბერი, 2015წ.; დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ. მომზადებულია ACT-ის მიერ „გაეროს განვითარების პროგრამისთვის“ UNDP-თვის. დეკემბერი, 2015წ.; საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი. შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი-პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; პროფესიული სასწავლებლებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა. რაოდენობრივი კვლევის ანგარიში. დეკემბერი, 2014წ.; „პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა“, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერით, ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, რუსთავი. 2017 წლის აგვისტო და სხვა], გაანალიზებულ იქნა მათი შედეგები;
- ✓ შევისწავლეთ სოციალური პარტნიორების (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; სხვა ინსტიტუტები და საერთაშორისო ორგანიზაციები) როლი და ინტერესი პროფესიული განათლების სისტემის პრესტიჟის, მისი როლისა და მნიშვნელობის, განვითარების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და მათი შემდგომი პროფესიული განვითარების საქმეში;
- ✓ შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების სტრუქტურა, ინსტიტუციონალური და ორგანიზაციულ–სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში;

- ✓ დავამუშავეთ და გავაანალიზეთ სფეროსთან მიმართებით სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული სტატისტიკური ინფორმაცია (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, www.mes.gov.ge; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, www.eqe.ge; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, www.mof.ge; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, www.moh.gov.ge; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, www.economy.ge; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge. და სხვა), რომელიც შედეგობრივი ცხრილების სახით წარმოდგენილია ნაშრომის შესაბამის ნაწილში-დანართების სახით. კვლევამ მოიცვა მთლიანად საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაქმებული მასწავლებლების საქმიანობის, სტუდენთა მიღებისა და მომზადების მდგომარეობის ანალიზი, პროფესიული პროგრამის სახეობების მიხედვით;
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების სფეროში არსებული მდგომარეობის დეტალური ანალიზის მიზნით შევისწავლეთ და გავაანალიზეთ პროფესიული განათლების ფორმირებისა და განვითარების ისტორია საქართველოში (უძველესი პერიოდიდან დღემდე, რეფორმირების მიმდინარე ეტაპის ჩათვლით), რომელიც ნაშრომში ცალკე პარაგრაფისა და ვრცლად დანართის სახითაა წარმოდგენილი. საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, ასევე ცალკეა წარმოდგენილი კვლევა ილია ჭავჭავაძის, როგორც საზოგადო მოღვაწისა და დიდი განმანათლებლის ხედვისა და მიდგომების შესახებ პროფესიული განათლებისადმი.
- ✓ კვლევის შემდეგ ეტაპზე, განვახორციელეთ პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების მდგომარეობის, არსებული გამოცდილების დეტალური ანალიზი განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში. შევისწავლეთ ყველა ევროპული ინიციატივა და დოკუმენტი რომელიც აღნიშნულ პრობლემას მიეძღვნა, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია მასწავლებლების პროფესიული პროფილის სრულყოფასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, **მკაფიოდ განსაზღვრული კომპეტენციების საფუძველზე,** რაც აუცილებელია მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ყველა სტადიაზე. კერძოდ, საერთაშო-

რისო პრაქტიკული გამოცდილება შევისწავლეთ შემდეგი განვითარებული ქვეყნების მიხედვით: **გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, ლუქსემბურგი, დანია, ფინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, პოლონეთი, რუსეთი.** განსაკუთრებული აქცენტი გადატანილი იქნა პროფესიული განათლების, მისი სტრუქტურის ცვლილებისა და პროფესიული პედაგოგიური კადრების მომზადების სისტემის რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით ევროკავშირის ქვეყნებში. დავადგინეთ, რომ ამ ქვეყნებში პროფესიული განათლების მომზადების პროცესზე უპირატესად გავლენას ახდენენ შემდეგი ფაქტორები: ნორმატიული და საკანონმდებლო აქტები-სამართლებრივი გარემო და სახელმწიფოს სხვა ფორმით მონაწილეობა აღნიშნული საკითხის რეგულირებაში; სოციალური პარტნიორების თანამშრომლობა, მათი კონკრეტული საქმიანობა და ქმედებები; საბაზრო მექანიზმების ზემოქმედება, მისი ცვლილებები და ხასიათი; კონკრეტული ქვეყნის ტრადიციები, კულტურა, განვითარების თავისებურებები და სხვა. კვლევისა და ანალიზის შედეგად გაკეთებულია მნიშვნელოვანი დასკვნები, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების სისტემის დანერგვისა და საერთაშორისო ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის. მითუმეტეს, რომ ქვეყანაში, განათლების სისტემის რეფორმირების მიმდინარე ეტაპზე, ჯერ კიდევ არ არსებობს პროფესიული პედაგოგიური კადრების მომზადების სისტემისა და მისი შემდგომი მოდერნიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია; საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლისა და ანალიზის შედეგად შევიმუშავეთ, პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებასა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების, კრიტერიუმების ერთიანი განზოგადებული სქემა, მოდელი;

- ✓ შევისწავლეთ პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების მდგომარეობა საქართველოში და განვახორციელეთ ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის ანალიზი. შედეგად დავადგინეთ, რომ მიუხედავად ბოლო პერიოდში გატარებული რეფორმებისა, დღემდე ვერ მოხერხდა პროფესული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და განვითარების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება. შესაბამისად არ არსებობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაც. ამჟამად, ქვეყანაში

პროფესიული სწავლების მასწავლებელთა მომზადებასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ზედამხედველობას ახორციელებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და დონორი ორგანიზაციები, ან მათი მომზადება და განვითარება ხდება უშუალოდ სასწავლებლებში მათი მუშაობის პერიოდში;

- ✓ მასწავლებლის მომზადების პროგრამების შესწავლა დაგვჭირდა იმ თვალსაზ-რისით, რომ დაგვედგინა ის ძირითადი სწავლის შედეგი, რომელზეც უნდა გავიდეს პროფესიული განათლების მასწავლებელი. სწავლის შედეგი, თავის მხრივ, საფუძველია მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლისა, რაც ჩვენი კვლევის ძირითადი ნაწილია. შედეგები გამოვიყენეთ მასწავლებლის პრო-ფესიული მახასიათებლების თეორიული მოდელის შემუშავების პროცესში.

ვინაიდან მასწავლებლის პროფესიული სტანდარტები წარმოადგენს პროფესიუ-ლი განათლების სისტემის ხარისხის მართვის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ინსტრუ-მენტს და მისი უწყვეტობის უზრუნველყოფის ოპტიმალურ საშუალებას, კვლევის შემდეგ საფეხურზე განვახორციელეთ პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტებისა და მახასიათებლების დეტალური ანალიზი, ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა: **ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, შოტლანდია, კანადა, სინგაპური, ფინეთი და რუსეთის ფედერაცია.** კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ ქვეყნებში პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის სტრუქტურა მოიცავს: დარგობრივ პროფესიულ მახასიათებლებს; ნორმატიულ მოთხოვნებს პედაგოგისა-დმი; კვალიფიციური დონის შესაბამისად დადგენილ პროფესიულ უნარებს, ცოდნასა და კომპეტენციებს. ასევე, გამოიკვეთა პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული სტანდარტების ძირითადი პარამეტრები, მახასიათებლები შემდეგი ძირითადი პოზიციის მიხედვით: **სწავლების შინაარსი, საგნობრივი ცოდნა, საგნობ-რივი კომპეტენციები; საგანმანათლებლო საქმიანობისა და პრაქტიკული სწავლების დაგეგმვა; სასწავლო გეგმების შედგენა; განვითარებადი უსაფრთხო სასწავლო გარე-მოს, საგანმანათლებლო სივრცის უზრუნველყოფა; სასწავლო პროცესის ოპტიმიზა-ციისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების, სხვა რესურსების, ინოვაციების ფლობა, გამოყენება; სწავლების შედეგების შეფასება; ეფექტიანი კომუნიკაციის**

უზრუნველყოფა თეორიული და პრაქტიკული სწავლების პროცესში; ურთიერთო-ბები მოსწავლეებთან, საზოგადოებასთან, პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრა-ციასთან, პროფესიულ კავშირებთან და სხვა; პროფესიული განვითარება, კვალიფიკა-ციის ამაღლების უზრუნველყოფა; პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა, პედაგოგის პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერება; პედაგოგიური კულტურა და სხვა. ხოლო, პროფესიული განათლების მასწავლებლების სტანდარტე-ბის ზოგადი სტრუქტურის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად პროფესიული განათლების მასწავლებლის **პროფესიული მახასიათებლების** სიჭრე-ლისა საზღვარგარეთის ქვეყნებში, მასწავლებელთა სპეციალური კომპეტენციების ქვეშ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში უკვე ფორმალურადაც (შინაარსობრივად ისედაც გაწერილი იყო) მოიაზრება ბოლონიის პროცესის **სწავლის შედეგები** - ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები და ღირებულებები. კერძოდ, **ლიტვაში** („ცოდნა, უნარები, ფასეულობები, მიდგომები), **დიდ ბრიტანეთში, შოტლანდიასა და კანადაში** (პროფესიული ცოდნა-გაცნობიერება; პროფესიული უნარ-ჩვევები; პროფესიული ღირებულებები და სხვადასხვა პიროვნული ფასეულო-ბები), **გერმანიაში** (კომპეტენტური მასწავლებელი = ცოდნა + ქმედება (საქმიანობა) + პროფესიული ეთიკა; ცოდნა და შესაძლებლობები, გამოცდილება და უნარები, ეთიკა და რეფლექსიები). ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ჩვენც, დავიცვათ ეს ფორმატი და მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები გავწეროთ ზემოთაღნი-შნული სწავლის შედეგის ფორმით, კერძოდ - ***ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები და ღირებულებები.*** მით უფრო, რომ საქართვე-ლოში კვლავ მიმდინარეობს პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა და სასურველია ახალი სტანდარტი აიგოს საერთაშორისო სივრცის მოთხოვნების გათვალისწინებით. **ეს სიახლე იქნება ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის.** როგორც ვნახეთ საზღვარგარეთაც, სულ რამდენიმე ქვეყანაა გადასული მახასიათე-ბლების ასეთ **სტრუქტურაზე.** პროფესიული მახასიათებლების ამ სტრუქტურით გაწერა გაუადვილებს უმაღლეს სკოლებს მასწავლებლის მოზადების პროგრამების გაწერას. უფრო მეტიც, **ჩვენი წინადადებით, უმჯობესი იქნება იგივე სტრუქტურით გაიწეროს საშუალო სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებელთა პროფესიული მახასიათებლებიც და ქვეყანაში შეიქმნას ერთიანი მიდგომა მასწავლებლის პროფესიული სახისადმი.** პროფესიული განათლების მასწავლებლის

მახასიათებლების თეორიული მოდელის სტრუქტურის დადგენის შემდეგ სტრუ-ქტურის თითოეული კომპეტენცია ჩავშალეთ ზოგადშინაარსობრივი კუთხით, კერძოდ გავწერეთ იმ სავალდებულო დისციპლინების საფუძვლები, რომელთა ცოდნასაც მოიაზრებს მოთხოვნები მასწავლებლის პროფესიისადმი. ამისათვის გავაანალიზეთ და განვაზოგადეთ უცხოური გამოცდილება, ბოლონიის პროცესის მოთხოვნები პროფესიისადმი და საქართველოს საკანონმდებლო ბაზა ამ მიმართებით. **ჩვენი წინადადებით, თითოეული სტრუქტურულ კომპეტენცია უნდა ჩაიშალოს შემდეგი სახით:**

1.პროფესიული ცოდნა და გაცნობიერება - პროფესიასთან დაკავშირებული საგნების სიღრმისეული ცოდნა; პროფესიასთან დაკავშირებული სამართლებრივ-ნორმატიული აქტების ცოდნა; პედაგოგიკურ/მეთოდიკურ/ფსიქოლოგიური დისცი-პლინების საფუძვლების ცოდნა.

2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება-პრაქტიკული უნარები-პროფესიული, პედაგო-გიკური, დიდაქტიკურ/მეთოდიკური და ფსიქოლოგიური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები.

3.ღირებულებები, პიროვნული თვისებები-პროფესიული ღირებულებები და ეთიკური ნორმები, ზნეობრივი ნორმები.

ამდენად, **უცხოური და ქართული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინეთ პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასია-თებლების სტრუქტურა და სტრუქტურის თითოეული კომპეტენციის ზოგად/მეცნი-ერული შინაარსი.**

ბუნებრივია, შემდგომი ნაბიჯი ჩვენი თეორიული კვლევისა უნდა ყოფილიყო მახასიათებლების დეტალური ჩამონათვალი წარმოდგენილი სტრუქტურის შინაარ-სის მიხედვით. იმისათვის, რომ თავი დაგვეზღვია შეცდომისაგან, გადავწყვიტეთ თავდაპირველად გაგვეერთიანებინა და გაგვეზოგადებინა მახასიათებლის ყველა შინაარსობრივი ჩამონათვალი, რომელიც შეგვხვდა ამა თუ იმ ქვეყნის სტანდარტებსა თუ მასწავლებლის მომზადების პროგრამებში და მოგვექცია ჩვენეულ სტრუქტუ-რულ და მეცნიერულ სისტემაში. შედეგად მივიღეთ ვრცელი სახით წარმოდგენილი სქემა (ყველა ქვეყნის მახასიათებლის შეჯამებული ვარიანტი), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც **საორიენტაციო ვარიანტი** ამა თუ იმ უნივერსიტეტი-სათვის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლის შესაქმნელად. ამ ნიშნით

შექმნილი პროფესიული განათლების მასწავლებლის ვრცელი პროფესიული მახასიათებლების თეორიული ვარიანტი შემდეგი ფორმით ჩამოყალიბდა **(იხ.გვ.126-131).**

როგორც აღვნიშნეთ, პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები შევქმენით საერთაშორისო სივრცეში არსებული პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების პროგრამებისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების **ანალიზისა და განზოგადების** საფუძველზე.

ცხადია, თითოეული ქვეყანა თავისი კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური საჭიროებებიდან, საკუთარი განათლების პოლიტიკური კურსიდან უყურებს მასწავლებლის პროფესიულ მახასიათებლებს და შესაბამისად, ჩვენ მიერ განხილული ქვეყნების პროფესიული მახასიათებლები ამ **სქემის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს იზიარებს,** კერძოდ იმას, რომელიც ამ პერიოდისათვის მისი ქვეყნისთვისაა რელევანტური.

ბუნებრივია, მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების ამ ვარიანტის გამოყენება სერიოზულ სირთულეს შეუქმნის უმაღლეს სკოლებს მასწავლებლის მომზადების პროგრამების შექმნის პროცესში, ვინაიდან ძალზე რთული იქნება პროგრამის იმ შედეგის მიღწევა (და თუნდაც თავად კურიკულუმის გაწერა), რომელიც ამ მახასიათებლებითაა მოცემული. ამდენად, კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ **ეს სქემა სანიმუშოა, როგორც საერთო ჩამონათვალი, და კონკრეტული ქვეყნისთვის საორიენტაციოა მისი პოლიტიკური კურსისა და საჭიროების განსაზღვრის მიხედვით.** ამდენად, ჩვენ უნდა ვიფიქროთ მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების იმ ზოგად თემატიკაზე, რომელიც ამ ეტაპზე სავალდებულოა ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც ბოლონიის პროცესების წევრი ქვეყნისთვის, რომელსაც მწირი გამოცდილება გააჩნია პროფესიული მასწავლებლის მომზადებისა და რომელიც ნელ-ნელა, თანდათანობით უნდა მივიდეს საერთაშორისო ნორმებამდე, იმ თანამედროვე გამოწვევების გამკლავებამდე სწავლების პროცესში, რომელიც არა თუ საქართველოს, არამედ მთელი თანამედროვე მსოფლიოსათვის გამოწვევებს წარმოადგენს. მივიდეს ისე, რომ არ დაკარგოს საკუთარი კულტურა და ეროვნული თვითმყობადობა. მაინც რა უნდა იყოს ეს თემატიკა და როგორ უნდა მივიდეთ თეორიული ანალიზით ამგვარ გადაწყვეტამდე. აქ, ჩვენი აზრით, ერთი გამოსავალი არსებობს. უნდა გამოვყოთ ის ზოგადი მახასიათებლები, რომლებიც ყველა ჩვენ მიერ შესწავლილი ქვეყნის მოდელში იდენტურია და მეორდება. მაშასადამე, ასეთი

მახასიათებლები იქნება ის მინიმალური მოთხოვნები, რომლის გარეშეც რთულია საუბარი მასწავლებლის პროფესიაზე დღეს. ცხდია, იგივე უნდა ვეძიოთ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის დოკუმენტებშიც და ეს მახასიათებლები უნდა გავწეროთ ჩვენი სტრუქტურისა და მეცნიერული კლასიფიკაციის მიხედვით. ამგვარი ანალიზის საფუძველზე მივიღეთ პროფესიული განათლების მასწავლებლის **პროფესიული მახასიათებლების თეორიული მოდელი, რომელიც თავისი შინაარსით მინიმალური და ზოგადი მახასიათებლები /სტანდარტი/ იქნება და ჩაიშლება იმ მოთხოვნების მიხედვით, რომელსაც გარკვეული დრო და ვითარება გვიკარნახებს.**

ამ გზით შექმნილი პროფესიული განათლების მასწავლებლის **პროფესიული საქმიანობის მახასიათებლების თეორიული მოდელი** შინაარსობრივი კუთხით შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით **(იხ. გვ. 133-135).**

წარმოდგენილი მახასიათებლების ვარიანტი ცხადია, არ იქნება სრულყოფილი, ვინაიდან შეუძლებელია ყოველი კონკრეტული ქვეყნისა და კონკრეტული საჭიროებების გათვლა. ამასთან, მასწავლებლის პროფესიული მახასიათებელი ძალიან სწრაფად იცვლება დროის დაკვეთებთან მიმართებით, მით უფრო, სწრაფად ცვლად ტექნოლოგიურ მსოფლიოში. ამდენად, მიგვაჩნია, რომ **წარმოდგენილ მახასიათებლებში არსებითია სტრუქტურა და საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი ორიენტირები, რომლებიც სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში საჭიროების მიხედვით ჩაიშლება.**

კვლევის მეორე ეტაპზე -პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების თეორიული მოდელი, რომელიც ერთი ადამიანის კვლევით იქნა შემუშავებული, უნდა შეგვეჯერებინა პროფესიულ საზოგადოებასთან და სტუდენტებთან. მოდელის სტუდენტების და მასწავლებლების მოსაზრებებთან შეჯერების მიზნით განვახორციელეთ რამდენიმე ურთიერთდამოუკიდებელი გამოკითხვა საქართველოს პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში და ასევე უმაღლეს სასწავლებლებში, მოქმედი პროფესიული განათლების პროგრამების მიხედვით. კერძოდ, კვლევა განხორციელდა შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

- ✓ **პროფესიული კოლეჯები:**

  სსიპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“, ქ. თბილისი, პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“ (ფოთი);

✓ **საზოგადოებრივი კოლეჯები:**

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, ქ. თბილისი; საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ (კაჭრეთი); საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ (კაჭრეთი) ახმეტის ფილიალი;

✓ **უმაღლეს სასწავლებლები:**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (ზუგდიდი-სათაო და სენაკის ფილიალი) მოქმედი უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში ჩატარდა სულ 270 სტუდენტისა და 40 მასწავლებლის გამოკითხვა. სტუდენტები შერჩეულ იქნენ პროფესიული ნიშნის და არა აკადემიური მოსწრების მიხედვით. ხოლო, უმაღლეს სასწავლებლებში სტუ-დენტებისა და მასწავლებლების (80 სტუდენტი და 10 მასწავლებელი) შერჩევა გან-ხორციელდა ყველა მოქმედი უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრა-მების მიხედვით. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ამჟამად მოქმედი პროფესიული პროგრამებია:

✓ ტურიზმის მენეჯმენტი;

✓ აგროლოჯისტიკის ოპერატორი მეოთხე და მეხუთე საფეხური;

✓ სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი;

✓ საბაჟო საქმის სპეციალისტი;

✓ სასტუმრო საქმის სპეციალისტი;

✓ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი და ტუროპერატორი.

2017 წლის დეკემბრიდან ამოქმედდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროფესიული მომზადების პროგრამა–„შემფასებელი“, რომელიც მოამზადებს მოძრავი და უძრავი ქონების, არამატერიალური აქტივებისა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექ-ტების (ფასეულობების) შემფასებელ ექსპერტებს.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (ზუგდიდი-სათაო და სენაკის ფილიალი) ამჟამად მოქმედი პროფესიული პროგრამებია:

✓ პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა: ბანკის ოპერატორი;

- ✓ პროფესიული განათლების მეოთხე საფეხურის ბუღალტრის საგანმანათ-ლებლო პროგრამა: ბუღალტერი;
- ✓ პროფესიული განათლების მესამე საფეხურის ბუღალტრის საგანმანათლებლო პროგრამა: ბუღალტერი;
- ✓ პროფესიული განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა: ელექტრიკოსი;
- ✓ პროფესიული განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა: დურგალი;
- ✓ პროფესიული განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა: ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი;
- ✓ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ვეტერინა-რიული მომსახურების სპეციალისტი;
- ✓ პროფესიული განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა: ინფორმაციული ტექნოლოგი;
- ✓ პროფესიული განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა: კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი;
- ✓ პროფესიული განათლების მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა: კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი;
- ✓ პროფესიული განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა: კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი);
- ✓ პროფესიული განათლების მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა: კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი);
- ✓ პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა: კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი);
- ✓ პრაქტიკოსი ექთანი მეხუთე საფეხური;
- ✓ შემდუღებელი III საფეხური;
- ✓ ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მებოცვრეობა, მეფრინველეობა);
- ✓ ფერმერი IV საფეხური;
- ✓ კბილის ტექნიკოსი III, IV, V საფეხური;
- ✓ მზარეული;
- ✓ პრაქტიკოსი ექთანი, მე-5 საფეხური;

✓ ოფისის მენეჯერი, მე-4 საფეხური;

✓ ბეჭდური და ონლაინ გამოცემის რეპორტიორი, მე-4 საფეხური;

✓ ფარმაცევტის თანაშემწე, მე-4 საფეხური;

✓ ფილამწყობი, მე-3 საფეხური;

✓ ბაგა ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, მე-5 საფეხური;

✓ ბუღალტრული აღრიცხვა, მე-5 საფეხური;

✓ კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორი, მე-5 საფეხური;

✓ ინფორმაციის ტექნოლოგია, მე-3 საფეხური;

✓ მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები), მე-3 საფეხური 9დუალური პროგრამა);

იმისათვის, რომ დაგვედგინა, თუ როგორ აფასებენ სტუდენტები და მასწავლებლები პროფესიული სწავლების მასწავლებლის იმიჯს[33] და ჩამოგვეყალიბებინა ქართული რეალობის დაკვეთები პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლის მიმართ, სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ჩატარდა სტრუქტურირებული ინტერვიუ, ბუნებრივია, მათ მივმართეთ კითხვებით, რომელიც თანხვედრაში იყო ჩვენ მიერ შემუშავებული თეორიული მოდელის სტრუქტურასთან, კერძოდ: **„თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელი?,კერძოდ, 1.რა პროფესიულ ცოდნას უნდა ფლობდეს იგი? 2.რა პრაქტიკული უნარები უნდა ჰქონდეს მას? და 3. როგორი ღირებულებები უნდა ჰქონდეს მას?“**. გამოკითხვა ჩატარდა პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში. სტუდენტების აზრი დაფიქსირდა წერილობითი სახით. მათ წინასწარ მიეცათ განმარტება ანონიმურობის დაცვის თაობაზე. მთლიანობაში გამოიკითხა 350 სტუდენტი და 50 მასწავლებელი. მოპოვებული მასალების დამუშავებისას ერთად დავაჯგუფეთ მსგავსი შინაარსის პასუხები და მოსაზრებები, მათი გათვალისწინების მიზნით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიულ მახასიათებლებთან, მის პრაქტიკულ და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხედვები. საბოლოო ვარიანტი **(იხ დანართი-4).**

საბოლოოდ განვახორციელეთ გამოკითხვის შედეგების ანალიზი, სტრუქტურირება და შეჯერება ჩვენს მიერ შემუშავებული მახასიათებლებლების თეორიულ

---

[33]**იმიჯი**-მიზანმიმართულად ფორმირებული ერთიანი, ინტეგრალური, დინამიური ფენომენი, განპირობებული სუბიექტის შინაგანი და გარეგანი პიროვნული და ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისობით და ურთიერთკავშირით, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს სუბიექტის ჰარმონიური ურთიერთკავშირი ბუნებასთან, სოციუმთან და საკუთარ თავთან.

მოდელთან. შეჯერების შედეგად გამოიკვეთა, რომ ემპირიული კვლევის შედეგებით მიღებული მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების აბსოლუტური უმრავლესობა თანხვედრაშია ჩვენ მიერ წარმოდგენილ თეორიულ მახასიათებლებთან. თუმცა, ქართული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, გარკვეული მახასიათებლები განსხვავდება თეორიული მოდელისაგან. მათგან ზოგი, სტუდენტების მიერ მოტანილი მახასიათებელი უარყოფითი კონტექსტითაა წარმოდგენილი, მაგ. მასწავლებელი არ უნდა აფასებდეს სტუდენტს სუბიექტური მოსაზრებებით, არ უნდა აგვიანებდეს ლექციაზე და ა. შ. ასეთ შემთხვევაში ვიხელმძღვანელეთ ამ ქმედების იმგვარი განმარტებით, რომელიც დადებით კონტექსტს გამოხატავს, კერძოდ, აღნიშნულ შემთხვევაში - მასწავლებელი შეფასებას უნდა აწარმოებდეს ობიექტურად, მასწავლებელი უნდა იყოს დისციპლინირებული და ა. შ. წარმოგიდგენთ ემპირიული კვლევის შედეგად მიღებულ უარყოფითი კონტექსტით ფორმულირებულ **განსხვავებულ** მოსაზრებებს მასწავლებლის მახასიათებლებთან მიმართებით. ცხადია, მასწავლებეთა პასუხები უფრო პროფესიონალური და პოზიტიური კონტექსტით გამოთქმული იყო, ხოლო სტუდენტები ვითარებას საკუთარი პოზიციისა და არაკომფორტული განცდების გათვალისწინებით აფასებენ. უარყოფითი მახასიათებლების სტრუქტურაში პირველი პუნქტის- ცოდნა და გაცნობიერება შინაარსი მოვიტანეთ არა კონკრეტული, არამედ სავარაუდო მასალით. კერძოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ როცა სტუდენტი საუბრობს მასწავლებლის მიერ არაპროფესიული თემატიკით დროის გაყვანის შესახებ, ის ადასტურებს, რომ მასწავლებელს ცოდნა არ აქვს. იგივე შეიძლება ვივარაუდოთ მასწავლებლის აგრესიაზე სტუდენტის მიერ განსხვავებული აზრის გამოთქმისას.

ცოდნა და გაცნობიერება:

- ✓ მასწავლებელი ლექციაზე ხშირად საუბრობს სხვა არაარსებით საკითხებზე დროის გაყვანის მიზნით;
- ✓ მასწავლებელი აგრესიულია სტუდენტის მიერ განხვავებული აზრის მოსმენაზე და მკაცრ მითითებებს აძლევს მას;

ღირებულებები/პიროვნული თვისებები

- ✓ მასწავლებელი ლექციას ატარებს მოვალეობის მოხდის მიზნით;
- ✓ მასწავლებელი ხშირად აცდენს ან აგვიანებს ლექციაზე;

- ✓ მასწავლებელი არ არის კეთილგანწყობილი სტუდენტების მიმართ და იქცევა უხეშად;

ცოდნის პრატიკაში გამოყენება

პედაგოგიკა/ფსიქოლოგია/დიდაქტიკა

- ✓ მასწავლებელი ყოველთვის არ უთითებს სტუდენტს მის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებაზე და უყურადღებოდ ტოვებს მას;
- ✓ მასწავლებელს საგამოცდო საკითხებში შეაქვს არასაპროგრამო მასალაც;
- ✓ მასწავლებელი გამოკითხვას აწარმოებს მხოლოდ მის მიერ მითითებული ან მისი ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოს მიხედვით და ღიზიანდება სხვა მასალების გამოყენებისათვის;
- ✓ მასწავლებელი უპირატესობას ანიჭებს თეორიულ მასალას და ნაკლებად ზრუნავს პრაქტიკული მასალების დამუშავებაზე;
- ✓ მასწავლებელი სტუდენტის პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს აფასებს მხოლოდ საკუთარი სუბიექტური მოსაზრებებისა და არა დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ მასწავლებელი არ ზრუნავს პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლებაზე.
- ✓ მასწავლებელი არ ეხმარება სტუდენტს საჭირო პროფესიული ლიტერატურის შერჩევაში და არ აწვდის მათ ინფორმაციას პროფესიასთან დაკავშირებული უახლესი ტექნოლოგიების შესახებ;
- ✓ მასწავლებელი არ ითვალისწინებს სტუდენტის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს, არ აფასებს მათ გავლენას სწავლებასა და სასწავლო პროცესზე.

უარყოფითი მახასიათებლების ეს სტრუქტურული ერთეული დადებითი კონტექსტით პროფესიული განათლების **მასწავლებლის მახასიათებელის თეორიულ მოდელში გაწერილია პროფესიული ცოდნის სახით, ამიტომ ჩავთვალეთ, რომ ემპირიული კვლევის ეს შედეგი შეჯერებულია მახასიათებელთან.**

რაც შეეხება ღირებულებებს, მოტანილი სამი მახასიათებლის დადებით კონტექსტში გადაყვანისას, უნდა გაიწეროს **კეთილსინდისიერება, დისციპლინირებულობა, მორალური ღირებულებები. ეს სამივე მახასიათებელიც თეორიულ მოდელში გაწერილია, და, შესაბამისად დასამატებელი არაფერია.**

მესამე სტრუქტურულ ერთეულთან მიმართებით შესაძლებელია ვთქვათ, რომ ზოგადად, იქ გამოთქმული მოსაზრებები ეხება მასწავლებლის პროფესიონალიზმს, ობიექტურობას, ფსიქოლოგიის ცოდნას და პრაქტიკული მუშაობის უნარებს. ყველა ეს მოსაზრება გაწერილია თეორიულ მოდელში. ამდენად, **ამ პუნქტიდანაც ვერაფერს დავამატებთ.** ზოგადად, უნდა ვთქვათ, რომ სტუდენტების მიერ მოტანილი უარყოფითი მახასიათებლები, უფრო საქართველოში ამ მიმართებით არსებული ვითარების შესწავლისთვის კარგი მასალაა და არა პროფესიული მახასიათებლები. ამასთან, სტუდენტების ეს მოსაზრებები ამყარებს მახასიათებლების თეორიულ მოდელს. მათ არ იციან ეს მოდელი, მაგრამ თვლიან, რომ ესა და ეს მახასიათებლები მასწავლებელს უნდა ჰქონდეს.

ემპირიული კვლევის შედეგად მოპოვებული მასწავლებლის **დადებითი მახასიათებლები** შემდეგია:

1.პროფესიული ცოდნა და გაცნობიერება

) *პროფესიულ/პედაგოგიკურ/დიდაქტიკური/ ცოდნა:*

- ✓ მასწავლებელი უნდა ფლობდეს თეორიულ პროფესიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებს;
- ✓ მასწავლებელი უნდა ფლობდეს პედაგოგიკის ძირითად პრინციპებს;
- ✓ უნდა იცნობდეს პედაგოგიური და პროფესიული საქმიანობის შესახებ არსებულ სამართლებრივ დოკუმენტებს;
- ✓ უნდა იცოდეს სასწავლო პროცესის დაგეგმავა და წარმართვა პროფესიული განათლების სისტემის თავისებურებათა გათვალისწინებით, სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად;
- ✓ უნდა იცოდეს სწავლების სხვადასხვა ფორმა და მეთოდი;
- ✓ უნდა იცოდეს მოტივაციის ამაღლების და ეფექტური კომუნიკაციის სხვადა-სხვა მეთოდები;
- ✓ უნდა ფლობდეს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს;
- ✓ უნდა იხელმძღვანელოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამებით;
- ✓ უნდა იცოდეს პროფესიული ეთიკის ნორმები.

2. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება - პრაქტიკული უნარები:**

პედაგოგიკა/დიდაქტიკა

- ✓ მიზანმიმართულად ადგენდეს სამუშაო სქემას;
- ✓ უნდა ჰქონდეს უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და ორგანიზებული გარემოს შექმნის უნარი;
- ✓ უნდა ჰქონდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების უნარი;
- ✓ უნდა ჰქონდეს ცოდნის გადაცემის უნარი;
- ✓ უნდა ჰქონდეს სტუდენტის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურე-ბების გაცნობიერების უნარი;
- ✓ უნდა შეძლოს სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება თითოეული სტუდენტის წინსვლისათვის;
- ✓ უნდა გამოიყენოს სწავლა -სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- ✓ უნდა ჰქონდეს პრქტიკული გამოცდილება საგანში, რომელსაც ასწავლის;
- ✓ უნდა გააჩნდეს ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და გამოყენების უნარი;
- ✓ უნდა ჰქონდეს სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვის უნარი;
- ✓ უნდა ჰქონდეს ინოვაციური გაკვეთილების ჩატარების უნარი;
- ✓ უნდა ჰქონდეს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის უნარი;
- ✓ უნდა ჰქონდეს პროფესიული ლიტერატურის გამოყენებით შესაბამისი პროგრამის მომზადების უნარი;
- ✓ უნდა ჰქონდეს განსხვავებული მიდგომის ხერხების გამოყენების უნარი;
- ✓ უნდა ჰქონდეს თვითშეფასების უნარი;
- ✓ უნდა ჰქონდეს კოლეგებთან პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით თანამშრომლობის უნარი;
- ✓ უნდა ჰქონდეს შეფასების სხვადასხვა მეთოდის შედეგსა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისათვის გამოყენების უნარი;
- ✓ უნდა ჰქონდეს ახლის ძიების უნარი;
- ✓ უნდა დაეხმაროს სტუდენტს ცოდნის აგებასა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ✓ უნდა შეეძლოს პროფესიული ლიტერატურის შერჩევა-მიწოდება სტუდენტე-ბისათვის;
- ✓ უნდა შეეძლოს სტუდენტს შეაყვაროს საგანი და პროფესია;
- ✓ უნდა ფლობდეს კონფლიქტური სიტუაციის მართვის უნარს;

- ✓ ხელი შუწყოს სტუდენტებს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვაში;
- ✓ უნდა იცავდეს პროფესიული ეთიკის ნორმებსა და წესებს.

3. ღირებულებები, პიროვნული თვისებები

პროფესიულ/ეთიკური ღირებულებები:

- ✓ უნდა იყოს კომუნიკაბელური;
- ✓ იყოს თავისი საქმის ერთგული, პროფესიონალი;
- ✓ უნდა გააჩნდეს პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ✓ უნდა გააჩნდეს თანადგომის უნარი;
- ✓ იმსახურებდეს სტუდენტების სიყვარულს;
- ✓ უნდა იყოს კომპეტენტური;
- ✓ უნდა იყოს მოწესრიგებული;
- ✓ უნდა გააჩნდეს იუმორის გრძნობა;
- ✓ უნდა იყოს თავშეკავებული;
- ✓ უნდა ქონდეს პასუხისმგებლობა თითოეული სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე;
- ✓ უნდა იყოს ესთეტიკურად მოწესრიგებული;
- ✓ უნდა სარგებლობდეს ავტორიტეტით;
- ✓ უნდა უყვარდეს სტუდენტები და მათთან ურთიერთობა;
- ✓ უანგაროდ უნდა ეხმარებოდეს სტუდენტს;
- ✓ უნდა იყოს პუნქტუალური;
- ✓ უნდა იყოს მომთხოვნი;
- ✓ უნდა ისწრაფოდეს სიახლეებისაკენ;
- ✓ უნდა იყოს ობიექტური;
- ✓ უნდა გააჩნდეს მაღალი ინტელექტი;
- ✓ უნდა იყოს მზად შეცდომების დაშვებისა და შენიშვნებისათვის;
- ✓ მასწავლებელი ითვალისწინებს სტუდენტის აზრს, წინადადებებს, შენიშვნებს;
- ✓ სისტემატურად უნდა იმაღლებდეს კვალიფიკაციას და ნერგავდეს რეკომენდი-რებულ სწავლების თანამედროვე მეთოდებს;

დადებითი მახასიათებლების დეტალური ანალიზის საფუძველზე თეორიულ მოდელთან მიმართებით გამოიკვეთა განსხვავება: სტრუქტურულ ერთეულს-

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება-პრაქტიკული უნარები-ემპირიული კვლევის შედეგად დაემატა ფორმულირებები-უნდა ფლობდეს კონფლიქტური სიტუაციის მართვის უნარს; ხელი შუწყოს სტუდენტებს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვაში-კონფლიქტური სიტუაციების მართვაზე თეორიულ მოდელში არსებობს ფორმულირება, რომელიც ოდნავ განსხვავებული ლექსიკითაა წარმოდგენილი, ამიტომ შეჯერების მომენტში მისგან თავი შევიკავეთ. რაც შეეხება მეორე ფორმულირებას-**ხელი შუწყოს სტუდენტებს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვაში,** მნიშვნელოვნად მიგვაჩნია და დავამატეთ თეორიულ მახასიათებლებს. გაცილებით მეტი განსხვავებაა ემპირიული კვლევის შედეგად პროფესიული მახასიათებლების მესამე სტრუქტურულ ერთეულში-*ღირებულებები, პიროვნული თვისებები.* ვფიქრობთ, აქ უფრო ნათლად იკვეთება კულტურული განსხვავებულობა ერებს შორის. ღირებულებათა ჩამონათვალში თავს იჩენს საკუთრივ ქართული საზოგადოების მოთხოვნები მასწავლებლის სახის მიმართ. კერძოდ, ღირებულებულებების თვალსაზრისით **განსხვავებული მოსაზრებებია:**

- უნდა გააჩნდეს მაღალი ინტელექტი;
- უნდა იყოს ესთეტიკურად მოწესრიგებული;
- უნდა გააჩნდეს იუმორის გრძნობა;
- უნდა უყვარდეს სტუდენტები და მათთან ურთიერთობა;
- უნდა იმსახურებდეს სტუდენტების სიყვარულს;
- უნდა გააჩნდეს თანადგომის უნარი;
- უნდა სარგებლობდეს ავტორიტეტით;
- უნდა იყოს მზად შეცდომების დაშვებისა და შენიშვნებისათვის;
- მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის აზრს, წინადადებებს, შენიშვნებს.

ვინაიდან ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი უპირობოდ მოიაზრება საერთაშორისო სივრცეში და არ საჭიროებს დაკონკრეტებას (მაგ. უნდა გააჩნდეს მაღალი ინტელექტი; უნდა იყოს ესთეტიკურად მოწესრიგებული), არ ჩავთვალეთ მათი ჩატანა თეორიულ მოდელში. ასევე, არ შევიტანეთ-ისეთი თვისებები, როგორიცაა-უნდა გააჩნდეს იუმორის გრძნობა; უნდა უყვარდეს სტუდენტები და მათთან ურთიერთობა; უნდა იმსახურებდეს სტუდენტების სიყვარულს; უნდა გააჩნდეს თანადგომის უნარი-ვინაიდან მიგვაჩნია ეს თვისებები არ არის მასწავლებლისთვის ვალდებუ-

ლებით განსაზღვრული და მხოლოდ მისი პირადი არჩევანია. ჩვენ (საქართველოს) შემთხვევაში კი, ვფიქრობთ, საუკუნეებით განსაზღვრული კულტურული მახასიათებელია, რომლის დეფიციტსაც ამჟამად განიცდის ქართული საგანმანათლებლო საზოგადოება. **ამდენად, გადავწყვიტეთ ეს თვისებები რეკომენდაციების სახით გავწეროთ საქართველოს დარგობრივი მახასიათებლისათვის**. თეორიულ მოდელთან შეჯერების თვალსაზრისით, გადავწყვიტეთ თეორიულ მოდელში შეგვეტანა ბოლო სამი თვისება მასწავლებლისა, კერძოდ-***უნდა სარგებლობდეს ავტორიტეტით; უნდა იყოს მზად შეცდომების დაშვებისა და შენიშვნებისათვის; მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის აზრს, წინადადებებს, შენიშვნებს***-რადგან ეს ისეთი თვისებებია, რომელთა გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია სასწავლო პროცესისათვის. ავტორიტეტის გარეშე, სტუდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინების გარეშე, შეცდომების აღიარების გარეშე, სასწავლო პროცესი ვერაფრით განვითარდება და დროთა განმავლობაში დრომოჭმული და არაპროგრესული გახდება. ამასთან, სტუდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინება და შეცდომების აღიარება თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

კვლევის მესამე დასკვნით ეტაპზე - სტუდენტთა და მასწავლებელთა მოსაზრებებთან შეჯერებული პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები განვიხილეთ შესაბამისი სფეროს ექსპერტებთან-თამარ კაკუტია, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროფესიული ტესტირების კოორდინატორი, რუსუდან ჩართოლანი, სსიპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“-ს დირექტორი; ნოდარ ხარაზიშვილი, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“-ის დირექტორი. ასევე, განვახორციელეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ ქვემოთ ჩამოთვლილი პროფესიული სასწავლებლების დირექტორებთან და ადმინისტრაციის წევრებთან (24 პიროვნება): **გელა მამფორია**-საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ცხუმ-ეგრისის'' დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **მანანა სამუშია** - სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი; **ნინო ბაკურაძე**-სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისი"-ს დირექტორი**; დალი ბერანძე**-სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო

პროცესის მართვის სამსახურის უფროსი. ინტერვიუს საფუძველზე მიღებული იქნა გარკვეული რეკომენდაციები. კერძოდ, ექსპერტების საერთო მოსაზრება იყო, რომ მახასიათებლების თეორიული მოდელის სტრუქტურული ერთეულების ჩაშლილი ვრცელი ვარიანტი წარმოდგენილი იყოს როგორც სანიმუშო ვარიანტი, რომელშიც **ჯამურადაა** გათვალისწინებული ყველა ქვეყნის თავისებურება, საიდანაც საქართველოს შეუძლია აიღოს კონკრეტული ვითარების შესაბამისი საჭირო და აუცილებელი მახასიათებლები. ასევე, მათ მიიღეს პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩვენ მიერ შექმნილი განზოგადებული ვარიანტი, სადაც პროფესიული განათლების მასწავლებლის ძირითადი ორიენტირებია გაწერილი. ხოლო პროფესიული სასწავლებლების დირექტორებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა შემოგვთავაზეს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების სტრუქტურაში შემდეგი მახასიათებლების გათვალისწინება:

1.ცოდნა და გაცნობიერება:

- ✓ ინფორმაციული და ეფექტური საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა;
- ✓ ინკლუზიური განათლების პრინციპები;
- ✓ მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის უნარი;
- ✓ უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი;

2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, პრაქტიკული უნარები:

- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის/შემუშავების უნარი;
- ✓ სწავლების პროცესში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- ✓ თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის უნარი;
- ✓ კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარი - (მაგალითად, ისმენს პროფესიული სტუდენტების აზრს, ინარჩუნებს სიმშვიდეს, იღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას და ა.შ).;
- ✓ დამოუკიდებლად სწავლის უნარი;
- ✓ მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია;

3.ღირებულებები:

- ✓ თვითგანვითარებაზე ორიენტირებული;
- ✓ კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები;
- ✓ პიროვნებათშორისი, მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა.

რეკომენდაციების პირველი პუნქტიდან - ცოდნა და გაცნობიერება - გავიზიარეთ *ინფორმაციული და ეფექტური საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა* და *ინკლუ-ზიური განათლების პრნციპები;* მეორე პუნქტიდან - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება *-სწავლების პროცესში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყე-ნების უნარი; თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის უნარი;* ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები მასწავლებლის მახასიათებლებისა, ჩვენ მიერ გაწერილ მახასიათე-ბლებში ფიგურირებს განსხვავებული ტერმინოლოგიით, ამიტომ ისინი აღარ გავი-თვალისწინეთ.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ **თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგე-ბის შეჯერების შედეგად** მიღებულ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები, რომლის საბოლოო ვარიანტიც ქართული რეალობის გათვალისწინებით შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

1.პროფესიული ცოდნა და გაცნობიერება:

- ✓ პროფესიასთან დაკავშირებული ზოგადი და სპეციალური დისციპლინების ცოდნა;
- ✓ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიულ–სამართლებრივი აქტებისა და ეთიკური მოთხოვნების ცოდნა/გაცნობიერება,
- ✓ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა;
- ✓ *პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ძირითადი საფუძვლებისა ცოდნა:*
  - ▪ ზოგადი პედაგოგიკის საფუძვლები;
  - ▪ დიდაქტიკის საფუძვლები;
  - ▪ განათლების ფსიქოლოგიის საფუძვლები;
  - ▪ მასწავლებლის პროფესიის, ფუნქციებისა და მოვალეობების გაცნობიერება;
  - ▪ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის პრინციპები;
  - ▪ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების მეთოდები;
  - ▪ ეფექტური სასწავლო-საწარმოო გარემოს ორგანიზების მეთოდები და სტრატეგიები;
  - ▪ ინკლუზიური განათლების პრინციპები;
  - ▪ სასწავლო პროცესის ჰიგიენური ნორმების ძირითადი საფუძვლები;
  - ▪ სამეცნიერო–პედაგოგიური კვლევის ძირითადი საფუძვლები;

2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება - პრაქტიკული უნარები:

პედაგოგიური უნარები:

- ✓ სასწავლო პროცესების დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მისი ეფექტიანად განხორციელების უნარი;
- ✓ სწავლების პროცესში სტუდენტის აღზრდაზე ორიენტაციის უნარი;
- ✓ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის უნარი;
- ✓ სწავლების პროცესში სხვადასხვა კულტურების აღქმისა და გაგების უნარი;
- ✓ თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის უნარი;
- ✓ საგანმანათლებლო პროცესის განმავლობაში სტუდენტების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის უნარი;
- ✓ საკუთარი გამოცდილების კვლევისა და შეფასების უნარი;
- ✓ დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობის უნარი;
- ✓ მასწავლებლების ეთიკური ნორმების დაცვის უნარი;
- ✓ ექსტრემალურ პედაგოგიურ სიტუაციებში წინააღმდეგობების დაძლევის უნარი.

დიდაქტიკურ/მეთოდიკური უნარები:

- ✓ სასწავლო პროცესში სწავლების სხვადასხვა მეთოდების, ტექნოლოგიების, მიდგომების გამოყენების უნარი;
- ✓ სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდის გამოყენების უნარი;
- ✓ სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფის უნარი;
- ✓ სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზების უნარი;
- ✓ უნარი, ხელი შუწყოს სტუდენტებს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვაში,
- ✓ პროფესიული და პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზების უნარი;
- ✓ ინიციატივის გამოჩენის, შემოქმედებითი სწავლების უნარი.
- ✓ სტუდენტებისადმი დახმარება პროფესიისათვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებაში, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ✓ სწავლების პროცესში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.

ფსიქოლოგიური უნარები:

- ✓ სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტაციის უნარი;
- ✓ სტუდენტთა სწავლისადმი მოტივაციის გაზრდის უნარი;
- ✓ სსსმ სტუდენტთან პროფესიული ურთიერთობის უნარი;

3.ღირებულებები, პიროვნული თვისებები:

პროფესიული ღირებულებები და ეთიკური ნორმები, ზნეობრივი ნორმები.

✓ *პროფესიული ღირებულებები და ეთიკური ნორმები:*

- ▪ პროფესიულ-სამართლებრივი ღირებულებები;
- ▪ პედაგოგიური ვალდებულებები, პასუხისმგებლობა;
- ▪ პედაგოგიური სამართლიანობა;
- ▪ პედაგოგიური ჰუმანიზმი;
- ▪ პედაგოგიური ავტორიტეტი;
- ▪ შეცდომების დაშვების შემთხვევაში შენიშვნებისათვის მზაობა;
- ▪ სტუდენტის აზრის, წინადადებების, შენიშვნების გათვალისწინება;
- ▪ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მზადყოფნა;
- ▪ სკოლის მართვასა და განვითარებში მონაწილეობა;
- ▪ სწავლების უნარებისადმი თვითკრიტიკული მიდგომა, საკუთარი კომპე-ტენციების, ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება;

✓ *ზნეობრივი ღირებულებები:*

- ▪ საზოგადოებრივი ვალდებულებების გაცნობიერება;
- ▪ პიროვნული თავისუფლება;
- ▪ ეროვნულ/ტრადიციული ღირებულებები;
- ▪ სხვადასხვა კულტურების აღქმა, გაგება;
- ▪ პიროვნული გაწონასწორებულობა;
- ▪ დისციპლინარულობა;
- ▪ კეთილსინდისიერება;

- კომუნიკაბელურობა;
- ემპათიის განცდა;
- მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ;
- ზოგადი ერუდიცია.

პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის მახასიათებლებიდან ყველა მაჩვენებელს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ჩვენი აზრით, უდაოდ დიდ როლს თამაშობს პროფესიული განათლების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო სისტემისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების განვითარების შესაბამისად მათი შემადგენლობა და სტრუქტურა ცვალებადია, ამიტომ იგი პერიოდულ გადასინჯვას საჭიროებს.

დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1.საქართველოში, მიუხედავად ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯებისა, არ არსებობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერული წინსვლის გამჭვირვალე სისტემა შესაბამისად, ქვეყანაში დღემდე ვერ ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემა;

2.პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების სტრუქტურები სხვადასხვა ქვეყანაში /**გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, ლუქსემბურგი, დანია, ფინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, პოლონეთი, რუსეთი/** სხვადასხვა მახასიათებლებითაა აგებული და, ძირითადად, ეფუძნება ქვეყნის სოციო-კულტურულ და პოლიტიკურ საჭიროებებს;

3.განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში პროფესიული განათლების მასწავლე-ბლის მომზადების მოდელები, თუმცა, ჩვენ მიერ შესწავლილ ქვეყანების უმეტეს ნაწილში, პროფესიული სწავლების მასწავლებლებს მოეთხოვებათ:

- ✓ საუნივერსტეტო განათლება - ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემური ხარისხი;
- ✓ განათლება პედაგოგიკასა და დიდაქტიკაში, ფსიქოლოგიაში;
- ✓ მინიმუმ ორი საგნის სწავლების პედაგოგიური პრაქტიკა;
- ✓ პროფესიაში შესვლამდე მინიმუმ 3 წლიანი პროფესიული განათლება ან ცხრათვიანი პროფესიული პრაქტიკის გავლა და სხვა;

4.ამა თუ იმ ქვეყნის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტებისა და მომზადე-ბის საკანონმდებლო მოდელების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების მეცნიერულ მოდელებთან შედარებისას, დადგინდა მათ შორის შინაარსობრივი კორელაცია. მიუხედავად პროფესიული განათლების მასწავლებლის **პროფესიული მახასიათებლების** სიჭრელისა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ბოლო პერიოდში, მასწავ-ლებელთა პროფესიულ კომპეტენციებში ევროპის რამდენიმე ქვეყანაში /ლიტვა, დიდი ბრიტანეთი, შოტლანდია, გერმანია, კანადა/ უკვე ფორმალურადაც /შინაარსობრივად ისედაც გაწერილი იყო/ მოიაზრება ბოლონიის პროცესის **სწავლის**

შედეგების ფორმატი - *ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები და ღირებულებები.*

5.ამდენად, თეორიული კვლევის საფუძველზე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ საქართველოშიც მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები გავწეროთ ბოლონიის პროცესის **სწავლის შედეგების ფორმატით,** კერძოდ - ***ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები და ღირებულებები.*** მით უფრო, რომ საქართველოში კვლავ მიმდინარეობს პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა და ახალი სტანდარტი უნდა აიგოს საერთაშორისო სივრცის მოთხოვნების გათვალისწინებით. **ეს სიახლე იქნება ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის.** პროფესიული მახასიათებლების ამ სტრუქტურით განსაზღვრა გაუადვილებს უმაღლეს სკოლებს მასწავლებლის მოზადების პროგრამების გაწერას. უფრო მეტიც, **ჩვენი წინადადებით, უმჯობესი იქნება იგივე სტრუქტურით გაიწეროს საშუალო სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებელთა პროფესიული მახასიათებლებიც და ქვეყანაში შეიქმნას ერთიანი მიდგომა მასწავლებლის პროფესიული სახისადმი.**

6.უცხო ქვეყნების გამოცდილების გაანალიზებისა და განზოგადების, ასევე, მასწავლებლისადმი საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინების საფუძველზე, ჩვენი წინადადებით, **თითოეული სტრუქტურულ კომპეტენცია, ზოგადმეცნიერულად უნდა ჩაიშალოს შემდეგი სახით:**

- ✓ **პროფესიული ცოდნა და გაცნობიერება** - პროფესიასთან დაკავშირებული საგნების სიღრმისეული ცოდნა; პროფესიასთან დაკავშირებული სამართლებრივ-ნორმატიული აქტების ცოდნა; პედაგოგიკურ/მეთოდიკურ/ ფსიქოლოგიური დისციპლინების საფუძვლების ცოდნა.
- ✓ **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება-პრაქტიკული უნარები**-პროფესიული, პედაგოგიკური, დიდაქტიკურ/მეთოდიკური და ფსიქოლოგიური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები.
- ✓ **ღირებულებები, პიროვნული თვისებები** - პროფესიული ღირებულებები და ეთიკური ნორმები, ზნეობრივი ნორმები.
- ✓ ამდენად, **უცხოური და ქართული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინეთ პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული**

მახასიათებლების სტრუქტურა და სტრუქტურის თითოეული კომპეტენციის ზოგადმეცნიერული შინაარსი.

7.წარმოდგენილი სტრუქტურა კიდევ უფრო დეტალურად ჩაიშალა იმ ზოგად მახასიათებლებად, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის მოდელში იდენტურია და მეორდება. შესაბამისად, განვსაზღვრეთ პროფესიული მახასიათების თეორიული მოდელი, რომელიც თავისი შინაარსით მინიმალური სტანდარტული ზოგადი მახასიათებლებია. ჩაიშლება იმ მოთხოვნების მიხედვით, რომელსაც გარკვეული დრო და ვითარება გვიკარნახებს.

8.პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების თეორიული მოდელის შეჯერებით პროფესიულ საზოგადოებასთან და სტუდენ-ტებთან, პროფესიულ მახასიათებლებს დაემატა რამდენიმე კომპონენტი, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია საქართველოს პროფესიული განათლების სივრცისათვის.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ **თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგების შეჯერების შედეგად** მიღებულ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები, რომლის საბოლოო ვარიანტიც ქართული რეალობის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა.

9.პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის მახასიათებლებიდან ყველა მაჩვენებელს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ჩვენი აზრით, უდაოდ დიდ როლს თამაშობს პროფესიული განათლების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო სისტემისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების განვითარების შესაბამისად მათი შემადგენლობა და სტრუქტურა ცვალებადია, ამიტომ იგი პერიოდულ გადასინჯვას საჭიროებს.

რეკომენდაციები

1.პროფესიული განათლების სისტემის განვითარების მიმართულებით პრიორი-ტეტი-პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის, განვითა-რებისა და კარიერული წინსვლის გამჭვირვალე სისტემის ფორმირებას განეკუთვნე-ბა. შესაბამისად, აუცილებელია პროფესიული განათლების მასწავლებლის ახალი პროფესიული სტანდარტისა და დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება. ამ მიმართებით ძალზე საყურადღებოა კვლევის შედეგად შექმნილი პროფესიული

განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლის შეჯერებული მოდელი. **იგი თავისი შინაარსით მინიმალური და ზოგადი მახასიათებლები/სტანდარტი/ იქნება და ჩაიშლება იმ მოთხოვნების მიხედვით, რომელსაც გარკვეული დრო და ვითარება გვიკარნახებს.** ანუ, პრაქტიკულად იგი **წარმოადგენს თეორიული მოდე-ლის ქართულ საგანმანათლებლო სივრცის საჭიროებებთან ადაპტირებულ ვერსიას.**

2.მიზანშეწონილია პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლის თეორიულ მოდელში წარმოდგენილი **სტრუქტურით გაიწეროს საშუალო სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებელთა პროფესიული მახასიათებლებიც, რათა ქვეყანაში შეიქმნას ერთიანი მიდგომა მასწავლებლის პროფესიული სახისადმი.**

3.ვინაიდან პროფესიული მახასიათებლების თეორიულ მოდელში შეტანას არ ექვემდებარება სტუდენტთა მოთხოვნები მასწავლებლის შემდეგ მახასიათებლებთან მიმართებით-უნდა გააჩნდეს იუმორის გრძნობა; უნდა უყვარდეს სტუდენტები და მათთან ურთიერთობა; უნდა იმსახურებდეს სტუდენტების სიყვარულს; უნდა გააჩნდეს თანადგომის უნარი-საქართველოს შემთხვევაში, ვფიქრობთ, საუკუნეებით განსაზღვრული კულტურული მახასიათებელია, რომლის დეფიციტსაც ამჟამად განიცდის ქართული საგანმანათლებლო საზოგადოება. **ამდენად, მიზანშეწონილია ეს თვისებები რეკომენდაციების სახით გაიწეროს საქართველოს დარგობრივი მახასიათებლისათვის**.

4.თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე სრული ორიენტაციის მიზნით აუცილებელია პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი სამართლებ-რივი ბაზის გაუმჯობესება, მისი საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა, პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციონირების ყველა სტადიასა და პროცესში სოციალური პარტნიორობის სისტემის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი N3442-Iს. „პროფესიული განათლების შესახებ“. ქუთაისი, 20 სექტემბერი 2018წ;
2. საქართველოს კანონი N4528-Iს. „პროფესიული განათლების შესახებ“. თბილისი, 28 მარტი 2007წ;
3. საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანება N300 “პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე (2013-2020 წლები)”, 26 დეკემბერი 2013 წელი;
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №533 „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017–2021-ის“ დამტკიცების შესახებ. 2017 წლის 7 დეკემბერი ქ. თბილისი;
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება N150 „საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ 2005 წლის 31 აგვისტო;
6. კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, N1330, 2005 წლის 8 აპრილი;
7. კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ N688, 21 დეკემბერი 2004 წელი;
8. კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, N3531, 21.07.2010 წელი;
9. საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“, 2014 წლის 17 ივნისი, ქ. თბილისი;
10. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015წწ. სახელმწიფო სტრატეგია. https://www.google.com/;
11. საქართველოს მთავრობის დადგენილება №199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2013 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი;
12. საქართველოს მთავრობის დადგენილება №167 „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 4 აპრილი ქ. თბილისი;
13. საქართველოს მთავრობის განკარგულება N2181 „საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზა-

დების” საფინანსო შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე 2013 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი;

14. საქართველოს მთავრობის განკარგულება №2624 „პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფციის პროექტის მოწონების შესახებ“, 2014 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი;
15. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №97/ნ „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, 2011 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი;
16. საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანება №66 „სახელოვნებო განათლების საბაზო, საშუალო სკოლებისა და საშუალო პროფესიული სასწავლებლების პედაგოგიური კადრების ატესტაციის ჩატარების შესახებ“ 2003 წლის 24 აპრილი;
17. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №164/ნ „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი;
18. საქართველოს მთავრობის დადგენილება „პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ N203, 2009 წლის 4 ნოემბერი ქ. თბილისი;
19. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 ნოემბრის №1022 ბრძანება ,,სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს სამდივნოს” შექმნის შესახებ;
20. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის ანგარიში. 2016 წელი. http://tpdc.gov.ge/.pdf;
21. პროფესიული განათლების რეფორმის 2009-2012 წლების შუალედური სტრატეგია, ანგარიში (ETF, 2012);
22. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 9 აგვისტოს დადგენილება;
23. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის დეკემბრის კანონი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“.

24. პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა, მომზადებულია ACT-ის მიერ: „გაეროს განვითარების პროგრამისთვის“ (UNDP), დეკემბერი, 2015წ. http://test.vet.ge/wp-content/uploads/2013/10/;
25. პროფესიული სასწავლებლებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა. საბოლოო ანგარიში. დეკემბერი, 2015წ. მომზადებულია ACT-ის მიერ: „გაეროს განვითარების პროგრამისთვის“ (UNDP), დეკემბერი, 2015წ. http://test.vet.ge/wpcontent/uploads/2013/10/;
26. 2016 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (TRACER STUDY). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი თბილისი 2017. http://mes.gov.ge/uploads/files/2016-(Tracer%20Study).pdf;
27. დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ. მომზადებულია ACT-ის მიერ UNDP-თვის დეკემბერი, 2015 თბილისი, საქართველო. http://mes.gov.ge/content. php?id=5962&lang=geo;
28. საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი შრომის ბაზარზე. კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. http://test.vet.ge/wp-content/uploads/2016/02/2014-Analysis.pdf;
29. „პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა“ ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერით, ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, რუსთავი. 2017 წლის აგვისტო;
30. **ილია ჭავჭავაძე,** „ჩვენი ხალხი და განათლება“, ტომი–4, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, 2012წ.;
31. **ილია ჭავჭავაძე,** “წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა”, ტფილისი, 1 ივლისი 1886 წელი. ტომი–4, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, 2012წ.;
32. **ილია ჭავჭავაძე,** „სატექნიკო და სახელობო სასწავლებელთა შესახებ“, ტფილისი, 25 ნოემბერი, 1898 წელი. ტომი–4, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, 2012წ;
33. **ლამარა გოდერიძე,** კულტურულ–საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე–19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე–20 საუკუნის დასაწყისში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2005წ.;

34. **რუსუდან სანაძე,** უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების ძირითადი ასპექტები. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი 2009 წელი;
35. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად. ტომი VI. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972 წელი;
36. საერთაშორისო კონფერენცია „პროფესიული განათლების როლი ეკონომიკის განვითრებისთვის“, 18.07.2016წ. http://www.mcageorgia.ge/;
37. **ქეთევან ჭკუასელი, ზაქარია ქიტიაშვილი, მარინე გოგნელაშვილი.** მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი–შენიშვნები, რეკომენდაციები. GESI: Education Science and Psychology 2014, N5(31). გვ. 283, გვ.285;
38. **Andersen, O.D.; Gottlieb, S.; Kruse, K. (2016).** Supporting teachers and trainers for successful reforms and quality of vocational education and training: mapping their professional development in the EU-Denmark. Cedefop ReferNet thematic perspectives. http://libserver.cedefop.europa.eu/vetelib/2016/ReferNet-DK-TT.pdf.
39. Apprenticeship. Dual Vocational Education and Training in Austria. Modern Training with a Future.http://www.ibw.at/components/com-redshop/assets/document/product/1414143989 - apprenticeship 2014. pdf.
40. **Anuar, Ashraff.** Effective Teaching Characteristics in Vocational Education. 08.2016. https://etd.auburn.edu/ handle/10415/5264.
41. **Bauer K.-O., Kopka A., Brindt S.** Padagogische Professionalituet und Lehrerarbeit. - Weinheim und Mьnchen, 2006.
42. Business cooperating with vocational education and training providers for quality skills and attractive futures. Luxembourg: Publications Office of the European Union, 2017. ISBN 978-92-79-74367-2. http://www.lse.ac.uk/ business-and-consultancy.pdf;
43. BMBF: Part-time vocationals schools. http://www.abc.berufsbildendeschulen.at/upload /2219-E-032020 Berufsschulen.pdf. 2017.;
44. Bundesinstitut für Berufsbildung (BIBB):Training regulations and how they come about. Online im WWW:http://www.bibb.de/veroeffentlichungen/en/publication/download/id/7324.
45. Bundesinstitut für Berufsbildung (BIBB): Datenreport zum Berufsbildungsbericht 2013. Informationen und Analysen zur Entwicklung der beruflichen Bildung. Online im WWW: http://datenreport.bibb.de /media2013/BIBB-Datenreport-2013.pdf.;
46. **Cordova, Pedro; And Others.** Teachers and Trainers in Vocational Training. Volume 1: Germany, Spain, France and the United Kingdom. 2016. https://eric.ed.gov/.;
47. **Chris Schmidt.** Vocational Training “Made in Germany” Germany’s Dual System of Vocational Education and Training (VET). Federal Statistical Office 2013. www.gtai.com.

48. Changes in the professionality of vocational teachers as viewed through the experiences of long-serving vocational teachers in Estonia. Empirical Research in Vocational Education and Training 2016. https://ervet-journal.springeropen.com/articles/10.1186/s40461-016-0039-7.;
49. Cedefop-European Centre for the Development of Vocational Training: Renewing VET provision. Understanding feedback mechanisms between initial VET and the labour market;
50. Continuing Professional Development: Teaching in Scotland.–2003. URL: http://www.gov.scot/Publica-tions/2003/01/18713/31241;
51. **Dorozhkin E. M., Zeer E. F., Shevchenko V. Y.** Research and educational panorama of modernization of training teachers of continuous vocational education. The Education and Science Journal. 2017. Vol. 19. № 1. DOI: 10.17853/1994-5639-2017-1-63-81;
52. **Dorozhkin E. M., Zeer Evald F.** Methodology of Professional Pedagogical Education: Theory and Practice (Theoretical and Methodological Foundations of Vocational Teacher Education). Education and science journal. 2014 year**.** №9**.** http://archive.edscience.ru/ en/article/932.;
53. Dual Vocational Education and Training in Austria. 2014. http://www.ibw.at/;
54. **Darmenova R.A., Ashirbekova J.B,** Professionalism Of The Teacher Of The Vocational Education As Condition Of Improvement Of Quality And Training Of Students. international journal of scientific & technology research volume 4, issue 04, april 2015. www.ijstr.org;
55. European Commission. A new impetus for European cooperation in vocational education and training to support Europe 2020 strategy; COM (2010) 296 final. http://www.europa.eu;
56. European Commission. Rethinking education: investing in skills for better socio-economic outcomes. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. COM(2012) 669 final. http://www.europa.eu;
57. European Commission. Education and Training Monitor 2015-Country analysis. Brussels, 12.11.2015. SWD(2015) 199 final. https://ec.europa.eu/transparency/regdoc/.../SWD-2015-199-F1-EN-MAIN-PART-2. PDF.;
58. European Commission. Lithuania: national reform programme. http://ec.europa.eu/ europe 2020/ pdf/nd/nrp 2012-lithuania-en.pdf.;
59. Federal Ministry of Education and Research (BMBF): Report on Vocational Education and Training 2014. Online im WWW: http://www.bmbf.de/pub/Report-on-Vocational-Education -and-Training-2014-bf.pdf.;
60. **Gerasimova Marina Anatolievna**. implementation of professional standard «Lecturer of professional training, professional education and additional professional education” in

professional education organizations. International scientific-practical conference "Vocational education: problems, research, innovations" 2017. http://ocrpo-ural.ru/news/;.

61. German Office for International Cooperation in Vocational Education and Training: Dual VET. Vocational Education and Training in Germany. Online im WWW: http://www.bibb.de/dokumente/pdf/ab12-govet-praesentation-vet-november-2014-EN.pdf.;
62. **Hogeforster, J. und Döding**. The dual system of vocational training in Germany.. http://www.vet-bsr.eu/wp-content/uploads/2014.;
63. **Heike Suter**, Quality Assurance and Training of VET professionals Switzerland**.** Luxemburg, 19. April 2016. www.seri.admin.ch.;
64. **Haaga-Helia University of Applied Sciences**. http://www.haaga-helia.fi/en/frontpage;
65. **Haaga-Helian's roots**. Entrepreneurship, working life, pioneering and private educational institutions. http://www.haaga-helia.fi/fi/haaga-heliasta/haaga-helia-10-vuotta/haaga-helian-juure;
66. **Hippach-Schneider, U./Hensen, K. A./Schober, K.:** Germany. VET in Europe – Country Report 2013. Online im WWW: http://www.refernet.de/images-content/2013-DE-CR-komplett.pdf;
67. **I.I. Tuber, T. Yu. Krashakova, E.V. Gnatyshina.** The Professionan standard of the Teachter of volucational education–a basis for revision of system of professional development in the professional educational organization. Bulletin of Chelyabinsk State Pedagogical University. 2016. No. 5. https://cyberleninka.ru/article/n/.;
68. **Ingvarson L.** Teaching Standards and MESHGuides//URL: http://www.meshguides.org/mesh-background-2/teaching-standards-and-mesh-guides-lawrence-ingvarson/.
69. InTASC Model Core Teaching Standards: A Resource for State Dialogue. (2011). URL: http://www.ccsso.org/Resources/Publications/InTASC Model Core Teaching Standards A Resource for State Dialogue %28April 2011%29.html.;
70. **Kuchai, O. V..** "Teacher Training Technologies in Poland and Ukraine." American Journal of Educational Research 1.11 (2013): 566-570. http://pubs.sciepub.com/ education/1/11/19.
71. Learning and innovation in enterprises. Luxembourg: Publications Office. Cedefop research paper; No27. http://www.cedefop.europa.eu/EN/Files/5527-en.pdf.;
72. **Lehmann G., Nieke W.** Zum Kompetenz Modell. 2001. http://www.bildungsserver-mv.de/download/ material/text-lehmann-nieke. pdf.;
73. **Norman K. Peterson and Rodney L**. CusterPersonality Styles, Job Satisfaction, and Retention of Teachers of Vocational Subjects. The Journal of Technology Studies Vol. 20, No. 1. https://www.jstor.org/stable/.;

74. OECD Reviews of Vocational Education and Training. Key Messages And Country Summaries. http://www.oecd.org/education/skills-beyond-chool/OECD. 2015.pdf;
75. **Olga Miroshnikova.** Teachers' Professional Standards: International Experience and Local Components. Интернет-журнал «НАУКОВЕДЕНИЕ» Том 7, №3 (2015) http://nauko-vedenie.ru/ PDF /53PVN315.pdf.;
76. **Philipp Grollmann.** The Quality of Vocational Teachers: teacher education, institutional roles and professional reality. Federal Institute for Vocational Education and Training, Bonn, Germany. European Educational Research Journal,Volume 7 Number 4 2008. www.wwwords.eu/EERJ.;
77. Procedures for the Acquisition of Education and Professional Improvement for Vocational Education Teachers. Republic of Latvia. Cabinet Regulation No.773. Adopted 18.10.2005.
78. Professional Standards for Teachers and Trainers in Education and Training – England. https://www.excellencegateway.org.uk/content/etf1661.;
79. Professional Standards for Teachers and Trainers in Education and Training–England. URL: http://www.et-oundation.co.uk/wp-content/uploads/2014/05/4991-Prof-standards-A4-42.pdf.
80. Professional Standards for Teachers.–URL:http://www.tda.gov.uk/teachers/professional-standards/standards/qts.aspx.;
81. Quality Assurance in Vocational Education and Training. A Collection of Articles. @European Training Foundation, 2014.https://www.etf.europa.eu/sites/default/files/m/270970490A6E9327C1257CA800407038_Quality%20assurance%20in%20VET.pdf;
82. Quality Assurance in Vocational Education and Training. A Collection of Articles. http://www.oecd.org/education/skills-beyond-chool/OECD 2015-2017;
83. **Reinhold Nickolaus.** Teacher training for vocational schools in Germany: Structures, Problems, Perspectives. University of Stuttgart Institute for Educational Science and Psychology Department of Vocational and Economic Education. http://www.uni-stuttgart. de/bwt/forschung/projekte/projektgalerie/davinci/2-paper-vocational-teacher-trainingde.pdf.;
84. Riga Conclusions 2015 On A New Set Of Medium-Term Deliverables In The Field Of Vet For The Period 2015-2020, As A Result Of The Review Of Short-Term Deliverables Defined In The 2010 Bruges Communiqué. http://ec.europa.eu/dgs/education_ culture/ repository/educa-tion/policy/vocational-policy/doc/2015-riga-conclusions_en.pdf;
85. **S.D. Broek, M. Cino Pagliarello, R. de Vreede-Van Noort, P. Vroonhof.** Teachers and trainers in work-based learning/apprenticeships Mapping of models and practices. Final report. April 2017. European Commission B-1049 Brussels. Luxembourg: Publications Office of the European Union, 2017. http://www.europa.eu;

86. **Steiner L**. Using Competency-Based Evaluation to Drive Teacher Excellence. Lessons from Singapore.–2010/URL:http://opportunityculture.org/images/stories/singapore-lessons-2010.pdf.;
87. The German Vocational Training System - BMBF. Dual VET - Vocational Education and Training in Germany https://www.bmbf.de/en/the-german-vocational-training-system-2129.html.;
88. Teachers & Trainers in Switzerland. Switzerland-Quality Assurance and Training of VET professionals. http://www.apprenticeship-toolbox.eu/.2017.;
89. Teachers & Trainers in Luxembourg. http://www.apprenticeship-toolbox.eu/training-teaching/teachers-trainers/114-teachers-trainers-in-luxembourg. 2017.;
90. Training of Trainers (Danish): https://www.amukurs.dk/;
91. **Terhart E**. Erfassung und Beurteilung der beruflichen Kompetenz von Lehrkгдften. In: Laeders, Manfred; Wissinger, Jochen, Hg. Kompetenzentwickuelung und Program-mevaluation. Forschung zur Lehrer-bildung.- Muenster, New York, Mьnchen, 2007.;
92. The Standards for Registration, GTC Scotland.–2006. URL: http://www.gtcs.org. uk/professional-standards/the-standards/standards-for-egistration.aspx.;
93. **Ute Hippach-Schneider, Martina Krause, Christian Woll.** Vocational education and training in Germany. Short description. Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, 2007. http://www.cedefop.europa.eu/files/5173_en.pdf.;
94. **Vaitkutė, L.** (2016). Supporting teachers and trainers for successful reforms and quality of vocational education and training: mapping their professional development in the EU–Lithuania. Cedefop ReferNet thematic perspectives series. http://libserver.cedefop. europa.eu/vetelib/2016/ReferNet-LT-TT.pdf.;
95. **V.R. Oskolkova, E.V. Ozegova and B.A. Kruze.** The Competence-Based Approach in the Russian Federation: the Definition of the Notion and Structure of the Professional Competence of a Future Teacher. World Applied Sciences Journal 20(Special Issue of Pedagogy and Psychology): 20-23, 2012. https://pdfs.semanticscholar.org/.;
96. Vocational education and training in Latvia: Short description. Luxembourg: Publications Office of the European Union. Cedefop information series. European Centre for the Development of Vocational Training (Cedefop), 2015 All rights reserved. ISBN 978-92-896-1847-2 doi: 10.2801/814425. www.cedefop.europa.eu/files/4134-en.pdf.;
97. **Vaitkut ė, L**. (2016). Supporting teachers and trainers for successful reforms and quality of vocational education and training: mapping t heir professional development in the EU–Lithuania. Cedefop ReferNet thematic perspectives series. http://libserver.cedefop. europa.eu/vetelib/2016/ReferNet_LT_TT.pdf.;

98. Vocational education and training in Poland. Short description. European Centre for the Development of Vocational Training (Cedefop), 2016. ISBN 978-92-896-0835-0 doi:10.2801/92685. www.cedefop.europa.eu/ files/4105-en.pdf.;
99. **Zyryanova N. I., Fedorov V. A., Zaitseva E. V., Tolkacheva I. S. & Glushchenko,** Modern Requirements to Preparation of Professional and Pedagogical Personnel. International Journal of Environmental and Science Education.2016. № 11 (16). https://eric.ed.gov/.;
100. **Zeer E. F., Lebedeva E. V., Zinnatova M. V**. Methodological bases of the implementation of the process and project approaches in vocational education. Obrazovanie i nauka. [The Education and Science Journal]. 2016. № 7. P. 40–56 .DOI:10.17853/1994-5639-2016-7.;
101. **Zeer E. F.** Lichnostno razvivayushchie tekhnologii nachalnogo professionalnogo obrazovaniya. Hardcover – 2010.;
102. **Zeer E. F., Meshkova I. V.** Determination of Self-Development in the Vocational Educational Environment. The Education and Science journal, Year 2012, http://archive.edscience.ru/.;
103. **В.М.Рябов**. Становление и развитие отечественного профессионального образования. Вестник Брянского государственного технического университета. 2006. №1. www.tu-bryansk.ru/doc/vestnik/1-2006/ryabov.doc.;
104. Вопросы подготовки педагогических кадров для профессионально-технического образования в 1960-1970 гг. https://articlekz.com/article/118.;
105. **Леонид Масловский.** Профессиональное и специальное образования в СССР. http://zavtra.ru/blogs. 2017.;
106. Профессиональное образование в Швейцарии. https://www.se.com/sites/default/ files/ cserver/publication/free/factsheet-vocational-training-in-russian-s-ge.pdf.;
107. Профессиональный стандарт «Педагог профессионального обучения, профессионального образования и дополнительного профессионального образования» (Утвержден приказом Министерства труда и социальной защиты РФ от 8 октября 2015г. № 608н). http://www.consultant.ru.;
108. **Романцев Г. М.** и др. Актуальные проблемы профессионального и высшего образования: коллективная монография. Москва : Экон-Информ, 2016. — 242 с. — ISBN 978-5-9908442-8-5.;
109. **Сергиенко А. Ю.** Профессиональные стандарты педагога как основа стратегии развития кадрового потенциала системы образования (опыт Шотландии). Ученые записки ИУО РАО, 2017. http://iuorao.com /setevoe-izdanie/vypuski-izdaniya.html.;

110. **Тенчурина, Л.З.** Подготовка и повышение квалификации профессионально педагогических кадров в России (1920-1990): www.tu-bryansk.ru/;

111. **Титова Н.Б.** Теория профессионально-педагогической деятельности. Екатеринбург: Изд-во Рос. гос. проф.-пед. ун-та, 2015. ISBN 978-5-8050-0580-1. elar.rsvpu.ru/pdf;

სტატისტიკური ინფორმაცია:

- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. https://www.mes.gov.ge
- ✓ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. http://tpdc.gov.ge/geo/
- ✓ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, www.eqe.ge;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, www.mof.ge;
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, www.moh.gov.ge;
- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, www.economy.ge;
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკი. www.nbg.gov.ge;
- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge.

დანართი-1

§1.პროფესიული განათლების ფორმირებისა და განვითარების ისტორია საქართველოში

როგორც ნაშრომის ძირითად ნაწილში აღვნიშნეთ საყოველთაო სწავლა-განათ-ლება მე-20 საუკუნის მონაპოვარია, მაგრამ მრავალი სხვადასხვა წყარო გვამცნობს, რომ საქართველოში უძველესი დროიდან იქმნებოდა მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები და მას საკმაოდ დიდი ისტორია, ტრადიცია აქვს. მისი როგორც ერთიან სისტემად ფორმირება საწყის ეტაპზე საეკლესიო–სამონასტრო კულტურულ–საგანმანათლებლო კერებში, შემდეგ ეტაპზე კი მათთან ერთად, საერო დაწესებულებებშიც ხორციელდებოდა და ეტაპობრივად ვითარდებოდა. „საქართვე-ლოში განათლებას ჭეშმარიტად დიდი ტრადიცია აქვს. მარტო ის რად ღირს, რომ თექვსმეტი საუკუნის წინ საბერძნეთში სიამაყით აცხადებდნენ: მე განათლება კოლხეთში მივიღეო. დიახ, კოლხეთის, ანუ ფაზისის რიტორიკული სკოლა (აკადე-მია) განათლების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, სადაც მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები სწავლობდნენ“ [მეტრეველი, 2018:14].

მსოფლიოსა და დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალის განვითარებამ კი, რომელიც XIX საუკუნის დასაწისიდან იღებს სათავეს, პროფესიული განათლების სისტემის რადიკალური გარდაქმნის აუცილებ-ლობა მოითხოვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდიდან პროფესიული სწავლება უფრო ორგანიზებულ ხასიათს იძენს და სხვადასხვა მიმართულების სახელობო და სამეურნეო სასწავლებლებში ან მსხვილი სამრეწველო კომპანიის ბაზაზე ხორციელ-დება, იგი შემდგომი განვითარების თვალსაზრისით მაინც სერიოზული პრობლემებს აწყდება. ამ უკანასკნელის დაძლევაში საქართველოში უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის ინტელიგენცია, მოწინავე ქართული საზოგადოება, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად იწყებს კულტურულ–საგანმანათლებლო მოძრაობას. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ განათლებისა და განსაკუთრებით პროფესიული განათლების სისტემის ფორმირებას მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი 1860 წლიდან სწავლების პროცესის ქართულ ენაზე შეზღუდვამ. აღნიშნულმა სერიოზული გავლე-ნა იქონია სწავლების მასშტაბებზე, დონესა და ხარისხზე და თავისი ნეგატიური

შედეგები გამოიღო. „კავკასიის ოლქში ისეთ სკოლათა რიცხვი, სადაც ყველა საგანი რუსულად ისწავლებოდა 1879 წელს შეადგენდა 49,8%–ს, 1888 წელს 71%–ს, 1898 წელს 91%–ს“ [გოდერიძე, 2005:22]. საქართველოს მოსახლეობის განათლების დონისა და სულიერი განვითარებისათვის ბრძოლის გზაზე უდიდესი დარტყმა იყო ხელისუფლების მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1811 წლიდან) რასაც აქტიურად დაუპირისპირდა თვითმოქმედი კულტურულ–საგანმანათლებლო საზოგადოებების საქმიანობა და შედეგად ქვეყანაში ფაქტობრივად დაიწყო უვიცობისა და გაუნათლებლობის დაძლევასთან ბრძოლის ახალი ეტაპი. თერგდალეულები, რომელთა თაოსნობითაც დაიწყო ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, ქვეყნის წარუმატებლობისა და ჩამორჩენილობის მთავარ მიზეზად სწორედ უვიცობასა და გონებრივ სიბნელეში ხედავდნენ. ილია სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „რომ სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა“ [ჭავჭავაძე, 1879/2012:116]. თუმცა ილიას დიდ იმედსა და ნუგეშს აძლევდა ის, რომ პრობლემის მოგვარების გზად სახალხო სკოლების დაფუძნება იქცა, სადაც თვითმოქმედების პრინციპით აქტიურად ჩაერთო როგორც საზოგადოების დაბალი სოციალური ჯგუფები, ისე უმაღლესი საზოგადოება. იგი დიდ შეფასებას აძლევდა განათლების გავრცელებაში ქართველი ხალხის თვითმოქმედებას, რომელიც სულ უფრო აქტიურ ხასიათს იძენდა და მთავრობას მოუწოდებდა ხელი შეეწყო ამ თვითმოქმედებისათვის, კერძოდ უზრუნველყო მისი ფინანსური დახმარება და სკოლების დაარსებისათვის საჭირო ნებართვებისა და სხვა დოკუმენტების დროულად გაცემა. სკოლების ხელმძღვანელებად უნდა დანიშნულიყვნენ ქართული ენის მცოდნე ქართველი კაცები. ასეთი სკოლების დაარსების მიზანზე საუბრისას ილია აქცენტს ისევ ცოდნასა და განათლებაზე აკეთებს და ქართველ ხალხს მოუწოდებს „ეს ისმინეთ და გაიგევით, ქართველობავ! რა გაგვიხსნის გზას მაგ კავშირის გაბმისათვის? აკაკი წერეთელმა სთქვა და ჩვენც ვიტყვით, რომ ამისათვის ერთი უებარი სახსარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება. აი წამწყმედელი ყოველის უთანხმოებისა, დამადგინებელი ყოველის ერთობისა, ამამაღლებელი ადამიანისა! აი ჭირთა ამხდელი სახსარი, კეთილდღეობის მომფენი ღონისძიება! სწავლა, ცოდნა, მეცნიერება-ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია

მოგერიებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი ეხლა დაუძლურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს“ [ჭავჭავაძე, 1879/1997:243-244].

სწავლა–განათლებისა და განსაკუთრებით პროფესიული განათლების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ქართულ სინამდვილეში ბატონყმობის გადავარდნის (1864 წელი) შემდეგ გახდა. ეს ზემოაღნიშნულის გარდა სხვა უამრავი ფაქტორებითაც იყო განპირობებული, რომელთაგან უდა გამოვყოთ: ეროვნულ–განმათავისუფლებელი და კულტურულ–საგანმანათლებლო მოძრაობის განვითარება; ევროპაში სამრეწველო კაპიტალის (წარმოების) უპირატესი განვითარება სავაჭრო კაპიტალთან შედარებით; სოფლის მეურნეობის კაპიტალიზაცია; კვალიფიციური კადრების დეფიციტი და ქართველი გლეხობის პროფესიული განათლების უკიდურესად დაბალი დონე სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო კაპიტალის განვითარების პირობებში; მშობლიური ქართული ენის შევიწროება და ეროვნული კულტურული ფასეულობ-ების წინააღმდეგ ბრძოლა.

საქართველოში საგანმანათლებლო მოძრაობის აქტივიზაციასა და პროფესიული განათლების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთსა და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში განათლების სფეროში კერძო ინიციატივის განვითარებამ და შეიძლება ითქვას დაიწყო თვითმოქმედებაზე დაფუძნებული განათლების სისტემის ფორმირებისა და განვითარების საერთო ევროპული პროცესი. საქართველოს გზა გაეხსნა ევროპული კულტურისა და ცივილიზაციისაკენ, ევროპული განათლების სისტემის აღიარებისაკენ. ამიტომ, „ილიას მიაჩნდა მოწინავე ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებისათვის ჩვენთვის ყველაზე პრიორიტეტული უნდა იყოს ევროპულად სწავლება და ევროპული განათლების მიღება, ევროპული მმართველობა, წესი და რიგი, რადგან მხოლოდ ასე შევძლებთ სწორად შევაფასოთ ყველაფერი, სწორი დიაგნოზი დავსვათ და ჩვენს სატკივარს მისი წამლით ვუშველოთ. ევროპული განათლებისა და მეცნიერების, სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, წესისა და რიგის დასამკვიდრებლად ილია საჭიროდ მიიჩნევდა საკანონმდებლო და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, მრეწველობის გაძლიერებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას“ [ვეშაპიძე, 2014:50]. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ილია ჭავჭავაძესთან ერთად ასპარეზზე გამოდის თერგდალეულთა დასი, რომელიც აქტიურად იწყებს ბრძოლას კულტურულ–საგანმანათლებლო მოძრაობის კერძო

ინიციატივის განვითარებისათვის. პირველ ეტაპზე ჩნდება იდეა ქართული საადგილმამულო ბანკის შესაქმნელად, რომლის დაარსებით ფაქტობრივად საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურისა და განათლების აღორძინების საქმეს და მან უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის საზოგადოებრივ და სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში. ამას ადასტურებს ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი ა. ბაქრაძეც: „თუ არ იქნებოდა თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები, შესაძლებელია აღარ ყოფილიყვნენ ისინიც, ვისაც ქართულად დაწერილი ლექსები თუ მოთხრობები სჭირდება...ამიტომ ილიას საბანკო თუ ფინანსური მოღვწეობა ისეთივე დიდია, როგორც მისი „ოთარაანთ ქვრივი“ თუ „განდეგილი““ [ბაქრაძე, 1984:133].

შემდეგ საფუძველი ეყრება „ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას“[34], რომლის მიზანი რეალურად ბევრად სცილდებოდა მისი წესდებით განსაზღვრულ საქმიანობას და იგი მხოლოდ წერა-კითხვის გავრცელებით არ განისაზღვრებოდა. ილიამ თავის თავზე აიღო საზოგადოების საფინანსო საქმიანობის კონტროლი და უდიდეს ძლისხმევას ახმარდა იმას, რომ ფინანსური რესურსები მიზნობრივად მოხმარებოდა ახალი ქართული სკოლების გახსნას, პროფესიული კადრების (მასწავლებლები, პედაგოგების) მომზადებას, სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემას და სხვა. იგი მთელს ქართულ საზოგადოებას მოუწოდებდა, რომ განათლების პრობლემა თვითონ უნდა მოეგვარებინათ, რომ მეტი კერძო ინიციატივა და თვითმოქმედება გამოეჩინათ ამ საქმეში. ამ მიზნით 1860 წელსა და მის შემდგომ პერიოდში სასკოლო განათლების გაფართოებისა და შემდგომი განვითარების მიზნით სხვადასხვა პერიოდში იქმნება საზოგადოებები[35], რომლებიც განათლებასთან ერთად საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან. საწესდებო მიზნებიდან და თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ მმართველობის საკმაოდ დემოკრატიული სისტემა შექმნეს და შესაბამისად ეფექტიანი მართვის სტილიც დაამკვიდრეს.

---

[34]„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ დაფუძნდა 1879 წლის 15 მაისს. საზოგადოების თავმჯდომარედ გრიგოლ ორბელიანის წინადადებით არჩეულ იქნა დიმიტრი ყიფიანი, მოადგილედ კი ილია ჭავჭავაძე. ეს უკანასკნელი საზოგადოებას საბოლოოდ 1885 წლიდან ჩაუდგა სათავეში და სიცოცხლის ბოლომდე იყო ამ თანამდებობაზე;

[35]„ტფილისის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“ (1860წ.); „ქუთაისის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“ (1866წ.); „ქუთაისის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება“ (1878წ.); „მასწავლებელ ქალთა ტფილისის საზოგადოება“ (1886წ.); „ტფილისის ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოება“ (1898წ.); „ქუთაისის ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოება“ (1898წ.) და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სწავლა–განათლებისა და განსაკუთრებით პროფესიული განათლების როლი მნიშვნელოვნად გაზარდა სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალის სწრაფმა განვითარებამ. კაპიტალიზმის განვითარება ახალი სისტემის შესაბამის პროფესიულ კადრებს მოითხოვდა, რომლებიც ამ პერიოდისათვის საქართველოში უკიდურესად დაბალი კვალიფიკაციითა და პრიმიტიული მეთოდებით მზადდებოდნენ, ხოლო სამრეწველო სფეროში ეს სისტემა პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა. ამასთან, საქართველოს დარგობრივი განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოო, აგროტექნიკური და სასოფლო–სამეურნეო დარგებისათვის სპეციალისტების მომზადების მიზნით „სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება“–ს, ინიციატივით, რომელიც 1850 წელს დაარსდა, იხსნება სახელოსნო სკოლები, სადაც ვაჟებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქალთა პროფესიულ განათლებას. XX საუკუნის დასაწყისიდან პროფესიული განათლების დაბალიდან საშუალო და უმაღლეს საფეხურზე გადასვლა და მისი შემდგომი განვითარება იგეგმება კონკრეტულ დარგებში, რაც საკმაოდ შეზღუდული მასშტაბით განხორციელდა. ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ 1901 წლიდან 1915 წლამდე პროფესიული განათლების ქსელის განვითარების კუთხით საქართველოში მნიშვნელოვანი ძვრები არ განხორციელებულა. ასე, მაგალითად, თუ საქართველოში 1901 წელს განათლების სისტემის, სხვადასხვა უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების 11 სახელობო სკოლა ირიცხებოდა, 1915 წლისათვის მათი რაოდენობა მხოლოდ ერთი ერთეულით, დაბალი სახელობო სასწავლებლის დაარსებით გაიზარდა. 1916 წლისათვის კი კერძო პირების მიერ გახსნილი სხვადასხვა კურსებისა და სასწავლებლების ჩათვლით, პროფესიული განათლების კუთხით 24 სკოლა და სასწავლებელი არსებობდა [სიგუა, 1969:119].

პროფესიული განათლების განვითარების კუთხით ძალზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენა აღნიშნული სასწავლებლების პროფესიული განათლების მასწავლებლებით, ანუ სათანადო პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფა და მათი განათლების, მომზადების საკითხი. სამწუხაროა, მაგრამ აღნიშნული საკითხი მეორეხარისხოვნად ითვლებოდა და მას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. თუმცა, სასწავლებლების რიცხვის ზრდა უფრო მეტ მომზადებულ, ახალი სისტემის ადეკვატური ცოდნისა და უნარების მქონე პედაგოგს მოითხოვდა. პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოება (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა) მოითხოვდა

მასწავლებელთა მომზადების პრაქტიკულად ახალი სისტემის შექმნას, სადაც მთავარი ადგილი უნდა დაეკავებინა სპეციალურ სემინარიებს, სამასწავლებლო ინსტიტუტებს, გადასამზადებელ კურსებს, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა სათანადო მატერიალურ–ტექნიკური ბაზით, სპეციალური პედაგოგიური ლიტერატურით და სხვა. დიდი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საფუძველი ჩაყროდა მასწავლებელთა მომზადებისა და სტატუსის მინიჭების გარკვეულ სისტემას. კერძოდ, საშუალო სასწავლებლები და გიმნაზიები მასწავლებლის წოდებას ანიჭებდნენ სათანადო გამოცდების ჩაბარებისა და საცდელი გაკვეთილის ჩატარების საფუძველზე, რომელსაც ამ საქმიანობისათვის ორგანიზებული სპეციალური საგამოცდო კომისია, კომიტეტი იბარებდა. საოსტატო სემინარიაში სწავლების კურსები მასწავლებლებისაგან მოითხოვდა დიდ ფიზიკურ ძალისხმევასაც, ვინაიდან აქ პრაქტიკულად სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის (მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, ხის მასალის დამუშავება, ძერწვა, მუყაოზე მუშაობა, წვნა, ხის ნაკეთობის დამუშავება და სხვა) სპეციალისტები მზადდებოდნენ. მასწავლებელს მოეთხოვებოდა ფიზიკური მომზადებისა და კულტურის მაღალი დონე. ხშირად ეწყობოდა აგრეთვე საწარმოო სწავლების მასწავლებელთა სასწავლო–მეთოდური კურსები. მაგალითად, "ხელგარჯილობის სასწავლო საოლქო კურსები 1911 წელს გაიარა-71 მასწავლებელმა, 1912 წელს-102, 1913 წელს-125 და 1914 წელს-179 მასწავლებელმა. გარდა ამისა ასეთივე კურსები ეწყობოდა აგრეთვე საინსპექციო რაიონებშიც" [სიგუა, 1969:123].

პედაგოგიური კადრების მომზადებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტმა და გორის საოსტატო სემინარიამ. თუმცა უნდა ითქვას, რომ მათ განვითარებას მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს რუსიფიკაციის პოლიტიკა. აღნიშნული პერიოდისათვის მასწავლებელთა შემადგენლობაში 95.0% რუსი ეროვნებისა იყო. ეს პოლიტიკა საქართველოში XX საუკუნის დამდეგიდანაც არ შესუსტებულა, რითაც ხელისუფლება ცდილობდა: „სწავლა-აღზრდის სრული რუსიფიკაციის განხორციელებას" [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1972:710].

ზემოაღნიშნულის მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პროფესიული განათლება საქართველოში VI საუკუნიდან, იყალთოს აკადამიის გახსნიდან იღებს სათავეს. განათლების ერთიან პროცესში მისი რეალური სისტემური მოწყობა კი მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან ხორციელდება, რაც დაკავშირებულია

სასწავლო დაწესებულებების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის რეალურ ფორმირებასთან. ხოლო მისი საბოლოო სისტემის სახით ფორმირება, ჩვენი აზრით განხორციელდა წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ, რომელმაც თავისი საქმიანობით ასევე უდიდესი როლი შეასრულა ქართული ეროვნული პედაგოგიური აზრისა და საერთოდ განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების საქმეში. ეროვნული მეურნეობის წამყვანი დარგებისათვის სპეციალისტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების საქმეში უდიდესი როლი შეასრულო დუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვრიანთკარში 1886 წელს ილიასა და იაკობის თაოსნობით გასხსნილმა სამეურნეო სკოლამ, რომელის საქმიანობასაც ისინი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.[36]

წერა–კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართველ ერში იმ დიდი ფასეულობების განვითარებას რასაც ილია რეალურად საზოგადოებისა და თავისი მოღვაწეობის მიზნად და უპირველეს ამოცანად მიიჩნევდა, ესაა: ქართველ ხალხში ეროვნული სულისკვეთების, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება; მისი ცოდნის დონისა და საგანმანათლებლო პოტენციალის ამაღლება; დედაენის უფლებებისა და ეროვნული ფასეულობების დაცვა. სწორედ ამიტომაა, რომ დღევანდელი ქართველი საზოგადოება უდიდეს შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობას. რადგანაც, ამ დიდი საქმისათვის ბრძოლაში ილიასთან ერთად „ქართველთა შორის წრა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები მესაზღვრე ჯარისკაცებს ჰგავდნენ, იმ სალდათებს, ყოველ წუთს მტრის თავდასხმას რომ მოელიან, წამით თვალის მოხუჭვის უფლება არ ჰქონდათ“ [ბაქრაძე, 1984:55–56]. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე შეიძლება დავასკვნათ, რომ წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ, განათლების ერთიანი სისტემისა და მათ შორის პროფესიული ეროვნული განათლების სისტემის შექმნილი მოდელი საქართველოში ფაქტობრივად ფუნქციონირებს 1921 წლამდე

---

[36]აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებითაა საუბარი შემდეგ პარაგრაფში. დამატებით იხილეთ: **ილია ჭავჭავაძე,** “წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა”, ტფილისი, 1 ივლისი 1886 წელი. ტომი–4, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, 2012წ. გვ. 130-131. **ილია ჭავჭავაძე,** „შინარი მიმოხილვა“, 1883 სექტემბერი. “სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე”. თხზულებათა ტომი 7, პუბლიცისტური წერილები 1882–1886, გამომცემლობა „ილიას ფონდი“, თბ., 2005, გვ. 174.

პერიოდში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ 1918–1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში იგი, „ისევე როგორც კონსტიტუცია და საკანონმდებლო ბაზა, მათ გერმანულ მოდელზე დაყრდნობით ჰქონდათ შემუშავებული“ [ქიტიაშვილი, 2016:19]. სწორედ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ 1918-1921 წელს საქართველოს ახალი დემოკტატიული მთავრობის წინაშე ურთულეს პრობლემათა შორის განათლების სფეროს რადიკალური რეორგანიზაციის საკითხი იდგა. პირველ რიგში კი, „დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ დაარსებულ ახალ სკოლას უნდა განემტკიცებინა სოციალური თავისუფლება და ხელი შეეწყო ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. ამისათვის კი საჭირო იყო ხალხს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა ქონებოდა. სასკოლო პროგრამების გადასინჯვასთან ერთად საჭირო იყო მრავალფეროვანი სახელმძღვანელოების მშობლიურ ენაზე შედგენა“ [ვოიტინსკი, 2018:268]. პრობლემის გადაჭრის მიზნით, აღნიშნულ პერიოდში სწავლებას მრავალი სხვადასხვა დაწესებულება და ორგანიზაცია ახორციელებს. მათ შორისაა: თვითმმართველობის ორგანოები, მუნიციპალიტეტები, მუშათა სინდიკატები, კოოპერატივები, სპეციალური განათლების საზოგადოებები. საქმიანობის მასშტაბებითა და აქტიურობით გამოირჩევა სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება. პროფესიული სწავლების გააქტიურების მიზნით მთელი ყურადღება გადადის ბიბლიოთეკების, სამკითხველოების გახსნაზე და ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გამოცემაზე. „1920-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველოში არსებობს 220 ინსტიტუტი, სადაც ტარდება ლექციები ზრდასრულთათვის....1920 წლის 01 იანვრის მონაცემებით, საქართველოში 2112 ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზია აღიცხული. საამმილიონიანი ქვეყნისათვის ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ მთავრობა და თვითმმართველობის ორგანოები ზრუნავენ ბიბლიოთეკების გახსნაზე ყველა სოფელში, რომელიც საქართველოში 3500-ია. ამგვარად, ეს პროგრამა მხოლოდ 60%-ით განხორციელდა. მთავარი სირთულე ქართულ ენაზე გამოცემული წიგნების უკმარისობაა.“ [ვოიტინსკი, 2018:268]. საჯარო სამსახურის მოხელეებისა და ცალკეული დარგების სპეციალისტების, მუშა კადრების მომზადების მიზნით ფუნქციონირებას იწყებს სპეციალური მოსამზადებელი პრაქტიკული კურსები, რომლებიც გამიზნულია მოკლე პერიოდში (ერთი ან ორი თვე) უზრუნველყოს დამატებით კადრებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. აღნიშნული ფორმით მზადდებოდნენ „სტატისტიკოსები, ბუღალტრები, მიწის მზომელები, ბიბლიოთე-

კარები, აგრონომები, ვეტერინარები, ინჟინრები, აღმზდელები, კოოპერატორები, მუნიცი-პალიტეტების, თვითმმართველობის ორგანოების, ფოსტისა და ტელეგრაფის თანამშრომლები... სახალხო აღზრდა განათლებას ხელს უწყობდა მუშათა კლუბების არსებობა. თითოეულ კლუბს ქონდა ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, საღამოს კურსები, დრამატული და მუსიკალური საზოგადოებები. კლუბი აწობდა პოლიტი-კურ და სამეცნიერო კონფერენციებს, ექსკურსიებს და ა.შ.“ [ვოიტინსკი. 2018:268-269].

საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის შემდეგი ეტაპი–ერთიანი საბჭოთა მოდელის ფორმირება იწყება 1921 წლიდან ქვეყნის ხელახალი ანექსიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. აღნიშნული პერიოდიდან სახელობო განათლების საფუძველს პროფესიულ-ტექნიკური სკოლები ქმნიან, სადაც შეთავაზე-ბული პროფესიების მრავალფეროვნების მიუხედავად, მათი პრესტიჟი მაინც დაბალი იყო. “საბჭოთა პერიოდში საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა ერთია-ნი საბჭოთა სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო და ახერხებდა სოციალისტური ეკონომიკისათვის კვალიფიციური კადრების მიწოდებას. დღეს არსებული სისტემა პირდაპირი მემკვიდრეა საბჭოთა სისტემისა, რის გამოც იგი არ არის თანამედროვე გამოწვევების ადეკვატური.” [დადგენილება №150, 2005წ.]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში წერა–კითხვის მცოდნეთა რაოდე-ნობა მოსახლეობის 36,6%–ს უდრიდა, ქალაქის მაჩვენებელი 72,2%, სოფლის 34,4% იყო....წერა კითხვის გავრცელებისათვის ადგილზე იქმნებოდა სპეციალური სკოლე-ბი, ქოხ–სამკითხველოები“ [საქართველოს ისტორია, 2012:356]. აღნიშნული პრობლე-მის დასაძლევად საქართველოში აქტიურად დაიწყო სხვადასხა ტიპის სკოლების დაარსება. 1901 წელს საქართველოში მხოლოდ 420 დაწყებითი და 10-ზე მეტი საშუა-ლო სკოლა იყო [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1972:711]. წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსების შემდეგ, მნიშვნელოვანი ფაქტი იყო 1900 წელს ქუთაისის გიმნაზიის დაარსება ნიკო კეცხოველის მიერ, სადაც საგანმანა-თლებლო საქმიანობას გამოჩენილი ქართველი პედაგოგები ეწეოდნენ. მოწინავე ქარ-თველი ინტელიგენციის, მეცნიერების მრავალწლიანი ბრძოლისა და ძალისხმევის შედეგად 1918 წლის 26 იანვარს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში დაფუძნდა ქართული უნივერსიტეტი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა უმაღლე-სი განათლების სპეციალისტებისა და პროფესიული კადრების მომზადების საქმეში. თუ უნივერსიტეტის გახსნის მომენტში მხოლოდ ერთი ფაკულტეტი ფუნქციონირე-

ბდა, შემდეგ მის ბაზაზე საფუძველი ჩაეყარა სხვა მრავალ ფაკულტეტს, ლაბორატორიას, სხვადასხვა უნივერსიტეტებს, ინსტიტუტებს და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ „ჯერ კიდევ 1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა პირველი მუშათა ფაკულტეტი, რომლებიც მუშა ახალგაზრდობას ამზადებდა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გადაიქცა რესპუბლიკაში არა მარტო უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების ყველაზე მსხვილ, წამყვან კერად, არამედ მან უდიდესი სამსახური გაუწია ქვეყნის ეკონომიკას „მუშათა და გლეხთა წიაღიდან სახალხო მეურნეობის, ტექნიკის, კულტურის ყველა დარგის სპეციალისტების ფართოდ მომზადებით“ [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1972:626]. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა პედაგოგიური კადრების მომზადებას, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, პროფესიული დაოსტატების სრულყოფას და მატერიალურ უზრუნველყოფას. უკვე 1921-1922 სასწავლო წელს საქართველოში დაარსდა 9 პედაგოგიური ტექნიკუმი: თბილისში, გორში, ხონში, ბოდბეში, ცხინვალში, ახალსენაკში, ზესტაფონში, ოზუგეთსა და ჯიხაიშში [სიმონია, 1957:42]. 1933 წლამდე ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო სპეციალური სკოლების მასწავლებელთა კადრებს ამზადებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1934 წელს თბილისში, გორსა და ბათუმში დაარსდა სამასწავლებლო ინსტიტუტები, რომლებიც შემდეგ გადაკეთდა პედაგოგიურ ინსტიტუტებად. მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში. სწორედ მათი დამსახურებაა საყოველთაო სავალდებულო სწავლების დანერგვა [დადგენილება 1930].

1930 წლიდან შესაბამისი სამთავრობო აღმასრულებელი ორგანოების დადგენილებით შემოღებულ იქნა საყოველთაო სავალდებულო სწავლება და 1940 წლისათვის უკვე საქართველოში სამსაფეხურიანი სწავლების სისტემა (ოთხწლედი, შვიდწლედი და ცხრაწლედი) არსებობდა. ამ პერიოდისათვის საქართველო საბჭოთა კავშირში განათლების დონის მიხედვით ლიდერის როლში იყო. კერძოდ, „ყოველ ათას კაცზე საქართველოში ითვლებოდა 113.4 ადამიანი საშუალო განათლებითა და 11.2 უმაღლესი განათლებით“ [საქართველოს ისტორია, 2012:357]. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად

საქართველოს სხვადსხვა რეგიონებსა და მსხვილ ქალაქებში იქმნება პედაგოგიური სასწავლებლები, ინსტიტუტები. ხოლო ინდუსტრიული განვითარების მიზნით პრფესიული ტექნიკური და აგრონომიული კადრების მოსამზადებლად სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე იქმნება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1928წ.) და სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტი (1930წ. ხუთი ფაკულტეტით: მემინ-დვრეობის; მევენახეობისა და მებაღეობის; ზოოტექნიკური, სატყეო, კოლექტიური მიწათმოქმედების). შემდეგ კი სამედიცინო ინსტიტუტი (1930წ.) პროფესიული სწავლების განვითარებას ხელს უწყობდა რიგი დარგობრივი სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულებებისა და ლაბორატორიების ჩამოყალიბება. რაც შეეხება საშუალო სპეციალურ განათლებას, აღნიშნულ პერიოდში „1928-1932 წლებში საქართველოს სპეციალურმა სასწავლებლებმა ტექნიკუმებმა გამოუშვეს 12215 კაცი“ [საბჭოთა საქართველოს 40 წელი:43], რომლებშიც შედიოდნენ მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგების სპეციალისტები, აგროტექნიკოსები, ზოოტექნიკო-სები, პედაგოგები, მედიცინის მუშაკები. შემდგომ წლებში საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება ერთიორად გაიზარდა. განვითარდა სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ტექნიკუმები აღიჭურვა სასწავლო კაბინეტებით, ლაბორატორიებით, სახელოსნოებით. მიუხედავა იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომმა სერიოზული ნეგატიური გავლენა იქონია განათლების სისტემაზე სასწავლო დაწესებულებისა და შესაბამისად მოსწავლეთა რაოდენობის თვალსაზრი-სით, შეძლებისდაგვარად ყურადღება ექცეოდა პედაგოგიური კადრების განვითარე-ბას, მათ მატერიალურ სტიმულირებას, რაც მათი ხელფასის გადიდებაში გამოიხატა. 1945 წელს ახალციხეში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი, რომლის მოწინავე სტუდენტებს უფლება მიეცათ სწავლის გაგრძელებაზე უმაღლეს სასწავლებლებში. ხოლო, ომის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უმაღლესი (უცხო ენათა პედაგოგიური და ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის გახსნა) და საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტთა მომზადებას მიექცა. საშუალო სკოლებში კი 1948 წლიდან სწავლების ვადად 11 წელი, ხოლო არასრულ საშუალო სკოლებში 9 წელი განისაზღვრა.

საქართველოში განათლებისა და პროფესიული განათლების სისტემის განვითა-რების მნიშვნელოვანი საფეხური 60–იანი წლების დამდეგიდან იწყება, რომელიც დაკავშირებული იყო განვითარებულ სოციალიზმზე გადასვლასთან. შესაბამისად

მთავრობის მიერ შემუშავდა ახალი მიმართულებები [კანონი, 1958], რომელიც ითვალისწინებდა, მოსწავლეთა ახალი შეგნებით აღზრდას, ცხოვრებასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათ ჩაბმას, შრომისა და ცხოვრების კავშირის განმტკიცებას [Закон в СССР, 1958]. შესაბამისად „1966 წელს საქართველოში იყო 4685 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 927.8 ათასი მოსწავლით და 70.0 ათასამდე მასწავლებლით. ხოლო 1971 წელს 4571 სკოლა ერთ მილიონზე მეტი მოსწავლით და 77.0 ათასი მასწავლებლით“ [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1980:907].

70–იანი წლებიდან განათლების სისტემის უმთავრესი ამოცანა ხდება–საყოველთაო განათლებაზე გადასვლა. დიდი ყურადღება ეთმობა სასწავლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განვითარებას. მეცხრე და მეათე კლასების მოსწავლეთათვის სავალდებულო გახდა ავტოსაქმის შესწავლა, რამაც ხელი შეუწყო მექანიზატორთა კადრების მომზადებას.

კიდევ უფრო გაიზარდა განათლების, განსაკუთრებით საშუალო პროფესიული განათლების როლი და მნიშვნელობა „კომუნიზმის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მშენებლობის“ ეტაპზე. იზრდება მოთხოვნა მუშათა კულტურულ–ტექნიკური დონის ამაღლებაში, საჭირო ხდება რთულ პროფესიებში მათი კვალიფიციური მომზადება, რაც მოითხოვს სათანადო სპეციალური განათლების მიღებას. შესაბამისი დადგენილების [დადგენილება, 1969] საფუძველზე ხორციელდება პროფესიულ–ტექნიკური სასწავლებლების გარდაქმნა საშუალო განათლების პროფტექნიკურ სასწავლებლებად, რაც ახალი ნაბიჯი იყო პროფესიულ განვითარებაში. საშუალო განათლების მქონე კვალიფიციური მუშების ნაწილი სწავლას აგრძელებდა ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამ პერიოდში რესპუბლიკის პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა (67 ერთეული) მოამზადა და სამუშაოდ გაგზავნა 82.0 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. „1971–1972 წლებში 6 ერთეულით გადიდდა რესპუბლიკის პროფტექნიკური სასწავლებლების რაოდენობა, ხოლო 9 სასწავლებელი გარდაიქმნა საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლად. 1973 წელს რესპუბლიკაში უკვე იყო 20 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელი, სადაც 6.0 ათასზე მეტი ახალგაზრდა იძენდა კვალიფიციური მუშის პროფესიას. პროფესიების რაოდენობა გაიზარდა 120–დან 200–მდე. ამ სასწავლებლებმა სახალხო მეურნეობას მისცეს 1973 წელს 20.3 ათასი, ხოლო 1975 წელს თითქმის 22.0 ათასი კვალიფიციური მუშა“ [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1980:912].

როგორც ვხედავთ საბჭოთა პერიოდში პროფესიული განათლების განვითარების კუთხით სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები და რეფორმები განხორციელდა, რომელიც ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის პრინციპებსა და პარტიულ იდეოლოგიაზე იყო დაფუძნებული. ამიტომ, დღევანდელი გადასახედიდან იგი არაერთგვაროვნად ფასდება ცალკეული მეცნიერ-მკვლევარების, სპეციალისტების მიერ: „პროფესიულმა განათლებამ ძალიან შორი გზა გამოიარა და კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საბჭოთა კავშირის დროს პროფესიული განათლება იყო დასჯა. ამ მოცემულობიდან ჩვენ უნდა მოვიდეთ იქ, სადაც პროფესიული განათლებით ადამიანები იამაყებენ...ეს არ არის მარტო პროფესიის შეძენა, ან სამუშაო ადგილების შექმნა, ეს არის ადამიანებისთვის ბედნიერების შექმნა" [საერთაშორისო კონფერენცია, 18.07.2016]. რაც შეეხება შემდეგ პერიოდს, განსაკუთრებით 80–იანი წლების დასაწყისიდან 1990 წლის ჩათვლით საქართველო საყოველთაო სახალხო განათლების პოლიტიკით ლიდერი ხდება, როგორც ზოგადი, უმაღლესი, ისე პროფესიული განვითარების თვალსაზრისით.

ამდენად, თუ შევაჯამეთ საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციონირების საბჭოთა მოდელის თავისებურებებს და სპეციფიკას, შეიძლება გავეკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

- ✓ საბჭოთა პერიოდში პროფესიული განათლების სისტემა იდეოლოგიურად დაფუძნებული იყო ადმინისტრაციულ–მბრძანებლური ეკონომიკის ფუნციონირებისა და მართვის პრინციპებზე და მას დირექტიული ხასიათი ქონდა [Масловский. 2017];
- ✓ 1917–1931 წლებში განხორციელებული განათლებისა და განსაკუთრებით პროფესიული განათლების რეფორმის უმთავრესი ცენტრალური მომენტი გახდა– „შრომითი საქმიანობა“. შესაბამისად განათლების ტრადიციული სისტემა შეიცვალა და იგი მიმდინარეობდა მკაცრი პარტიული კონტროლის ქვეშ, დევიზით „სკოლა–საწარმო (საამქრო)“;
- ✓ 1931-1936 წლებში განათლების სისტემის რეფორმირების მეორე ეტაპზე, შესაბამისი სამთავრობო დადგენილებების საფუძველზე, ხორციელდება განათლების ტრადიციულ მოდელზე „სკოლა–სწავლება“ დაბრუნება;

- ✓ 50–იანი წლების ბოლოსა და 60–იანი წლების დასაწყისში განხორციელდა სწავლების პროცესისა და მწარმოებლური შრომის დაკავშირება, შერწყმა, შემო–ღებული იქნა სავალდებულო საწარმოო პრაქტიკა (ე. წ. „ხრუშოვის რეფორმა)";
- ✓ 60–იანი წლების დასასრულსა და 80–იანი წლების პირველ ნახევარში პროფე-სიული განათლების რეფორმა დაკავშირებული იყო მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის (მტპ) განვითარების მიზნებთან [Титова, 2015];
- ✓ ფაქტობრივად განხორციელდა მისი მოდერნიზაცია და განვითარდა „პრობლე-მური და განვითარებადი სწავლების" პრინციპულად ახალი მიმართულება, რაც ეფუძნებოდა კომპიუტერულ სწავლებას;
- ✓ 80–იანი წლების ბოლოსა და 90–ინ წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად ერთიანი ტიპის სასწავლო დაწესებულებების ნაცვლად საფუძველი ეყრება სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებს (კოლეჯი, გიმნაზია, ლიცეუმი და სხვა), მუშავდება სხვადასხვა ტიპის სასწავლო პროგრამები და საფუძველი ეყრება თავისუფალ პედაგოგიურ შემოქმედებას.

პროფესიული განათლების სისტემის წარმოშობისა და განვითარების ისტორიუ-ლი ანალიზი საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ, საბჭოთა პერიოდში პროფესიუ-ლი პედაგოგიური კადრების მომზადების სისტემის, როგორც განათლების სფეროს დამოუკიდებელი დარგის განვითარების ეტაპებიც:

- ✓ **პირველი ეტაპი:** 1918-1930 წლები. სპეციალური პედაგოგიური სასწავლო დაწესე-ბულებების ქსელის ორგანიზება, მისი ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ მოქცევა, პედაგოგების მომზადება დარგობრივი სახალხო კომისარიატების ხელმძღვანე-ლობის ქვეშ, სპეციალიზებული (უმაღლესი და საშუალო) საგანმანათლებლო დაწესებულებების შეკვეცა;
- ✓ **მეორე ეტაპი.** 1930-1950 წლები. პროფესიული-პედაგოგიური მომზადების სისტემის საშუალო რგოლის აღდგენა, ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუ-მების გახსნა;
- ✓ **მესამე ეტაპი.** 1951-1980 წლები. დარგობრივ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში საინჟინრო-პედაგოგიური ფაკულტეტების, განყოფილებების, კათედრების ორგა-ნიზება, შესაბამისი პროფილის უმაღლესი განათლების მქონე პროფესიული-პედაგოგიური კადრების მომზადების მიზნით. ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმების ქსელის ფორმირება;

- ✓ **მეოთხე ეტაპი.** 1980-1990 წლები. უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალიზირებული საინჟინრო-პედაგოგიური ფაკულტეტების, კათედრების, განყოფილებების, ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმების ქსელის გაფართოება, განმტკიცება;
- ✓ **მეხუთე ეტაპი.** 1991-1992 წლები. პროფესიული მომზადებისა და პროფესიულ-პედაგოგიური კადრების მომზადების ერთიანი საკავშირო სისტემის მოშლა, რასაც შემდეგ პერიოდში უმაღლესი და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება მოყვა.

ზემოაღნიშნულიდან და ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე, საბჭოთა პერიოდში განათლების განვითარების, ევოლუციის ერთიანი სქემა, ჯაჭვი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი თანამიმდევრობით: სპეციალური განათლება, ტექნიკური განათლება, პოლიტექნიკური განათლება, პროფესიულ-ტექნიკური განათლება, ტექნოლოგიური განათლება.

საბჭოთა პერიოდის შემდეგ განათლების სისტემის ფორმირების ახალი დამოუკიდებელი ეტაპი საქართველოში იწყება 1990-იანი წლებიდან, მთელი რიგი რეფორმების განხორციელების შედეგად. კერძოდ, 1997 წლიდან სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის კუთხით მთავარი ხდება განათლების სფეროს პრიორიტეტულობა და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე [კანონი N826, 1997] იქმნება ახალი დემოკრატიული საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების პროგრამებთან ერთად მოიცავს სახელობო მომზადების, დაწყებით, საშუალო, უმაღლეს და უმაღლესისშემდგომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც შესაბამისად აისახა მოსახლეობის განათლების დონეზეც. ამ უკანასკნელის შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია საქართველოში 1989წ., 2002წ. და 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგები. ასე მაგალითად, 1989 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში 6 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის 1000 სულზე უმაღლესი განათლება ჰქონდა 254 ადამიანს (მათ შორის 121 ქალი და 133 მამაკაცი), ხოლო 2002 წელს უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა მოსახლეობის 1000 სულზე 380 კაცამდე გაიზარდა (მათ შორის 191 ქალი, 189 მამაკაცი) [განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში, 2007]. 2002 წელს საშუალო პროფესიული განათლების მქონე პირთა რიცხოვნობა მოსახლეობის 1000 სულზე (სულ 313, მათ შორის 164 ქალი, 149 მამაკაცი) 1989 წელთან შედარებით 51 კაცით, ანუ 19.5%-ით შემცირდა, როგორც მამაკაცების, ისე ქალების მიხედვით. მნიშვნელოვნად

მცირდება საბაზო განათლების მქონე პირთა რიცხვიც. 2002 წელს 1989 წელთან შედარებით მოსახლეობის 1000 სულზე საბაზო განათლების მქონე პირთა რიცხვი 264-დან 197-მდე, ანუ 34%-ით შემცირდა. 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 26.74%-ია უმაღლესი განათლებით **(იხ. ცხრილი-1.1)**.

ცხრილი-1.1

10 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ასაკისა და განათლების მიღწეული დონის მიხედვით 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოში

დასახელება		**რაოდენობა**	**პროცენტებში**
სულ 10 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა		**3 228 691**	**100.0%**
მათ შორის განათლების მიღწეული დონის მიხედვით	უმაღლესი	863 422	26.74%
	პროფესიული	562 118	17.41%
	სრული ზოგადი განათლება (საშუალო განათლება)	1 183 967	36.67%
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური	272 789	8.45%
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	184 022	5.7%
	არა აქვს დაწყებითი განათლება, მაგრამ შეუძლია წერა და კითხვა	104 492	3.23%
	წერა-კითხვის უცოდინარი	12 576	0.4%
	არ არის მითითებული	45 305	1.4%

წყარო-საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

რაც შეეხება მიმდინარე პერიოდს, ანუ 2018 წლის მდგომარეობით 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში უმაღლესი განათლება ქონდა 28.6%-ს, სრული პროფესიული განათლების მქონეა 18.6%-ი, ხოლო სრული ზოგადი განათლების მქონე პირთა წილი 39.2%-ს შეადგენდა [www.geostat.ge; www.mes.gov.ge], რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. ასე მაგალითად, კანადასა და რუსეთში მოსახლეობის 54.0%-ს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, ისრაელსა და იაპონიაში-49.0%-ს, კორეში 45.0%-ს, აშშ-ში 44.0%-ს,

ესტონეთში 38.0%-ს, ბელგიასა და ლიტვაში 37.0%-ს, დანიაში 36.0%-ს, ესპანეთში 35.0%-ს, საფრანგეთში 32%-ს [Interstate Education, 2015-2017].

მიმდინარე პერიოდში ძალზე მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა პროფესიულ მომზადებასა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის წარმართვის პირობები და წესი, რომელიც რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით [კანონი N1330, 2005; კანონი N3530, 2010; კანონი N5367, 2016]. კერძოდ, მასწავლებლის საქმიანობის დაწყება, პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ხორციელდება „მასწავლებლის საქმინობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის განსაზღვრული სქემის“ შესაბამისად, რომელიც ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და განსაზღვრავს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, მასწავლებლის შეფასების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის გზებსა და საშუალებებს. ხოლო პროფესიული განათლების პედაგოგიური კადრების (მასწავლებლების) მომზადების, პროფესიაში შესვლის, საქმიანობის შეფასების, უწყვეტი პროფესიული განვითარების და სხვა საკითხები რეგულირდება „პროფესიული განათლების შესახებ კანონი“-ს, „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“-ს და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. კერძოდ, პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად „პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ საქმიანობის დაწყება, მისი პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების შესაბამისად“ [კანონი N3442, 2018:21]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი დღემდე დამუშავებული და მიღებული არ არის.

დანართი-2

§2.პროფესიული განათლების განვითარების აქტუალი საკითხები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში (წარსული–ისტორიული გამოცდილება)

მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საზოგადოებრივი პოტენციალის განვითარება, შრომითი ცხოვრების ხარისხისა და შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება საზოგადოებრივ–ეკონომიკური ფორმაციის ყველა საფეხურზე უპირველეს ყოვლისა დამოკიდებული იყო განათლების სისტემის დონესა და ხარისხზე. აღნიშნული პრობლემა ყოველთვის წარმოადგენდა მეცნიერული კვლევის აქტუალურ მიმართულებას, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ცოდნის, განათლებისა და მეცნიერების, როგორც ინტელექტუალური შრომის პროდუქტის უდიდესი როლი და მნიშვნელობა კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული ილია ჭავჭავაძეს, დიდ ქართველ მწერალს, პოეტს, ლიტერატორს, ისტორიკოსს, იურისტს, ფილოსოფოსს, სოციოლოგს, ეკონომისტს და კიდევ მრავალი სხვა დარგის მცოდნე ადამიანს, პიროვნებას, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოს, თავის სამშობლო ქვეყანას, მის კეთილდღეობას, საზოგადოების განვითარებას. ილიას მოღვაწეობისა და საქმიანობის მთავარი დევიზი და პრინციპი ყოველთვის თავისი ქვეყნისა და ხალხის განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა იყო. „ჩვენი საქმე ქართველი ხალხის ცხოვრებაა, მისი გაუმჯობესება–ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილი“ [ინგოროყვა, 1975:253], ამ ამოცანის გადაწყვეტაში ილია ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ეპოქის შესატყვისი ცოდნისა და განათლების მიღების აუცილებლობას ვინაიდან იგი კარგად ამჩნევდა, რომ ქვეყნის ჩამორჩენილობის, სიღარიბისა და განუვითარებლობის მთავარ მიზეზი სწორედ ცოდნის, განსაკუთრებით კი პროფესიული ცოდნის უქონლობა და დეფიციტია. „ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა”„... სხვა ვერაფერი გაუსწორებს ომს ცოდნასა, თუ არ ისევ ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა“ [ჭავჭავაძე, 1879/2012:148]. ამ ფრაზით ილიამ საბოლოოდ დაასკვნა, რომ სათანადო ცოდნისა და განათლების გარეშე შეუძლებე-

ლია ქვეყანაში სიღარიბის პრობლემის დამარცხება და მისი განვითარება. თუმცა ილია განათლების საკითხს მარტო ყოფით პრობლემებს არ უკავშირებდა. მას ადამიანის ყოველმხრივი განვითარების საფუძვლად მიიჩნევდა-“რა არის იგი სწავ-ლა, განათლება, ზნეობა-გაწრთვნილობა, რომ თავისუფლების ჭეშმარიტი მნიშვნე-ლობაც ვერ გამოარკვევინოს ადამიანსა, იმოდენა ღონე არ მისცეს სულისა, რომ ადამიანი მის მაღალ მნიშვნელობას ასწვდეს და ბოროტის ქმნის თავისუფლებას სიკეთის ქმობა არ არჩევინოს.” [ჭავჭავაძე, 1879/1991:123].

ილიამ თავის შესაბამის ნაშრომებში დეტალურად ჩამოაყალიბა საყოველთაო საზოგადოებრივი, სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემებიდან თავის დაღწევის კონცეპტუალური მიმართულებები, სადაც ცენტრალურ ადგილს ისევ და ისევ საყოველთაო ცოდნისა და შესაბამისი სწავლა-განათლების მიღების აუცილებლობა იკავებს. სამწუხაროა, მაგრამ ქვეყანა დღეს სწორედ ანალოგიური პრობლემების, გამოწვევების წინაშეა, იმ განსხვავებით, რომ ამ პრობლემების დონე, ხარისხი და მასშტაბები სპეციფიური და თავისებურია-თანამედროვე გლობალური სამყაროს შესაბამისია. ანუ, საქართველოს წინაშე მდგომი მრავალი ეკონომიკური პრობლემი-დან მიმდინარე პერიოდში-სიღარიბისა და ქრონიკული უმუშევრობის დაძლევა კვლავ უდიდეს გამოწვევად და მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება [2006 წლიდან 2017 წლის ჩათვლით ქვეყნის მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებლები მედიანური მოხმარების 60%-ისა და 40%–ის მიმართ შესაბამისად საშუალოდ 22,1%-სა და 9,1%–ს შეადგენდა (ფარდობითი სიღარიბე). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი, ანუ საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილი (რეგისტრირებული სიღარიბე) მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან მიმართებაში 10.1%–დან (2015 წელი) 12.1%-მდე (2017 წელი) გაიზარდა. აბსოლიტური სიღარიბის მაჩვენე-ბელი კი, ანუ სიღარიბის აბსოლიტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 2017 წლის მდგომარეობით 21.9%-ს შეადგენდა. 2000-2017 წლებში უმუშევრობის დონე ქვეყანაში 10.3%-დან (2000 წელი) 13.9%-მდე მერყეობდა (2017 წელი), ხოლო მაქსიმალურ დონეს-18.3%-ს მან 2009 წელს მიაღწია.] [www.geostat.ge; http://www.moh.gov.ge]. სწორედ ამიტომ გახდა სასიცოცხლოდ აუცილებელი 2020 წლამდე პროფე-სიული განათლების რეფორმის სტრატეგიის, როგორც პროფესიული განათლების

პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავება და მისი შემდგომი რეალიზაცია. „სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ეროვნული და სექტორული პრიორიტეტები, განათლების, განსაკუთრებით კი პროფესიული განათ-ლების ამჟამინდელი გამოწვევები და მათი გადაჭრის ევროპული თუ სხვა ქვეყნების გამოცდილება“ [ბრძანება N300, 2013].

ქვეყნაში არსებული რეალური ვითარებიდან გამომდინარე ილია „უდიდესი შემოქმედებითი ენთუზიაზმით იკვლევდა საქართველოს პოლიტიკურ–ეკონომიკუ-რი განვითარების გზებსა და საშუალებებს. კიდემდე სწვდებოდა იმ სიღრმისეულ მოვლენებს, რომლებიც განაპირობებდნენ საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობას. ამ მხრივ ფასდაუდებელია ილიას ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე.“ [სართანია, 1971:3]. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ზოგადთან ერთად, პროფესიული სწავლა–განათლების საქმე წინ წასულიყო, ამიტომ ძალიან განიცდიდა როცა ამ სფეროში მთავრობის უყურადღებობასა და უმოქმედობას ამჩნევდა–„ჩვენი ჯერ–ხანად უკურნებელი ტკივილი და ძალიან მწვავი ტკივილიც ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის სწავლა განათლების საქმე მეტად ცუდად არის მოწყობილი და პატრონი არ არის რომ ყურადღება მიაქციონ და რაც შეიძლება შეცვალონ და გაასწორონ“... „სწავლა–განათლება ჩვენში ტაატით მოდის და გულ–აცრუებით საზოგადოდ და ქართველობისათვის საკუთრივ“ [ჭავჭავაძე, 1881/2012:205-206]. ილია განსაკუთრე-ბულ ყურადღებას აქცევდა და ხაზს უსვამდა ქართველი გლეხის შრომისმოყვა-რეობას, მის თავდადებას და ბრძოლას სხვადასხვა სტიქიური ძალების წინააღმდეგ, შეუპოვარ ჯაფას და გარჯას, ძალისხმევას წლის საზრდოს მოსაპოვებლად, მაგრამ იგი მისტიროდა მის უძლურებას, გაუნათლებლობასა და უვიცობას და გამოსავლის ძებნაში სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა: „ჩვენი ხალხი უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს. წლითიწლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრიალებს, ჰხნავს, სთესავს; ვაზს უვლის, ბოსტნეული მოჰყავს; წელებზედ ფეხს იდგამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება, ძალ-ღონეს არა ჰზოგავს, ოღონდ წლის საზრდო მოიპოვოს. მაგრამ აი წელს სეტყვამ გაუნადგურა წლის ნაღვაწი საზრდო, მერმის კალიამ ხელცარიელზე დასო, მესამე წელს კიდევ სხვა ღვთის რისხვა დაატყდა თავსა. წლის ნაწვავ-ნადაგი ხელიდამ გამოეცალა... რა ქნას? ცოდნა მას არა აქვს, ვერც თავის საკუთარს ძალ-ღონეს დანდობია, ვერც სხვას მინდობია, ვერც ცალკე ღონით გასძღო-ლია.. სად არის განათლებული, მეცნიერებით შეიარაღებული კაცი, რომ მისთვის

გული შესტკივო-დეს და წარმატების გზა უჩვენოს?...[ჭავჭავაძე 1886/2012:126–127]. უფრო მეტიც უმეცრებასა და გაუნათლებლობის, სამეურნეო საქმის გაძღოლისა და აღრიცხვიანობის უცოდინრობის ნაყოფი იყო ქვეყანაში: სიღარიბე, ცხოვრების უკიდურესად დაბალი დონე, გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობები, სხვადასხვა დავადებების გავრცელება, დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა და სხვა. ამ უმეცრების დაძლევისათვის ილია გამოსავალს პროფესიული განათლების სისტემის ორგანიზებასა და განვითარებაში ხედავდა და ზოგად განათლებასთან ერთად თავიდანვე დიდ ყურადღებას ამახვილებდა მასზე. ამის ნათელი მაგალითია ცალკეული წერილები და სხვადასხვა დროს შექმნილი ნაშრომები,[37] რომელიც მან კონკრეტულად აღნიშნული პრობლემის გაშუქებას მიუძღვნა. რუსეთის ქონების მართვის სამინისტროს ფუნქციების შესახებ ანალიზისას ილია აქცენტს ერის ეკონომიკური უძლურების მიზეზების გამოკვლევასა და მისი დაძლევის გზების ძიებაზე აკეთებს და აღნიშნავს, რომ სხვა მრავალთან ერთად ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც მთავრობამ გამოიკვლია და აღიარა კიდეც „ერის ყოველგვარი უცოდინარობაა საზოგადოდ და ადგილ–მამულის კეთებისა საკუთრივ. ამის წამლად სამინისტრომ ერის სწავლა–განათლება ჰსცნო საჭიროდ და სწავლა–განათლების მოსაფენად–მდაბიო სკოლების გამრავლება აღნიშნა“ [ჭავჭავაძე, 1886/2005:404]. აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტრომ შესაბამისი ღონისძიებაც კი გაატარა და ხელი შეუწყო სამეურნეო სკოლების „დამართვას რუსეთში“. ილია დამწუხრებული აღნივშნავს, რომ ეს ინიციატივა ჯერ საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში არ გავრცელებულა. აქ ჯერ მხოლოდ მიწაზე და მიწათმოქმედებაზე დამოკიდებული მრეწველობაა და ერის ეკონომიკური არსებობის ერთადერთ წყაროს საადგილმამულო მრეწველობა წარმოადგენს, რომელზეც დაფუძნებულია მთელი სახელმწიფოს სიძლიერე და არსებობა. ამიტომ, აღნიშნული დარგის განვითარება, რომელიც სახელმწიფო შემოსავლებისა და „ერის სარჩო–საბადებლის“ ერთადერთი წყაროა აუცილებლად უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს ხელისშეწყობით და მთავრობის ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს. „ერთი უდიდესი ხელშემწყობი

[37]სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ 28.02.1886წ.; წინამძღვრიანთკარის ქართული სამეურნეო სკოლა 01.07.1886წ.; ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებელთა შესახებ 30.11.1886წ.; ქალთა სასწავლებელი, 06.03.1889წ.; სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი. წოდებრიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში 31.12.1893წ.; ოძისის სამეურნეო სკოლის საკითხზე 20.01.1897წ.; სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ 25.11.1898წ. და სხვა.

ღონე ამ საქმისა, ნაცადი და უტყუარი–იგია, რომ გავრცელდეს და მოეფინოს ქვეყანას მამულის მოვლისა და კეთების ცოდნა იმოდენად მაინც, რამოდენადაც საყოველ-დღეოდ გამოსადეგი და მოსახმარია მდაბიო მიწათმოქმედთათვის. უკეთეს გამავრცე-ლებელად და მომფენავად კიდევ მდაბიო სამეურნეო სკოლებია, სოფლად დამარ-თულნი“ [ჭავჭავაძე, 1886/2005:405]. 1893 წელს კი ამ პრობლემისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში იგი წერდა: „საჭიროა ისეთის სკოლების დაარსება, რომელშიაც ასწავლიან ჩვენ შვილებს, როგორ და რანაირად შეიძლება მცირე შრომით დიდის ნაყოფის მიღება. ამისთანა სკოლებში ნასწავლები ისე ბარგად აღარ ეკიდებიან ოჯახს, როგორც სხვა სკოლებში სწავლადამთავრებული…მე ამ აზრისა ვარ, რომ სამეურნეო სკოლას უფრო მეტის სარგებლის მოტანა შეუძლიან…” [ინკლუზიური..., ttps://margin-web.wordpress.com /2017/01/03/]. თუმცა ილია არ უარყოფდა ამ საქმეში კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივების განვითარებასაც, მაგრამ კარგად ესმოდა, რომ ფინანსურად „მოზრდილი საგზალი უნდა“ და თუ მთავრობის მზრუნველობაც იქნებოდა, პროფესიულ სწავლებაში კერძო საქმიანობასაც ჩაეყრებოდა საფუძველი. სწორედ ამიტომაა რომ იგი „ქუდზე კაცს“ მოუწოდებს, აბსოლუტურად ყველას, საზოგადოების განათლებულ, განსაწვლულ ნაწილს მასწავლებელს, ექიმს, ტეხნიკს, მიწის შემუშავების მცოდნეს ანუ ყველას, „ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია“, რომ გვერდზე დაუდგნენ ხალხს და დახმარება აღმოუჩინონ სათანადო ცოდნის, ანუ პირველ რიგში საქმის კეთების, პროფესიული ცოდნის შეძენაში, რათა „სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ“, რომ ერის ხსნის გზა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი თვითშეგნების ამაღლებაში, პროფესიული სწალა–განათ-ლებასა და ცოდნის მიღებაშია „განათლება, სწავლა, ცოდნა–აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას“ [ჭავჭავაძე, 1886/2012:128]. საქმის საკეთილდღეოდ ყველას მიმართავს ილია, მოუწოდებს მათ, რომ ახლა უმთავრესი ამ ცოდნის, განათლების მიღებაა, რომელიც სამომავლოდ თვითონ მოიტანს ფულს. „ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვის და შემწეობასაც მოიპოვებს; ყოველივე ეს თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდი-დრე, ოღონდ კი კაცი ნუ შეიკეტება ოთხ-კედელშუა, ოღონდ კი გულხელდაკრე-ფილი ცას ნუ შევაჩერდებით: აცა, მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდებაო. ამ ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!..“ [ჭავჭავაძე,

1886/2012:129]. ილია ხაზს უსვამდა, რომ საქართველო ბუნებრივი და ადამიანური რესურსებით არც ისე ღარიბი ქვეყანაა, რომ „ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბერტყა“, მაგრამ, ქვეყანა ძალზე ღარიბია „იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე სძევს, სად რა განძია. არ ვიცით, საიდამ რა მივიღოთ. რა ხერხით და ოსტატობით ამოვი-ღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფავიც ბლომად“ [ჭავჭავაძე, 1883/2005:174].

პროფესიული განათლების განვითარების საქმეში დიდი შეფასება მისცა ილიამ დუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვრიანთკარში სამეურნეო სკოლის გახსნას 1886 წელს, რომელიც ილია წინამძღვრიშვილის თაოსნობით განხორციელდა. იგი დაწვრილებით ახასიათებს სკოლის მატერიალურ–ტექნიკურ ბაზას (სამჭედლოსა და მის მოწყობილობებს, იარაღებს, ფერმას, აღჭურვილობას, სხვადასხვა დანიშნულების სასწავლო ნივთებს, ბიბლიოთეკას, სამეურნეო იარაღების ნიმუშებს და სხვა), რომელთაც დიდი როლის შესრულება შეუძლია მომავალი სპეციალისტების აღზრდის საქმეში. ყველაფერი ეს ილიას თქმით „ლამაზად, ფაქიზად და საქმის ცოდნით არის გამართული, მოწყობილი და მოვლილი.“ სკოლაში 43 შეგირდია, რომელიც სხვადასხვა რეგიონიდან მოსული ყველა სოციალური ფენის ჯანსაღი ახალგაზრდობაა, მათმა „ცოდნამ, გონებაგახსნილობამ, წერამ, კითხვამ, წაკითხულის ახსნამ, არა ერთი მაყურებელი და მსმენელი გააოცა“ [ჭავჭავაძე, 1886/2012:130-131], მაგრამ ილია წუხს, რომ ამ ძალზედ მნიშვნელოვან სკოლაში, რომელიც კარგად და ცნობიერდაა დაწყობილი, სასწავლო პროცესების ეფექტიანად მიმდინარეობა დღეს ერთი კაცის ძალისხმევაზეა დაფუძნებული. ფართო ქართველი საზოგადოება მასზე მზრუნველობას ვერ იჩენს, რაც სკოლის სამომავლო ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის ძალზე საჭირო საქმეა, რომ „ჩვენის გულგრილობითა, გაუტანლობითა, გულშეუმატკივრობითა“ სკოლა არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ და „ჭეშმარიტი ქართველი კაცი“ მის მზრუნველობაზე ფიქრს არ უნდა წყვეტდეს და შესაწევარს არ იშურებდეს. იმავე წელს ილია ყურადღების გარეშე არ ტოვებს ზოგადად სოფლის მეურნეობასა და განსაკუთრებით მის წამყვან დარგებს მეხილეობასა და მევენახეობას. სოფლის მეურნეობას, იგი განიხილავდა მატერიალური წარმოების ძირითად დარგად, ხოლო საქართველოს, მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნების გამო, აგრარულ ქვეყნად მიიჩნევდა: „ჩვენი ეკონომიკური ძალღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება

სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინცა“ [კოღუაშვილი, www.nplg.gov.ge]. ილია კარგად იცნობდა ქართველი გლეხის ფსიქოლოგიას, მის ზნეობრივ მხარეს, ამასთან, აანალიზებდა მიწათმოქმედების გაძღოლის ეროვნულ ტრადიციებს, მის თავისებურებებს, პრობლემებს და აქედან გამომდინარე იგი აკეთებს არა მარტო უბრალო დასკვნებს, არამედ, ფაქტობრივად, აყალიბებს ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღორძინების, განვითარების ეროვნულ კონცეფციას და პროგრამას, რომლის პირველ ძირითად ამოცანად ამ სფეროში პროფესიული კადრების მომზადებას მიიჩნევდა. უფრო მეტიც სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპული გამოცდილების (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, ჰოლანდია, ბელგია) ანალიზისას ილია დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფოს როლს დარგის განვითარებაში. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა სცნოს და გაითვითცნობიეროს დარგის როლი, მისი მნიშვნელობა, საჭიროება ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში და მეორე მხრივ, სისტემატურად იზრუნოს და სათანადო დახმარება გაუწიოს კერძო მეწარმეებს, როგორც ფინანსური და მატერიალური რესურსებით, ისე „რჩევით, ცოდნით“, ანუ სათანადო პროფესიული კადრების მომზადებით. ამიტომ იგი აღნიშნავს “რომ მართლა მთავრობის ყურადღება და ზრუნვა ფუჭს გულისტკივილად არ იქცეს, მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავის ხალხის მეურნოების, ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელს საჭიროებას დღემუდამ სცნობდეს, და მეორეს გზით–მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაწიოს იქ მაინც საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გასწვდება“ [ჭავჭავაძე, 1863–1882/1997:45]. თითქმის ანალოგიური პრობლემების წინაშე დგას დღეს ქვეყანა, ამიტომ შემთხვევითი არ იყო რომ სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებზე მსჯელობისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II არაერთხელ გაამახვილა ყურადღება სოფლად მიწების ათვისების, მცირე საწარმოების მშენებლობის, პროფესიული კადრების მომზადებისა და მოსახლეობის დასაქმების აუცილებლობაზე და მრევლს ამ საჭირბოროტო პრობლემებთან ბრძოლაში წმინდა ილია მართალის ღვაწლი შეახსენა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა ზუსტად ანალოგიური პრობლემის წინაშე XIX საუკუნის დასარულსაც იდგა, რის გამოც წმ. ილია მართალმა საადგილმამულო ბანკი დააარსა და სავსებით სამართლიანად მოუწოდა ხალხს-“დღეს დიდი ილიას ჭაპანი თითოე-

ულმა ჩვენგანმა ძალისამებრ ჩვენისა უნდა გავწიოთ...საჭიროა მიწათმოქმედმა მეტი სიყვარული გამოიჩინონ შრომისადმი და გაუფრთხილდენ სოფლის საკუთრებას" [ილია II, 2014: 3]. რა თქმა უნდა აქაც დიდია ილიას ღვაწლი და შრომა. იგი წარსულს სევდიანად იხსენებს, როცა „დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა", მაგრამ მას კარგად ესმის, რომ ახალი ეპოქა სულ სხვა მოთხოვნებს უყენებს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და სამწუხაროდ ახალი დროის „შესაფერი ცოდნა" ჯერ კიდევ ვერ მიგვიღია, ხოლო „ღონიერი და ჭირთამძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია" [ჭავჭავაძე, 1883/2005:175]. ბუნებრივ და სტიქიურ მოვლენებთან, ასევე მოსავლის მავნებლებთან ბრძოლაში უძლურების მთავარ მიზეზად ილიას ისევ უცოდინრობა მიაჩნია–„მხოლოდ ჩვენი უმეცრობა, უცოდინარობაა იმის მიზეზი, რომ ვერ მოგვიხმარია ის, რასაც თვითონ ბუნება გვაძლევს", და სოფლის მეურნეობის სამეურნეო საზოგადოების და „განათლებული კაცების" [ჭავჭავაძე, 1886/2005:564] მოვალეობად თვლის გაავრცელონ ხალხში სათანადო ცოდნა, ვინაიდან ეს მთელი ხალხის კეთილდღეობის საფუძველია.

სოფლად თვითმმართველობის დამკვიდრებისა და საგლეხო მიწათმფლობელობის გაფართოებას ილია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და აღოძინების მთავარ ფაქტორად მიიჩნევდა–„ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე–მიწა და გუთანია". იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიწათმოქმედებას, მეხილეობას, მევენახეობასა და მეღვინეობას ანიჭებდა და შეუძლებლად მიიჩნევდა ამ დარგების განვითარებას სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიერ იმ პერიოდის ტექნიკური სიახლეებისა და ინოვაციების ათვისების გარეშე. მან თვითონ სცადა და რამდენჯერმე შეისყიდა ევროპიდან სასაოფლო–სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა, თუმცა სათანადო პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების არარსებობის გამო, მას ეს ტექნიკა ვერ გაუმართავს და სამწუხაროდ ვერ გამოუყენებია. ამიტომ, ილია მიზნად ისახავდა, რომ ხალხს შეეგნო პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენის საჭიროება სოფლის მეურნეობის ყველა სფეროში (მიწათმოქმედება, მეხილეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, სატყეო მეურნეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეჩაიეობა და სხვა) და გაეთვითცნობიერებინა, რომ წარმატება მხოლოდ საქმის ანუ პროფესიონალურ ცოდნასა და მეცნიერების

თანამედროვე მიღწევების გამოყენებაზეა დამოკიდებული. აქ აუცილებელი იყო მოწინავე ევროპული გამოცდილების გაზიარებაც. სამწუხაროა, რომ როგორც დღევანდელ, ისე ილიას პერიოდშიც პროფესიული საქმიანობის დეფიციტი იყო არა მარტო სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სფეროში, არამედ იგი შეინიშნებოდა, კომერციული საქმიანობისა და მომსახურების სფეროშიც. მაგალითად, მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას ილია სხვა ძირითად პრობლემებთან ერთად პროდუქციის რეალიზაციისა და გასაღების ბაზრის პრობლემებს გამოყოფს. „ეს გარემოება სრულის ყურადღების ღირსია“ დასძენს ილია და მიანიშნებს, რომ რადგან ღვინის წვრილი მწარმოებლები გზას ვერ იგნებენ და არ იციან როგორ გაასაღონ იგი, თავის შრომის პროდუქტს „სარაჯებსა და წვრილმან ჩარჩებს“ სულ მუქთად აძლევენ „რადგან ხალხი ამაზე მეტს მუშტარს ვერ შოულობს და ესენიც, როგორც უნდათ, ისეთ ფასს ადებენ...ამ სახით ვენახებისა და თვით პატრონების საქმე განსაცდელშია. დღედადღე, როგორც ვთქვით ვენახებს მტერი ემატება“ [ჭავჭავაძე, 1886/2005:583-584]. გამოსავალს ისევ მთავრობის დახმარებასა და ხელისშეწყობაში ხედავს, რომ ხალხს ისედაც გაზრდილი გადასახადები შეუმციროს და ხელი შეუწოს წარმოებისათვის საჭირო ინვენტარის მომარაგებაში. ილიას აზრით „ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი“. ხმალი თავისითაც ძლიერია და იგი ხან ფარობს, ხან სატევრობს და დიდ სამსახურს უწევს თავის პატრონს. „გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედამიწის უხვი გული გადაგვიშალოს და იქიდამ საზრდოება გვაწვდიოს“. რომისა და მონგოლების იმპერიების თვითმპყრობელობა მხოლოდ იმიტომ დაეცა, რომ მარტო ხმალი ეჭირათ ხელში და გუთანი კი არა. ხოლო ევროპის „წარჩინებულმა ერებმა“, ხმალთან ერთად გუთანი მიიმხრეს და უფრო განამტკიცეს და გააძლიერეს თავიანთი ქვეყნები. მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელსაც ყურადღების გარეშე არ ტოვებს დიდი ილია "ბატონებო გუთანს ცოდნაც უნდა და, რომ ერთი–ათად იმაზედ მეტი შესძლოს, რის შემძლებელიც აქამომდე იყო. ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისაა–სკოლაა, და იმ ცოდნისა, რომელიც გუთანს, ანუ უკეთ ვსთქვათ, მიწის მოქმედებას ხელს უწყობს და შეჰფერის,–სამეურნეო სკოლაა. ამგვარი სკოლების გამართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა“ [ჭავჭავაძე, 1881/2012:221-222]. რუსეთის მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ასეთი სკოლების ფორმირებასთან დაკავშირებით და ილიაც ყურადღებას ამახვილებს არა

მარტო სამეურნეო სკოლებისა როლსა და მნიშვნელობაზე, არამედ განუმარტავს ფართო საზოგადოებას, თუ როგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს მათი ფორმირება, რომ ქვეყნისათვის მაღალი სარგებელი მოიტანოს. ამიტომ იგი წერდა „სახელოსნო და სასპეციალო სატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარია, ჩვენი წარსულის საქმის ხელახლად გამობრუნებისათვის და ჩვენის ღონე-მილეულ ქვეყნის გაღონიერებისათვის. დროა ამაზე ვიფიქროთ, დროა ამ საქმეს ჩავკიდოთ ხელი და ვინ იცის, იქნება იგი თითო-ოროლა გროში, რომელსაც ცალკე კაცნი, სოფლები და ქალაქები თუ ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი იმეტებენ, ცოტად თუ ბევრად ამ საქმესაც მივაწოდოთ და მოვახმაროთ“ [გაგუა, 1974:153].

მეღვინეობის დარგის განვითარებასთან ერთად ილია ყურადღებას ამახვილებს მეხილეობის დარგზეც და ცალკე წერილს [ჭავჭავაძე, 1886/2012:132] უძღვნის „ხილნა-რობისა და ღვინის კეთების“ სწავლებისათვის სკოლების გამართვისა და მათში სწავ-ლების საკითხებს. იგი ძალიან განიცდის, რომ სამეურნეო სკოლების დახმარებაში პასიურია შეძლებული საზოგადოება, რომელმაც თვითონ უნდა უშველოს „თავის თავს“, რომ „სწავლა–განათლება საჭიროა ყველასათვის“, რასაც თავადაზნაურობა ყველაზე მეტად უნდა ითვითცნობიერებდეს. ამის მიზეზად სიღარიბეს იჩემებენ, მაგრამ „ღარიბნი თუ ვართ, სწავლა–განათლების უქონლობის მიზეზია. სწავლა–განათლება თითონ არის სათავე სიმდიდრისა“ [ჭავჭავაძე, 1887/2012:143], ამიტომ ამ საქმის წარმატებისათვის ყველაფერი უნდა გავიღოთ „რომ ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ“. სულ სხვაზე ყურება და სხვისი იმედით საქმის კეთება დღეს სარგებლის მომტანი არაა და თავადაზნაურობა ნაწილობრივ მაინც თავისი ჯიბით უნდა წაეშველოს საკუთარი შვილების სწავლა–განათლებისა და აღზრდის საქმეს. სიღარიბის მიზეზად ხელზე დახვევა დღეს აქ არგუმენტად აღარ გამოდგება. როგორ გაჭირვებაშიც არ უნდა ჩავარდეს ადამიანი თუ საზოადოება, გამოსავალი მაინც საკუთარი მხნეობა და გამჯელობაა, საკუთარი თვითმოქმედებაა. კაცმა თუ საზოგა-დოებამ საკუთარი „პური არსობისა“ თვითონ უნდა გამოაცხოს და სადაც ეს პური არ ცხვება იქ სიცოცხლეც არ არის. ამიტომ ილია აღტაცებით ეხმიანება წერილს, რომელიც ქალთა სასწავლებლის გახსნას ეხება. ილია გახარებულია იმით, რომ ეს ფრიად სასარგებლო საქმე მხოლოდ ქალთა ინიციატივას, ძალისხმევას, მონდომებასა და თვითმოქმედებას ეფუძნება „რომ თავიანთი საკუთარი მხნეობა, საკუთარი გამრჯელობა დაუდვიათ სათავედ თავიანთ მოქმედებისათვის“ და ულოცავს მათ,

რომ „ჭეშმარიტ გზას დასდგომიან თავიანთ სვებედის გასასწორებლად“. საზოგადოებამ ქალის როლი მარტო სამ „უწმინდეს, უსამღვთოეს დანიშნულებას“: დედობას, ცოლობასა და დობას არ უნდა დაუკავშიროს, რადგან მთავარი „კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა დასხვა“ [ჭავჭავაძე, 1889/2012:155.], რადგან ადამიანს გარდა დედობისა და მამობისა მრავალი ვალდებულება აქვს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, რაც ასევე წარმატებით უნდა აკეთოს. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას ილია აგრძელებს წერილში „სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი წოდებრიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში“, სადაც იხილავს ქალთა სასწავლებლის წესდებასა და მთავრობის სხვადასხვა პროექტებს ქალთა განათლების შესახებ. იგი მიუთითებს, რომ ქალების პროფესიული განათლების საკითხი მარტო სოფლის მეურნეობის დაბალი სამეურნეო სასწავლებლების დონეზე კი არ უნდა გადაიჭრას, არამედ მათ უფლება უნდა მიენიჭოთ უმაღლესი სამეურნეო განათლების მისაღებადაც. მხოლოდ ყველა წოდების კავშირი და თანხმობა უზრუნველყოფს განათლების სფეროში არსებული ყველა პრობლემის დაძლევას, ხალხის განათლების დონის ამაღლებას, მათ განვითარებას და დაწინაურებას.

1898 წლის 25 ნოემბრის წერილში, რომელიც ილიამ პროფესიული განათლების პრობლემებსა და საჭიროებას მიუძღვნა ხაზგასმით საუბრობს გერმანიის წარმატებაზე და მის გამარჯვებაზე საფრანგეთთან შედარებით. ამის მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ „უხვად მოფენილმა და კარგად მოწყობილმა სკოლებმა და სწავლა–განათლებამ გერმანიისამ მისცა ერს ის სულიერი და ხორციელი ძალ–ღონე, რომელმაც შეჰმუსრა საფრანგეთიო“...“მიზეზი ძლევამოსილებისა იგივ სკოლის მასწავლებელია, იგივ სწავლა და განათლებაა“ [ჭავჭავაძე, 1898/2012:160–161]. ილია დასძენს, რომ გერმანია აქამდე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო საფრანგეთთან და განსაკუთრებით კი ინგლისთან შედარებით, მაგრამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში „ხელოსნობა და ერთობ ვაჭრობა–მრეწველობა“, ისე განავითარა, ყველა გააოცა და მსოფლიოს ბაზარზე მათი კონკურენტი გახდა. აღნიშნულმა მრეწველობა განვითარებული ქვეყნების, განსაკუთრებით კი ამერიკის დაინტერესება გამოიწვია, რომელთაც სპეციალური კომისიებიც კი შექმნეს ასეთი სწრაფი განვითარების მიზეზების შესასწავლად. კომისიის დასკვნის არსი როგორც დიდი ილია ამბობს: „სამის სიტყვით გამოითქმის: „საერთო განათლების წარმატება“. გერმანიამ სამართლიანი ჯილდო მიიღო განათ-

ლების სისტემის განვითარების მიზნით ამ სფეროში განხორციელებული რეფორმებით და მთელი რიგი პროგრამების წარმატებით განხორციელებით. კერძოდ: სატექნიკო სწავლა განათლებისა და ცოდნის განვითარების პრესტიჟულობა და დაფინანსების პრიორიტეტულობა; ფაბრიკა–ქარხნების მესაკუთრეებისა და სახელმწიფოს მხარდაჭერა სწავლების პროცესის ორგანიზებასა და შემდგომ განვითარებაში; სკოლების სპეციალიზაცია დარგობრივი, პროფესიული ნიშნისა და ვიწრო სპეციალობათა მიხედვით; სასწავლებელთა საქმიანობის ფართო პროფილი და ხელობისა და ხელოვნების ყველა სახეობის მიხედვით სწავლება; შრომის ანაზრაურებისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემების გამოყენება; სკოლის მასწავლებელთა გასამრჯელოს ზრდა; სამუშაო დღის ხანგძლივობის სისტემატურად შემცირება და „პატარა ყმაწვილთა“ შრომის შეცვლა კვალიფიციური პროფესიული ცოდნით შეიარაღებული სამუშაო ძალით. აშკარაა, რომ ამ ანალიზით ილიამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა ქვეყნის მოწინავე საზოგადოება, რომ ქვეყნის წინსვლისა და ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით რა დიდი როლი და მნიშვნელობა აქვს ვაჭრობისა და მრეწველობის დარგების განვითარებას, რაშიც უდიდესი როლი ზოგადმა და პროფესიული განათლების სისტემამ უნდა შეასრულოს. გერმანიაში ხომ ეს სასწაული „სასპეციალო და სატექნიკო სწავლა–ცოდნის მოფენამ და წარმატებამ“ მოახდინა, რომ „აქ ნიჭი ბევრს არაფერ შუაშია, საქმე სწავლა–ცოდნა ყოფილა“. ილია გამოსავალს იგივე წამლის მიღებაში პოულობს და ასკვნის კიდეც რომ „ტკივილი ჩვენი აშკარაა და წამალიც ნაპოვნი, ჩვენ მარტო ისღა დაგვრჩენია, იგივე წამალი ვიხმაროთ თავის მოსარჩენად“. მართალია ქვეყანას იმ ოდენობის სახსრები არ გააჩნია, რომ ტკივილი ბოლომდე განკურნოს, მაგრამ შესაძლებელი უნდა გაკეთდეს და საქმეზე ზრუნვა უნდა დაიწყოს. სახელოსნო და სასპეციალო–სატექნიკო სკოლები ქვეყნის „ცხოველმყოფელი სახსარია“ და აუცილებელი პირობაა მისი განვითარებისა და გაღონიერებისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქართველი საზოგადოებისა და ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გზების ძიებას ილიამ მთელი თავისი ნიჭი, ენერგია და გამოცდილება მოახმარა. მან მე–19 საუკუნის ბოლოს ფაქტიურად გარკვეული პერიოდით შეწყვიტა მხატვრული შემოქმედება, ვინაიდან იგი პრიორიტეტად სწორედ აღნიშნული პრობლემების სიღრმისეულად კვლევას მიიჩნევდა. მიუხედავად იმისა, რომ მას სხვა მრავალი საქმე ჰქონდა

თბილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის გამგეობისა და წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის პოსტებზე, იგი განსაკუთრებულ ყუდაღებას უთმობდა და აქტიურად უწყობდა ხელს ქართული გიმნაზიისა თუ სხვადასხვა სახელობო და პროფესიული სასწავლებლების განვითარებას საქართველოს ქალაქებში. „მთელი თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობით ჭავჭავაძე დიადი მიზნის განხორციელებას-ქართველი ხალხის გაერთიანებას, ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლებასა და ამაღლებას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ემსახურებოდა. ჭავჭავაძე იყო XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს უდიდესი ეროვნული მოღვაწე, ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და განმანათლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და წინამძღოლი. უწინარეს ყოვლისა, ამაშია მისი ეპოქალური დამსახურება საქართველოს წინაშე” [ჭავჭავაძე, Wikipedia.Org]; [ყორანაშვილი, 2007]. ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ მან უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის განათლებისა და მათ შორის პროფესიული განათლების ერთიანი სისტემის ფორმირებაში. ამიტომ შეუძლებელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ „ფაქტობრივად, იტვირთა განათლების დარგში ქართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, ქართული განათლების სისტემის როლი, და უნდა ითქვას, რომ ამ საზოგადოების ყველა წევრის რაციონალური, მიზანმიმართული და უანგარო მოღვაწეობის შედეგად მან შთამომავლობას შეუნახა ქართული ენა, ქართული დამწერლობა და მთელი ქართული კულტურა. ამდენად, ამ ორგანიზაციას, რომელიც 47 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქართული განათლების საქმეს, თამამად შეიძლება ეწოდოს განათლების სისტემა“ [ჭკუასელი..., 2012:181].

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვიდან, ანალიზიდან ჩანს, ძალიან ძნელია სრულყოფილად და ამომწურავად შეაფასო ილიას როლი, დამსახურება ქართველი ხალხისა კულტურულ–საგანმანათლებლო პოტენციალისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში, თუმცა ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას რომ მართლაც ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ამ საქმეში. ილიას ცხოვრების უმთავრესი და უმაღლესი მიზანი, ხომ საქართველოს გაძლიერება, ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლა იყო. ამ მიზნის მიღწევის უმთავრეს ფაქტორად კი იგი ცოდნასა და განათლებას მიიჩნევდა–„ცოდნა, სწავლა-განათლება

დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც...ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად“ [ჭავჭავაძე, 1863-1884/2012:148]. ცოდნა ილიას აზრით იყო იმ პერიოდის საზოგადოების ყველაზე დიდი სიმდიდრე და კაპიტალი, რომელიც ყველა მატერიალურ ფასეულობას აღემატებოდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მისი შესანიშნავი დასკვნა და მრავალმხრივ გააზრებული ფრაზები 21–ე საუკუნის დასაწყისშიც არ კარგავს თავის აქტუალობასა და კიდევ უფრო ამტკიცებს მის მნიშვნელობას თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში.

დანართი-3

ცხრილი–3.1

განათლების სისტემის მახასიათებელი მაჩვენებლები საქართველოში

მაჩვენებლები	**2000/ 2001**	**2005/ 2006**	**2009/ 2010**
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	140	153	34
მათ შორის სახელმწიფო კერძო	85 55	86 67	30 4
მოსწავლეთა რიცხოვნობა საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში სულ, კაცი	32521	28395	2611
მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებში კერძო დაწესებულებებში	27408 5113	20904 7491	2177 434

წყარო-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო http://mes.gov.ge. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge.

ცხრილი–3.2

საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებდნენ სტუდენტების მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

დაწესებულებების ფორმა	**2013**			**2017**		
	კერძო	**საჯარო**	**სულ**	**კერძო**	**საჯარო**	**სულ**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება	7	-	7	10	1	11
პროფესიული კოლეჯი	41	9	50	25	10	35
საზოგადოებრივი კოლეჯი	18	6	24	36	12	48
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	9	14	23	11	15	26
სულ	**75**	**29**	**104**	**82**	**38**	**120**

წყარო-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო http://mes.gov.ge. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge.

ცხრილი–3.3

სტუდენტების რიცხოვნობა საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

დასახელება	**2013**				**2016**			
	ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა		**კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა**		**ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა**		**კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა**	
	ქალი	**კაცი**	**ქალი**	**კაცი**	**ქალი**	**კაცი**	**ქალი**	**კაცი**
სტუდენტები, სულ	**10035**	**11010**	**5181**	**5609**	**7529**	**8110**	**4885**	**5058**
პროგრამების მიხედვით								
აგრარული მეცნიერებანი	896	1195	389	599	791	958	479	633
ბიზნესის ადმინისტრირება	4290	2119	2042	880	2021	1062	1425	709
განათლება					215	1	-	-
ინჟინერია	1106	6222	914	3522	754	4361	435	2609
მეცნიერება /საბუნებუნებისმეტყველო/	-	15	-	11	6	36	2	17
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	4	280	1	131	497	781	315	497
სამართალი	213	443	48	89	265	361	178	248
სოციალური მეცნიერებები	94	70	22	10	143	28	34	4
ხელოვნება	1098	264	588	65	1059	251	693	126
ჯანდაცვა	2334	402	1177	302	1778	271	1324	215
ასაკის მიხედვით, წელი								
<15	10	13	2	-	1	5	-	1
15-17	1463	2964	677	1643	611	1277	273	605
18-20	4731	4109	2401	2063	2714	2443	1442	1354

21-23	1822	1731	1227	862	1231	1528	1331	1184
24-26	570	633	259	292	846	953	607	656
27-29	394	377	138	153	493	496	300	311
30-32	247	264	124	122	396	341	202	220
33-35	219	191	89	96	288	274	162	170
>35	579	728	264	378	949	793	568	557

წყარო-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო http://mes.gov.ge. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge.

ცხრილი-3.4

უმუშევართა განაწილება განათლების დონის მიხედვით საქართველოში 2003-2016 წლებში

განათლების საფეხურები	**2003**		**2005**		**2008**		**2016**	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
უმუშევრები სულ	235.9	100	279.3	100	315.8	100	235.1	100
დაწყებითი პროფესიული სახელობო	17.5	7.2	23.5	8.4	8.8	2.8	17.6	7,5
საშუალო პროფესიული	32.5	16.3	44.1	15.8	56.4	17.9	35.5	15.1
უმაღლესი	91.2	37.5	108.5	38.8	123.8	39.2	95.2	40,5

წყარო-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო http://mes.gov.ge. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge.

ცხრილი-3.5

დასაქმებულთა[38] განაწილება განათლების დონის მიხედვით საქართველოში 2003-2016წლებში

განათლების საფეხურები	**2005**		**2008**		**2016**	
	აბს.	**%**	**აბს.**	**%**	**აბს.**	**%**
დაწყებითი პროფესიული	165.6	9.5	69.6	4.3	164.0	9.3
საშუალო პროფესიული	240.2	13.8	267.9	16.7	238.0	13.5
უმაღლესი	436.1	25.0	433.1	27.0	444.4	25,2

წყარო-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო http://mes.gov.ge. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge.

[38]საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად **დასაქმებულად** (დაქირავებული ან თვით-დასაქმებული) ითვლება 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურა-ლური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურ-ნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

ცხრილი-3.6

პროფესიული განათლების მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები საქართველოში 2013-2019 წლებში საქართველოსი (მლნ. ლარი)

დასახელება	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**	**2016 წელი**	**2017 წელი**	**2018 წელი**
პროფესიული განათლება	**13.3**	**23.2**	**33.0**	**33.7**	**36.5**	**43.8**
მათ შორის ვაუჩერი	3.7	11.8	11.5	12.3	14.1	14.1
პროგრამული/მიზნობრივი	5.6	3.0	6.9	9.4	12.3	14.3
მოდულური საგანმანათლებო პროგრამების ხელშეწყობა	-	-	-	-	0.12	0.13
ინფრასტრუქტურის განვითარება	2.9	6.9	12.3	10.0	8.2	12.5
პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა	0.1	0.2	0.2	0.3	0.3	0.3

წყარო: საქართველოს მთავრობის დადგენილება №533 „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017–2021-ის“ დამტკიცების შესახებ. 2017 წლის 7 დეკემბერი ქ. თბილისი; Act (ეისითი)-ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი. http://act-global.com/about/

დანართი-4

მასწავლებლებისა და სტუდენტების დაკვეთები პროფესიული განათლების მასწავლებლებისადმი

1.პროფესიული ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ მასწავლებელი ფლობს პროფესიულ მეცნიერულ ცოდნას, გააჩნია ზოგადმეცნიერული მსოფლმხედვრელობა;
- ✓ მასწავლებელს აქვს მაღალი დონის პროფესიული ცოდნა;
- ✓ მასწავლებელი სიღრმისეულოდ ფლობს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო–ნორმატიულ, სამართლებრივ ბაზას, ეფექტიანად იყენებს მას თავის პრაქტიკულ საქმიანობაში;
- ✓ მასწავლებელი საფუძვლიანად ფლობს პედაგოგიკის პრინციპებს, თეორიას, განათლების ფსიქოლოგიას;
- ✓ მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლებაზე.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება - პრაქტიკული უნარები

- ✓ მასწავლებელი კარგად ფლობს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, სწავლებაზე მოქმედ ფაქტორებს;
- ✓ მასწავლებელი თავის ცოდნას მონდომებით იყენებს მოზარდებისა და ზრდასრულების სწავლისა და პროფესიული განვითარებისათვის;
- ✓ მასწავლებელი აქტიურად ეხმარება სტუდენტს პროფესიული ცოდნის მაღალ დონეზე დაუფლებასა და სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარ–ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ✓ მასწავლებელს აქვს პროფესიასთან დაკავშირებით მაღალი დონის პრაქტიკული გამოცდილება;
- ✓ მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე;
- ✓ მასწავლებელი ითვალისწინებს სტუდენტის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს, აფასებს მათ გავლენას სწავლებასა და სასწავლო პროცესზე;

- ✓ მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს პროფესიისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებაში;
- ✓ მასწავლებელი შეფასებას, გამოცდას ატარებს ობიექტურად საგნის სასწავლო პროგრამით (სილაბუსით) გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც წინასწარ ცნობილია სტუდენტების მიერ;
- ✓ მასწავლებელი სწავლის შედეგების მიღწეული დონის დასადგენად იყენებს შეფასების სხვადასხვა ფორმას;
- ✓ მასწავლებელი ხელს უწყობს დამსაქმებლების მონაწილეობას სტუდენტების სწავლებისა და შეფასების პროცესში;
- ✓ მასწავლებელი ფლობს შედეგზე ორიენტირებული სწავლების სხვადასხვა მეთოდებს და იყენებს მათ სასწავლო კონტექსტის შესაბამისად;
- ✓ მასწავლებელი ახორციელებს სტუდენტების ორიენტაციას შეძენილი ცოდნის გამოყენების მიზნით, სამომავლო პროფესიულ საქმიანობაში;
- ✓ მასწავლებელი დაინტერესებულია სტუდენტის ცოდნისა და მომზადების დონისა და მისი სწავლების ხარისხით;
- ✓ მასწავლებელი ქმედითად ეხმარებ სტუდენტებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და პრაქტიკული უნარ–ჩვევების ათვისებაში;
- ✓ მასწავლებელი ყოველთვის უთითებს სტუდენტს მის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებაზე და უყურადღებოდ არ ტოვებს მას;
- ✓ მასწავლებელს საგამოცდო საკითხებში არ შეაქვს არასაპროგრამო მასალა;
- ✓ მასწავლებელი უპირატესობას არ ანიჭებს მხოლოდ თეორიულ მასალას და ზრუნავს პრაქტიკული მასალების დამუშავებაზეც;
- ✓ მასწავლებელი სტუდენტის პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს აფასებს დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე და არა მხოლოდ საკუთარი სუბიექტური მოსაზრებების მიხედვით;
- ✓ მასწავლებელი ეხმარება სტუდენტს საჭირო პროფესიული ლიტერატურის შერჩევაში და აწვდის მათ ინფორმაციას პროფესიასთან დაკავშირებული უახლესი ტექნოლოგიების შესახებ;
- ✓ მასწავლებელი ითვალისწინებდეს სტუდენტის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და აფასებს მათ გავლენას სწავლებასა და სასწავლო პროცესზე.

3. ღირებულებები, პიროვნული თვისებები

- ✓ მასწავლებელს შეუძლია მარტივად დაამყაროს კომუნიკაცია სტუდენტებთან;
- ✓ მასწავლებელი კეთილგანწობილი და ტაქტიანია სტუდენტების მიმართ;
- ✓ მასწავლებელი უზრუნველყოფს პროფესიული სწავლების პრესტიჟის ამაღლებას;
- ✓ მასწავლებელი მუდმივად ზრუნავს უწყვეტი პროფესიული განათლების მიღებასა და პროფესიულ განვითარებაზე;
- ✓ მასწავლებელი ლექციას ატარებს გულმოდგინედ და არა მოვალეობის მოხდის მიზნით;
- ✓ მასწავლებელი ლექციაზე არ საუბრობს სხვა არაარსებით საკითხებზე დროის გაყვანის მიზნით;
- ✓ მასწავლებელი დიციპლინირებულია, არ აცდენს და არ აგვიანებს ლექციაზე;
- ✓ მასწავლებელი არ არის აგრესიული სტუდენტის მიერ განხვავებული აზრის მოსმენაზე და მკაცრ მითითებებს არ აძლევს მას;
- ✓ მასწავლებელი კეთილგანწყობილია სტუდენტების მიმართ და არ ექცევა მას უხეშად;
- ✓ მასწავლებელი გამოკითხვას არ აწარმოებს მხოლოდ მის მიერ მითითებული ან მისი ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოს მიხედვით და არ ღიზიან-დება სხვა მასალების გამოყენებისათვის.

დანართში გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აკაკი ბაქრაძე,** ილია ჭავჭავაძე, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი 1984წ.
2. **გურამ ყორანაშვილი,** ილიას ფენომენი. გამომცემლობა “უნივერსალი”, თბ. 2007.
3. **გაგუა ვ.,** სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, გამომცემლობა „განათლება“ თბილისი, 1974 წელი.
4. განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი 2007 წელი. www.geostat.ge.
5. **ვლადიმერ ვოიტინსკი.** ქართული დემოკრატია. ივანე ჯავახიშვის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2018წ.
6. **ზაქარია ქიტიაშვილი,** ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში (1991–2013 წლები). სადოქტორო დისერტაცია. თსუ, თბილისი 2016 წელი.
7. **ილია II.** სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. ჟურნალი “საპატრიარქოს უწყებანი” N27-37, 727-737, 2014წელი;
8. **ილია ჭავჭავაძე,** „ჩვენი ხალხი და განათლება“, ტომი–4, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, 2012წ.
9. **ილია ჭავჭავაძე, „**შინაური მიმოხილვა“. 1879 წელი, იანვარი. ტომი–4, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, 2012წ.
10. **ილია ჭავჭავაძე,** „შინაური მიმოხილვა“, 1879 წლის 9 მარტამდე. თხზულებათა ტომი 6, პუბლიცისტური წერილები 1863–1882, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1997წ.
11. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებათა სრული კრებული. 20 ტომად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილი 1991წ. ტომი 5 თხზულებანი.
12. **ილია ჭავჭავაძე,** „პედაგოგიის საფუძვლები“, ტომი–4, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, 2012წ.
13. **ილია ჭავჭავაძე,** „შინაური მიმოხილვა“, 1883 სექტემბერი. “სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე”. თხზულებათა ტომი 7, პუბლიცისტური წერილები 1882–1886, გამომცემლობა „ილიას ფონდი“, თბ., 2005წ.

14. **ილია ჭავჭავაძე,** “ისევ განათლების საკითხებზე", პუბლიცისტური წერილები, ტომი 4, თბილისი 2012წ.
15. **ილია ჭავჭავაძე,** „სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ“, 1886 წლის 28 თებერვალი. თხზულებათა ტომი 7, პუბლიცისტური წერილები 1882–1886, გამომცემლობა „ილიას ფონდი“, თბ., 2005.
16. **ილია ჭავჭავაძე,** “წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა”, ტფილისი, 1 ივლისი 1886 წელი. ტომი–4, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, 2012წ.
17. **ილია ჭავჭავაძე,** „მოსავლის მავნებლებთან ბრძოლის შესახებ“, თფილისი, 1886 წლის 22 აპრილი. თხზულებათა ტომი 7, პუბლიცისტური წერილები 1882–1886, გამომცემლობა „ილიას ფონდი“, თბ., 2005.
18. **ილია ჭავჭავაძე,** „ჩვენი მევენახეობის და მეღვინეობის საჭიროებანი“, ტფილისი, 1886 წლის 26 აპრილი. თხზულებათა ტომი 7, პუბლიცისტური წერილები 1882–1886, გამომცემლობა „ილიას ფონდი“, თბ., 2005.
19. **ილია ჭავჭავაძე,** “თავად–აზნაურობის გულგრილობა სწავლა–განათლების საქმეში”, ტფილისი, 30 დეკემბერი, 1887 წელი. ტომი–4, პუბლიცისტური წერილე-ბი, თბილისი, 2012წ.
20. **ილია ჭავჭავაძე,** „ქალთა საწავლებელი”, ტფილისი, 6 მარტი, 1889 წელი. ტომი–4, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, 2012წ.;
21. **ილია ჭავჭავაძე,** „სატექნიკო და სახელობო სასწავლებელთა შესახებ“, ტფილისი, 25 ნოემბერი, 1898 წელი. ტომი–4, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, 2012წ.
22. **ილია ჭავჭავაძე,** თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია ვიკიპედიიდან. Wikipedia.Org.
23. **ილია ჭავჭავაძე,** ჟურნალი „მოამბე“, 1887წ.
24. **ილია ჭავჭავაძე,** „ივერია“, 1879 წლის აპრილი.
25. **ილია ჭავჭავაძე, „**ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის შესახებ.“ www.tabula.ge.
26. **ლამარა გოდერიძე,** კულტურულ–საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე–19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე–20 საუკუნის დასაწყისში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2005წ.
27. **მიხეილ მჭედლიშვილი,** „ილია ჭავჭავაძე და მის გარშემო შემოკრებილ თერგდა-ლეულთა დასის ბრძოლა“, თბილისი 1999წ. https://iberiana.wordpress.com/.

28. **მ. სიმონია,** პედაგოგიური განათლება საქართველოში 1921-1941 წლებში, თბილისი, 1957წ.
29. **პავლე ინგოროყვა**, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, თბილისი 1975წ.
30. **პრაკოფი რატიანი,** ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ–პოლიტი-კური შეხედულებანი, „სახელგამი“, თბილისი 1949წ.
31. **პაატა კოღუაშვილი,** ორი ილია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. www.nplg.gov.ge.
32. **როინ მეტრეველი.** განათლების მზე საუკუნეებში იკაშკაშებს! „ალმა მატერი“ ასი წლისაა. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“., N1, 2018წ.
33. **ს. სიგუა,** სახალხო განათლება რევოლიციამდელ საქართველოში 1907-1917 წწ., თბილისი, 1969.
34. საქართველოს ისტორიის ნარკვევები 8 ტომად. გ. კოლელიშვილის რედაქტორობით. ტ–2. თბილისი 1980.
35. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად. ტომი VI. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972 წელი.
36. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. მეორე გამოცემა. თბილისი 2012 წელი.
37. საერთაშორისო კონფერენცია „პროფესიული განათლების როლი ეკონომიკის განვითრებისთვის“, 18.07.2016წ. http://www.mcageorgia.ge/.
38. **ტარიელ სართანია,** ილია ჭავჭავაძის სოციალურ–ეკონომიკურ შეხედულებათა შესახებ, ცხინვალი, „ერისთონი“, 1971წ. გვ. 3.
39. **ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი,** პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. გამომცემლობა “ინტელექტი”, თბილისი 2012წ.
40. **ქეთევან ჭკუასელი.** მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. Georgian Electronic Scientific Journal: Education Science and Psychology 2009 | No.1(14);
41. **შოთა ვეშაპიძე,** ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღირებულებები, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო–პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, N3–4, 2014წ.

42. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია. პროექტი (2017-2021 წლები)". http://www.mes.gov.ge/uploads/;
43. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის დადგენილება „პროფესიულ–ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში კვალიფიციური მუშების მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".
44. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 9 აგვისტოს დადგენილება.
45. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის დეკემბრის კანონი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ".
46. საბჭოთა საქართველოს 40 წელი (სტატისტიკური კრებული).
47. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, www.mof.ge;
48. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, www.moh.gov.ge;
49. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge.
50. Interstate Education, 2015-2017. Сколько людей с высшим образованием в мире? https://interstate-education.com/2016/10/30/skolko-lyudej-s-vysshim-obrazovaniem-vmire/;
51. **Леонид Масловский.** Профессиональное и специальное образования в СССР. http://zavtra.ru/blogs.
52. **Титова, Н.Б.**Теория профессионально-педагогической деятельности. Екатеринбург: Изд-во Рос. гос. проф.-пед. ун-та, 2015. ISBN 978-5-8050-0580-1. elar.rsvpu.ru/pdf;